ქუთაისის უნივერსიტეტი

აზა იფშირაძე

რეგიონის ინვესტიციურ პოტენციალზე მოქმედი ფაქტორები და მისი ამაღლების გზები თანამედროვე ეტაპზე

(იმერეთის მხარის მაგალითზე)

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი

დისერტაცია

სპეციალობა 0701 - ეკონომიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
თეოლოგიისდოქტორი, პროფესორი **ნიკოლოზჩიხლაძე**

ქუთაისი 2015

ნაშრომის სტრუქტურა:

შესავალი ……...……..…... 3

თავი I. ინვესტიციური პოტენციალი და მისი განმსაზღვრელი პირობები ……..... 10

I.1. ინვესტიციური პოტენციალი, როგორც ეკონომიკური კატეგორია ……..... 10

I.2. სახელმწიფოს როლი ინვესტიციური პოტენციალის გაუმჯობესებაში ……..... 28

თავი II. რეგიონები და თანამედროვე რეგიონული განვითარების კონცეპტუალური ასპექტები 50

II.1. თანამედროვე მიდგომები რეგიონის ცნების გაგებისადმი 50

II.2. ინოვაციური პრინციპების გამოყენების შესაძლებლობები რეგიონული განვითარების მართვაში 58

II.3. რეგიონული ფაქტორების გავლენა კომპანიათა ინვესტიციური ქცევის მოდელირების მოტივაციური მექანიზმის ფორმირებაზე 64

თავი III. ინვესტიციური პოტენციალის ამაღლების როლი საქართველოს რეგიონების განვითარების დაჩქარებაში(იმერეთის მხარის მაგალითზე) 78

III.1. საქართველოს რეგიონული განვითარების თანამედროვე ტენდენციები 78

III.2. იმერეთის რეგიონის საერთო ეკონომიკური პოტენციალის შეფასება და კლასტერული განვითარების შესაძლებლობები 101

III.3. ინოვაციისა და ინოვაციური სისტემის როლი საქართველოს რეგიონების განვითარებაში 131

III.4. მუნიციპალური ქონების შეფასების მნიშვნელობა ტერიტორიული ერთეულების ინვესტიციური მიმზიდველობის ამაღლებაში 144

დასკვნები და წინადადებები 162

გამოყენებული ლიტერატურა 170

დანართები 179

შესავალი

პრობლემის აქტუალობა.

თანამედროვე მსოფლიოს განვითარება მრავალწახნაგოვანი და არაერთგვაროვანი პროცესია. საერთაშორისო დონეზე მიმდინარე პროცესები გამოირჩვიან მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკურობით და იმავდროულად აერთიანებენ ცალკეულ სახელმწიფოებში მიმდინარე პროცესებს. კაპიტალის, განსაკუთრებით კი ფინანსური კაპიტალის, მიერ პოლიტიკური საზღვრები დიდი ხნის წინ იქნა დაძლეული და იგი, უცილობლად, გლობალურ სიკეთედ უნდა მივიჩნიოთ.

უკანასკნელ წლებში, ფულადი სახსრების აშკარა დეფიციტის ფონზე, ერთ-ერთ პრობლემურ საკითხად იკვეთება ინვესტიციურ კაპიტალზე მოთხოვნის ზრდა, მისი დეფიციტურობა და მასზე წვდომის აშკარა შეზღუდვა. აღნიშნული ტენდენცია შედარებით მკვეთრად გამოხატულ ფორმას იღებს რესურსულად მწირი განვითარებადი თუ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში.

საქართველოსათვის მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა რუსეთთან ომმა, ეკონომიკურმა ბლოკადამ, პოლიტიკურმა ცვლილებებმა და ა.შ. შესაბამისად, ქვეყნის სამომავლო განვითარების პერსპექტივა მნიშვნელოვნად არის დეტერმინირებული რეალური ინვესტიციური რესურსების ეკონომიკაში მოზიდვისა და დაბანდების შესაძლებლობების განვითარებით. ამასთან, მხედველობაში გვაქვს როგორც ადგილობრივი ინვესტიციური პოტენციალის ამაღლება, ისე უცხოური ინვესტიციური რესურსების შემოდინების მხარდაჭერა, რომელშიც გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლია მთლიანად ქვეყნისა თუ მისი ცალკეული რეგიონის ინვესტიციური პოტენციალის ფორმირებას, გამყარებასა და ამაღლებას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ინვესტიციური პოტენციალის საკითხის შესწავლა ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა თანამედროვე საქართველოსათვის, როგორც საერთო-სახელმწიფო, ისე რეგიონულ თუ ადგილობრივ დონეებზე. რეგიონის ინვესტიციური პოტენციალი მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება ინვესტიციური კლიმატით, ინვესტიციური მიმზიდველობით. იგი არის გარემო, რომელშიც მიმდინარეობს ინვესტიციური პროცესები და რომლის ფორმირებაც ხდება საკანონმდებლო-ნორმატიული, ორგანიზაციულ-ეკონომიკური, სოციალურ-

პოლიტიკური და სხვა ფაქტორების ზემოქმედებით. ისინი განსაზღვრავენ ინვესტიციური საქმიანობის პირობებს მთლიანად ქვეყანაში და მის ცალკეულ ტერიტორიულ წარმონაქმნში.

რეგიონის ინვესტიციური პოტენციალი და შესაბამისად, ინვესტიციური კლიმატი მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყნის ინვესტიციურ პოლიტიკასთან. ინვესტიციური პოლიტიკა წარმოადგენს ინვესტირებისათვის ოპტიმალური პირობების შექმნაზე მიმართული მმართველობის ორგანოების ზემოქმედების ორგანიზაციული და ეკონომიკური ღონისძიებების ერთობლიობას საერთო სახელმწიფო, რეგიონულ, მუნიციპალურ ან მეურნე სუბიექტების დონეზე. ინვესტიციური პოტენციალი, ერთი მხრივ, განსაზღვრავს ინვესტიციური პოლიტიკის შემუშავების სასტარტო პოზიციებს, ხოლო მეორე მხრივ - მის შედეგს წარმოადგენს.

ჩვენი აზრით, თანამედროვე პირობებში ეფექტიანი ინვესტიციური პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს შემდეგი ძირითადი საბაზო პრინციპების განვითარებას:

- ინვესტიციური საქმიანობის საკანონმდებლო უზრუნველყოფის სრულყოფას;
- ინვესტიციური პროგრამების სტრატეგიულ მიმართულებებზე ინვესტიციური პოლიტიკის კონცენტრირების განხორციელებას;
- რეგიონული ინვესტიციური პოლიტიკის ფარგლებში კორპორაციათა ძალისხმევის გაერთიანებას ერთობლივი ინტერესების რეალიზების მიზნით;
- განვითარების დადებითი და უარყოფითი ტენდენციების სისტემატიურ მონიტორინგს;
- ხელსაყრელი ინვესტიციური კლიმატის შექმნას და მის გაუმჯობესებაზე ზრუნვას.

არსებობს ინვესტიციური კლიმატის კატეგორიის როგორც განსაზღვრების, ისე მისი გამოთვლის მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის საკმაოდ ვრცელი სპექტრი, უპირველეს ყოვლისა, დაბანდებული კაპიტალის მომგებიანობის თვალსაზრისით. ცნება „ინვესტიციური კლიმატი“ უპირატესად საბაზრო ეკონომიკისათვის გამოიყენება, როდესაც სამეურნეო გარემო არ ექვემდებარება პირდაპირ მართვას. იგი წარმოადგენს ერთგვარად განზოგადებულ კრიტერიუმს ინვესტიციური რესურსების განთავსებისათვის. ინვესტიციური კლიმატი ყალიბდება ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, სამართლებრივი, ასევე კულტურული და ინფრასტრუქტურული პირობების ერთობლიობით, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკის ამა თუ იმ

სექტორში, კონკრეტულ საწარმოში, ქალაქში, რეგიონში თუ მთლიანად ქვეყანაში დაბანდების მიმზიდველობას, რაც, თავის მხრივ, ინვესტიციური პოტენციალის ზრდაზე მოქმედებს.

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა.

რეგიონის ინვესტიციური პოტენციალის კვლევას საქართველოში დიდი ხნის ისტორია არ აქვს. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით საინტერესო და აქტუალური გახდა XXI საუკუნეში, როდესაც ქვეყანაში ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და ა.შ. ვითარების თანდათანობითი ნორმალიზების ფონზე, დაიწყო გააქტიურება ინვესტიციურმა კაპიტალმა. ადგილობრივი ინვესტიციური პოტენციალის ხელშეწყობა და უცხოური ინვესტიციური რესურსების მოზიდვა მრავალმხრივ მრავალმხრივ მოქმედებს ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის შემდგომი ნორმალიზების, სოციალური ფონის გაუმჯობესების, საბიუჯეტო შემოსულობების მოცულობის ზრდის, დასაქმების მაჩვენებლის ამაღლებისა და სხვა მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრაზე.

ინვესტიციური პოტენციალი და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკა სხვადასხვა კუთხით არის შესწავლილი ქართველი (ე. ბარათაშვილი, ი. მესხია, ვ. პაპავა, ნ. ჭითანავა, ნ. ხადური, ი. არჩვაძე, ა. აბრალავა, ლ. ელიავა, ლ. ქოქიაური, გ. ღავთაძე, რ. მანველიძე, ვლ. ღლონტი, ნ. ჩიხლაძე, რ. ცინარიძე, დ.ჯაფარიძე და სხვ.) და უცხოელი (ბ. გოდინი, მ. ბიშოპი, ბ. მიჩელი, გ, ფრიმენი, ბ. ლუნდვალი, პ. ზუბერი, კ. ბალდინა, ს. კიკერი, ტ. კენიონი, ვ. პალმადი, პ. სამუელსონი, ს. ტომლიანოვიჩი, გ. ხომკალოვიდასხვ.) მეცნიერ-ეკონომისტების და პრაქტიკოსი მკვლევარების მიერ. თუმცა, ნაშრომთა უმეტესობაში,ინვესტიციური პოტენციალის, მისი ამაღლების შესაძლებლობების საკითხები შედარებით ვიწრო სპექტრით, მხოლოდ რომელიმე კონკრეტული მიმართულებით არის განხილული.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორის ძირითადი წვლილი მდგომარეობს რეგიონის ინვესტიციური პოტენციალის პრობლემათა იმ კუთხით განხილვაში, რომელზეც ნაკლებად იყო გამახვილებული ყურადება სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომებში. ამასთან, წარმოდგენილ დისერტაციაში საკითხები შედარებით უფრო კომპლექსურად არის განხილული და შესაბამისი ანალიზის საფუძველზე შემუშავებულია სათანადო რეკომენდაციები.

კვლევის პროცესში სხვადასხვა მეთოდების კომპლექსური გამოყენებით შესაძლებელი გახდა წარმოჩენილიყო საქართველოში ინვესტიციური კლიმატის ფორმირებისა და შემდგომი ამაღლების მრავალმხრივი სურათი, რაც შესაბამისი პრობლემების გადასაჭრელად რეგიონულ დონეზე განსახორციელებელ ღონისძიებათა სპექტრის შემუშავების ერთგვარ წინაპირობად იქცა.

კვლევის მიზნები და ამოცანები.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს არსებული სამეცნიერო-პრაქტიკული ცოდნა-გამოცდილების განზოგადებითა და გამოყენებით ინვესტიციური პოტენციალის ცნების ახლებურად წარმოჩენა, მასზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა, ბიზნეს პროცესებზე მისი ზეგავლენის მასშტაბების განსაზღვრა და რეგიონების მართვაში ინოვაციური მიდგომების ინტეგრირების შესაძლებლობების გამოკვეთით იმერეთის მხარის კომპლექსური განვითარებისა და ინვესტიციური მიმზიდველობის ამაღლების კონკრეტული წინადადებების შემუშავება.

აღნიშნული მიზნის მიღწევა განხორციელდა რამდენიმე ეტაპად, სადაც ყურადღება გამახვილდა შემეგ ასპექტებზე:

- **პირველი** - მსოფლიოში ინვესტიციური კაპიტალისათვის კონკურენციული ბრძოლის გამძაფრების პირობებში ინვესტიციური პოტენციალის განმსაზღვრელი ფაქტორების გამოვლენა-გაანალიზება;
- **მეორე** - ცვალებად ინვესტიციურ გარემოში ბიზნესორგანიზაციის ინვესტიციური ქმედებისა და ქცევის მოდელირების ძირითადი მიმართულებების გამოვლენა, გაანალიზება და სავარაუდო ტენდენციების განსაზღვრა, მასზე რეგიონის განვითარების ორიენტირების შესაძლებლობების გამოვლენის მიზნით;
- **მესამე** - რეგიონის ინვესტიციურ მიმზიდველობაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორების გამოვლენა, ინოვაციებზე დაფუძნებული განვითარების მოდელის გამოყენების შესაძლებლობების გაანალიზება;
- **მეოთხე** - იმერეთის მხარის საერთო ეკონომიკური პოტენციალის შესწავლის საფუძველზე მისი კომპლექსური განვითარების კონკრეტული წინადადებების შემუშავება;

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები.

წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში დასმული პრობლემების, განხილული საკითხების შესწავლისა და კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს კლასიკური და თანამედროვე ეკონომიკური თეორიები, რეგიონთან, ინვესტიციურ მიმზიდველობასთან დაკავშირებული ქართველი და უცხოელი მეცნიერ-ეკონომისტების გამოკვლევები, პოლიტიკოსთა და ექსპერტთა შეხედულებები, საერთაშორისო ორგანიზაციათა ანგარიშები, კვლევები და ა.შ. დისერტაციაში გამოყენებულია ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია, საკანონმდებლო და ნორმატიული დოკუმენტები, სხვა საჯარო ინფორმაცია და ა.შ.

სადისერტაციო ნაშრომით განსაზღვრული მიზნების მიღწევისა და ამოცანების რეალიზების დროს, ცალკეული საკითხის დამუშავების პროცესში, კვლევის ზოგად-მეცნიერულ მეთოდებთან ერთად გამოყენებულია სინთეზის, სვოტ-ანალიზის, ანალოგიების, შედარებითი, ისტორიული, რაოდენობრივი, ინსტიტუციური ანალიზის, გრაფიკული და ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების, აბსტრაქტულ-ლოგიკური, სტატისტიკური და სხვა მეთოდები.

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე.

ნაშრომის მთავარ მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს რეგიონულ ინვესტიციურ პრობლემებზე ჩატარებული სამეცნიერო გამოკვლევათა შესწავლის, ანალიზის, შეფასებისა და განზოგადების საფუძველზე საქართველოში რეგიონების ინვესტიციური პოტენციალის განმსაზღვრელი ძირითადი პირობებისა და ფაქტორების დადგენა, თანამედროვე გლობალიზაციის გავლენით გამოწვეული ინვესტიციური თავისებურებების გამოვლენა და იმერეთის რეგიონის ინვესტიციური პოტენციალის მიმზიდველობის ძირითადი ინდიკატორების სიღრმისეული ანალიზი და შეფასება.

მეცნიერული მიგნებებიდან უნდა აღინიშნოს შემდეგი: ნაშრომში გამოკვლეულია საქართველოს რეგიონების განვითარების მართვაში ინოვაციური მიდგომების გამოყენების შესაძლებლობები, შემოთავაზებულია საქართველოს რეგიონების დიფერენცირების პრინციპები სხვადასხვა მაჩვენებლებზე დაყრდნობით, განსაზღვრულია რეგიონული ფაქტორების ზეგავლენა კომპანიათა ინვესტიციურ ქცევაზე, შეფასებულია იმერეთის რეგიონის საერთო ეკონომიკური პოტენციალი და მისი კლასტერიზაციის შესაძლებლობები. ანალიზის საფუძველზე განსაზღვრულია

საქართველოს რეგიონების განვითარების დაჩქარებაში მათი ინვესტიციური პოტენციალის ამაღლების როლი, შემოთავაზებულია ღონისძიებათა სისტემა რეგიონების ინვესტიციური გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობისათვის.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა და რეალიზაცია.

წარმოდგენილი კვლევის შედეგები და რეკომენდაციები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას იმ პოლიტიკური და ეკონომიკური ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებსაც ვაწყდებით საქართველოში რეგიონების სტრატეგიული განვითარების პროგრამების ფორმირების, რეგიონების ინვესტიციური პროფილის გამოკვეთისა და მათი ინვესტიციური მიმზიდველობის ამაღლების ხელშეწყობის პროცესში. სადისერტაციო ნაშრომში მიღებული კვლევის შედეგები და მეთოდოლოგიური მიდგომები, ასევე, შეიძლება გამოიყენებულ იქნეს შესაბამისი საუნივერსიტეტო აკადემიური პროგრამების სპეციალური სალექციო კურსების სწავლების პროცესში.

ნაშრომის ფარგლებში განხილული ზოგიერთი საკითხი და გამოთქმული პრაქტიკული მნიშვნელობის მოსაზრება თუ რეკომენდაცია, შეიძლება საინტერესო იყოს აღნიშნული დარგის კვლევით დაინტერესებული მკვლევარებისა თუ ამ სფეროში მოღვაწე პრაქტიკოსებისათვის.

ავტორის წვლილი.

საინვესტიციო სფერო, როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ თუ რეგიონულ დონეებზე, უკვე არაერთი ათეული წელია, რაც მეცნიერ-ეკონომისტთა ინტერესის სფეროსა და კვლევის ობიექტს წარმოადგენს. აღნიშნული საკითხები განიხილება, როგორც მაკროეკონომიკური და რეგიონული პოლიტიკის, ინვესტიციური რესურსების დარგობრივი თუ ტერიტორიული განაწილების პრობლემის, ტერიტორიული ერთეულების განვითარების სტრატეგიული მონახაზების ფორმირებისადა სხვა აქტუალურ პრობლემაზე მუშაობის პროცესშიც.

თუმცა, საქართველოს რეალობის გათვალისწინებით, რაც დაკავშირებულია მსოფლიოში ფულად რესურსებზე „შიმშილის“ პირობებში უცხოური ინვესტიციური კაპიტალის მოზიდვისა და ქვეყნის განვითარებაში ინტეგრირების პრობლემის დაძლევასთან, ჯერ კიდევ ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი ფუნდამენტურ მეცნიერულ

კვლევასა და შეფასებას საჭიროებს. ავტორის მიერ შესწავლილი და ახლებურად იქნა წარმოდგენილი:

- ინვესტიციური პოტენციალის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის არსი;
- სახელმწიფოს როლი ინვესტიციური პოტენციალის გაუმჯობესებაში;
- რეგიონის ცნება, მისი მართვა და მასთან დაკავშირებული პროცესები;
- რეგიონული ფაქტორების გავლენის წარმოჩენა კომპანიათა ინვესტიციური ქცევის მოდელირებზე;
- საქართველოს რეგიონული განვითარების ტენდენციები, კლასტერული განვითარების შესაძლებლობები, ინოვაციური მიდგომები რეგიონულ სტრატეგიულ მართვაში;
- მუნიციპალური ქონების ოპტიმალური მართვა და მისი გამოყენება ინვესტიციური მიმზიდველობის ამაღლების კუთხით და ა.შ.

ნაშრომის აპრობაცია და პუბლიკაციები.

ნაშრომის ძირითადი დებულებები, სიახლეები და რეკომენდაციები გამოქვეყნებულია რეფერირებად ჟურნალებში, უცხოენოვან გამოცემებში, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციათა მასალებში.კერძოდ, ჟურნალ „ეკონომიკურ პროფილში“ (2008-2015 წ.წ.), გამოქვეყნებულ იქნა 3 სტატია, ეროვნულ კონფერენციებზე გაკეთდა 2 (2013-2014 წ.წ.), ხოლო საერთაშორისო კონფერენციებზე 3 (2010-2014 წ.წ.) მოხსენება.

გარდა ამისა, მუნიციპაური ქონების მართვის ოპტიმიზირებასთან დაკავშრებული სადისერტაციო ნაშრომის მიგნებები მიწოდებულ იქნა ქ. ქუთაისის სტრატეგიული განვითარების გეგმის ფორმირების კომისიისათვის.

დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა.

დისერტაცია მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 180 გვერდს. იგი შედგება შესავლის, 3 თავის, 9 პარაგრაფის, დასკვნებისა და წინადადებების, გამოყენებული ლიტერატურის სიისა და დანართისაგან.

თავი I. ინვესტიციური პოტენციალი და მისი განმსაზღვრელი პირობები

I.1. ინვესტიციური პოტენციალი, როგორც ეკონომიკური კატეგორია

საქართველოს ეკონომიკაში ინვესტიციების მოზიდვის მასშტაბების გაზრდა თანამედროვე ეტაპის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. აღნიშნულის წარმატებით გადაწყვეტა ბევრადაა დამოკიდებული როგორც მთლიანად სახელმწიფოს, ისე კონკრეტული რეგიონის ინვესტიციური მიმზიდველობის ამაღლებაზე პოტენციური ინვესტორების თვალში. მოცემულ კონტექსტში უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ინვესტირებისათვის აუცილებელი ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც დადებით ზემოქმედებას მოახდენენ ინვესტორის გადაწყვეტილებაზე კაპიტალის დაბანდების ამა თუ იმ ობიექტის შერჩევის დროს. ამ უკანასკნელის სახით, შეიძლება მოგვევლინოს ცალკეული პროექტი, კომპანია, ქალაქი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, რეგიონი თუ მთლიანად ქვეყანა.

ინვესტირების ობიექტები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ტერიტორიულ ერთეულს, გამოირჩევიან მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკურობით, რაც განსაზღვრავს კიდეც ინვესტირების კონკრეტულ პირობებს, შედეგის მიღების პერსპექტივებს და ა.შ., რითაც იქმნება მათი საინვესტიო პოტენციალი. ტერმინი „პოტენციალი“ ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს ძალას. ხშირ შემთხვევაში, აღნიშნულის ქვეშ იგულისხმება არსებული სახსრები, მარაგები, წყაროები, შესაძლებლობები, პერსპექტივები და ა.შ., რომლებიც შეიძლება მობილიზებულ და გამოყენებულ იქნან სხვადასხვა მიზნების მიღწევისა და ცალკეული ამოცანის გადაწყვეტის პროცესში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ტერმინი „ინვესტიციური პოტენციალი“ ასახავს:

- ერთი მხრივ, ინვესტირების პირობებს, ინვესტიციურ აქტივებში სახსრების დაბანდების შესაძლებლობებს;
- მეორე მხრივ, გარკვეული წესით თავმოყრილი და მოწესრიგებული ინვესტიციური რესურსების ერთობლიობას, რომლებიც მათი

მიზანმიმართული გამოყენების დროს სინერგიზმის ეფექტის მიღწევის შესაძლებლობას იძლევა.

არსებობს პირდაპირი კავშირი ინვესტიციურ პოტენციალსა და მის კონკრეტულ რეალიზაციას შორის. ეს უკანასკნელი გულისხმობს:

- მისი ფორმირებისა და დონის ამაღლების ღონისძიებებს;
- რეალურ ინვესტიციურ პროცესში მისი ჩართვისათვის პირობების შექმნის ღონისძიებათა კომპლექსს;
- მოტივაციის სხვადასხვა მექანიზმების გამოყენებით მისი ეფექტიანი რეალიზაციის პროცესს.

ინვესტიციური პოტენციალი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ინვესტიციური რესურსების ერთობლიობა - დაგროვილი კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია ინვესტიციურ ბაზარზე პოტენციური ინვესტიციური მოთხოვნის სახით, უნარი შესწევს გადაიქცეს რეალურ ინვესტიციურ მოთხოვნად და რომელიც უზრუნველყოფს კაპიტალის კვლავწარმოების მატერიალური, ფინანსური და ინტელექტუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ რეგიონის ინვესტიციური პოტენციალი - ეს არის კონკრეტულ რეგიონში არსებული ეკონომიკური რესურსების (ბუნებრივი რესურსები, შრომითი რესურსები, საწარმოო ინფრასტრუქტურა, ძირითადი ფონდები და ა.შ.), ინვესტიციური რესურსების და ინვესტირების პირობების ერთობლიობა. აღნიშნული მიდგომა მრავლისმომცველია და მიზანშეწონილია მისი უფრო დეტალური განხილვა. ამასთან, მთლიანად ინვესტიციური პროცესის განვითარება ეყრდნობა მთელი რიგი საბაზისო ელემენტების ერთობლიობას და შესაბამისად, მათი თვისობრიობის ზეგავლენას განიცდის. აღნიშნული ელემენტებიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია თავად ინვესტიციური პოტენციალი, რადგან იგი თავის თავში ბევრ სხვადასხვა (ზოგჯერ ერთმანეთთან პირდაპირი კავშირის არმქონე) ელემენტს აერთიანებს და თავადაც, როგორც მასში შემავალი მდგენელების ერთობლიობა, კომპლექსურ ფენომენს წარმოადგენს.

ინვესტიციური პოტენციალი არ უნდა აღვიქვათ როგორც განყენებული ცნება. იმავდროულად, იგი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც საშედეგო მაჩვენებელი მიზანმიმართული ღონისძიებების ერთობლიობისა, პროგრამისა, რომელსაც ახორციელებს სახელმწიფო. ცხადია, ისევე როგორც ნებისმიერ სხვას, აღნიშნულ

პროგრამებსაც სჭირდება შეფასება, რომლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძველს წარმოადგენს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე და ინვესტიციური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობის ალტერნატივათა მრავალფეროვნება. ამიტომ, ინვესტიციური პოტენციალის ამაღლების გზების ძიების დროს, ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება სწორედ რეგიონის სტრატეგიული განვითარების პროგრამების შემუშავების აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე შევაჩერეთ.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ „ინვესტიციური პოტენციალის“ არსის განსაზღვრა აქცენტირებულია რესურსების არსებობასა და გამოყენებაზე, რომელიც გამოხატავს საინვესტიციო ბაზარზე სამეურნეო სუბიექტის პოზიციონირების შესაძლებლობებს, პირობებსა და პერსპექტივებს. თუმცა, იგი სწორედ სუბიექტების მიხედვით შეიძლება განსხვავდებოდეს. ინვესტიციური პოტენციალი, როგორც წესი, სხვადასხვა დონის (მაკრო, მეზო და მიკრო) მიმართ გამოიყენება. თითოეულ მათგანს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკურობა ახასიათებს, რაც განაპირობებს კიდეც მათ განსაკუთრებულობას. თუმცა, მათ შორის ბევრია საერთოდამახასიათებელი ნიშნებიც, რაც მათი ურთიერთშედარებისა და ერთობლივი შედარებითი ანალიზის საშუალებას გვაძლევს.

გასაკვირი არ არის, რომ კომპანიისა და რეგიონის ინვესტიციური პოტენციალი განსხვავდება ერთმანეთისაგან. პირველი უფრო ალბათურია, ხოლო მეორე - შედარებით სტაბილური გრძელვადიან პერსპექტივაში. ბიზნესორგანიზაციის დონეზე, ინვესტიციური პოტენციალი „ნიშნავს „შესაძლებლობებს“, რომელთა არსებობა და გამოყენება წარმოადგენს ნავარაუდევ ფაქტორს.“ [31, გვ. 45]

მსგავსად რეგიონისა, სამეურნეო სუბიექტთა დონეზეც, ცნება „ინვესტიციურ პოტენციალს“ შეიძლება საფუძვლად დაედოს რესურსული მიდგომა, რომელიც შეესაბამება სამეურნეო სუბიექტის შესაძლებლობებს საინვესტიციო ბაზარზე. ვგულისხმობთ, ერთი მხრივ, კომპანიის მზადყოფნას წარადგინოს ინვესტიციურ ბაზარზე გადახდიუნარიანი მოთხოვნა და მეორე მხრივ, მის უნარს - მოიზიდოს ინვესტიციური რესურსები საკუთარი საქმიანობის უზრუნველსაყოფად.

ინვესტორის დაინტერესებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს რეგიონის ინვესტიციური პოტენციალი. თუმცა, ადგილობრივ კომპანიათა საქმიანობის პირობებისა და პერსპექტივების შესახებ ინფორმაციაც ასევე მნიშვნელოვანია, რადგან იგი შეიძლება

საინტერესო აღმოჩნდეს უცხოელთათვის. შეიძლება ითქვას, რომ რეგიონის ინვესტიციური პოტენციალი საკუთრივ არის აქტივი, როგორც ეკონომიკური მთლიანობის განმსაზღვრელი პირობა და მიზანი. იგი კომპანიათა ინვესტიციური პოტენციალის ზეგავლენას განიცდის და ამ თვალთახედვით განიხილება, როგორც პირობებისა და პერსპექტივების ერთობლიობა.

მიუხედავად იმისა, ინვესტიციურ პოტენციალს ვიხილავთ სახელმწიფო, რეგიონულ, ადმინისტრაციუო-ტერიტორიული ერთეულის თუ მეურნე სუბიექტთა დონეზე, იგი საბოლოო ჯამში, ასახავს პროცესსაც და შედეგსაც, მართვისა და ზემოქმედების ობიექტს, განვითარების შედეგსა თუ წინსვლის წინაპირობას. ამასთან, ინვესტიციური პოტენციალი წარმოადგენს ნაწილს უფრო მასშტაბური ერთობლიობისა - ეკონომიკური პოტენციალისა, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ზრდას მაკრო, მეზო თუ მიკრო დონეებზე, ქმნის საფუძველს საინვესტიციო საქმიანობისათვის, განაპირობებს ინვესტიციური მოთხოვნის მასშტაბებს, რეალური შემოსავლებისა და მოთხოვნის მოცულობებს და ა.შ.

თანამედროვე ავტორების მიერ, ინვესტიციური პოტენციალი ინვესტიციურ პროცესთან მიმართებით სხვადასხვაგვარად განიხილება. თუმცა, ყველა მათგანი აქცენტს აკეთებს საინვესტიციო კლიმატსა და მიმზიდველობაზე და მათ როლზე ინვესტიციური პოტენციალის ფორმირება-გაუმჯობესებაში მართვის ყველა დონეზე. ინვესტიციური მიმზიდველობა წარმოგვიდგება, როგორც სხვადასხვა ობიექტური მახასიათებლების (საქმიანობის პირობები, შესაძლებლობები, ქონება, გადახდისუნარიანობა და ა.შ.) ერთობლიობა. მაშინ როდესაც, ინვესტიციური კლიმატი აერთიანებს მთლიანად ქვეყნისა თუ ცალკეული რეგიონის ობიექტურ შესაძლებლობებსა და საინვესტიციო საქმიანობის რისკებს.[1]

ინვესტიციური პოტენციალის ფორმირება ხდება ინვესტირების ობიექტური პირობების გაერთიანებით, რომლებიც საინვესტიციო სფეროებისა და ობიექტების მრავალფეროვნებაზეა დამოკიდებული. ქვეყნის ინვესტიციურ პოტენციალში აერთიანებენ რვა ელემენტს, რომლებიც შეიძლება ასევე წარმატებით იქნას გამოყენებული რეგიონთან მიმართებითაც. ესენია:

1. სასაქონლო რესურსები - ძირითადი სასაქონლო მარაგები და რეზერვები;

[1] ინვესტიციურ კლიმატსა და მიმზიდველობას უფრო ვრცლად განვიხილავთ მეორე პარაგრაფში.

2. შრომითი რესურსები - სამუშაო ძალა და დასაქმებულთა განათლების დონე;
3. საწარმოო პოტენციალი - შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში ფიზიკური და იურიდიული პირების ეკონომიკური საქმიანობის მთლიანი შედეგები;
4. ინოვაციური პოტენციალი - ინვესტიციები კვლევებში, განათლებასა და განვითარებაში, ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეები და მათი დანერგვის შესაძლებლობები;
5. ინსტიტუციური პოტენციალი - ძირითადი საბაზრო ინსტიტუტების განვითარების დონე;
6. ინფრასტრუქტურული პოტენციალი - არსებული ინფრასტრუქტურის მოცულობა, მდგომარეობა და გამოყენების შესაძლებლობები;
7. ფინანსური პოტენციალი - კომპანიების, ფინანსური ინსტიტუტების, სახელმწიფოს, ტერიტორიულ ერთეულში არსებული საერთაშორისო თუ სხვა ორგანიზაციების ფინანსური აქტივები, რეზერვები და ა.შ.;
8. სამომხმარებლო პოტენციალი - მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობა რეალური შემოსავლების გათვალისწინებით;

ჩამონათვალის მრავალფეროვნების მიუხედავად, თუ ინვესტიციურ პოტენციალს ვიხილავთ ინვესტიციური კლიმატისა და მიმზიდველობის ჭრილში, უნდა გავითვალისწინოთ შესაბამისი **საკანონმდებლო ბაზის** არსებობა, ხარისხი და სტაბილურობა, რაც უფრო გასაგებს და საინტერესოს ხდის ინვესტორისათვის დაბანდების პირობებს. აღნიშნული განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის, როდესაც უცხოური ინვესტიციების სახელმწიფო რეგულირების მეთოდების შემუშავებისას, აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო და სამართლებრივი წანამძღვრების შექმნა, სათანადო ეკონომიკური პირობების მომზადება და უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული კონკრეტული ნორმატიული დებულებების შემუშავება.

ინვესტიციური პოტენციალისა და მისი მდგენელების შესახებ მსჯელობა არასრულყოფილი იქნება, მათი **შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების** განხილვის გარეშე. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული და პრობლემური საკითხია ინვესტიციების თეორიაში.

რეგიონებში ინვესტიციური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავების უკმარისობის დადასტურებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ

არ არსებობს ინვესტიციური პოტენციალის თუ ზოგადად, ინვესტიციური ვითარების პასიური შესწავლა-დაფიქსირებიდან ინვესტიციური პროცესების პროგნოზირებასა და მართვაზე თანმიმდევრული გადასვლის სრულფასოვანი მცდელობა. შესაბამისად, ინვესტიციური პოტენციალის შეფასების ამჟამინდელი მეთოდიკის ძირითად ნაკლად უნდა მივიჩნიოთ მათი სტატიკური ხასიათი, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში, არ იძლევა შესაძლებლობას გამოვიყენოთ შემოთავაზებული მეთოდები ინვესტიციური პროცესების მართვაში.

ინვესტიციური პოტენციალის ამაღლების და ამის საფუძველზე უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საკითხის მეცნიერული დამუშავება და კვლევა, განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება, რაც უფრო მცირდება თავისუფალი ინვესტიციური რესურსების მოცულობა და ფართოვდება კაპიტალის დაბანდების შესაძლებლობები (როგორც სფეროების მიხედვით, ისე გეოგრაფიული ნიშნით), ანუ მძაფრდება კონკურენციული ბრძოლა ინვესტიციური კაპიტალის მოპოვებისათვის. საკითხი მით უფრო პრობლემურია ცალკეული ქვეყნისათვის, რაც უფრო მწირი საკუთარი შიდა ინვესტიციური რესურსების გააჩნია მას.

ინვესტიციური კაპიტალის დეფიციტის ზრდა განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა მე-20 საუკუნის ბოლოსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში და მასზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია 2008-2010 წლების მსოფლიო საფინანო-ეკონომიკურმა კრიზისმა. ამ კრიზისის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი და იმავდროულად შედეგი აღმოჩნდა პრობლემები საფონდო ბირჟაზე, რაც, თავის მხრივ, გამოწვეული იყო დერეგულირების პოლიტიკის არნახული მასშტაბებითა და ფინანსური კაპიტალის გავლენის მკვეთრი ზრდით, რეალურ კაპიტალთან შედარებით მისი მასშტაბებისა და ეკონომიკურ პროცესებზე ზეგავლენის მნიშვნელოვანი მატებით.

საზოგადოდ ცნობილია, რომ ფინანსური ბაზრები მსოფლიო ეკონომიკაში ინვესტიციური კაპიტალის აკუმულირებისა და გადანაწილების ერთ-ერთ ძირითად მექანიზმს წარმოადგენს. მსოფლიო მეურნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე შეიძლება ვისაუბროთ კაპიტალის ფორმირების აღნიშნული წყაროს პრევალირებაზე კრედიტთან და შიდა დაგროვებასთან შედარებით და მისი მნიშვნელობის განუხრელ ზრდაზე.შესაბამისად, ლოგიკური იქნება თუ ვიტყვით, რომ ქვეყანა მით უფრო იზიდავს

ივესტიციურ (ზოგადად ფინანსურ) კაპიტალს, რაც უფრო განვითარებულია აქ ფინანსური ბაზარი.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციამ, რომელიც უკანასკნელ ათწლეულებში განსაკუთრებით დაჩქარდა, ფაქტობრივად კაპიტალის ერთიანი მსოფლიო ბაზრის ფორმირებას შეუწყო ხელი. გარკვეულწილად, შეიძლება ვისაუბროთ შემხვედრ პროცესზეც: ფასიანი ქაღალდების სწრაფად განვითარებადი ბაზარი ეროვნული ეკონომიკების ერთიან მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრაციის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს.თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკისა და საკომუნიკაციო საშუალებების განვითარებამ შესაძლო გახადა სახსრების პრაქტიკულად დაუყოვნებელი გადაადგილება ერთი ეროვნული ბაზრიდან მეორეზე. ასეთ უპირატესობასთან ერთად, კაპიტალის მობილურობის შედეგს ასევე წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ეროვნული ბაზრების შედარებით მნიშვნელოვანი არამდგრადობა, სხვა ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე მათი დამოკიდებულების ზრდის გამო.

აღნიშნული განსაკუთრებით თვალში საცემი ხდება, როდესაც ვიხილავთ ისეთ ფინანსურ კრიზისებს, როგორებიც თავის დროს იყო მექსიკის (1994-1995 წ.წ.), რომელიც მთელს ლათინურ ამერიკაზე გავრცელდა, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების კრიზისი (1997-1998 წ.წ.), რომელიც მეტ-ნაკლებად აისახა როგორც განვითარებადი, ისე განვითარებული ქვეყნების საფონდო ბაზრებზე, რუსეთის (1998), ბრაზილიის (1999), არგენტინის (2001), თურქეთის (2001), ბრაზილიის (2002) და ბოლოს 2008-2009 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, რომლის შედეგები საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის დაძლეული. [80, გვ. 5]

მეორე მხრივ, საფონდო ბაზრების გლობალიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შედეგად გვევლინება ინვესტიციური რესურსებისათვის კონკურენციის მკვეთრი გამძაფრება როგორც ცალკეულ ნაციონალურ ბაზრებს, ისე ბაზრების ჯგუფებს შორისაც. დასავლეთის ეკონომისტების მიერ განხორციელებული კვლევების მიხედვით, განვითარებადი ქვეყნების გარკვეული ნაწილის დაჩქარებული განვითარების შედეგად (ზრდის ტემპებით მნიშვნელოვნად უსწრებდნენ სხვა მსგავსი ტიპის ქვეყნებს) შეიმჩნევა ინვესტიციურ რესურსებზე მოთხოვნის მკვეთრი ზრდა. ეს იმ ფონზე ვითარდება, როდესაც ინვესტირებული კაპიტალის მოცულობის ზრდა მნიშვნელოვნად ჩამორჩება მსოფლიო ეკონომიკის მზარდ მოთხოვნებს, თუნდაც ახლა, მსოფლიო კრიზისის დაძლევის შემდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ ინვესტიციური რესურსებისათვის ბრძოლა უკანასკნელ ათწლეულებში მკვეთრად გამწვავდა მსოფლიო მეურნეობის წამყვან ცენტრებს (აშშ, ევროკავშირსა და იაპონიას) შორის, განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში, სულ უფრო დეფიციტური ინვესტიციური რესურსებისათვის კონკურენციულ ბრძოლაში, აღმოჩნდნენ განვითარებადი ქვეყნები. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სახელმწიფო, რომელსაც განვითარებული ქვეყნის, ან ლიდერი სახელმწიოფს სტატუსი არა აქვს მინიჭებული (მაგალითად, ჩინეთი, ბრაზილია, სამხრეთ კორეა და სხვა), ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინვესტიციური კაპიტალის როგორც ფორმირების, ასევე მასზე მოთხოვნის ფორმირების კუთხით და ყოველივე აღნიშნული არსებით ზეგავლენას ახდენს მთლიანად მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე ძალთა განლაგებასა და გადანაწილებაზე.

განვითარებადი ქვეყნების ინვესტიციური პოტენციალის ზრდისა და მის საფუძველზე ეროვნულ ეკონომიკაში ინვესტიციების მოზიდვის მიზანი შეიძლება ფორმულირებულ იქნას შემდეგნაირად:

1. უპირველეს ყოვლისა, როგორც **სახელმწიფოში ინვესტიციური კაპიტალის დამაგრებისა აუცილებლობა.** აღნიშნულში ვგულისხმობთ, რომ ინვესტიციური პოტენციალის ამაღლებაზე ზრუნვით, ვაღწევთ არამარტო უცხოური ფინანსური რესურსების მოზიდვას, არამედ საკუთარი ინვესტიციური კაპიტალის დამაგრებას ქვეყანაში, რაც ინვესტიციური რესურსების მკვეთრი უკმარისობის პირობებში თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც მთლიანდ ქვეყნის, ისე მისი ცალკეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულისათვის;
2. მეორე მხრივ, როგორც **ეროვნული ინვესტიციური ბაზრის ზრდისათვის ხელსაყრელი რეჟიმის შექმნა**. უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობათა გამრავალფეროვნება ქვეყნის საინვესტიციო ბაზრის ფორმირებისა და განვითარების აუცილებელი პირობაა. იგი მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფს ეროვნული ეკონომიკის არა მხოლოდ ფორმალურ, არამედ რეალურ ჩართვას მსოფლიო სამეურნეო სისტემაში. როგორც მრავალი განვითარებული სახელმწიფოს გამოცდილება ადასტურებს, უცხოური ინვესტიციური რესურსების მოზიდვა ეკონომიკაში კრიზისული მდგომარეობის პრევენციისა და საჭიროების შემთხვევაში, მისი

დაძლევის, ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის, წარმოების ეფექტიანობისა და ხარისხიანობის ამაღლების, საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა გააქტიურების ერთ-ერთი ძირითადი გზაა. [21, თავი XXII]

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესებისა და მოვლენებისაგან ნებისმიერი სახელმწიფოს იზოლირება მისი ეკონომიკის განვითარების სერიოზულ შემაფერხებელ ფაქტორად იქცევა. ამიტომ, საქართველოს ეკონომიკის ინტენსიფიკაციისათვის, აუცილებელია არამარტო საგარეო ეკონომიკური კავშირების მექანიზმის აქტიური გამოყენება, არამედ მისი ინტერნაციონალიზაციის დონის კარდინალური ამაღლება მსოფლიო სამეურნეო სისტემაში თანდათანობით ჩართვის გზით. საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, უპირველეს ყოვლისა, ორიენტირებული უნდა იყოს მთლიანად ქვეყანასა და მის ცალკეულ რეგიონში ინვესტიციური პოტენციალის ფორმირებაზე, მის ამაღლებაზე, ეკონომიკის რეფორმირებისა და მისი ეფექტიანობის ზრდის უზრუნველყოფის პროცესში ჩართვასა და მსოფლიო საინვესტიციო ბაზარში ქვეყნის შემდგომ ინტეგრირებაზე.

ამრიგად, აშკარა ხდება, რომ ქვეყნის ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების გამოყენების აქტუალობა და ეკონომიკის კარგახსნილობის, ეროვნული წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლების, საერთაშორისო მასშტაბით ნდობის მოპოვების, საერთაშორისო ფინანსური ურთიერთობებში მონაწილეობის მზარდი ინტერესი საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის პირობების შექმნის აუცილებლობას განაპირობებს. როგორც ყოფილი ე.წ. „სოციალისტური ბანაკის“ ქვეყნების გამოცდილებამ გვიჩვენა, საერთაშორისო მასშტაბით სტრატეგიული ინვესტორების მოძიება, რომლებმაც მზადყოფნა გამოხატეს ქვეყანაში საწარმოთა რეკონსტრუქციისათვის საჭირო რესუსების მობილიზაციისათვის და უნარიც შესწევდათ აღნიშნული რეალურად განეხორციელებინათ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს აღნიშნული სახელმწიფოების ეკონომიკის სტრუქტურული რეფორმირების პროცესის დაწყებასა და მის შემდგომ განვითარებაში.

ინვესტიციური პოტენციალის შინაარსიდან გამომდინარე, უცხოური კაპიტალის მოზიდვისა და გამოყენების მნიშვნელოვანი პირობაა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებრივი მდგომარეობა, გადაწყვეტილებათა მიღების შესაძლებლობა, მათი როლის გააქტიურება მიწების, უძრავი ქონების განკარგვასთან, გადასახადების

ამოღებასა და ადგილობრივ ბიუჯეტში მიმართვასთან, ერთობლივი საწარმოების შექმნასა და უცხოური ინვესტირების სხვა ფორმების განვითარებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, აქტუალური ხდება ხელისუფლების სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებს შორის ურთიერთობათა რადიკალური რეფორმების აუცილებლობა, ამ უკანასკნელთა უფლებებისა და პასუხისმგებლობების შემდგომი გაფართეობის და სრულყოფის კუთხით.[2]

განვითარებად და ბევრ განვითარებულ ქვეყანაში კაპიტალის დეფიციტის განმაპირობებელ ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს ბოლო პერიოდში ფართოდ პროპაგანდირებული ე.წ. „მოხმარების იდეოლოგია“, რომელიც მთლიანად ეკონომიკაში დაგროვების ჩამოყალიბებული ნორმების შემცირებას იწვევს. განვითარებადი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, მთავრობებს (როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონულ და მუნიციპალურ დონეებზე), ინვესტიციური პოტენციალის ფორმირებისა და გაფართოების სტრატეგიის შემუშავების დროს, მეტ-ნაკლებად, უწევთ შემდეგი ფუნდამენტური ამოცანების გადაჭრა:

- განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, ეკონომიკური ზრდის წინმსწრები ტემპების უზრუნველყოფა;
- ეკონომიკის სტრუქტურის მოდერნიზაცია - გადამამუშავებელი და მაღალტექნოლოგიური დარგების, ფინანსური სისტემის, მომსახურების სფეროს და ა.შ. განვითარება;
- მწვავე სოციალური პრობლემების გადაჭრა, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება (მათ შორის მოხმარების მზარდი დონის უზრუნველყოფისათვის);
- ეროვნულ ეკონომიკაში დაბანდებების მიმზიდველობის უზრუნველყოფა, განვითარების დონით და გეოგრაფიული მდებარეობით მიახლოებულ სხვა სამ-ოთხ ათეულ ქვეყანასთან შედარებით. ამ მიზნის მიღწევა გულისხმობს: ინვესტორების თვალში ქვეყნის იმიჯის ამაღლებაზე ორიენტირებული საინფორმაციო პოლიტიკის გატარებას; მოგების მაღალი ნორმის შენარჩუნებაზე და/ან ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტირების რისკების შემცირებაზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური სტრატეგიის რეალიზაციას და ა.შ. მაგალითად, სწორედ ამ მიზნით ხორციელდება

[2] აღნიშნულ საკითხებზე უფრო ვრცლად იხილეთ დისერტაციის მესამე თავი.

საქართველოში საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია, საბაჟო პროცედურების და კომპანიათა რეგისტრაციის თუ ზოგადად ბიზნესის წარმოების პირობების გამარტივება და ა.შ.

ინვესტიციებისათვის ბრძოლაში კონკურენტული უპირატესობების მიღწევაზე, დღეისათვის, არაერთი ფაქტორი მოქმედებს, რომლებიც შეიძლება დავყოთ შემდეგ სახეობებად:

1. **პოლიტიკური.** მათ შეიძლება მივაკუთვნოთ სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის სტაბილურობა; დემოკრატიული არჩევნები; განვითარებულ ქვეყნებში მოქმედ კანონებთან შესაბამისობაში მყოფი საკანონმდებლო ბაზის არსებობა, რომელიც ინვესტორების ეფექტურ დაცვას უზრუნველყოფს; პროფესიონალებით დაკომპლექტებული ხელისუფლების არსებობა, რომელიც დროში სტაბილურ ან ადვილად პროგნოზირებად ეკონომიკურ პოლიტიკას ატარებს, რომელიც ორიენტირებულია ეროვნულ ეკონომიკაში პირდაპირი და პორთფელური ინვესტიციების გრძელვადიანი მოზიდვის პირობების შექმნისათვის;
2. **საკანონმდებლო-მარეგულირებელი.** სახელმწიფო ორგანოების არსებობა, რომლებიც ახორციელებენ ფასიანი ქაღალდების ბაზრის ეფექტიან და თანმიმდევრულ რეგულირებას, უზრუნველყოფენ სამამულო და უცხოელი ინვესტორებისათვის ბაზრების ინფორმაციულ ღიაობას და მათ მიერ გატარებული პოლიტიკის საჯაროობას და ა.შ. ცალკეულ სახელმწიფოთა მთავრობები რეგულარულად ატარებენ ფინანსური ბაზრების სხვადასხვა ასპექტების ლიბერალიზაციასა და დერეგულირებაზე მიმართულ ღონისძიებებს.
3. **საერთაშორისო**. თანამედროვე ეტაპზე, ფინანსური ბაზრებისათვის დამახასიათებელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ტენდენციას წარმოადგენს გლობალიზაცია, ანუ მსოფლიოს საფონდო ბაზრების ინტეგრაცია ერთიან საერთაშორისო ბაზარში. თანამედროვე კვლევები ცხადყოფენ, რომ ფინანსური ბაზრების გლობალიზაციის ხელშემწყობ ძირითად ფაქტორებს წარმოადგენს შემდეგი: [29, გვ. 24]
   - ბაზრების ლიბერალიზაცია და მსოფლიოს საკვანძო ფინანსურ ცენტრებში ბაზრის მონაწილეთა აქტიურობის ზრდა;

- ტექნოლოგიური პროგრესი ფინანსური ინფორმაციის შექმნის და გავრცელების, შეკვეთების შესრულების და ფინანსური შესაძლებლობების ანალიზის სფეროში;
- ფინანსური ბაზრების ინსტიტუციონალიზაცია;

4. **მაკროეკონომიკური.** ისინი ახასიათებენ:
   - ეკონომიკის საერთო მდგომარეობას, მისი ზრდის ტემპებს და უახლოეს პერიოდში მისი ცვლილების პროგნოზირებას;
   - ეკონომიკური ციკლის ფაზას, რომელშიც იმყოფება ქვეყნის ეკონომიკა.

   მათ მიეკუთვნება: ინფლაციის დონე, უმუშევრობა, საშუალო შემოსავლები მოსახლეობის ერთ სულზე, ეროვნული ვალუტის სტაბილურობა, სახელმწიფო ბიუჯეტისა და საგადამხდელო ბალანსის მდგომარეობა, რეფინანსირების განაკვეთი, სხვადასხვა შემოსავლების დაბეგვრის დონე, ეკონომიკის განვითარების სტრუქტურული პროპორციები (მაგ: მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურა). არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ მაჩვენებლების ცვლილების დინამიკაც. მაკროეკონომიკურ ფაქტორებს შეიძლება მივაკუთვნოთ ასევე: საფონდო ბირჟის განვითარების ზოგადი მახასიათებლები (ფასიანი ქაღალდების ბაზრის ან მისი ცალკეული სეგმენტის კაპიტალიზაციის შეფარდება მშპ-სთან, უცხოური პირაპირი და პორთფელური ინვესტიციების წილი ინვესტიციების საერთო მოცულობაში და მათი ურთიერთთანაფარდობა, ფინანსური სექტორის - კომერციული ბანკების, საბროკერო კომპანიების, საინვესტიციო ბანკების და ა.შ. - განვითარების დონე და ტემპები და სხვ.)

5. **მიკროეკონომიკური.** მათ მიეკუთვნება მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ უმსხვილესი კომპანიების ფინანსურ მდგომარეობას, მენეჯმენტის განვითარების დონეს, საწარმოო და მარკეტინგულ პოლიტიკას, განვითარების პერსპექტივებს, ეროვნულ ბაზარზე მიმოქცევაში მყოფ ფასიან ქაღალდებს. ცხადია, აღნიშნული ფაქტორები არსებითი ხასიათისაა მხოლოდ კორპორაციული ფასიანი ქაღალდების სეგმენტისათვის. ამ ჯგუფის ფაქტორების მახასიათებელ მაჩვენებლებს ასევე მიეკუთვნება კაპიტალისა და აქტივების შემოსავლიანობა, აქციის ფასის თანაფარდობა ერთ აქციაზე შემოსავალთან, „ხარისხობრივი“ მაჩვენებლები - ინტერნეტ გვერდის არსებობა, კომპანიის წლიური ანგარიშის გაფორმება და ა.შ.

6. **ინფრასტრუქტურული.** ისინი ზემოქმედებას ახდენენ ფასიანი ქაღალდების ეროვნული ბაზრის მიმზიდველობაზე და წარმოადგენენ მონაცემებს მისი ინფრასტრუქტურის განვითარების დონეს, მიმართულებებსა და მოცემულ ბაზარზე ძირითად მონაწილეთა შორის ურთიერთობის სისტემის შესახებ.

აღნიშნული ფაქტორები ურთიერთკავშირშია და პროცესებზე ზემოქმედებენ, როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთობლივად.

ინვესტორების თვალთახედვით, ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკის კონკურენციული უპირატესობების, მისი ინვესტიციური მიმზიდველობის ამაღლების შემაფერხებელ ფაქტორს, წარმოადგენენ **ინვესტიციური რისკები**. არსებული ინვესტიციური რისკებისა და მათი მართვის ხერხების ანალიზი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს მაღალკვალიფიციური ინვესტორების მიერ ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სწორედ ამიტომ, არანაკლებ მნიშვნელოვანია, ინვესტიციური პოტენციალის ზემოთ ჩამოთვლილ რვა ელემენტთან ერთად იმ რისკების გათვალისწინებაც, რომლებთანაც არის დაკავშირებული ინვესტიციური საქმიანობა. მითუმეტეს, რომ სწორედ რისკები წარმოადგენენ ყველაზე ხშირად განხილვად საკითხს და უმნიშვნელოვანეს პრობლემას, რომლის მიხედვითაც შეიძლება შეაფასოს ინვესტორმა ცალკეული ქვეყნისა თუ მისი რეგიონის ინვესტიციური მიმზიდველობა.

ცნობილია, რომ ინვესტიციური რისკი წარმოადგენს კაპიტალდაბანდებებისაგან მისაღები შემოსავლის ვერმიღების ალბათობას, რაც შეიძლება განპირობებული იყოს ეკონომიკური, ფინანასური, პოლიტიკური, სოციალური, ბუნებრივი თუ სხვა ფაქტორების ზემოქმედებით. საქართველოში ინვესტიციური რისკის გაანგარიშება ფრიად გართულებულია სათანადო ინფორმაციის სიმწირისა და მცირე ხელმისაწვდომობის გამო. ცხადია, სრული, ობიექტური და მიუკერძოებელი ინფორმაციის არსებობა, რომელიც თავისუფლად იქნება ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის, დადებითად იმოქმედებს კაპიტალის დაბანდების გადაწყვეტილების მიღებაზე პოტენციური ინვესტორების (როგორც შიდა, ისე გარე) მხრიდან. ამ უკანასკნელთა მიერ საერთო-სახელმწიფო თუ რეგიონული ინვესტიციური რისკების შესახებ ინფორმაციის მიღება და მოსალოდნელი შედეგების გაანგარიშება სულ უფრო აუცილებელი ხდება. საკითხის მნიშვნელობას კიდევ უფრო ამძაფრებს უცხოელი ინვესტორების მოზიდვის, ქვეყანაში კაპიტალის დაბანდების სტიმულირების

აუცილებლობა და ინვესტიციური მიმზიდველობის ამაღლება თუ საინვესტიციო აქტივობის ზრდა ქვეყანაში.

ნებისმიერ სახელმწიფოში, მათ შორის საქართველოშიც, რისკი არა თანაბრად ნაწილდება ტერიტორიული ერთეულების მიხედვით. თითოეული რეგიონის თავისებურება აყალიბებს მის ინდივიდუალურ რისკს, სწორედ ამიტომ ვთვლით მართებულად რეგიონულ ინვესტიციურ რისკზე და, შესაბამისად, რეგიონის ინვესტიციურ მიმზიდველობაზე მსჯელობას.

სახელმწიფოს ანალოგიურად, რეგიონული რისკი, ინვესტიციური პროექტების შეფასებისას დისკონტირების განაკვეთის კორექტირების გზით გაითვალისწინება. სახელმწიფო რისკის გათვალისწინება ხდება უცხოელი ინვესტორების მიერ, ხოლო შიდა ინვესტორისათვის მისი გაანგარიშება აუცილებელი არ არის. რაც შეეხება რეგიონულ რისკს, მას უნდა ითვალისწინებდეს როგორც უცხოელი (სახელმწიფო რისკთან ერთად), ისე ადგილობრივი ინვესტორი. ვეთანხმებით მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „შიდა ინვესტორი, რომელიც დაბანდებებს საკუთარ რეგიონში ახორციელებს, კორექტირებას არ მოახდენს, ვინაიდან მას არ გააჩნია სხვა რეგიონებში ინვესტირების ალტერნატიული შესაძლებლობები. გარე ინვესტორი კი მოახდენს პროექტის კორექტირებას მოცემული რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით.“ [11, გვ. 257]

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურა რისკის გამოანგარიშების პრობლემის გადაწყვეტისადმი მრავალ მიდგომას იცნობს. აღნიშნული პრობლემატიკით ბევრი ქართველი მეცნიერ-ეკონომისტიც დაინტერესდა. აღსანიშნავია, რომ ინვესტიციური რისკი მთლიანად ქვეყნისა და იმერეთის მხარისათვის გაანგარიშებულ იქნა პროფ. ნ. ჩიხლაძისა და პროფ. გ. ღავთაძის მიერ, ჯერ კიდევ 2009 წელს, რაც პირველ პრეცენდენტადშეიძლება მივიჩნიოთ. მიღებული შედეგები საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება, რაც შემუშავებული მეთოდიკის სისწორეს ადასტურებს.

ინვესტიციური რისკი საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების პროცესში ფინანსური დანაკარგების წარმოშობის შესაძლებლობას ახასიათებს. თავის მხრივ, ამ სახის რისკები იყოფა შემდეგ სახეობებად: რეალური ინვესტირებისა და ფინანსური ინვესტირების რისკებად. სამეურნეო-საფინანსო რისკების ყველა სახე, რომლებიც მეტ-ნაკლებად დაკავშირებულია საინვესტიციო საქმიანობის განხორციელებასთან, მიეკუთვნება „რთულ რისკებს“, რომლებიც დამატებით ქვესახეებად იყოფა. რეალური ინვესტირების რისკის შემადგენლობაში შეიძლება გამოყოფილ იქნეს შემდეგი რისკები:

- საინვესტიციო პროექტის არადროული ან ხარვეზებით მომზადების, საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების არადროული დასრულების, წარმოებულ სამუშაოებში წუნის აღმოჩენის და ა.შ. რისკი;
- საინვესტიციო პროექტის დაფინანსების არადროული გახსნის ან არასრულად მიღების საფრთხე;
- პროექტის საინვესტიციო მიმზიდველობის დაკარგვის რისკი, საბაზრო ინფრასტრუქტურის ცვლილების, განხორციელების არეალში საერთო ეკონომიკური ვითარების გაუარესების გამო მისი ეფექტიანობის შესაძლო დაცემის და სხვ.

რამდენადაც ინვესტიციური რისკების ქვესახეები დაკავშირებულია სამეურნეო სუბიექტის, სახელმწიფოს თუ კერძო ინვესტორის კაპიტალის შესაძლო დანაკარგებთან, დაგეგმილი შემოსავლების ვერმიღებასთან და ა.შ., ისინი ჩართული არიან შედარებით საშიში ფინანსური რისკების ჯგუფში. მეტი სიცხადისათვის წარმოვადგენთ ინვესტიციური რისკის ამსახველ სქემას (იხ. ნახ. 1.1.):

ნახაზი1.1.

ინვესტიციური რისკის სტრუქტურა



წყარო: [11, გვ. 26]

ინვესტიციურ რისკებს, სხვა ფინანსური და ეკონომიკური რისკების მსგავსად, სათანადო მახასიათებლები გააჩნია. კერძოდ:

- **გამოვლენის ობიექტურობა.** ინვესტიციური რისკები სამეურნეო სუბიექტის საქმიანობაში ობიექტური მოვლენაადა მისი ფუნქციონირების პრაქტიკულად ყველა სახესა და მიმართულებას მოიცავს. მიუხედავად იმისა, რომ ინვესტიციური რისკის მთელი რიგი პარამეტრები დამოკიდებულია სუბიექტურ მმართველობით გადაწყვეტილებებზე, მისი გამოვლენის ობიექტური ბუნება უცვლელი რჩება.
- **ალბათური ხასიათი.** ინვესტიციური რისკის ალბათობა გულისხმობს არასასურველი მოვლენის დადგომის შესაძლებლობას კომპანიის სამეურნეო-ფინანსური საქმიანობის განხორციელების პროცესში. მართალია, რისკის ალბათობაზე ბევრი ობექტური თუ სუბიექტური ფაქტორი მოქმედებს, მაგრამ თვით რისკის ალბათური ბუნება, მისთვის დამახასიათებელ მუდმივ მოვლენად რჩება.
- **მოსალოდნელი შედეგების განუსაზღვრელობა და არასასურველობა.** საინვესტიციო საქმიანობის შედეგიანობის მოსალოდნელი დონე შეიძლება იცვლებოდეს რისკის დონის საკმაოდ დიდ დიაპაზონში, რაც მისი შედეგების პროგნოზირებას ართულებს, ხოლო რიგ შემთხვევაში ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის ამ პროცესს.

  მიუხედავად იმისა, რომ ინვესტიციურ საქმიანობას შეიძლება ჰქონდეს როგორც უარყოფითი, ისე დადებითი შედეგები, სამეურნეო პრაქტიკაში ინვესტიციური რისკი, ძირითადად მაინც, ასოცირდება მოსალოდნელ არასასურველ შედეგებთან (სასურველი შედეგების ვერმიღებასთან). აღნიშნული გამომდინარეობს იქედან, რომ ნეგატიური შედეგები განაპირობებენ სამეურნეო სუბიექტის არა მარტო შემოსავლის, არამედ კაპიტალის დანაკარგებს და შეიძლება მის გაკოტრებასაც (ე.ი. მისი საქმიანობის უარყოფითი შედეგების შეუქცევადობას) კი იწვევდეს.
- **რისკის დონის ცვალებადობა (ვარირება).** სამეურნეო სუბიექტის ინვესტიციური საქმიანობის კონკრეტული სახისათვის დამახასიათებელი რისკის დონე უცვლელი არ არის. პირველ რიგში, ისდროში ცვალებადია, ე.ი. დამოკიდებულია ინვესტიციური ოპერაციის განხორციელების ვადებზე და

ხანგრძლივობაზე. აღნიშნული ზემოქმედებს ინვესტირებული სახსრების ლიკვიდობაზე, ფინანსურ ბაზრებზე ფასიანი ქაღალდების ფასზე დასხვ.). ამასთან, ინვესტიციური რისკის დონის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად იცვლება მრავალრიცხოვანი, მუდმივ დინამიკაში მყოფი, ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ზემოქმედებით, რომელთა ოდენობა და ზეგავლენის ინტენსივობა მით უფრო მაღალია, რაც მეტია ინვესტიციების გამოსყიდვის ვადა, ანუ, დროის ლაგი.

- **შეფასების სუბიექტურობა.** ინვესტიციური რისკის დონის გაანგარიშება, ფაქტობრივად, ატარებს სუბიექტურ ხასიათს, რაც დაკავშირებულია ინფორმაციული ბაზის სანდოობასა და სრულყოფილებასთან, მის ხელმისაწვდომობასთან, ფინანსური მენეჯერების კვალიფიკაციასთან, რისკ-მენეჯმენტის სფეროში მათ გამოცდილებასთან, ინვესტორის პირად თვისებებთან და სხვ.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ფინანსური ინსტრუმენტების განუხრელად მზარდი რაოდენობა და მრავალფეროვნება და იმ ფაქტორების სიუხვე, რომლებიც მათი ფასის ცვლილებაზე ზემოქმედებენ, განაპირობებენ იმას, რომ ინდივიდუალურ ინვესტორებს ფაქტობრივად აღარ შეუძლიათ და/ან აღარ სურთ შეაფასონ კონკრეტულ ფინანსურ ინსტრუმენტებში ინვესტირებასთან დაკავშირებული რისკების ერთობლიობა. ინვესტიციური გადაწყვეტილების მიღების უფლებებისა და პასუხისმგებლობის დელეგირების პროცესი იწვევს სულ უფრო სპეციალიზირებული ფინანსური შუამავლების სისტემის ფორმირებას, რომლებიც გარკვეულ გასამრჯელოს იღებენ შემდეგი ფუნქციების შესრულებისათვის:

- ინვესტიციური რისკების ერთობლიობის ანდა მისი ცალკეული კლასის ანალიზი;
- ინვესტიციური გადაწყვეტილებების მიღება;
- მსგავსი გადაწყვეტილებების მიღებისათვის საჭირო ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება;
- ინვესტიციათა პორთფელის ფორმირება და მართვა;
- ამა თუ იმ სახის რისკისაგან ინვესტორის დაზღვევა და ა.შ.

ფინანსური ბაზრის არსებობის განმავლობაში შექმნილი და მუდმივად ფუნქციონირებადი მსგავსი შუამავლების სისტემა შეიძლება განვსაზღვროთ როგორც

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურა (ფინანსური ინფრასტრუქტურა). იგი მიეკუთვნება მომსახურების სფეროს, რომლის საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს ინვესტიციური რისკების მინიმიზაცია, ანუ ბაზრისა და მისი მონაწილეების (უპირველეს ყოვლისა - ინვესტორების) მდგრადი და დინამიური განვითარების უზრუნველყოფა.

ფინანსური ინფრასტრუქტურა იცვლება და განიცდის სრულყოფას იმის მიხედვით, თუ როგორ იცვლება ზოგადად საბაზრო კონიუნქტურა, გარემო პირობები და შესაბამისად, ბაზრის მონაწილეთა ქცევა. ცხადია, მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა და ინვესტიციურ კაპიტალზე კონკურენციის გამძაფრებამ თავისი ზეგავლენა იქონია ფინანსურ ინფრასტრუქტურაზეც. აღნიშნულს არაერთი შრომა მიეძღვნა, სადაც განისაზღვრა ის ფაქტორები, რომლებიც თანამედროვე ფინანსური ბაზრების ფუნქციონირებაზე ახდენენ ზეგავლენას. მათ შორის შეიძლება გამოიყოს: ფინანსური ბაზრების დერეგულირების მასშტაბების ზრდა, ფინანსური კაპიტალის პრევალირება რეალურ კაპიტალთან მიმართებით, ახლად წარმოქმნილ ბაზრებით ინვესტორთა დაინტერესების ზრდა, თავისუფალი ფინანსური რესურსების სიმწირე და მათი ხელმისაწვდომობის შეზღუდვა და ა.შ.

ფინანსური ინვესტიციების მოცულობის, ამ სფეროში ფუნქციონირებით დაინტერესებული ინვესტორების ოდენობის, ინვესტირებული კაპიტალის მცულობის მანამდე არნახული ზრდისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების მაღალი ტემპების მიუხედავად, მსოფლიოს მნიშვნელოვანი ნაწილისათვის ის ჯერ კიდევ სამომავლო პერსპექტივად რჩება. შესაბამისად, მიმდინარე ეტაპზე, საკუთარი ინვესტიციური კაპიტალის სიმწირის, ხოლო საერთაშორისო დონეზე ინვესტიციური კაპიტალის მოზიდვისათვის კონკურენციის გამძაფრების პირობებში, სახელმწიფოთა უმრავლესობა დადგა თავისუფალი ფინანსური რესურსების მკვეთრი დეფიციტის პრობლემის წინაშე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენ მიზნად დავისახეთ საკითხი სხვა კუთხით გაგვეხილა. კერძოდ, შეგვესწავლა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის, საქართველოს კონკრეტული რეგიონის (იმერეთის მხარის) ეკონომიკაში დაბანდების შესაძლებლობები და პირობები (ანუ, ინვესტიციური პოტენციალი) იმ ვითარებაში, რომ ინვესტირების ობიექტი ვერ იქნება ფინანსური ბაზარი.

ამდენად, საინტერესოა საკითხი: რა შეიძლება წარმოადგენდეს საქართველოსათვის, მისი რეგიონებისათვის, სადაც ჯერ არ დამთავრებულა ფინანსური ინფრასტრუქტურის ფორმირების პროცესი, ფინანსური ინვესტიციების საპირწონე ალტერნატივას უცხოური კაპიტალის მოზიდვისათვის? სწორედ აღნიშნული საკვანძო საკითხის გარკვევა დაედო საფუძვლად წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომს.

ზემოთ განხილული საკითხები საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ ინვესტიციური მიმზიდველობის, ინვესტიციური კლიმატისა და ინვესტიციურ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკების მჭიდრო ურთიერთკავშირზე, როგორც სახელმწიფოს, ისე ცალკე აღებული რეგიონის (ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის) ინვესტიციური პოტენციალის მდგენელებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებული ცნებებია თავიანთი კვლევის მეთოდებითა და პრობლემატიკით, რაც განაპირობებს მათი, როგორც შესწავლის ობიექტის განცალკევებულობას, მათ მრავალი შინაარსობრივად საერთო გადაკვეთის წერტილი გააჩნიათ. საბოლოო ჯამში, აღნიშნული კატეგორიები ვერ იარსებებენ განცლკევებულად, რადგან ისინი ურთიერთგანაპირობებენ და ავსებენ ერთმანეთს. [89, გვ. 184; 30. გვ. 42]

ზემოთ მოყვანილი მსჯელობის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ **ინვესტიციური პოტენციალი** წარმოგვიდგება, როგორც კომპლექსური კრიტერიუმი, რომელიც, ერთი მხრივ, განსაზღვრავს რეგიონის ინვესტიციურ მიმზიდველობას პოტენციური ინვესტორისათვის და მეორე მხრივ, მიზანს რეგიონული განვითარების ორიენტირებისა და სტრატეგიის ფორმირებისათვის, იმ პირობით, რომ მოზიდული ინვესტიციები, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მის ამაღლებასა და გაუმჯობესებაზე იქნება ორიენტირებული. ცხადია, აღნიშნულში სულაც არ ვგულისხმობთ, რომ ეს უნდა განხორციელდეს იძულებით. მხედველობაში გვაქვს, მხოლოდ, მათი მოტივაციის ამაღლება და დაინტერესება. ნებისმიერი ინვესტორი დამოუკიდებელი უნდა იყოს არჩევანში.

I.2. სახელმწიფოს როლი ინვესტიციური პოტენციალის გაუმჯობესებაში

ნებისმიერი ქვეყნის განვითარების განმაპირობებელ ფაქტორსა და ხელშემწყობ მძლავრ სტიმულს მისი ცალკეული ტერიტორიული ერთეული (რეგიონული

წარმონქმნები, ადმინისტრაციული-ტერიტორიულ ერთეულები, მუნიციპალიტეტები და ა.შ.) წარმოადგენს. რაც უფრო თანაბარია მათი განვითარების დონე, მით უფრო სტაბილური და დინამიურია მთლიანად სახელმწიფოს წინსვლა და უფრო იოლია ახალი ინიციატივებისა თუ რეფორმების გადატანა და გავრცელება ტერიტორიულ-სივრცულ დონეზე.

თანამედროვე ეტაპზე, მსოფლიოს მრავალი ქვეყნისათვის დამახასიათებელია რეგიონალიზაციის შემდგომი გაღრმავების ტენდენცია მათ შორის, ეკონომიკის სფეროში. რეგიონული ეკონომიკური, საინვესტიციო, საბიუჯეტო, სატრანსფერო და ა.შ., პოლიტიკების ფორმირებასა და პრაქტიკულ რეალიზაციაში წამყვანი როლი ცენტრალურ ხელისუფლებას ეკუთვნის. მისი უპირველესი ამოცანაა კანონშემოქმედებითი საქმიანობა, რაც აღნიშნული პოლიტიკების სამართლებრივი და ნორმატიული საფუძვლების შემუშავებაში გამოიხატება.

ზემოაღნიშნულთან ერთად, არანაკლები მნიშვნელობის მატარებელია ტერიტორიული დეცენტრალიზაციის ხარისხის დადგენა საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში და იმ ფორმების, მეთოდებისა თუ მექანიზმების შემუშავება, რომლითაც მიიღწევა სახელმწიფოს ერთიანი ეროვნული ინტერესების შესაბამისად რეგიონების განვითარების რესურსული პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ჩართული უნდა იყოს ტერიტორიული ერთეულების სტრატეგიულ განვითარებაში.

ცენტრალური ხელისუფლება ორიენტირებული უნდა იყოს რეგიონების არა დირექტიულ, ხისტ მართვაზე, არამედ უნდა ახორციელებდეს მარეგულირებელ ზემოქმედებას: განსაზღვრავდეს მათი დამოუკიდებელი საქმიანობის ზოგად პრინციპებსა და პირობებს, საერთო-ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე გამოკვეთდეს ტერიტორიების განვითარების პრიორიტეტებს, აყალიბებდეს სტრატეგიულ მონახაზს და ა.შ. ასეთი რეგულირების მთავარ მექანიზმს წარმოადგენს ცენტრალური ხელისუფლების დამოკიდებულება საკუთრებასთან, ბუნებრივ რესურსებთან და ფინანსებთან. „რაც უფრო დეცენტრალიზებულია ქვეყნის მმართველობითი სტრუქტურა, მით უფრო მეტია რეგიონული მმართველობისა და თვითმმართველობის დამოუკიდებლობის ხარისხი ქონების განკარგვასთან, ბუნებრივი რესურსების და ფინანსური რესურსების ეფექტიანად გამოყენებასთნ.“ [15, გვ. 28]

რეგიონული პროცესების მართვა მრავალწახნაგოვანი და რთული ფენომენია, რაც განპირობებულია თანამედროვე ეტაპზე რეგიონის, როგორც ცნების, არსითა და ფუნქციური მრავალფეროვნებით. ერთი მხრივ, იგი მოიცავს ურთიერთობათა თავისებურებებს ცენტრალურ ხელისუფლებასთან, ხოლო მეორე მხრივ - რეგიონში შემავალ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებთან მიმართებით. სახელმწიფოებრივი მართვის რეგიონული ასპექტი მრავალ საკითხს მოიცავს, რომლებიც შეიძლება განსხვავდებოდეს ცალკეული რეგიონისათვის დამახასიათებელი პრობლემატიკით, მათ წინაშე მდგომი ამოცანებით, განვითარების პირობებით, თანმდევი რისკებით და ა.შ. თუმცა, ბევრია საერთო შინაარსის მქონე საკითხიც, რომელთა გადაჭრას ნებისმიერი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნი ცდილობს მეტ-ნაკლები წარმატებით. ერთ-ერთი ასეთია - ინვესტიციური პროცესების ხელშეწყობა, რეგიონის ინვესტიციური მიმზიდველობის ამაღლებისათვის, ინვესტიციური კლიმატისა და ინვესტირების პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნვა, რაც მთლიანობაში თავს იყრის საინვესტიციო პოლიტიკაში.

ინვესტიციური პოლიტიკა, ისევე როგორც ფინანსური პოლიტიკა, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. იგი არის, როგორც ქვეყნის ეკონომიკაზე, ისე მეურნე სუბიექტების სამეწარმეო საქმიანობაზე ზემოქმედების მძლავრი ბერკეტი. სახელმწიფოს ინვესტიციური პოლიტიკა წარმოადგენს მიზანმიმართულ ღონისძიებათა ერთობლიობას ყველა მეურნე სუბიექტისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნისათვის, ინვესტიციური საქმიანობის გამოცოცხლების, ეკონომიკური აღმავლობის, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და სოციალური პრობლემების წარმატებით გადაჭრისათვის.

ინვესტიციური პოლიტიკის ძირითად მიზანს ინვესტიციური პოტენციალის გააქტიურებისათვის ოპტიმალური პირობების შექმნა წარმოადგენს, რომლის ძირითად მიმართულებებად გგვევლინება სამამულო თუ უცხოური ინვესტორების საქმიანობისათვის ხელსაყრელი რეჟიმის შექმნასთან დაკავშირებული ღონისძიებები. აღნიშნული, თავის მხრივ, შემოსავლიანობის გადიდებისა და რისკების მინიმიზაციისათვის სტაბილური ეკონომიკური და სოციალური განვითარების და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების მიზნებიდან გამომდინარეობს.

ადგილობრივი ინვესტიციური პოტენციალის გაუმჯობესების ერთ-ერთ პირობად შეიძლება ჩაითვალოს ინვესტიციური ფონდების (გრანტების) პრაქტიკა, რომელიც

აქტიურად გამოიყენება განვითარებულ ქვეყნებში. რეგიონული მხარდაჭერის მიზნით, განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში პოპულარულია მიზნობრივი გრანტები, რომელიც გამოიყენება თანადაფინანსების უზრუნველყოფისათვის ადგილობრივი ხარჯების ზოგიერთი კატეგორიისათვის. თანადაფინანსების პრინციპის მიზანია, ცენტრალურმა ხელისუფლებამ გააკონტროლოს რეგიონებზე გამოყოფილი მიზნობრივი გრანტების ეფექტიანი მიზანმიმართული გამოყენება.

ზემოაღნიშნულის გარდა, ცენტრალურმა ხელისუფლებამ, რეგიონების განვითარების ფინანსურ მხარდაჭერაზე შეიძლება იმოქმედოს არაპირდაპირი გზითაც. კერძოდ, იგი რეგიონებისათვის შეიძლება მოგვევლინოს შუამავლისა და მხარდამჭერის როლში საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისა და ფონდების წინაშე, დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვის მიზნით. მაგალითად, პოსტსოციალისტურ (მ.შ. ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები) ქვეყნებზე დასავლეთის განვითარებული დონორი ქვეყნებიდან, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და ფონდებიდან გაიცემა საკმაოდ დიდი მცულობის გრანტები, რომელთა უმეტესი ნაწილი მიემართება რეგიონში ინვესტიციური ტრანსფერების სახით. აღნიშნული ფინანსური რესურსების გამოყენება ძირითადად ხდება რეგიონების საბიუჯეტო-საბაზო მომსახურების გამოთანაბრებისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სტიმულირებისათვის ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით.

სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელების შედეგები ეკონომიკის განვითარებაში ჩართული ინვესტიციური რესურსების მოცულობების მიხედვით ფასდება. სახელმწიფოს შეუძლია იმოქმედოს ინვესტიციურ აქტივობაზე საამორტიზაციო პოლიტიკის, სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის დახმარებით, უცხოური ინვესტიციების მიმართ დამოკიდებულებით და ა.შ.

სახელმწიფოს საამორტიზაციო პოლიტიკა აწესებს საამორტიზაციო ანარიცხების დარიცხვისა და გამოყენების წესს. საამორტიზაციო პოლიტიკის გატარებით სახელმწიფო არეგულირებს აღწარმოების ტემპებსა და ხასიათს და უპირველეს ყოვლისა, ძირითადი ფონდების განახლების სისწრაფეს. სახელმწიფოს მიერ სწორი საამორტიზაციო პოლიტიკის გატარება კორპორაციებს საშუალებას აძლევს იქონიონ საკმარისი საინვესტიციო სახსრები ძირითადი ფონდების მარტივი და გარკვეულწილად გაფართოებული კვლავწარმოებისათვის.

სახელმწიფოს მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკა წარმოადგენს მიზანმიმართულ ღონისძიებათა სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს მეცნიერებისა და ტექნიკის კომპლექსურ განვითარებას, მათი შედეგების ქვეყნის ეკონომიკაში დანერგვას. იგი წარმოადგენს ინოვაციური პოლიტიკის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს და ითვალისწინებს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების შერჩევას და სახელმწიფოს მხრიდან მათი პროგრესირების ყოველმხრივ ხელშეწყობას.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე, საქართველოს ეკონომიკას უცხოურ ინვესტიციათა შემოდინება ნამდვილად სჭირდება. აღნიშნული გამოწვეულია სახელმწიფოს მხრიდან დახმარების ნაკლები შესაძლებლობით, სამამულო კორპორაციების უმრავლესობაში საკმარისი სახსრების არქონით, არც თუ დიდი ხნის წინ გადატანილი ეკონომიკური კრიზისითა და წარმოების დაცემით, წარმოების ძირითადად მოძველებული და ისიც ამორტიზებული მოწყობილობით აღჭურვით, კაპიტალის, როგორც წარმოების ფაქტორის სიძვირით და ა.შ.

ეროვნულ ეკონომიკაში ჩართული და ეფექტურად გამოყენებული უცხოური კაპიტალი, ერთის მხრივ, დადებითად იმოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე და მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირებაში დაგვეხმარება. მაგრამ, მეორე მხრივ, საქართველოსთვის, როგორც მცირე, განვითარებადი ქვეყნისათვის, მან გარკვეული წინააღმდეგობები შეიძლება შექმნას. მაგალითად: გარკვეული ვალდებულებების დაკისრება; ქვეყნის დამოკიდებულების მრავალგვარი ფორმების შექმნა; ხელის შეწყობა საგარეო დავალიანების ზრდისათვის და ა.შ. ანუ, უცხოურ ინვესტიციებს შეიძლება არაერთგვაროვანი შედეგები მოჰყვეს ეროვნული ეკონომიკისათვის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აქტუალური ხდება საკითხი ტექნიკური დახმარების გაფართოებისა, რომელიც მიმართული იქნება საკუთარი რესურსების ოპტიმალურ გამოყენებაზე, კადრების კვალიფიკაციის ამაღლებასა და გადამზადებაზე, ადგილობრივი ინვესტიციური კაპიტალის ფორმირება-გააქტიურებაზე და შემდეგ უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე. ამასთან, წარსულის გამოცდილების გათვალისწინებით, აუცილებელია სახსრების მოზიდვა არა სესხების, არამედ ინვესტიციური კაპიტალის, ერთობლივი გრძელვადიანი პროექტების, დასაქმების ქვოტების და სხვა სახით.

აღსანიშნავია, რომ პერსპექტივები უცხოური ინვესტორებისათვის საქართველოში და სხვა, ყოფილი ე.წ. „სოციალისტური ბანაკის“, ქვეყნებში საკმაოდ მიმზიდველია. აღნიშნულზე მოქმედებს:

- ეროვნული მეწარმეების მხრიდან არსებითი კონკურენციისა და სერიოზული წინააღმდეგობის არარსებობა;
- იაფი სამუშაო ძალა; იაფი ნედლეულის ბაზარი; დიდი სამომხმარებლო ბაზარი;
- მოგების საკმაოდ მაღალი ნორმა, რომელიც განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში არსებულ საშუალო მოგების მაჩვენებელს აღემატება;
- ეფექტიანობის სუსტი ხარისხის მქონე ირაციონალური ბაზრების არსებობა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უცხოური კაპიტალის დაინტერესება ასეთ ქვეყნებში სახსრების ინვესტირებით, ჯერ კიდევ არც ისე მაღალია. აღნიშნულის გამომწვევ ძირითად მიზეზებად შეიძლება დავასახელოთ შემდეგი: ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციის არასტაბილურობა; არასრულყოფილი და ზოგ შემთხვევაში წინააღმდეგობრივი კანონმდებლობა; საკუთრების უფლების განსაზღვრაში გაურკვევლობა; რეალური შეღავათებისა და პრივილეგიების არარსებობა უცხოური კაპიტალისათვის; ნაციონალური ვალუტების არასტაბილურობა; საგადასახადო სისტემაში მოსალოდნელი ცვლილებების ნაკლებ პროგნოზირებადობა. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელი მიზეზის მიხედვით, საქართველო სასიამოვნო გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს, სადაც კონსტიტუციით არის განსაზღვრული გადასახადების შემოღების, ახალი გადასახადების დაწესებისათვის რეფერენდუმის ჩატარება.

აღნიშნული მიზეზების გათვალისწინებით და მათ საკომპენსაციოდ, ცალკეულ სახელმწიფოთა მთავრობები რეგულარულად ატარებენ ფინანსური ბაზრების სხვადასხვა ასპექტების ლიბერალიზაციასა და დერეგულირებაზე მიმართულ ღონისძიებებს. სახელმწიფო ღონისძიებები უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით შეიძლება დავიყვანოთ ორ ჯგუფზე:

1. პირველს მიეკუთვნება ინფლაციის ტემპების, უცხოური ინვესტორების რისკების შემცირებაზე მიმართული ქმედებები და გარანტირებული გადახდები საგარეო დავალიანების მიხედვით;
2. მეორე, ეს არის ღონისძიებები, რომლებიც ამცირებენ გადასახადებს და ამარტივებენ საბაჟო პირობებს უცხოელი ინვესტორებისათვის.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში დაგროვილი გამოცდილების მიხედვით, სტრატეგიული ინვესტორების სახსრების ძირითადი ნაკადები მიემართება არა იმდენად იმ ადგილებში, სადაც შექმნილია მაქსიმალური საგადასახადო შეღავათები, არამედ იმ ქვეყნებში, რომელთა ეკონომიკა სტაბილურად და თანმიმდევრულად ვითარდება საკუთარი პოტენციალის მაქსიმალური გამოყენებით. სწორედ ასეთ ვითარებაში შეიძლება ჰქონდეთ მათ დაბანდებათა დაცულობის, სტაბილური მოგების მიღებისა და შემდგომი განვითარების იმედი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარა ხდება სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობა, რომელიც დაეყრდნობა სათანადო ნორმატიულ-სამართლებრივ საფუძველს ცენტრისა და რეგიონების საინვესტიციო კანონმდებლობის ანალიზის, სისტემატიზაცია-უნიფიცირების საფუძველზე და აპრობირებული ადგილობრივი თუ საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. „ისეთი საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ცენტრისა და რეგიონების ინტერესებს შეათანხმებს ერთმანეთთან, ხელს შეუწყობს ინვესტირების რეგიონული პირობების განსხვავებულობის ნიველირებას და, მაშასადამე, შეამცირებს რეგიონების განვითარების დონეთა დიფერენციაციას.“ [21, გვ. 733]

ეკონომიკაში დაბანდებული უცხოური ინვესტიციების სახელმწიფო რეგულირება ორ მიზანს უნდა ისახავდეს, რომელთა შესაბამისად, ყალიბდება სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანიზაციების ფუნქციებიც. მათი დეტალიზებისათვის პროფ. ლ. ქოქიაური შემდეგ ცხრილს გვთავაზობს:

ცხრილი 1.1.

უცხოური ინვესტიციების სახელმწიფო რეგულირების მიზნები და ფუნქციები

№	სახელმწიფო რეგულირების მიზანი	სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების ფუნქცია
1	უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და ფუნქციონირებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა	უცხოური ინვესტიციების შემოდინების სტიმულირება
2	ეროვნული ინტერესების დაცვა უცხოური კაპიტალის შესაძლო ნეგატიური ზემოქმედებისაგან	უცხოური ინვესტიციების განთავსებაზე კონტროლი

წყარო: [22 გვ. 1236]

მოყვანილ ცხრილში განხილული მიზნებისა და ფუნქციების რეალიზების შედეგად, შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელების რამდენიმე ვარიანტს. კერძოდ:

1) **სამეწარმეო უცხოური კაპიტალის შემოდინების წახალისება და უცხოური კაპიტალის გადაადგილებაში ჩაურევლობა**. ამ შემთხვევაში, შესაძლებელია უცხოური კაპიტალის სტიქიურმა და მასიურმა შემოდინებამ სერიოზული პრობლემები შეუქმნას ეროვნულ ეკონომიკას. ეს შეიძლება იყოს მთელი რიგი დარგებიდან ადგილობრივი კომპანიების გამოდევნა, ადგილობრივი მუშახელისათვის დასაქმების შესაძლებლობის შეზღუდვა, ქვეყნის ეკონომიკის სექტორის მონოპოლიზირება და სხვა. ეს მიდგომა შეიცავს გარკვეულ საფრთხეებს, რაც დაკავშირებულია იმასთან, რომ სუსტად განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყანა შეიძლება ადვილად მოექცეს უცხოური კომპანიების გავლენის ქვეშ;
2) **უცხოური კაპიტალის მოზიდვისა და განთავსების კონტროლისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა**. ამ დროს, უცხოური კაპიტალის მოზიდვის აქტიური პოლიტიკა მისი განთავსების რეგულირებასთან ერთად ტარდება. ცხადია, აქ არ იგულისხმება ეკონომიკური პროცესების დირექტიული და ხისტი მართვა, მაგრამ ასეთი მიდგომების განხორციელების დროს, წინა პლანზე გამოდის ეროვნული ინტერესები და უცხოური კაპიტალის შემოდინება არ ატარებს სტიქიურ და არაპროგნოზირებად ხასიათს. ამასთან, უცხოელ ინვესტორს შეიძლება მიენიჭოს გარკვეული უპირატესობები კადრების მომზადებისათვის, ადგილობრივ მცხოვრებთათვის სამუშაო ადგილების ქვოტირებისათვის, ეკონომიკური პრობლემების მოგვარებისათვის და ა.შ. მაგალითად, როგორც ეს მოხდა ქუთაისის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში, სადაც ჩინელი ინვესტორის ვალდებულებას შეადგენდა ადგილობრივი მუშახელის დასაქმების ხელშეკრულებით გაწერილი ვალდებულება.

ქვეყნისა თუ რეგიონის ინვესტიციური პოტენციალის ზრდა არ არის მხოლოდ უცხოურ ინვესტორზე გათვლილი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, არანაკლებ მნიშვნელოვანია პირობების შექმნა ეროვნული ინვესტიციცური პოტენციალის ადგილზე რეალიზებისათვის. საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოდინების მხარდაჭერა განხილულ უნდა იქნეს მთლიანად ინვესტიციური საქმიანობის სტიმულირების

სახელმწიფო პოლიტიკის ერთიან პრიზმაში, რომლის ღონისძიებები ერთნაირად უნდა გავრცელდეს როგორც შიდა, ისე გარე ინვესტორზე. ნებისმიერი სახის წახალისება, იქნება ეს საგადასახადო შეღავათი, სახელმწიფო სუბსიდია, შეღავათიანი კრედიტები და ა.შ., ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა კომპანიისათვის, ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში.

გამომდინარე იქედან, რომ ფინანსური ბაზარი ზოგადად და მისი ცალკეული სტრუქტურული ერთეულები, როგორებიცაა საფონდო ბირჟა, კაპიტალის ბაზარი და ა.შ., საქართველოში სასურველი კონდიციიდან ჯერ კიდევ შორსაა, აქცენტი გადადის ბაზრის სხვა მოთამაშეებზე, მაგალითად სახელმწიფოზე. ამ ვითარებაში, კერძო ინვესტიციების სტიმულირების ერთ-ერთი ყველაზე მისაღებ ფორმად გამოდის საგადასახადო სტიმულირების მექანიზმების გამოყენება, რომელიც ხელს შეუწყობდა მთლიან ინვესტიციურ კაპიტალში კომპანიის საკუთარი რესურსების დაგროვების შესაძლებლობების გაფართოებას. აღნიშნული გაზრდის მათ ფინანსურ მდგრადობას, ხელს შეუწყობს მათ გააქტიურებას ინვესტიციურ ბაზრებზე და შეამცირებდა მათ დამოკიდებულებას მოზიდულ ინვესტიციურ რესურსებსა და მათ პოტენციურ მომწოდებლებზე.

ამგვარად, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში მყოფი საინვესტიციო პოლიტიკა, საამორტიზაციო პოლიტიკა, მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკა და უცხოური ინვესტიციების მიმართ დამოკიდებულებები სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ. ისინი უნდა გამომდინარეობდნენ ამ პოლიტიკიდან და ხელს უწყობდნენ მის რეალიზაციას.

ინვესტიციური პოლიტიკა შეუძლებელია განხორციელდეს მისი რეალიზაციის მექანიზმის გამართული ფუნქციონირების გარეშე. იგი უნდა მოიცავდეს:

- ინვესტიციების დაფინანსების წყაროებისა და მეთოდების შერჩევას;
- რეალიზაციის ვადების განსაზღვრას;
- პოლიტიკის რეალიზაციაზე პასუხისმგებელი ორგანოების შერჩევას;
- ინვესტიციური ბაზრის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის შექმნას;
- ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას და ა.შ.

სახელმწიფოს ინვესტიციური პოლიტიკის გარდა არჩევენ დარგობრივ, რეგიონულ და კორპორაციათა ინვესტიციურ პოლიტიკას. ყველა მათგანი მჭიდრო

ურთიერთკავშირშია, მაგრამ განმსაზღვრელს მაინც საერთო-სახელმწიფო პოლიტიკა წარმოადგენს, რადგან სწორედ იგი ქმნის პირობებს და უწყობს ხელს საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურებას ყველა დონეზე.

დარგობრივი ინვესტიციური პოლიტიკა გულისხმობს მეურნეობის იმ პრიორიტეტული დარგებისმხარდაჭერას, რომელთა განვითარება უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ და თავდაცვით უსაფრთხოებას, სამრეწველო პროდუქციის ექსპორტს, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას და ოპტიმალური მეურნეობრივი პროპორციების ჩამოყალიბებას მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში.

რეგიონული ინვესტიციური პოლიტიკა მოიცავს ღონისძიებათა სისტემას, რომელიც ტარდება რეგიონის ან სხვა ტერიტორიული ერთეულის დონეზე და ხელს უწყობს ინვესტიციური რესურსების მობილიზაციას, მათი ეფექტური და რაციონალური გამოყენების მიმართულებების დადგენას რეგიონის მისახლეობისა და ინვესტორების ინტერესებიდან გამომდინარე.

ინვესტიციურ პოლიტიკას ყველა რეგიონში გარკვეული თავისებურებები შეიძლება ახასიათებდეს, რაც განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

- რეგიონში განხორციელებული ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკით;
- არსებული სამრეწველო პოტენციალის სიდიდით;
- ბუნებრივ-კლიმატური პირობებით; ენერგო რესურსებით აღჭურვის დონით;
- გეოგრაფიული ადგილმდებარეობით და გეოპოლიტიკური მდგომარეობით;
- დემოგრაფიული მდგომარეობით;
- უცხოური ინვესიტიციებისათვის რეგიონის მიმზიდველობით და ა.შ.

საქართველოს სახელმწიფო ინვესტიციური პოლიტიკის გატარებაში სამხარეო თუ მუნიციპალური ასპექტის გააქტიურებისათვის მიზანშეწონილია დამუშავდეს ქვეყნის ცალკეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის[3] მდგომარეობის კრიტიკულობის გრადაცია, რომლის საფუძველზე შეიქმნება მხარეთა რეიტინგი და მასზე დაყრდნობით განისაზღვრება არსებული ვითარების გაუმჯობესების რამდენიმე დიფერენცირებული ვარიანტი. კრიტიკულობის მაჩვენებელი საკმაოდ რთული და

[3] მიგვაჩნია, რომ საწყის ეტაპზე ეს უნდა შეეხეოს საქართველოს მხარეებს. მოგვიანებით, სათანადო მეთოდიკის დამუშავებისა და გარკვეული გამოცდილების დაგროვების კვალობაზე, აღნიშნული საკითხები შეიძლება გააქტიურდეს თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების დონეზეც.

მრავალწახნაგოვანია, თუმცა მისი გაანგარიშება დადებითად აისახება რეგიონების განვითარების პრიორიტეტების შემუშავებაზე.

ჩვენი აზრით, საქართველოს რეალობის გათვალისწინებით, იგი შეიძლება გაანგარიშებულ იქნას მთლიანი პოტენციალისა და ინტეგრალური რისკის მაჩვენებლების გაერთიანების საფუძველზე. ამ შემთხვევაში თითოეული ტერიტორიული ერთეული შეიძლება ერთდროულად დახასიათდეს პოტენციალის (მაღალი, საშუალო, დაბალი, დაქვეითებული, უმნიშვნელო ან სხვა) და რისკის (მაღალი, ზომიერი, დაბალი, მინიმალური ან სხვა) მიხედვით.

ცხადია, აღწერილ შეფასებებს ექნებათ სუბიექტური ხასიათი (რასაც მის ნაკლად ვერ ჩავთვლით) და აუცილელებლი იქნება იმის გათვალისწინება, რომ საჭირო გახდება რეგიონების პოტენციალისა და რისკის მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდების დაზუსტება-კორექტირება, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის ცვლილების შესაბამისად.

ინვესტიციურ საქმიანობაში სულ უფრო მეტად ერთვებიან კერძო სექტორის მეურნე სუბიექტები, რაშიც დაინტერესებული უნდა იყოს როგორც საერთო-სახელმწიფო, ისე რეგიონული თუ ადგილობრივი ხელისუფლება. როგორც ცნობილია, რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების პოზიციიდან გამომდინარე, ფართო გამოყენებას პოულობს ისეთი ეკონომიკური მექანიზმი, როგორიცაა სახელმწიფო დაკვეთა, ანუ სახელმწიფო შესყიდვები ცალკეული რეგიონებიდან. აღნიშნული მნიშვნელოვნად უწყობს ხელს, არა მხოლოდ ცალკეული ბიზნეს სუბიექტის წარმატებებს, არამედ, უფრო მეტად, მისი შედეგი იზომება საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოებისა და განაწილების გარკვეული პროპორციის უზრუნველყოფით ცალკეულ დარგებსა და რეგიონებს შორის. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, დადებითად მოქმედებს მთელი ქვეყნის მასშტაბით ეკონომიკური ზრდის გამოთანაბრებაზე.

საქართველოს რეალობის გათვალისწინებით, რომლის ეკონომიკის ტიპი შეიძლება განვიხილოთ, როგორც „შერეული“, სახელმწიფო გვევლინება მსხვილი დამკვეთისა და მომხმარებლის როლში. იგი, „როგორც მომხმარებელი ხელს უწყობს ეკონომიკის რეგულირებას და ძლიერ გავლენას ახდენს წარმოების დინამიკასა და სტრუქტურაზე.“ [15, გვ. 57]

სახელმწიფო შესყიდვების გამოყენებით, იგი მოიზიდავს კერძო მეწარმეებს ქვეყნის წინაშე მდგომი ამოცანების რეალიზაციის საქმეში. სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე კონტრაქტების მეშვეობით ხდება სახელმწიფოსა და სამეურნეო სუბიექტს შორის რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის როგორც ფორმირება, ისე რეალიზება. შესაბამისად, იზრდება ცალკეული ბიზნესორგანიზაციის როგორც დაინტერესება, ისე ჩართულობა რეგიონული პრობლემების მოგვარების საქმეში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, წინა პლანზე გადმოდის სწორი ინვესტიციური პოლიტიკის გატარების აუცილებლობა ცალკეული სამეურნეო სუბიექტების დონეზე, რომელიც ისევ და ისევ რეგიონული პრიორიტეტების გათვალისწინებასა და სამომავლო პერსპექტივების ანალიზზე იქნება ორიენტირებული.კორპორაციათა ინვესტიციური პოლიტიკის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც უზრუნველყოფენ საკუთარი და მოზიდული სახსრების მომგებიანად დაბანდებას კორპორაციის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში.

კორპორაციის ინვესტიციური პოლიტიკა მისი ბიზნეს-გეგმის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარეობს. თანამედროვე პირობებში ინვესტიციური პროცესის ფორმირების ბევრი პრობლემა ინვესტიციური პოლიტიკის მკვეთრად განსაზღვრული პრინციპების სისტემის არარსებობით არის განპირობებული. აღნიშნული სისტემა წარმოადგენს ეკონომიკის განვითარების ღერძს, რომელიც მიკრო და მაკრო დონეების ეფექტურად ურთიერთქმედებას უზრუნველყოფს.

ინვესტიციათა თეორიის თანახმად, ზოგადად ინვესტიციური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პრინციპებს წარმოადგენენ: მიზანმიმართულობა; ეფექტიანობა; შედეგზე ორიენტირებულობა; მრავალვარიანტულობა; მოქმედებათა რეგულირებადობა; სისტემურობა; მოქნილობა; რესურსების ათვისებისათვის მზადყოფნა; კომპლექსურობა; სოციალური, ეკოლოგიური და ეკონომიკური უსაფრთხოება. ეს პრინციპები უნდა რეალიზდებოდნენ როგორც მეურნე სუბიექტის, ისე მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანოთა დონეზე.

საერთო სახელმწიფო ინვესტიციური პოლიტიკა ხელს უნდა უწყობდეს ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების დონეზე ინვესტიციური საქმიანობის გააქტიურებას. მათ შორის, იგი ორიენტირებული უნდა იყოს ხელსაყრელი გარემოს შექმნაზე მეურნე სუბიექტებისათვის. ასე მაგალითად, სახელმწიფოს მიერ გატარებული

რეგიონული ინვესტიციური პოლიტიკის ძირითად პრინციპებად შეიძლება მოგვევლინოს შემდეგი:

1) სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკა უნდა უზრუნველყოფდეს ინვესტიციური სივრცის ერთიანობას მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე. ე.ი. ხელს უწყობდეს ფინანსური კაპიტალის, ინვესტიციური საქონლისა და მომსახურების თავისუფალ მოძრაობას. იგი უნდა ქმნიდეს ერთიან პირობებს ინვესტიციური საქმიანობის ეკონომიკური და სამართლებრივი რეგულირებისა და მისი ინფორმაციული უზრუნველყოფისათვის;
2) სახელმწიფო დონეზე მიზანშეწონილია შემუშავებულ და რეალიზებულ იქნას შეზღუდული ოდენობის, მაგრამ რეალური საშუალო და გრძელვადიანი სახელმწიფო პროგრამები, რომელთა ორგანული ნაწილი უნდა გახდეს რეგიონული პრობლემატიკა, შეთანხმებული და შეჯერებული ტერიტორიულ ერთეულებთან;
3) აუცილებელია მსგავსი დანიშნულების სახელმწიფო ფინანსური ნაკადების დუბლირების თავიდან აცილება. მათი რეგიონული ურთიერთკავშირის სრულყოფის გზით. ნაკადების მართვაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს პროპორციების სტაბილური და სრული გამიჯვნა, საბიუჯეტო შემოსავლების ყველა საგადასახადო წყაროს, როგორც მათ მიერ გასატარებელი ინვესტიციური პოლიტიკის ეკონომიკური საფუძვლის მიმაგრება სახელმწიფო და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებზე.
4) მმართველობის ადგილობრივი ორგანოების აღჭურვა ეკონომიკური, უპირველეს ყოვლისა, საგადასახადო რეგულირების ფართო უფლებამოსილებებით, რაც სამეურნეო სუბიექტების ინვესტიციური საქმიანობის სტიმულირებაზე იქნება მიმართული;
5) არ გამოვრიცხავთ გირავნობითი სამართლის ისეთი საერთო-სახელმწიფო ნორმატიულ-საკანონმდებლო საფუძვლების შემუშავებასა და გამოყენებას, რომელიც გაითვალისწინებს არაკომერციული რისკებისაგან ინვესტიციების დაზღვევას ტერიტორიული ერთეულების ქონებით (რა თქმა უნდა მათი შეხედულებისამებრ).

ეფექტიანი მუნიციპალური ინვესტიციური პოლიტიკის გატარებისათვის (მუნიციპალური წარმონაქმნების დონეზე) აუცილებლად მიგვაჩნია რეგიონების დონეზე

ერთიანი ინვესტიციური სტრატეგიის შემუშავება, სადაც ინვესტიციების მოზიდვა მიზანშეწონილია განხორციელდეს შემდეგ ღონისძიებათა გათვალისწინებით:

- საკუთარი ინვესტიციური პოტენციალის შეფასება, რეგიონის SWOTანალიზის განხორციელება;
- რეგიონული განვითარების სტრატეგიის ფორმირება და რეალიზაცია;
- მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ მარკეტინგული, ორგანიზაციულ-ტექნიკური და სხვა ღონისძიებების რეალიზაციას რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ინტერესიდან გამომდინარე. აღნიშნულ პროგრამებში შეიძლება ასახულ იქნას პროგრამულ ღონისძიებათა (მაგალითად, მთლიანად რეგიონისა და მისი ცალკეული ტერიტორიული ერთეულის ბიზნეს პოტენციალის შესახებ ინფორმაციის შემცველი ბიზნეს-რუქის შექმნა) სისტემა;
- თავისუფალი და ინვესტიციურ პროცესში ჩართვისათვის მზადმყოფი არაეფექტურად გამოყენებადი საწარმოო სიმძლავრეების და ლიზინგით გასაცემი ქონების (თუ არსებობს) შესახებ მონაცემთა ბანკის ფორმირება;
- ცალკეული ტერიტორიების სტიმულირების პროგრამების შემუშავება თავისუფალი მეწარმეობის ზონების გახსნითა და დაუმთავრებელი მშენებლობების შემცირების ღონისძიებათა ხელშეწყობით;
- ცალკეული დარგების, კომპანიების მიხედვით ბიზნეს-პორთფელების ფორმირება.

მიგვაჩნია, რომ თანამედროვე პირობებში, მაღალეფექტიანი სახელმწიფო ინვესტიციური პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს შემდეგი ხუთი ძირითადი პრინციპის განვითარებასა და დაცვას:

1. ინვესტიციური საქმიანობის სათანადო საკანონმდებლო უზრუნველყოფის მდგომარეობის სრულყოფა;
2. ინვესტიციური პროგრამების სტრატეგიულ მიმართულებებზე ინვესტიციური პოლიტიკის კონცენტრირების განხორციელება;
3. რეგიონული ინვესტიციური პოლიტიკის ფარგლებში სამეურნეო სუბიექტების ძალისხმევის გაერთიანება ერთობლივი ინტერესების გამოკვეთისა და რეალიზაციისათვის;

4. განვითარების დადებითი და უარყოფითი მომენტების სისტემატური მონიტორინგი;
5. ხელსაყრელი ინვესტიციური კლიმატის შექმნა-გაუმჯობესებაზე სისტემატიური ზრუნვა.

ზემოაღნინული პრინციპებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ბოლო მათგანი, რომელიც, შეიძლება ითქვას, ერთგვარად აერთიანებს კიდეც პირველ ოთხ მომენტს.

ინვესტიციური კლიმატი არის გარემო, რომელშიც მიმდინარეობს ინვესტიციური პროცესები. მათი ფორმირება ხდება საკანონმდებლო-ნორმატიული, ორგანიზაციულ-ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და სხვა ფაქტორების ზემოქმედებით, რომლებიც განსაზღვრავენ ინვესტიციური საქმიანობის პირობებს როგორც ქვეყანაში, ისე მის ცალკეულ რეგიონსა თუ ტერიტორიულ ერთეულში.

აღსანიშნავია, რომ არსებობს ინვესტიციური კლიმატის როგორც განსაზღვრის, ისე მისი გამოთვლის მეთოდიკის საკმაოდ ვრცელი სპექტრი, უპირველეს ყოვლისა, დაბანდებული კაპიტალის მომგებიანობის თვალსაზრისით. ცნება „ინვესტიციური კლიმატი“ გამოიყენება უპირატესად საბაზრო ეკონომიკისათვის, როდესაც სამეურნეო გარემო არ ექვემდებარება პირდაპირ მართვას. იგი წარმოადგენს ერთობ განზოგადებულ კრიტერიუმს ინვესტიციური რესურსების განთავსებისათვის. ინვესტიციური კლიმატი ყალიბდება ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, სამართლებრივი და თუნდაც კულტურული პირობების ერთობლიობით, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკის ამა თუ იმ სექტორში, კონკრეტულ საწარმოში, ქალაქში, რეგიონში თუ მთლიანად ქვეყანაში დაბანდების მიმზიდველობას.

ინვესტიციური კლიმატის შეფასება მთელს მსოფლიოში ფართოდ არის გავრცელებული, რომელსაც ახორციელებენ სხვადასხვა საკონსულტაციო ფირმები, საფინანსო ინსტიტუტები, სახელმწიფო თუ რეგიონული ორგანოები და ა.შ. ინვესტიციური მიმზიდველობის შედარებითი შეფასებების ისტორია უკვე თითქმის ოცდაათ წელზე მეტს მოითვლის. როგორც წესი, გამოკვლევის ობიექტს წარმოადგენს სახელმწიფო, ან ცალკეულ შემთხევევებში - რეგიონები სახელმწიფოს შიგნით.

ურთიერთშედარებას საფუძვლად უდევს თითოეული ქვეყნის შემდეგი მახასიათებლები: [77, გვ. 135]

- საკანონმდებლო პირობები უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორებისათვის;
- კაპიტალის გატანის შესაძლებლობები;
- ეროვნული ვალუტის სტაბილურობა, ინფლაციის დონე;
- პოლიტიკური, სოციალური, კრიმინოგენული და ა.შ. ვითარება;
- დემოკრატიული ტენდენციები, მიმდინარე რეფორმების მდგომარეობა და პერსპექტივები;
- ადგილობრივი კაპიტალის გამოყენების შესაძლებლობები;
- ეკონომიკური სისტემის ტიპი, ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები;
- ინფრასტრუქტურის მდგომარეობა, ბუნებრივი რესურსებით უზრუნველყოფის მდგომარეობა;
- საგარეო ვაჭრობის განვითარების პერსპექტივები;
- ბიზნესის წარმოების თავისუფლება, მისი კეთების სიმარტივე, სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკურ ურთიერთობებში ჩარევის ფორმები და ხარისხი;
- საგადასახადო პოლიტიკის პრიორიტეტები და შემუშავების პრინციპები;
- ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, სიახლოვე მსოფლიო ეკონომიკურ წარმონაქმნებთან;
- შრომითი რესურსების სტრუქტურა და ხარისხი;
- ტერიტორიის განვითარების პერსპექტივები და ა.შ.

ინვესტიციური კლიმატის შეფასებები ხელსაყრელსა და არახელსაყრელს შორის მერყეობს. ხელსაყრელი ხელს უწყობს ინვესტორების აქტიურ საქმიანობას და სტიმულს აძლევს კაპიტალის მოზიდვას. არახელსაყრელი - ინვესტორისთვის ზრდის რისკს, რაც იწვევს კაპიტალის გადინებას და ინვესტიციური აქტივების შეკვეცას. ინვესტიციურ კლიმატზე მოქმედი ფაქტორები, საზოგადოების მხრიდან მათზე მოქმედების შესაძლებლობის მიხედვით იყოფა შემდეგ კატეგორიებად: [80, გვ. 154]

- ობიექტური (ბუნებრივ-კლიმატური პირობები, გეოგრაფიული მდებარეობა, ენერგო რესურსებით უზრუნველყოფა, დემოგრაფიული ვითარება და ა.შ.);
- სუბიექტური (დაკავშირებული ადამიანთა საქმიანობის მართვასთან).

ინვესტიციური კლიმატი მჭიდროდ არის დაკავშირებული ინვესტიციურ პოლიტიკასთან, რომელიც წარმოადგენს ინვესტორებისათვის ოპტიმალური პირობების

შექმნაზე მიმართული მმართველობის ორგანოების ზემოქმედების ორგანიზაციული და ეკონომიკური ღონისძიებების ერთობლიობას საერთო სახელმწიფო, რეგიონულ, მუნიციპალურ ან მეურნე სუბიექტების დონეზე. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ, ერთი მხრივ, იგი განსაზღვრავს ინვესტიციური პოლიტიკის შემუშავების სასტარტო პოზიციებს, ხოლო მეორე მხრივ - მის შედეგად გვევლინება.

ინვესტიციური პოლიტიკის ეფექტიანობა იზომება ინვესტიციური კლიმატის გაუმჯობესების, უკეთესობისაკენ ცვლილების ხარისხით. თავის მხრივ, ხელსაყრელი ინვესტიციური კლიმატის არსებობა ზემოქმედებას ახდენს ინვესტიციურ პოლიტიკაზე, მისი შემდგომი სრულყოფის თვალსაზრისით.

ინვესტიციური პოლიტიკა, გამოდის რა, როგორც სხვადასხვა ღონისძიებების ერთობლიობა, ზემოქმედებს იმ განსხვავებებზე (უპირველეს ყოვლისა სუბიექტურზე), რომლებიც ქმნიან ინვესტიციურ კლიმატს. იგი აქტუალიზდება ინვესტიციური საქმიანობის რეგულირების სტრატეგიის შემუშავებით, განხორციელების პროცესის დაგეგმვითა და რეალიზაციით.

ინვესტიციური კლიმატის შეფასების მეთოდები მრავალფეროვანია. ისინი ეფუძნება განსხვავებულ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ფინანსურ მაჩვენებლებს, რომელთა მიხედვით ქვეყანას, რეგიონსა თუ ლოკალურ ტერიტორიულ ერთეულს ენიჭება ინვესტიციური რეიტინგი. ეს არის მნიშვნელოვანი მაჩვენებელი ინვესტორებისათვის, რომელიც მათთვის საინტერესო ინფორმაციას აერთიანებს. ინვესტორთა უმრავლესობა მოკლებულია სათანადო გამოკვლევების დამოუკიდებლად წარმოების შესაძლებლობას. განსაკუთრებით, ეს ითქმის უცხო ქვეყანაზე. სწორედ ამიტომ, მათი უმრავლესობა ორიენტაციას სხვადასხვა სარეიტინგო სააგენტოების მიერ განხორციელებულ შეფასებებზე აკეთებს. ამის გამო, რეიტინგის ამაღლება ყოველთვის მჭიდროდაა დაკავშირებული ეკონომიკური ზრდისათვის ასე აუცილებელი ინვესტიციების მოზიდვასთან და ქვეყნის შიგნით ბიზნესის გააქტიურებასთან.

ინვესტიციური რეიტინგი ასახავს კონკრეტული ქვეყანის სტაბილურობის დონეს, მის ეკონომიკურ პოლიტიკას, საინვესტიციო გარემოს, ეკონომიკური ზრდის (მ.შ. დარგობრივ ჭრილში) პერსპეტივას. მაგალითად, საქართველოში არსებული ლიბერალური საინვესტიციო გარემო, თანაბარი პირობები ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორებისათვის მიმზიდველს ხდის ქვეყანას. ცხადია, მხოლოდ ეს ფაქტორები ვერ

განაპირობებენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ზრდას, თუმცა ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ.

საქართველოსთან მიმართებით, დამატებით შეიძლება აღინიშნოს, რომ ჩვენი ქვეყნის შედარებით სტაბილური ეკონომიკური განვითარება, გეოგრაფიული მდებარეობა, სამომავლო ხედვები და განვითარების პერსპექტივები, ლიბერალური და თვისუფალი საბაზრო ეკონომიკური პოლიტიკა, მხოლოდ 6 გადასახადი და შემცირებული საგადასახადო განაკვეთები, ადვილად აღსაქმელი საგადასახადო კოდექსი, ლიცენზიებისა და ნებართვების მცირე რაოდენობა, ადმინისტრაციული პროცედურების სიმარტივე, პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმები მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, კარგად განვითარებული და ინტეგრირებული სატრანსპორტო სისტემა, განათლებული კვალიფიციური და კონკურენტული სამუშაო ძალა და სხვა მრავალი ფაქტორი წარმოადგენს მყარ საფუძველს საქართველოში ბიზნეს საქმიანობის დაწყების, ფუნქციონირებისა და მისი წარმატებული განვითარებისათვის. (იხ. ნახ. 1.2.)

ნახაზი. 1.2.



წყარო: „პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში. 2013“. სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2013 წელს 942 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 3%-ით აღემატება ამავე წლის წინასწარ და 3.3%-ით - 2012 წლის დაზუსტებულ მონაცემებს. ქვემოთ მოცემული

დიაგრამა ასახავს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკას 2008-2013 წლებში (ნახ. 1.3.). ამავე პერიოდში რეინვესტიციის ოდენობამ მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 29% შეადგინა.

„ვარდების რევოლუციის“ შემდგომი ორი წელი მარტივი არ ყოფილა საქართველოსთვის. პირველივე წლებში ინვესტიციების გარკვეული ზრდა გამოიკვეთა (2003 წლის მაჩვენებლებთან შედარებით), თუმცა საინვესტიციო ბუმით 2006-2007 წელი აღინიშნა. 2007 წლის ბოლოდან 2008 წლის ჩათვლით საქართველოსთვის ერთ-ერთი უმძიმესი პოლიტიკური და ეკონომიკური წელი იყო (აგვისტოს ომი და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი). ეს ფაქტორები სრულიად საკმარისი იყო იმისათვის, რომ საქართველოში ინვესტიციების მასშტაბი მინიმუმამდე დასულიყო.

ნახაზი 1.3.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და რეინვესტიცია საქართველოში 2008-2013 წლებში (მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: „პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში. 2013“. სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge

სერიოზული კრახისგან თავის დაღწევა ქვეყანამ 2008 წლის ომის შედეგად დონორების მიერ საქართველოსთვის გამოყოფილ დახმარებების წყალობით მოახერხა. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს წელი, ინვესტიციების თვალსაზრისით, საქართველოსთვის ერთ-ერთ დაბალ ნიშნულზე მყოფ წლად შეიძლება ქცეულიყო.

უმსხვილესი სექტორების წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2013 წელს 85% შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი

უცხოური ინვესტიცია განხორციელდა შემდეგ სექტორებში: 1) ენერგეტიკის სექტორში - 245 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 26%-ია; 2) საფინანსო სექტორში - 166 მლნ. აშშ დოლარი, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 18%-ია; 3) ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში - 140 მლნ. აშშ დოლარი, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 15%-ია.

ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2013 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული განაწილება ქვემოთ გვაქვს მოყვანილი (ნახ. 1.4).

ნახაზი 1.4.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2013 წელს



წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებგვერდი - www.economy.gov.ge

მდგომარეობა ერთგვარად შეიცვალა 2014 წელს, როცა ყველაზე მეტი ინვესტიცია მოვიდა ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობასა (26%) და მშენებლობაზე (18%).



წყარო: http://economy.gov.ge/ge/economic-data/investments - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი

2006 წლიდან 2014 წლის ჩათვლით საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა სულ 10 484.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. 2014 წელს ინვესტიციების მოცულობა 1 272,5 მლნ. აშშ დოლარი დაფიქსირდა, რაც 35,1%-ით აღემატება 2013 წლის ანალოგიურ მონაცემს.



წყარო: http://economy.gov.ge/ge/economic-data/investments - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ამა თუ იმ ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის ანალიზის თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანია მისი მდგომარეობის და შედეგების განსაზღვრა საერთაშორისო რეიტინგების მიხედვით. ამ მხრივ გამოვყოფთ ორ გამოკვლევას.

„ბიზნესის კეთება 2014“ მსოფლიოს 189 ქვეყანას მოიცავს და საქართველო მეექვსე პოზიციას იკავებს (2006 წელს 112-ე ადგილი ეჭირა). გატარებული რეფორმებიდან აღსანიშნავია: ლიცენზიების და ნებართვების რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირება; „ერთი სარკმლის პრინციპი“ და „დუმილი თანხმობის ნიშანია“ შეიქმნა სალიცენზიო აპლიკაციებისათვის; გამარტივებული საგადასახადო კოდექსით 21 გადასახადიდან დარჩა მხოლოდ 6 გადასახადი; ქონების დარეგისტრირებისათვის საჭირო დრო და ღირებულება შემცირდა.

ამავე კვლევის მიხედვით, მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული ინვესტორთა უფლებების დაცვა.

ნახაზი 1.5.

ინვესტორთა უფლებების დაცვის მდგომარეობის დინამიკა 2007-2014 წ.წ.



წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებგვერდი - www.economy.gov.ge

მეორე გამოკვლევის - „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის (2014)“ მიხედვით, საქართველო 178 ქვეყნიდან 22-ე ადგილზეა. 1996 წელს, იმავე მაჩვენებლის მიხედვით, საქართველო 123-ე პოზიციაზე იყო. აღნიშნული შედეგით, საქართველო 2014 წელს კვლავაც დარჩა უმეტესად თავისუფალ ქვეყანათა ჯგუფში (იხ. ნახ. 1.6).

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს ეკონომიკის საინვესტიციო სფეროში სახელმწიფოს როლის გაძლიერება ორიენტირებული უნდა იყოს სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლებასა და ბაზრის მონაწილეთა თავისუფლების ხარისხის შენარჩუნებაზე კერძო (მ.შ. უცხოური) ინვესტიციების სტიმულირების პირობებში. ცხადია, ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს ჩართულობის შემდგომ გაფართოებას თავისი ობიექტური საზღვრები გააჩნია, რომლის მასშტაბები დამოკიდებულია:

- დაფინანსების რეალური პოტენციალის მასშტაბებზე;
- კერძო ინვესტიციების სტიმულირების ამოცანების რეალიზების შესაძლებლობებზე და ა.შ.

ნახაზი 1.6.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის ცალკეული კომპონენტები



წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებგვერდი - www.economy.gov.ge

შეზღუდული რესურსების პირობებში, როდესაც ინვესტიციური პროცესის რეალიზების საბაზრო მექანიზმები სრულყოფილად ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული, ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფოს მიერ განხორციელებული საინვესტიციო პოლიტიკა უნდა გულისხმობდეს ინვესტირების პრიორიტეტულ მიმართულებათა შერჩევისა და საინვესტიციო პროცესის მართვის ხარისხის ამაღლების შესაძლებლობათა განვითარებას, შემუშავებული ღონისძიებების მიმართ კომპლექსურ მიდგომას და ქმედებათა თანმიმდევრულობის უზრუნველყოფას.

აქვე დავძენთ, რომ იმ პირობებში, როდესაც საინვესტიციო სტრატეგიის სიმძიმის ცენტრი სახელმწიფოს ინვესტიციური ხარჯების ზრდის ნაცვლად, სულ უფრო მეტად გადადის კერძო ინვესტორის გააქტიურებაზე ორიენტირებული ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებაზე, ქვეყნის საინვესტიციო პოლიტიკის მიზანი უნდა გახდეს პრიორიტეტული დარგების, წარმოებებისა თუ ტერიტორიულ-გეოგრაფიული ერთეულების გააქტიურების ხელშეწყობა და მათი მოტივაციის ზრდა. ამასთან, ამ პოლიტიკას სისტემატური, თანმიმდევრული და დინამიური ხასიათი უნდა ჰქონდეს.

თავი II. რეგიონები და თანამედროვე რეგიონული განვითარების კონცეპტუალური ასპექტები

II.1. თანამედროვე მიდგომები რეგიონის ცნების გაგებისადმი

რეგიონების ინვესტიციური პოტენციალის შესწავლა წარმოუდგენელია თვით რეგიონების განვითარების თანამედროვე პირობების, პრობლემებისა და სამომავლო პერსპექტივების განხილვის გარეშე. აღნიშნული პრობლემატიკა არაერთხელ გახდა ქართველი და უცხოელი ავტორების კვლევის ობიექტი. ამიტომ, ჩვენს მიზანს წარმოადგენს გავაანალიზოთ იგი ინვესტიციური პროცესის და მისი გაუმჯობესებისათვის პირობების შექმნის შესაძლებლობის კუთხით.

რამდენიმე ათეული წლის წინ, რეგიონულ ეკონომიკაში, რეგიონი განიხილებოდა მხოლოდ როგორც მოსახლეობის, ბუნებრივი რესურსების, საქონლისა და მომსახურების წარმოება-მოხმარების თავმოყრის ადგილი. მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისა და თანამედროვე გამოწვევების გათვალისწინებით, ასეთი შეხედულება, აშკარად არასრულყოფილია. მთელ რიგ წამყვან თუ ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში დეცენტრალიზაციისა თუ დეკონცენტრაციის პროცესების გაღრმავების შედეგად ჩნდება აუცილებლობა იმისა, რომ რეგიონი განხილულ იქნას, როგორც სამართლის სრულუფლებიანი სუბიექტი და ეკონომიკური პროცესების მონაწილე - საკუთარი ეკონომიკური ინტერესებით.

რეგიონული განვითარებისა და რეგიონული პოლიტიკის რეგულირების საერთაშორისო გამოცდილება ადასტურებს, რომ აღნიშნული მიდგომა მოიცავს შემდეგ მნიშვნელოვან კომპონენტებს:

1. სახელმწიფო მოწყობის სრულყოფას რეგიონების მნიშვნელობის ზრდის ფონზე;
2. რეგულირების ინსტიტუტების შემდგომ განვითარებასა და მათი სამართლებრივი საფუძვლების გაუმჯობესებას;
3. ეკონომიკური რეგულირების ინსტრუმენტების დახვეწას და აქცენტის გადატანას საბაზრო მეთოდებზე;
4. განსაკუთრებული რეგიონული ფორმების არსებობის შესაძლებლობას.

თანამედროვე რეგიონალისტიკის თეორიაში, ცნება „რეგიონი“ განისაზღვრება, როგორც მრავალფუნქციური და მრავალასპექტიანი ღია სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, რომელსაც გარემოსთან მრავალმხრივი (პირდაპირი და უკუ) კავშირები გააჩნია. ამჟამად, აღნიშნული თვალთახედვით, სულ უფრო მეტად ვითარდება ოთხი ძირითადი კონცეპტუალური სქემა (პარადიგმა): [77, გვ. 138-139]

1. **რეგიონი - კვაზისახელმწიფო** გამოდის, როგორც ეროვნული ეკონომიკის შედარებით განცალკევებული ქვესისტემა. ბევრი ქვეყნისათვის დამახასიათებელია ადრე „ცენტრზე“ მიკუთვნებული ფუნქციებისა და ფინანსური რესურსების ნაწილის აკუმულაცია რეგიონების მიერ. ცენტრიდან რეგიონებზე მეტი ფინანსური რესურსებისა და ფუნქციების გადაცემის გზით, ყალიბდება ცენტრსა და რეგიონებს შორის, ასევე რეგიონთაშორისი ეკონომიკური ურთიერთობების ახალი ფორმები, „რაც უზრუნველყოფს ეროვნული ეკონომიკის სისტემაში რეგიონული ეკონომიკის შედარებით დამოუკიდებელ ფუნქციებს.“ [3, გვ. 15]

ეს პროცესი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან გააქტიურდა და თანდათანობით იკიდებს ფეხს, განსაკუთრებით, ევროპაში. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, საქართველო, რომელიც ევროპაში სრულყოფილი ინტეგრაციისათვის იღწვის, ჯერ-ჯერობით კვლავაც ხასიათდება მმართველობისა და ფინანსური რესურსების ცენტრალიზაციის მაღალი ხარისხით. ასეთი ვითარება უარყოფითად მოქმედებს ცალკეული რეგიონების ეკონომიკური თავისუფლების ხარისხზე, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად უშლის ხელს მათი ინვესტიციური მიმზიდველობის,და შესაბამისად, ინვესტიციური პოტენციალის ამაღლებას.

2. **რეგიონი - კვაზიკორპორაცია** წარმოადგენს საკუთრებისა (რეგიონულის და მუნიციპალურის) და ეკონომიკური საქმიანობის ობიექტს. აუცილებელია აღინიშნოს, რომ მუნიციპალური საკუთრება ოფიციალურად გამოყოფილია რეგიონულისა თუ სახელმწიფოსაგან და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების განკარგულებაში იმყოფება. საქართველოში, ადგილობრივი თვითმმართველობების ფორმალური დამოუკიდებლობის მიუხედავად, ისინი ბევრად არიან დამოკიდებული რეგიონულ (ადმინისტრირების კუთხით) და სახელმწიფო (ფინანსური კუთხით) ხელისუფლებაზე, რაც ჩანს კიდეც ბიუჯეტთაშორის ურთიერთობებში მუნიციპალურ, რეგიონულ თუ სართო-სახელმწიფო დონეებს შორის. როგორც კვაზიკორპორაცია, ურთიერთქმედებს ცენტრთან, ეროვნულ თუ ტრანსნაციონალურ კორპორაციებთან, ერთვება კონკურენტულ

ბრძოლაში არა მხოლოდ საინვესტიციო, არამედ საქონლის, მომსახურებისა და სხვა სახის ბაზრებზე.

ინვესტიციურ პოტენციალთან მიმართებით, გარკვეულწილად, სწორედ ასეთი ბრძოლის შედეგებზე არის დამოკიდებული, ინვესტირების ობიექტების, მსხვილი კორპორაციების და ჰოლდინგების სათაო ოფისებისა თუ ფილიალების განთავსება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, საგადასახადო შემოსულობების ზრდა ადგილებრივ ბიუჯეტში და ა.შ. რეგიონების ნაწილს გააჩნია მნიშვნელოვანი რესურსული პოტენციალი თვითგანვითარებისა და თვითუზრუნველყოფისათვის, უპირველეს ყოვლისა, ფინანსური კუთხით. სამწუხაროდ, უფლებებისა და ფინანსური რესურსების გადანაწილება ცენტრის სასარგებლოდ, მნიშვნელოვნად ამუხრუჭებს ზემოთ განხილულ პროცესებს და ამცირებს ინვესტიციურ პოტენციალს.

3. **რეგიონი - ბაზარი** (საბაზრო სივრცე). რეგიონის განხილვა, როგორც გარკვეული საზღვრების მქონე ბაზრისა, ყურადღებას ამახვილებს მის ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის საერთო პირობებზე. აღნიშნული ეხება ინვესტიციურ და საერთო-სამეწარმეო კლიმატს, ინვესტიციური, სასაქონლო, შრომის თუ ინფორმაციული ბაზრის ფუნქციონირებისა და რეგიონული რეგულირების თავისებურებებს.

ინვესტიციური მიმზიდველობის თვალთახედვით, ზემოთ ჩამოთვლილი სამი პარადიგმიდან უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს, ერთი მხრივ, თანაფარდობა თვირეგულირებას, სახელმწიფო და ადგილობრივ რეგულირებას შორის და, მეორე მხრივ, საზოგადოების მხრიდან ამ პროცესზე სოციალური კონტროლის განხორციელების შესაძლებლობების განვითარება. მართალია, ჩამოთვლილი საკითხები საკმაოდ ზოგადია, თუმცა ინვესტიციურ საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემები მათი განუყოფელი ნაწილია.

ზემოაღნიშნულის ფონზე, შეიძლება გამოიკვეთოს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიცია:

1. საბაზრო ეკონომიკის დომინირება (რადიკალური ლიბერალიზმი);
2. ცენტრალიზებულად მართვადი ეკონომიკა.

თუმცა, ამ ორ ურთიერთსაპირისპირო პოზიციას სულ უფრო ნაკლები მომხრე ჰყავს, რაზეც მნიშვნელოვნად იმოქმედა უკანასკნელმა მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა. თანამედროვე მოსაზრებათა უმრავლესობა ეყრდნობა „სოციალური საბაზრო ეკონომიკის“ პლატფორმას და რეგიონის ეკონომიკაზე მსჯელობის დროს მეტი

ყურადღება ეთმობა ბაზრის ფიასკოს დაძლევას, არასაბაზრო სფეროს განვითარების პრინციპებს, საზოგადოებრივი სიკეთის წარმოებასა და გამოყენებას, ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირებას, კერძო სამეწარმეო საქმიანობის დაცვას ნეგატიური მოვლენებისა თუ შედეგებისაგან და ა.შ.

ცხადია, რეგიონები, სადაც მსგავსი მიდგომები იკიდებს ფეხს და პროცესები ამ მიმართულებით ვითარება, უფრო სასურველია უცხოური თუ ეროვნული კაპიტალისათვის და მათი ინვესტიციური მიმზიდველობა უფრო მაღალია.

4. **რეგიონი - სოციუმი**, ანუ ადამიანთა საზოგადოება, რომელიც მოცმულ ტერიტორიაზე ცხოვრობს, პირველი რიგის ამოცანებად აღიქვამს საკითხებს, როგორებიცაა:

- სოციალური სფეროს განვითარება (განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, კულტურა და სხვ.);
- გარემოს დაცვა;
- დემოგრაფიული საკითხების რეგულირება;
- შრომითი რესურსების განვითარება;
- სოციალური დაცვა, შემწეობები და ა.შ.

ეს წარმოდგენა მოიცავს არამარტო ეკონომიკურ, არამედ კულტურულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ რეგიონის მასშტაბით ადამიანების გაერთიანების სხვა ასპექტებს.

გარდა ამისა, ქართველი მეცნიერ-ეკონომისტები, ყურადღებას ამახვილებენ რეგიონის, როგორც **ეკონომიკური სივრცის**, როგორც მრავალგვარი ობიექტებით, კომუნიკაციური სისტემებით გაჯერებული ტერიტორიის, დასახლებული პუნქტების, სამრეწველო საწარმოების, ათვისებული და რეკრეაციული ფართობების, სატრანსპორტო და საინჟინრო ქსელის, მნიშვნელობაზე. [3, გვ. 138]

რეგიონში მიმდინარე ინვესტიციური პროცესების მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც მაკროეკონომიკური, ისე მიკროეკონომიკური თეორიები. თუმცა, რეგიონის, როგორც კვაზისახელმწიფოს განხილვის დროს, რომელიც რეგიონისა და სახელმწიფოს ეკონომიკებს შორის მსგავსებას ეფუძნება, გამოიყენება მაკროეკონომიკური მიდგომები. მაშინ, როდესაც „რეგიონი - კვაზიკორპორაციისა“ და „რეგიონი - ბაზარის“, „რეგიონი - ეკონომიკური სივრცის“ კვლევის დროს, უფრო მეტად მიმართავენ მიკროეკონომიკურ მიდგომებს.

2010 წელს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული რეგიონული განვითარების 2010-2017 წლების სახელმწიფო სტრატეგიაში რეგიონის ცნება განსაზღვრულია შემდეგნაირად: რეგიონი - „ქვეყნის მდგრადი რეგიონული განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისას განიმარტება როგორც ფუნქციურ-დაგეგმარებითი ერთეული, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციული-ტერიტორიული ერთეულების ერთობლიობას და, როგორც წესი, ემთხვევა საქართველოს სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების სამოქმედო ტერიტორიას. სტრატეგიის მიზნებიდან გამომდინარე, რეგიონად აგრეთვე განიხილება ქ. თბილისი, საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკები და დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული“. [53, გვ. 42]

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პირობებში, ეროვნული და მსოფლიო ეკონომიკური ურთიერთობის როლები არსებითად იცვლება. კერძოდ, წინა პლანზე გამოდის მსოფლიო ეკონომიკური ურთიერთობის პრობლემები. გლობალიზაცია ხელს უწყობს ეროვნული მეურნეობის სახელმწიფოებრივი რეგულირების ფუნქციის დასუსტებას და, შეიძლება ითქვას, გაუფასურებას, ვინაიდან მას ამ პირობებში ნაკლებად ძალუძს ეროვნული მეურნეობის დაცვა უარყოფითი საგარეო ეკონომიკური ზეგავლენისაგან. განსაკუთრებით, ეს ითქმის მცირე სახელმწიფოებზე, მ.შ. საქართველოზე, რომლებსაც ნაკლებად ძალუძთ წინ აღუდგნენ ზემოქმედებას, როგორც დადებითს, ისე უარყოფითს, მათ ეკონომიკაზე. აღნიშნული იწვევს ეკონომიკის დამოკიდებულების ზრდას და, შესაბამისად, გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღებისა და საკუთარი სტრატეგიული ინტერესების დაცვის შესაძლებლობების შეზღუდვას.

არსებულ ვითარებაში, მსოფლიოს ქვეყნები სულ უფრო მეტად ცდილობენ სახელმწიფოთაშორისი რეგიონული კავშირების ჩამოყალიბებას, რის მთავარ მიზანსაც გამძაფრებულ კონკურენციულ ბრძოლაში წარმატების მიღწევა წარმოადგენს. ანალოგიური მიდგომები ვრცელდება სახელმწიფოთა ცალკეული რეგიონებისა თუ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების განვითარების სტრატეგიების ფორმირების დროსაც.

შედეგად, ყალიბდება კავშირები რეგიონებს შორის, რომლებიც, მართალია სახელმწიფოებრივზე მაღლა არ დგას, მაგრამ არც ნაკლები მნიშვნელობის მატარებელია. პირიქით, არ არის გამორიცხული, რომ ამ დონეზე განვითარებული ურთიერთობა უფრო

მრავალმხრივი, ინტენსიური და შედეგიანიც კი იყოს. ამასთან, ერთი რომელიმე ქვეყნის ცალკე აღებულ რეგიონს შეიძლება კავშირი ჰქონდეს სხვა რამდენიმე სახელმწიფოს რეგიონებთან ან ერთი სახელმწიფოს რამდენიმე რეგიონთან. აღსანიშნავია, რომ ასეთი ურთიერთობები სულ უფრო მეტად სცილდება მხოლოდ კულტურულ და საგანმანათლებლო სფეროებს და ვითარდება ბიზნეს ურთიერთობების, ერთობლივი ინვესტიციური პროგრამების რეალიზაციის, დამატებითი რესურსების მოზიდვის მიზნით ერთობლივი პროექტების შემუშავების, ინვესტიციური რესურსებისათვის კონკურენციულ ბრძოლაში ძალისხმევის გაერთიანების და სხვა მრავალი მიმართულებით.

მხედველობაში გვაქვს ინტეგრაციული პროცესების გაღრმავება არამარტო სახელმწიფოებს, არამედ მათ ტერიტორიულ ერთეულებს შორის. საბოლოოდ, აღნიშნული ტენდენცია ორ შედეგს გვთავაზობს:

1. ერთი მხრივ, მსოფლიოს ეკონომიკური თანამეგობრობა გარდაიქმნება ერთიან ეკონომიკურ სისტემად, ორგანიზმად, რომელშიც ეროვნული სოციუმები მსოფლიოს ერთიანი ეკონომიკური ორგანიზმის შემადგენელ ელემენტებად ყალიბდება: „ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულია არამარტო შრომის საერთაშორისო დანაწილებით, არამედ გლობალური ფინანსური სისტემით და პლანეტარული ინფორმაციული ქსელით, აგრეთვე მსოფლიოს წარმოებისა და რეალიზაციის სრუქტურების გიგანტური მასშტაბებით.“ [3, გვ. 24]
2. მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად იზრდება რეგიონული წარმონაქმნების მნიშვნელობა, რომლებიც სულ უფრო მეტ ფუნქციას იღებენ საკუთარ თავზე და, შესაბამისად, ფართოვდება მათი პასუხისმგებლობის ხარისხი და მოქმედების არეალი.

ზემოთქმულის ნათელი მაგალითია ევროკავშირი, როგორც ზესახელმწიფოებრივი წარმონაქმნი და მასში გაერთიანებულ სახელმწიფოთა წიაღში რეგიონების მნიშვნელობის მზარდი ტენდენცია. ზოგადი ტერმინებით, აღნიშნული პროცესები შეიძლება განვსაზღვროთ გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის ტერმინებით. მართალია, შინაარსობრივად ეს ორი ცნება ურთიერთსაპირისპიროა, მაგრამ თანამედროვე ეტაპზე ორივე პროცესი მიმდინარეობს პარალელურად, ისინი ავსებენ და ურთიერთგანაპირობებენ ერთმანეთს.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც ევროკავშირში გაწევრიანებას ცდილობენ, სახელმწიფოებრივი მართვის რეგიონული ასპექტის გაძლიერება, ასევე, არ არის უცხო. მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულიდან, ამ ქვეყნებს ჰქონდათ მხარდაჭერა ევროკავშირიდან სტრუქტურული ხასიათის რეფორმების გასატარებლად. მათ უმეტესობაში, რეგიონული პოლიტიკის მნიშვნელობა უკვე ცალსახად ცნობილია, რაც დეკლარირებულია ბევრ კანონსა თუ სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტში, მაგრამ საფინანსო რესურსების კონტროლის უფლების მიღების შესაძლებლობა გახდა მმართველობის სხვადასხვა რგოლებს შორის დავისა და აზრთა სხვადასხვაობის საფუძველი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკაში, ეკონომიკასა და სახელმწიფო სისტემაში მომხდარი ფუნდამენტური ცვლილებების მიუხედავად, რეგიონული პოლიტიკის განვითარება საბაზრო ურთიერთობების საფუძველზე, ამ ქვეყნებში, მიმდინარეობს შენელებული ტემპებით. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, უკვე არსებულ სტრუქტურებზე დამატებით, ფორმირდება რეგიონების განვითარებისათვის ხელშემწყობი სტრუქტურები, ჩნდება ლოკალური და რეგიონული განვითარების სულ უფრო მეტი ახალი ორგანო.

პრაქტიკულად, ევროკავშირის ყველა ქვეყანა იყენებს ფინანსური სტიმულირების სხვადასხვა მექანიზმს. მსგავსი მიდგომებით, ისინი ცდილობენ მნიშვნელოვნად გაზარდონ ტერიტორიების ინვესტიციური პოტენციალი, დააინტერესონ სამეურნეო სუბიექტები, უცხოური თუ ადგილობრივი მსხვილი კომპანიები შედარებით დაბალგანვითარებულ რეგიონებში წარმოებისა და ინვესტიციების განსათავსებით. აღნიშნული მიზნით, მათზე ვრცელდება სხვადასხვა სახის და მოცულობის ფინანსური შეღავათები, სუბსიდიები სამუშაო ადგილების შექმნისას, დოტაციები - განსაზღვრული მოცულობის ინვესტიციების დაბანდებისას, უადვილდებათ კრედიტების მიღების პროცედურა და ზოგადად, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ექმნებათ შედარებით ხელსაყრელი პირობები ბიზნესის წარმოებისა და კაპიტალის დაბანდებისათვის. [უფრო ვრცლად: 3, გვ.126-139]

მიმდინარე ეტაპზე, სიტყვათაშეთანხმება „რეგიონული განვითარება“, უკვე აღარ მოიცავს მხოლოდ ლოკალური სოციალური თუ ეკონომიკური პროცესებისადმი ხელშემწყობი მექანიზმების შემუშავებასა და რეალიზაციას. არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება რეგიონული მმართველობითი რგოლების საქმიანობაში მენეჯმენტის

თანამედროვე მეთოდებისა და პრინციპების ინტეგრირებას, რათა აქ მიღებული გადაწყვეტილებები უფრო გასაგები გახდეს როგორც ზოგადად ეკონომიკური სისტემისათვის, ისე მისი ცალკეული სუბიექტისათვის, ბიზნესორგანიზაციისა თუ ფიზიკური პირისათვის, არა რომელიმე ცალკე აღებულ ქვეყანაში, არამედ, მთელს მსოფლიოში.

აღნიშნული ძალიან რთული და ხანგრძლივი პროცესია, იგი აღსავსეა წინააღმდეგობებითა და დანერგვის სირთულეებით. სწორედ ამიტომ, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საკითხის როგორც მეცნიერულ კვლევასა და საერთაშორისო გამოცდილების გაცნობას, ისე მისი პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობების ძიებას, რაც მჭიდრო კავშირშია, ზოგადად, სტრუქტურულ ცვლილებებთან. საკითხის აქტუალობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში მისთვის ცალკე პარაგრაფი გამოგვეყო.

II.2. ინოვაციური პრინციპების გამოყენების შესაძლებლობები რეგიონული განვითარების მართვაში

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის პირველ პარაგრაფში აღვნიშნეთ, რომ თანამედროვე ეტაპზე, მნიშვნელოვნად ძლიერდება მომთხოვნელობა სამხარეო თუ მუნიციპალური მმართველობითი დონეების მიმართ. მხედველობაში გვაქვს საზოგადოების სურვილი, რომ საჯარო მმართველობა დაეფუძნოს მართვის თანამედროვე პრინციპებსა და მეთოდებს, რათა იგი უფრო გამჭვირვალე, გასაგები და აღქმადი გახდეს ფართო მასებისათვის. აღნიშნული დადებითად იმოქმედებს გრძელვადიანი პროგრამების შემუშავების ინტენსივობასა და ხარისხზე ცალკეული ბიზნესის, ორგანიზაციისა თუ თუნდაც პიროვნების დონეზე, მათ დადებით ჩართულობასა და აქტიურობაზე.

მართვის სტილისა და პრინციპების მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ვერც ერთი რესპუბლიკა ვერ მოხვდა განსაკუთრებით კარგი ინვესტიციური კლიმატის მქონე 50 ქვეყანაში, ბოლო პერიოდის ანალიზების მიხედვით. არადა, სწორედ ინვესტირების არახელსაყრელი პირობებია ყველაზე მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორი, რომელიც უარყოფითად მოქმედებს როგორც უცხოური ინვესტიციების შემოდინებაზე, ისე ადგილობრივი ბიზნესის გააქტიურებაზე.

ზოგადად, სახელმწიფო მართვაში შეიძლება სამი ძირითადი დონე გამოიყოს:

1) **სტრატეგიული**. იგი მიმართულია მართვის ობიექტის სტრუქტურული გარდაქმნის გრძელვადიანი და ყოვლისმომცველი ხასიათის მქონე ამოცანების გადაჭრაზე. სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხებია:

- პრივატიზაციისა და აქციონირების გრძელვადიანი საქალაქო პროგრამები;
- ქალაქის მონაწილებით ერთობლივი და აქციონერული კომპანიების განვითარების პროგრამები;
- მუნიციპალური სესხები და ვალები;
- მუნიციპალური საკუთრების, საბინაო ამხანაგობების ერთობლივი მართვის ორგანიზაცია, კონდომინიუმების განვითარება და ა.შ.

2) **ტაქტიკური**. მას ახორციელებენ ქალაქის მართვის ძირითადი და თანამდე ამოცანებისა და კრიტერიუმების განხილვების შედეგად. საქალაქო კომპლექსის ტაქტიკური მართვის ამოცანებია:

- ქალაქის ბიუჯეტის უფრო ინტენსიური და სრული შევსება წყაროებიდან, რომლებიც დაკავშირებულია უძრავი ქონებით სხვადასხვა ოპერაციებთან (გადასახადები და უძრავ ქონებაზე სხვა გადასახდელები, კონკურსები და აუქციონები, გაქირავება, პრივატიზაციიდან და ქონების ფლობიდან შემოსავლები და სხვ.);
- მნიშვნელოვანი სოციალური ამოცანების გადაწყვეტა: ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესება, განათლებისა და მეცნიერების მხარდაჭერა, ქალაქის კეთილმოწყობა და ა.შ.;
- ინვესტიციური პროგრამები, მათ შორის კონკურსები და კონტრაქტები ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულისა თუ ცალკეული ობიექტების განვითარებისათვის უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად მიზნობრივი ან პორთფელური ფორმით;
- საქალაქო მასშტაბის კომპლექსური პროგრამები(რეკონსტრუქცია, ბუნების დაცვა და სხვ.);

3) **ოპერატიული**. ეს არის ამოცანების გადაჭრა კონკრეტული ობიექტების დონეზე. ოპერატიული დონის ამოცანებია:

- მუნიციპალური მრავალპროფილიანი საცხოვრებელი და კომერციული ობიექტების მართვა;

- იჯარის პირობებისა და ვადების განსაზღვრა დანახარჯების სტრუქტურის მიხედვით: რემონტზე, კომუნალურ მომსახურებაზე, ენერგიაზე, დაზღვევაზე, ზარალის კომპლექსურ ანაზღაურებაზე და ა.შ.
- უძრავი ქონების გამოყენების მიმართულებებზე შეზღუდვების დაწესება, მუნიციპალური მესაკუთრის მხრიდან კონტროლის პირობების განსაზღვრა და სხვ;
- იჯარის ვადების, საიჯარო თანხის მოცულობის, სხვა პირობების გაახლების წესების ჩამოყალიბება, განსაზღვრა, რაც დაკავშირებულია უძრავი ქონების შეფასებასთან.

ზემოაღნიშნული საკითხების გარდა, არსებობს ინფრასტრუქტურული ხასიათის ამოცანების საკმაოდ ვრცელი ჩამონათვალი, რომელთა გადაჭრა არსებითად მოქმედებს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მართვის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მათ შორის:

- კადრების მომზადება;
- სპეციალისტების მომზადებისა და სერთიფიცირების სისტემის გამართული ფუნქციონირება;
- დამოუკიდებელი საექსპერტო სტრუქტურების ფორმირება;
- მართვის მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა; საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი ეროვნული სტანდარტების შემუშავება (შეფასების, ინვენტარიზაციის, ტერმინოლოგიის და ა.შ. სფეროში);
- სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერა;
- ინფორმაციული ბაზების ფორმირება, მათი ხელმისაწვდომობა და ა.შ.

მმართველობის თანამედროვე სტილის დამკვიდრების აუცილებლობა განსაკუთრებით შესამჩნევია რეგიონების სტრატეგიულ მართვაში, რომლის დომინირება ზოგადად მმართველობით საქმიანობაში, ევროპული თვალთახედვით, ახლებურ ხედვებსა და დამოკიდებულებას საჭიროებს. [64, გვ. 15]

უპირველეს ყოვლისა, სასიცოცხლოდ აუცილებელია, რომ სტრატეგიულ გამოწვევებზე მსჯელობის დროს გათვალისწინებულ იქნას სამოქალაქო უფლებები, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ცალკეული პიროვნებისა თუ ორგანიზაციის ფართო და ღია ჩართულობას, მათ მიერ საკუთარ პრიორიტეტებზე აქცენტირებული დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებას, რომელიც

თავისუფალი იქნება სახელმწიფოს მხრიდან უხეში ზემოქმედებისაგან. აღნიშნულის აუცილებლობა განსაკუთრებით იკვეთება გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ 2008-2010 წ.წ. მსოფლიო კრიზისმა ბევრი არაერთგვაროვანი კითხვა წარმოშვა თავისუფლების ზოგადად და მისი ხარისხის საკითხის მიმართ. მიმდინარე ეტაპზე, ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ განხილვად საკითხად კვლავაც რჩება და აქტუალობას არ კარგავს თავისუფალი ბაზრისა და სახელმწიფო რეგულირების ურთიერთშეხამების თემა, მიუხედავად იმისა, რომ ამ პრობლემას არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა, შეიქმნა მთელი მიმდინარეობები და სკოლები, რომლებიც მას იხილავს და ა.შ.უკანასკნელ პერიოდში, რეგულირება-დერეგულირების საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა სტრატეგიული პერსპექტივების ჭრილში, რომელიც პროცესების განვითარებასა და ქმედებების განხორციელებას მოითხოვს შესაბამისი აზროვნების საფუძველზე.

აღნიშნული თვალთახედვით, სულ უფრო დიდი ნაპრალი ჩნდება სახელმწიფოსა და ეკონომიკას შორის ურთიერთობის ფორმის განმსაზღვრელ ურთიერთ დაპირისპირებულ ორ მიდგომას შორის - დერეგულირება უნდა ნიშნავდეს:

1) რეგულირების უფრო მისაღებ დონეს, თუ
2) რეგულირების საერთოდ არარსებობას?

უკანასკნელი წლების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ცალკეულ სფეროებში რეგულირების სიმწირე მთელი რიგი ქვეყნების ეკონომიკებს ძალიან მძიმე ტვირთად დააწვა. მართალია, არსებობს ცალკეული გამონაკლისებიც, მაგრამ ეს ოპტიმიზმის საშუალებას ნაკლებად იძლევა. გასათვალისწინებელია საპირისპირო ვითარებასთან დაკავშირებული სირთულეებიც - გულისხმობს თუ არა რეგულირება ახალი კანონებისა და დამატებითი რეგულაციების შემუშავებას თუ უბრალოდ, საუბარია ბალანსის უზრუნველყოფასა და შენარჩუნებაზე.

შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ეხება ცვლილებებს მსოფლმხედველობასა და დამოკიდებულებებში, სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობათა ახლებურად გააზრებას ეხება. ბოლო ათწლეულებში, სულ უფრო ხშირია მსჯელობა სახელმწიფოს, ტერიტორიულ ერთეულებსა და მოსახლეობას შორის ურთიერთობის ფილოსოფიის ცვლილებაზე და თანამედროვე მიდგომების საფუძველზე, მიმდინარეობს ჩანაცვლება პარადიგმისა - „ზემდგომი სახელმწიფო/ მუნიციპალიტეტი“ მოდელით „თანამშრომლობითი სახელწიფო/მუნიციპალიტეტი“,

რათა უზრუნველყოფილ იქნას ჩართულობა და მიღწეული ახალი ერთობლივი პასუხისმგებლობა, რომელიც მომავალში დაეფუძნება ურთიერთობათა მოდელებს: „მოტივაციის მიმცემი/ხელშემწყობი სახელმწიფო“ და „მდგრადი თანამონაწილეობითი მუნიციპალიტეტი“. იხ. ნახ 2.1. [69, 09.09.13]

ნახაზი 2.1.

თანამშრომლობითი მმართველობა

ვითარებიდან: „მოქალაქე, როგორც საგანი (ობიექტი)“

მოდელი: სახელმწიფო - ზემდგომი



ვითარების: „მოქალაქე, როგორც კლიენტი“ გავლით

მოდელი: სახელმწიფო - თანამშრომელი



ვითარებისაკენ: „მოქალაქე, როგორც პარტნიორი“

მოდელი: სახელმწიფო - მამოტივირებელი



ტერმინი „თანამონაწილეობითი“ აღწერს და ახასიათებს პროცესსა თუ სისტემას, რომლებშიც ყველა მონაწილეს შესწევს უნარი ზემოქმედება მოახდინოს მიმდინარე პროცესებზე და რომლებშიც არ არის პასიური მონაწილეები, თუ გარე მაყურებლები, განაწილებულია ფუნქციები და პასუხისმგებლობები. თანამშრომლობითი მმართველობა გულისხმობს მოქალაქეთა განცდას და აღქმას, რომ ისინი არიან თანაბარუფლებიანი პარტნიორები და პროცესების სრულფასოვანი თანამონაწილეები.

შედეგად, ვღებულობთ მდგრად, განვითარებაზე ორიენტირებულ ადგილობრივ თვითმმართველობებს, მათ საქმიანობაში თანამშრომლობაზე დაფუძნებულ აქტიურ ჩართულობას მოქალაქეთა, ბიზნეს-წრეებისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან. ყოველივე ზემოაღნიშნული გულისხმობს მოქალაქეთა კონსტრუქციულ, აქტიურ კონტრიბუციას რეგიონული განვითარების მიმართ და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების მხარდაჭერას, ხისტი ოპონირების ნაცვლად. [36, გვ. 102]

არანაკლებ მნიშვნელოვანია მომავლის აწმყოზე უპირატესობის პრინციპი. პოლიტიკაში (მ.შ. რეგიონულ პოლიტიკაში), გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ჩვენ ვაწყდებით თანამედროვე პრობლემებს და ხშირად ვივიწყებთ მჭიდრო ურთიერთკავშირის შესახებ თანამედროვე გადაწყვეტილებებსა და იმ სტრატეგიულ გამოწვევებს შორის, რომელთა გადაჭრასაც მომავალში ძალიან ბევრი დრო და ძალისხმევა უნდა მოვახმაროთ. მართალია, მსგავსი კავშირების უგულვებელყოფა, შეიძლება უზრუნველყოფდეს წარმატებებს მიმდინარე ეტაპზე, მაგრამ აუცილებლად გამოიწვევს სერიოზულ სირთულეებს მომავალში და მათი ოდენობა თუ სიმწვავე გამუდმებით გაიზრდება. აწმყოზე მომავლის უპირატესობაში უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჩვენ ვღებულობთ გადაწყვეტილებებს სულ მცირე პლიუს ერთი თაობის პერსპექტივის გათვალისწინებით.

აღნიშნულ შემთხვევაში, ცხადია, ჩვენ უზრუნველვყოფთ სტრატეგიული პერსპექტივების გათვალისწინებას. თუ ეს პრინციპი სახელმწიფო მმართველობის საფუძველი გახდება, მან უნდა დაიწყოს დომინირება მიმდინარე პროგრამებსა და პოლიტიკებში. სახელმწიფოებრივი მართვის ნებისმიერ დონეზე ხელმძღვანელის ქმედებები უნდა ეყრდნობოდეს წარსული გამოცდილების მაგალითებს, იგი კარგად უნდა ხვდებოდეს თანამედროვე პრობლემებს და მაქსიმალურად ითვალისწინებდეს მომავლის პერსპექტივებს. მართალია, ყოველივე ზემოაღნიშნული, ძალიან ბევრი წინააღმდეგობის გადალახვასთან იყოს დაკავშირებული, მაგრამ, რაც მთავარია,

მიღწეულ იქნება მჭიდრო კავშირი წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის, ხოლო სტრატეგიული მიზნები აღმოჩნდება ინტეგრირებული როგორც ოპერატიულ, ისე გრძელვადიან მმართველობით საქმიანობაში.

კიდევ ერთი სიახლე თანამედროვე მენეჯმენტში გულისხმობს მიზანსწრაფულობის უპირატესობას პრეტენზიულობასთან შედარებით. აღნიშნული პრინციპი გამოხატულია კონფრონტაციით მსოფლმხედველობის ორ ტიპს შორის. პირველი ასახავს პოზიციას პიროვნებისა, რომელიც ფიქრობს, რომ სახელმწიფო და, ზოგადად, ყველა ირგვლივ, უნდა აკეთებდეს ყველაფერს მისთვის და ამას მათ ვალდებულებად თვლის. მეორე დამოკიდებულების შემთხვევაში მოქალაქე მზადაა მიაღწიოს წარმატებას საკუთარი თავისთვისაც და სხვებისათვისაც, თანაც სხვებთან ერთად. მსგავსი დამოკიდებულებები ნათლად მიუთითებენ განსხვავებაზე პრეტენზიულ და მიზანსწრაფულ საზოგადოებებს შორის. თანამედროვე გამოწვევების გათვალისწინებით, ჩვენ უნდა ვეცადოთ ავაშენოთ კეთილდღეობისაკენ მისწრაფებული მშრომელი საზოგადოების სახელმწიფო, რომელიც ორიენტირებული იქნება სამუშაო ადგილების შექმნით სიღარიბის დაძლევაზე, ანუ დასაქმების მაჩვენებლის ზრდით მოქალაქეთა ცხოვრების დონის ამაღლებაზე. ამასთან, ამ მოდელის დანერგვა სწორედ რეგიონის დონეზე, მისი სტრატეგიული განვითარების პროგრამის ფორმირების ფარგლებში გვესახება შესაძლებლად.

ჩვენი აზრით, სწორედ მსგავსი მსოფლმხედველობა უნდა დაედოს საფუძვლად რეგიონების განვითარების მართვას, სტრატეგიული მონახაზის ფორმირებისა და რეალიზაციისათვის საჭირო კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას.

II.3. რეგიონული ფაქტორების გავლენა კომპანიათა ინვესტიციური ქცევის მოდელირების მოტივაციური მექანიზმის ფორმირებაზე

ინვესტიციების თეორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კორპორაციის ინვესტიციური ქცევის პრობლემის კვლევას და მის მოდელირებას მრავალფეროვანი შიდა თუ გარე ფაქტორების ზემოქმედების გათვალისწინებით. ამასთან, ქმედებათა ფორმირების საფუძვლების შესწავლა ინვესტიციათა თეორიის შედარებით ახალი მიმართულებაა და ინვესტიციური მენეჯმენტის სისტემაში მაღალეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ყოველივე ზემოთქმული, სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, თავს

იყრის კორპორაციის ინვესტიციურ პოლიტიკაში, რომელიც საქართველოს რეალობაში ნაკლებად შესწავლილ სფეროს წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ მისი აქტუალობა ეჭვს არ იწვევს.

კორპორაციის ინვესტიციური პოლიტიკის შემუშავების დროს დაცულ უნდა იქნას შემდეგი პრინციპები:

- ინვესტიციური პოლიტიკის მიმართვა კორპორაციის სტრატეგიული გეგმებისა და მისი ფინანსური მდგრადობის მიღწევაზე;
- ინფლაციისა და რისკის ფაქტორის გათვალისწინება;
- ინვესტიციათა ეკონომიკური დასაბუთება;
- პორთფელური და რეალური ინვესტიციების ოპტიმალური სტრუქტურის ფორმირება (თუ ამის შესაძლებლობას იძლევა ქვეყანაში და რეგიონში არსებული ეკონომიკური ვითარება, საგარეო ეკონომიკური კავშირების ხასიათი, ფინანსური ბაზრების განვითარებულობა და ა.შ.);
- ინვესტიციური პროექტების რანჟირება მნიშვნელოვნებისა და თანმიმდევრულობის მიხედვით, არსებული რესურსებიდან გამომდინარე და საგარეო წყაროების მოზიდვის შესაძლებლობების გათვალისწინებით;
- ინვესტიციათა დაფინანსების შედარებით იაფი და საიმედო წყაროებისა და მეთოდების შერჩევა;
- ინვესტიციური სტრატეგიის აგების დროს საერთო-სახელმწიფო და ადგილობრივი ფაქტორების გათვალისწინება და სხვ.

აღნიშნული და სხვა პრინციპების გათვალისწინება საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ შეცდომები და უზუსტობები კორპორაციის ინვესტიციური პოლიტიკის შემუშავების რთული და შრომატევადი პროცესის დროს.

თანამედროვე ეტაპზე, კორპორაციათა ინვესტიციური ქცევის შესწავლა რამდენიმე ასპექტზე ყურადღების კონცენტრირებით ხორციელდება:

პირველი - იგი მნიშვნელოვნად აფართოებს კორპორაციის ფუნქციონირების შიდა და გარე გარემოს პირობათა სპექტრს, რომლებიც ზემოქმედებენ მათი ინვესტიციური გადაწყვეტილებების დასაბუთებაზე;

მეორე - ინვესტიციური საქმიანობის სხვადასხვა ეტაპზე, იგი აღრმავებს კომპანიის ინვესტიციური ქმედების მოტივაციური კრიტერიუმების სისტემას;

მესამე - იგი მიმართულია ინვესტიციური ქმედების ალტერნატიული მოდელების შერჩევის მოტივაციასთან დაკავშირებული პროგნოზირების ცალკეული მაჩვენებლების მეთოდოლოგიური აპარატის სრულყოფაზე.

ინვესტიციური ქცევის მოდელი ახასიათებს სამეურნეო სუბიექტების მოტივაციის სისტემის თეორიულ კონცეფციას, რომელიც აიძულებს მათ განახორციელონ ინვესტიციური საქმიანობა ფუნქციონირების ყველა ეტაპზე და გამოვლენის ყველა ფორმაში. ინვესტიციური ქცევის თეორია ეფუძნება იმ დაშვებას, რომ ყველა მეურნე სუბიექტი მოქმედებს რაციონალურად, ცდილობს რა მოახდინოს თავისი ინვესტიციური საქმიანობის ეფექტის მაქსიმიზირება. თანამედროვე გამოკვლევების შედეგების სინთეზირების საფუძველზე, განვიხილოთ კორპორაციის ინვესტიციური ქცევის მოდელის თეორიული კონცეფციის ძირითადი შინაარსი.

კორპორაციათა ინვესტიციური ქცევის თეორია, სისტემატიზირებას უკეთებს რა მეურნე სუბიექტთა ინვესტიციურ საქმიანობაში ჩაბმის მოტივებს, ამ უკანასკნელთ ჰყოფს ორ ძირითად ჯგუფად: ეკონომიკურად და არაეკონომიკურად (ინსტიტუციონალურად). კომპანიათა მიერ ინვესტიციური გადაწყვეტილების მიღების არაეკონომიკური მოტივები, როგორც წესი, ინდივიდუალერ ხასიათს ატარებენ და განისაზღვრებიან კორპორაციის მიზნებით, მისი საერთო სტრატეგიით, პერსონალის შემადგენლობით, გარემო პირობების ხასიათით და ა.შ. მართალია, ეკონომიკურ მოტივებთან მიმართებაში ისინი დაქვემდებარებულ მდგომარეობაში იმყოფებიან, მაგრამ განვითარების გარკვეულ ეტაპებზე ცალკეულმა ეკონომიკურმა მოტივმა შეიძლება პრიორიტეტული ხასიათიც შეიძინოს.

ეკონომიკური მოტივები დაკავშირებული არიან საერთო ეკონომიკური კანონების მოქმედებასთან და უფრო უნიფიცირებულ ხასიათს ატარებენ, თუნდაც სრულიად განსხვავებული მეურნე სუბიექტებისათვის. თანამედროვე ეტაპზე კორპორაციათა ინვესტიციური საქმიანობის თავისებურებები განაპირობებენ ინვესტიციური ქცევის მოდელირების აუცილებლობას, როგორც ეკონომიკური, ისე არაეკონომიკური მოტივაციების გათვალისწინებით.

ინვესტიციური გადაწყვეტილების მიღების არაეკონომიკური მოტივაციის სისტემაში წამყვან როლს ასრულებენ სოციალური მოტივები, რომლებიც კომპანიის პერსონალის სოციალური განვითარების სხვადასხვა ასპექტებთან არიან

დაკავშირებული. ამავე ჯგუფის შემადგენლობაში შედიან აგრეთვე ეკოლოგიური, ინოვაციური, ეთიკური, პოლიტიკური და სხვა მოტივები.

კორპორაციათა ინვესტიციური ქცევის ეკონომიკური მოტივაციის საფუძველს შეადგენს ინვესტიციური მოგების მოსალოდნელი დონე, საკრედიტო ბაზარზე პროცენტის ნორმასთან მიმართებით. ეს ორი ურთიერთდაკავშირებული კრიტერიუმი წარმოადგენს ჯერ კიდევ ჯ.მ. კეინსის მიერ ფორმირებული „ინვესტირების ზღვრული სარგებლიანობის“ კანონის საფუძველს. ამ კანონის მიხედვით კომპანია, ისწრაფვის რა ინვესტიციური მოგების მაქსიმიზაციისაკენ, გააგრძელებს კაპიტალის დაბანდებას ახალ ინვესტიციურ პროექტებში (ინსტრუმენტებში), რომელთათვისაც თანხებს ისესხებს მანამ, სანამ მათი რეალიზაციიდან მიღებული მოგება საკრედიტო რესურსების ღირებულებაზე მეტი იქნება.

თანამედროვე ინვესტიციურმა თეორიამ ორივე კრიტერიუმი დააზუსტა უკანასკნელი პერიოდის გამოკვლევების შედეგების გათვალისწინებით. რა თქმა უნდა, მოგება - ეს ინვესტიციების განხორციელებისათვის უმნიშვნელოვანესი მამოძრავებელი ეკონომიკური მოტივია, რომელიც ინვესტორის კეთილდღეობის ზრდას უზრუნველყოფს, მაგრამ თანამედროვე მეცნიერ-ეკონომისტები ასეთ საკრიტერიუმო მაჩვენებლად მხოლოდ წმინდა ინვესტიციურ მოგებას განიხილავენ, რომელიც „გასუფთავებულია“ გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელებისაგან. გარდა ამისა, დადგენილია, რომ წმინდა ინვესტიციური მოგების დონე მჭიდროდ კორელირებს ინვესტიციური რისკების დონესთან. ამიტომ, მხედველობაში უნდა მივიღოთ ინდივიდუალური ინვესტიციური რისკი თითოეული პროექტის (ინსტრუმენტის) მიხედვით. ბოლოს, დროებითი უპირატესობის ნორმის გათვალისწინებით, მომავალში მისაღები მოსალოდნელი წმინდა ინვესტიციური მოგების თანხობრივი მოცულობა მიმდინარე ღირებულებამდე უნდა იქნას დაყვანილი.

საკრედიტო ბაზარზე პროცენტის ნორმა სასესხო კაპიტალის ღირებულებას ახასიათებს. იმავდროულად, სამეურნეო სუბიექტთა ინვესტიციურ საქმიანობაში ერთვება არამხოლოდ მოზიდული (მ.შ. ნასესხები), არამედ საკუთარი (მ.შ. დაზოგილი) კაპიტალიც. ამ შემთხვევაში, შედარების საფუძვლად გამოდის არა სესხზე საპროცენტო განაკვეთი, არამედ ინვესტიციურ რესურსად მოზიდული კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება.

განხილული მოტივაციის სისტემის გათვალისწინებით ფორმირდება კორპორაციის ინვესტიციური ქცევის მოდელი, მისი ინვესტიციური საქმიანობის განხორციელების კონკრეტული თანმიმდევრული ეტაპების ჭრილში. აღნიშნული მოდელი, ახდენს რა ინვესტიციურ გადაწყვეტილებათა ცალკეული ჯგუფების მოტივაციის დიფერენცირებული სისტემის ფორმირებას, ინვესტიციური საქმიანობის სხვადასხვა ასპექტებს მოიცავს. მათ შორის:

1. **საკუთარი ინვესტიციური რესურსების მობილიზაცია-დაგროვების მოტივაცია.**

თავდაპირველად, აღნიშნული ასპექტი გარკვეულწილად უკავშირდებოდა ინდივიდების ფსიქოლოგიურ თავისებურებებს. ასე მაგალითად, სენიორის „შეკავების თეორიას“, რომელიც დაკავშირებულია ინვესტიციური რესურსების ფორმირებასთან, საფუძვლად უდევს ქცევა ადამიანისა, რომელიც თავს იკავებს მის განკარგულებაში არსებული სახსრების არასაწარმოო გამოყენებისაგან და შეგნებულად უპირატესობას ანიჭებს საწარმოო მოხმარებას. ეს კი, ახდენს არა მიმდინარე, არამედ გადადებული მოხმარების ფორმირებას.

კეინსი, თავის მხრივ, დაზოგვისადმი მიდრეკილებას განიხილავს, როგორც ძირითადი ფსიქოლოგიური კანონის გამოვლენას. აღნიშნულ მოსაზრებას მხარს უჭერს ცნობილი ეკონომისტი პ. სამუელსონიც. იგი აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არ არსებობს მომგებიანად ინვესტირების რეალური შესაძლებლობები, ინდივიდი ხშირად მაინც დაზოგვისაკენ იხრება. [89, გვ. 206]

თუმცა, ფსიქოლოგიური მიდრეკილება დაზოგვისადმი, ანუ კაპიტალის, როგორც ინვესტიციური რესურსის დაგროვებისადმი, რეალიზდება გარკვეული ეკონომიკური წინაპირობების არსებობისას.

ერთ-ერთი ასეთი წინაპირობაა მეურნე სუბიექტების მიერ ძირითადი (საოპერაციო) საქმიანობიდან მიღებული მოგების დონე. აღნიშნული დაკავშირებულია იმასთან, რომ შემოსავალი (მოგება) წარმოადგენს საკუთარი ინვესტიციური რესურსის დაგროვების ძირითად წყაროს. ამასთან, რაც მაღალია მისი დონე, მით უფრო მეტია შესაძლებლობა დაკმაყოფილებულ იქნას მიმდინარე მოთხოვნები და მოხდეს დაგროვების ფორმირება. უნდა აღინიშნოს, რომ დანაზოგები (კაპიტალის, როგორც ინვესტიციური რესურსის დაგროვება), როგორც ასეთი, შემოსავალს არ ქმნიან. ამისათვის, ისინი ინვესტიციურ პროცესში უნდა იქნან ჩართული. ამგვარად, საკუთარი ინვესტიციური რესურსების

დაგროვების ინტენსივობა წარმოადგენს კორპორაციის მოგების ფუნქციას, რომელიც პასიურ ხასიათს ატარებს.

მეორე ასეთ წინაპირობას წარმოადგენს პროცენტის ნორმა. ნებისმიერი მეურნე სუბიექტი, რომელმაც იცის პროცენტის მიმდინარე ნორმა, ახდენს საკუთარი შემოსავლების დროში განაწილების ოპტიმიზირებას, მათ მოხმარებასა და ინვესტიციურ რესურსად დაზოგვას შორის სასურველი თანაფარდობის უზრუნველყოფითა და შენარჩუნებით.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე შემოსავლის მომავლის შემოსავლებად გარდაქმნა შესაძლებელია მხოლოდ ინვესტირების გზით. ამასთან, ი. ფიშერის ფორმულირებით, პროცენტის ნორმა აყალიბებს საკუთარი ფინანსური რესურსების დაგროვების მოტივაციის ორ განსხვავებულ მექანიზმს:

- პირველი - პროცენტის ნორმის შემცირება ფინანსურ ბაზრებზე ახდენს შემოსავლების დაუყოვნებელი მოხმარების სტიმულირებას, ხოლო მისი მომატება - დაზოგვის ზრდას (ი. ფიშერის ტერმინოლოგიით - „ჩანაცვლების ეფექტი“);
- მეორე - პროცენტის ნორმის და შესაბამისად მომავალი შემოსავლების ზრდა, კვეცავს მიმდინარე დაზოგვის ბაზას იმის გამო, რომ ინვესტიციურ პროცესში გამოყენებული დანაზოგების ნაკლებ თანხას შეუძლია მეურნე სუბიექტს მომავალში დიდი შემოსავალი მოუტანოს და შესაბამისად, მას შეუძლია გაზარდოს მიმდინარე მოხმარება და უზრუნველყოს უცვლელი შემოსავალი მომავალი პერიოდისათვის (ი. ფიშერის ტერმინოლოგიით „შემოსავლების ეფექტი“). იმაზე, თუ მოტივაციის რომელი მეთოდი იქნება კორპორაციისათვის უფრო ქმედითი, დამოკიდებულია საკუთარი კაპიტალის, როგორც ინვესტიციური რესურსის დაგროვების დონეზე.

2. **დაგროვებული კაპიტალის ინვესტიციურ პროცესში გამოყენების მოტივაცია.**

აღნიშნული მოტივაცია, კორპორაციის ინვესტიციური ქმედების მოტივების დამოუკიდებელ ჯგუფში შედარებით გვიან იქნა შეტანილი. ინვესტიციების თეორიაში დიდი ხნის განმავლობაში დომინირებდა მოსაზრება, რომ სამეურნეო სუბიექტების ყველა დანაზოგი ძალიან სწრაფად ავტომატურად გადაიქცევა ინვესტიციებად. თეორიული დასკვნა დანაზოგების მოცულობისა და რალიზებული ინვესტიციების

თანხობრივი ტოლობის შესახებ, თავის დროზე გაკეთებული აქვთ ა. სმიტს, ჯ.მ. კეინსს და სხვა მკვლევარებს. მხოლოდ მოგვიანებით, ნეოკონსერვატული სკოლის წარმომადგენლმა - კ. ვიკსელმა დაამტკიცა, რომ რაოდენობრივ გამოხატულებაში დანაზოგები და ინვესტიციები ტოლი არ არის.

ცალკე აღებული სამეურნეო სუბიექტის (და შესაბამისად, მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის) დონეზე მოცემული მაჩვენებლების უთანაბრობა განისაზღვრება იმით, რომ დანაზოგებს, ინვესტიციური რესურსების სახით ინვესტიციურ პროცესში გამოყენების შესაძლებლობის პოტენციალის გარდა, გააჩნიათ კიდევ ერთი ალტერნატიული გამოყენება. აღნიშნულში ვგულისხმობთ იმას, რომ ისინი ფულადი სახსრების და ცალკეული სახის სასაქონლო მატერიალური ფასეულობების მარაგის სახით შეიძლება გამოყენებულ იქნან კორპორაციის საქმიანობის სადაზღვევო რეზერვად, რომელიც მის ლიკვიდურობას უზრუნველყოფს.

დანაზოგების განაწილება ინვესტირების მიზნებისა და ლიკვიდურობის უზრუნველყოფაზე დაკავშირებულია ორ სპეციფიკურ ცნებასთან - „ინვესტირებისადმი მიდრეკილებასა“ და „ლიკვიდურობის უპირატესობასთან“. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ტერმინები სამეცნიერო ტერმინოლოგიაში შემოღებულ იქნა ინვესტიციური პროცესების გამოსაკვლევად მაკროეკონომიკურ დონეზე, ისინი ასევე წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნას ცალკეული მეურნე სუბიექტის ინვესტიციური ქმედების ანალიზისათვის.

მიკროეკონომიკური თვალსაზრისით, „ინვესტირებისადმი მიდრეკილება“ გულისხმობს ინვესტიციურ პროცესში კორპორაციის დანაზოგების რეალიზაციის პირობებს ან მეურნე სუბიექტის მიერ ინვესტიციური მოთხოვნის ფორმირებას, საკუთარი ინვესტიციური რესურსების გამოყენების ხარჯზე.

„ლიკვიდურობის უპირატესობაში“ უნდა ვიგულისხმოთ მეურნე სუბიექტის მიერ საკუთარი დანაზოგების ხარჯზე ფულადი სახსრების და სასქონლო-მატერიალური ფასეულობების სადაზღვევო მარაგის ფორმირება, რომლებიც უახლოეს პერიოდში ინვესტიციურ პროცესში არ ჩაერთვება. ზემოთ მოყვანილი განსაზღვრებების გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ დანაზოგების სიჭარბე საკუთარი რესურსებით დაფინანსებად ინვესტიციებთან შედარებით, ახასიათებს კორპორაციის ლიკვიდურობის სადაზღვევო მარაგს.

კორპორაციათა დანაზოგების ინვესტიციებად გარდაქმნის ერთ-ერთი მთავარი მოტივია კაპიტალის (რომელიც ინვესტიციურ პროცესში ჩაირთვება) დაგროვების უნარი. დანაზოგების ინვესტიციურ პროცესში გამოყენების გაფართოების კვალობაზე, ინვესტიციური მოგების ნორმა შემცირების ტენდენციით ხასიათდება, რაც კაპიტალის მწარმოებლურობის შემცირებასთან არის დაკავშირებული. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ საყოველთაო კანონს ცალკეული მეურნე სუბიექტის დონეზე, ფუნქციონირების ამა თუ იმ ეტაპზე ბევრი გამონაკლისიც ახასიათებს, რაც შეიძლება განპირობებული იყოს: მათი სასიცოცხლო ციკლის სტადიით; ბაზრის შერჩეულ სეგმენტში საქმიანი აქტივობის დონით; შერჩეული ინვესტიციური პროექტების (ინსტრუმენტების) ინვესტიციური მიმზიდველობის დონით და ა.შ.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცალკეული მეურნე სუბიექტის ინვესტიციური მოგების დონე (ნორმა) შეიძლება საკმაოდ დიდ დიაპაზონში მერყეობდეს, რაც განაპირობებს კიდეც კორპორაციათა დანაზოგების ინვესტიციებად გარდაქმნის პროცესის ინტენსივობის განსხვავებულ ხარისხს (ძირითადად მოტივაციის განსხვავებული ხარისიხის გამო).

ინვესტიციურ პოცესში დანაზოგების რეალიზაციის ეფექტურობის უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმს წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ფინანსურ ბაზარზე ფორმირდება. იმისათვის, რომ კორპორაციათა დანაზოგები გამოყენებულ იქნან ინვესტიციური და არა საკრედიტო რესურსის სახით, ინვესტიცრებიდან მოსალოდნელი მოგების ნორმა უნდა აჭარბებდეს ფინანსურ ბაზარზე ჩამოყალიბებულ საპროცენტო განაკვეთს. ამგვარად, საპროცენტო განაკვეთი შეიძლება განვიხილოთ, როგორც საშუალო ფასი (ჯილდო) მეწარმის მიერ დანაზოგების ლიკვიდურობის მარაგის სახით გამოყენებაზე უარისათვის და ინვესტიციებში მათი ტრანსფორმირებისათვის.

ზემოაღნიშნულის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ კორპორაციის მიერ დანაზოგების ფორმირებას და მათ ინვესტიციებად გადაქცევას განსხვავებული სამოტივაციო მექანიზმები გააჩნიათ. თუ დანაზოგების ფორმირების ინტენსივობა კორპორაციის შემოსავლებზეა დამოკიდებული (ე.ი. დანაზოგები შემოსავლების ფუნქციაა), მაშინ დანაზოგების ხარჯზე დასაფინანსებელი ინვესტიციები დამოკიდებული არიან საპროცენტო განაკვეთის დონეზე (ე.ი. ინვესტიციები საპროცენტო განაკვეთის ფუნქციაა). აღნიშნული მოტივაციური მექანიზმების

განსხვავებები აუცილებლად უნდა იქნან გათვალისწინებული საწარმოს ინვესტიციური ქმედების მოდელირების პროცესში.

3. **რეალური ან ფინანსური ინვესტიციების ალტერნატიული განხორციელების მოტივაცია.**

აღნიშნული მოტივაცია განსაკუთრებით რთული მექანიზმით ხასიათდება, ვინაიდან დაკავშირებულია მრავალი ეკონომიკური თუ ინსტიტუციონალური ფაქტორის მოქმედებასთან. უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური კრიტერიუმი, რომელიც განსაზღვრავს კორპორაციის მიერ ინვესტიციური საქმიანობის პროცესში ფინანსური და რეალური ინვესტიციების ალტერნატიულ არჩევანს, წარმოადგენს მოსალოდნელი წმინდა ინვესტიციური მოგების ნორმა. რეალური და ფინანსური ინვესტიციების განხორციელების პროცესში, აღნიშნული მაჩვენებლის ფორმირებაზე საპროცენტო განაკვეთი ურთიერთსაპირისპირო ზეგავლენას ახდენს.

ჯერ კიდევ კლასიკურმა ინვესტიციურმა თეორიამ გამოიტანა დასკვნა, რომ რეალური საპროცენტო განაკვეთის ცვლილება ზემოქმედებს რეალური პროექტების მიხედვით წმინდა ინვესტიციური მოგების სიდიდეზე.ეს იმიტომ, რომ განაკვეთის მატებისას, ინვესტირებით ფორმირებული კაპიტალური აქტივების დისკონტირებული ღირებულება (და ამის შედეგად რეალურ კაპიტალურ აქტივებში ინვესტირების მოტივაცია) იკლებს.

პირიქით - თუ დროის გარკვეულ მონაკვეთში საპროცენტო განაკვეთს კლების ტენდენცია გააჩნია, რეალური ინვესტიციების შედეგად ფორმირებული მომავალი კაპიტალური აქტივების დისკონტირებული ღირებულება გაიზრდება, რაც ბიზნესორგანიზაციის რეალური ინვესტიციების მოცულობის მატების მოტივაციის ზრდას შეუწყობს ხელს.

იმავდროულად, რეალური საპროცენტო განაკვეთის ზრდა, სხვა თანაბარ პირობებში, ხელს უწყობს ფინანსური ინვესტიციებიდან მისაღები წმინდა ინვესტიციური მოგების მატებას.[4]შესაბამისად, განაკვეთის შემცირება გამოიწვევს ფინანსური ინვესტიციების განხორციელების პროცესიდან მისაღები წმინდა მოგების დონის დაწევას (იხ. ნახ. 2.2.).

[4] მხედველობაში გვაქვს„ვალდებულებითი“ ფინანსური ინსტრუმენტებიდან მიღებული მოგების მატება.

ნახაზი 2.2.

რეალური და ფინანსური ინვესტირების პროცესში წმინდა ინვესტიციური მოგების ფორმირების დამოკიდებულება რეალური საპროცენტო განაკვეთის ცვლილებაზე



მოცემული ნახაზიდან ჩანს, ფინანსურ ბაზარზე რეალური საპროცენტო განაკვეთის (სგ) ზრდა სგ1-დან სგ4-მდე, იწვევს ფინანსური ინვესტიციებიდან მიღებული წმინდა მოგების (წმ) ოდენობის მატებას წმ1-დან წმ-4-მდე (წერტილები F1 და F2) და, შესაბამისად, რეალური ინვესტიციებიდან მოგების შემცირებას (წერტილები R1 და R2). ე.ი. საპროცენტო განაკვეთთან ფინანსური ინვესტიციებიდან წმინდა მოგების დამოკიდებულება ატარებს პირდაპირ, ხოლო რეალური ინვესტიციებიდან მოგებისა - არაპირდაპირს (შებრუნებულს).

საპროცენტო განაკვეთის უცვლელობის პირობებში, კორპორაციის რეალური და ფინანსური ინვესტიციების მოცულობა მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება სასაქონლო და ფინანსური ბაზრების საქმიანი აქტივობის პროგნოზირებადი დონით, კონიუნქტურის მდგომარეობით. თუ მეწარმე სასაქონლო ბაზარზე მისი საქმიანობის სეგმენტზე ელოდება, რომ ოპერაციული მოგება შემცირდება, იგი შეკვეცავს მიმდინარე რეალური ინვესტიციების მოცულობას და პირიქით.[5]

[5] ანალოგიური მოტივაციის მექანიზმია დაკავშირებული ფინანსური ბაზრის კონიუნქტურის დინამიკასთან ფინანსური ინვესტიციების განხორციელების პროცესშიც.

რეალური ინვესტიციების განხორციელების მოტივაციის მნიშვნელოვანი ფაქტორია ამორტიზაციული ნაკადების ინტენსივობა. იგი დაკავშირებულია კაპიტალდაბანდებების უმთავრესი ფუნქციის რეალიზაციასთან – ამორტიზებადი ძირითადი ფონდების და არამატერიალური აქტივების კვლავწარმოების უზრუნველყოფასთან. რაც უფრო ინტენსიურია საამორტიზაციო ნაკადი (არასაბრუნავი აქტივების შემადგენლობის, მათი დაჩქარებული ამორტიზაციის გამოყენების და ა.შ. გამო), მით მეტი კაპიტალი უნდა იქნას ინვესტირებული (რეინვესტირებული) რეალურ მატერიალურ და არამატერიალურ აქტივებში მეურნე სუბიექტის საწარმოო პოტენციალის შენარჩუნებისათვის. ცხადია, ამ შემთხვევაში რეალური ინვესტირება უპირატესობით სარგებლობს ფინანსურთან შედარებით.

კორპორაციის ფინანსური ინვესტირების გააქტიურება შეიძლება გამოიწვიოს ეფექტური რეალური ინვესტიციური პროექტების არარსებობამ. ამ შემთხვევაში, ლიკვიდურობის ზედმეტი მარაგი, მათი ეფექტურად გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე, ერთვება ინვესტიციურ პროცესში სხვადასხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში დაბანდების გზით.

კორპორაციის მიერ ფინანსურ და რეალურ ინვესტიციებს შორის არჩევანზე გარკვეულ ზემოქმედებას ახდენენ სხვადასხვა ინსტიტუციონალური ფაქტორებიც: ეკოლოგიური, სოციალური, სარეკლამო და იმიჯის და სხვ.

4. **შიდა ან გარე ინვესტიციების განხორციელების მოტივაცია.**

აღნიშნულ მოტივაციაზე საუბარი, ერთი შეხედვით, შეიძლება ზედაპირულადაც მოგვეჩვენოს. თუმცა, თუ კარგად დავაკვირდებით, ეს მომენტი ნამდვილად არ არის მეორეხარისხოვანი. შიდა ინვესტიციებში ვგულისხმობთ სახსრების დაბანდებას საკუთარ მატერიალურ და არამატერიალურ აქტივებში, ხოლო გარე ინვესტიციებში – ყველა სახის დაბანდებებს სხვა საწარმოებში. აღსანიშნავია, რომ ასეთი დაყოფა შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ რეალური ინვესტიციების მიმართ, ვინაიდან ფინანსური ინვესტიციები, მათი ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ მთლიანად „გარე“ ინვესტიციებს წარმოადგენენ.

შიდა ინვესტიციების განხორციელება განპირობებულია სამეურნეო სუბიექტის მისიითა და განვითარების სტრატეგიული მიზნებით. როგორც წესი თვლიან, რომ ასეთი

ინვესტიციების განხორციელება პრიორიტეტულს წარმოადგენს გარე ინვესტიციებთან შედარებით.

გარე ინვესტიციების განხორციელების მოტივაცია გამომდინარეობს იმ ეკონომიკური ინტერესებიდან, რომლებიც ინვესტიციებისათვის ზოგადად არის დამახასიათებელი. მსგავსი ინვესტიციების მთავარ სამოტივაციო მექანიზმს წარმოადგენს წმინდა ინვესტიციური მოგების დონე, რომელიც არ უნდა იყოს შიდა ინვესტიციების ანალოგიურ მაჩვენებელზე ნაკლები. ამასთან, გარე ინვესტიციების განხორციელების სამოტივაციო მექანიზმი შეიძლება ითვალისწინებდეს სხვა კრიტერიუმებსაც. მაგალითად, სხვა კომპანიების რეალურ აქტივებში სახსრების ინვესტირების (ერთობლივი საწარმოების შექმნისას) მიზანი შეიძლება იყოს ოპერაციული საქმიანობის დივერსიფიკაცია, ან ჩაკეტილი ტექნოლოგიური თუ კომერციული ჯაჭვის ფორმირება (კაპიტალის დაბანდება ნედლეულის, მასალების, ნახევარფაბრიკატების მომწოდებელ კომპანიაში, ან წარმოებული პროდუქციის გამსაღებელ კომპანიაში და ა.შ.). ორივე ეს შემთხვევა მჭიდროდაა დაკავშირებული კორპორაციის განვითარების სტრატეგიული მიზნების რეალიზებასთან.

სტრატეგიული მიზნების რეალიზების ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენს ბაზრის იგივე სეგმენტზე ფუნქციონირებადი კომპანიების აქციათა საკონტროლო პაკეტის შეძენა. როგორც ინვესტიციური პრაქტიკა ადასტურებს, ასეთი ფინანსური ინვესტირება საშუალებს იძლევა გადაიჭრას დასახული სტრატეგიული ამოცანები კაპიტალის უფრო ნაკლები დანახარჯებით, ვიდრე პირდაპირი გარე რეალური ინვესტირების დროს იქნებოდა შესაძლებელი.

გარე ინვესტიციების განხორციელების მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს ინვესტიციური რისკის დივერსიფიკაცია. ძირითადი საქმიანობიდან კაპიტალის ნაწილის ამოღება ინვესტიციურ პროცესში მისი გამოყენების რისკის შემცირების მიზნით, საკმაოდ წონად მამოძრავებელ მოტივს წარმოადგენს, როგორც რეალური, ისე ფინანსური გარე ინვესტიციებისათვის.

5. **სამამულო ან უცხოურ ბაზრებზე ინვესტიციების ალტერნატიული განხორციელების მოტივაცია.**

იგი ეფუძნება კაპიტალის საერთაშორისომოძრაობის თეორიას, რომელმაც ღრმა გენეზისი განიცადა. ინვესტიციათა თეორიაში კომპანიის ინვესტიციური ქმედება

საერთაშორისო დონეზე, დამოუკიდებელი კვლევის ობიექტს წარმოადგენს. ინვესტირების მოტივაციური მექანიზმი სამამულო თუ უცხოურ ბაზრებზე, ეფუძნება შედარებით უპირატესობებს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ექსპორტის დროს. აღნიშნული მოტივაციური მექანიზმის სისტემაში, ჩვეულებრივ გამოიყოფა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების სტიმულების ორი ჯგუფი, რომლებიც დაკავშირებულია როგორც ეკონომიკურ, ისე არაეკონომიკურ მიზეზებთან.

კომპანიის მიერ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ექსპორტის მთავარ ეკონომიკურ სტიმულებს შორის აღნიშვნის ღირსია: უფრო მასშტაბური ინვესტიციური მოგების მიღებისაკენ სწრაფვა; ინვესტიციური, ფინანსური და კომერციული რისკის დივერსიფიკაცია; საგადასახადო შენატანების მოცულობის მინიმიზაცია და სხვ. მართალია, ეს მოტივები შეიძლება ყოველი კონკრეტული მეურნე სუბიექტისათვის იკვეთებოდეს, თითოეულ მათგანს მაინც პრიორიტეტულობის საკუთარი ხარისხი გააჩნია.

კომპანიის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეკონომიკური უპირატესობების რეალიზაცია შეიძლება დაკავშირებული იყოს: მიმღებ ქვეყანაში სამეურნეო საქმიანობის შედარებით შეღავათიანი დაბეგვრის სისტემასთან; სატრანსპორტო დანახარჯების შემცირების შესაძლებლობასთან ნედლეულისა და გასაღების ბაზრებთან სიახლოვის გამო; ხელფასის დანახარჯების შემცირების შესაძლებლობასთან, შედარებით იაფი მუშახელის არსებობის შემთხვევაში; ახალი პროდუქციის წარმოების და რეალიზაციის მონოპოლიური უპირატესობების მიღებასთან; მზა პროდუქციის ექსპორტირებისას სავალუტო რყევებისაგან ზარალის მიღების შესაძლებლობის შემცირებასთან და სხვა მსგავს ფაქტორებთან.

არაეკონომიკურ ფაქტორებს, რომლებიც აძლიერებენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების ეკონომიკურ სტიმულებს, წარმოადგენენ: კაპიტალის იმპორტიორ ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობა; უცხოური ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის მაღალი ხარისხი; ინვესტიციური სამართლის რეალიზაციის შედარებით მაღალი ხარისხი; გლობალიზაციისა და ტრანსნაციონალიზაციის მიმდინარე პროცესები; ლიდერობა ტექნოლოგიებში და ა.შ.

კომპანიის ინვესტიციური ქმედების მოდელი ახასიათებს მხოლოდ მეურნეობრიობის ცალკეული სუბიექტის მიერ ინვესტიციების განხორციელების

მოტივაციის მექანიზმს. ეს მოტივაცია არსებითად ძლიერდება ან სუსტდება ზოგიერთი მაკროეკონომიკური ფაქტორის ზეგავლენით. მათ შორის:

- ქვეყნის ეკონომიკაში დაგროვების ფორმირების პროცესების ინტენსივობა;
- საზოგადოების მიერ ინვესტიციურ პროცესში დანაზოგების გამოყენების დონე;
- საპროცენტო განაკვეთი და მისი დინამიკა;
- მეცნიერულ-ტექნიკური და ტექნოლოგიური პროგრესი;
- ინფლაციის ტემპები;
- ეკონომიკური დინამიკის ციკლურობა;
- ინვესტიციური ბაზრის განვითარების დონე;
- ქვეყნის ინვესტიციური კლიმატი და მიმზიდველობა და სხვ.

კომპანიის ინვესტიციური ქმედების მოდელის რეალიზაცია საჭიროებს მთელი რიგი მაჩვენებლების საპროგნოზო გათვლების განხორციელებას. მათ შორის: ინვესტიციური მოგება, საპროცენტო განაკვეთი, ინფლაციის ტემპები, ცალკუელი ინვესტიციური საქონლის ფასები და ა.შ. აღნიშნული საპროგნოზო გათვლების ეფექტიანი განხორციელება დაკავშირებულია „რაციონალური მოლოდინის ჰიპოთეზასთან“ – ახალ თეორიასთან, რომელიც მონეტარული თეორიის წიაღში იშვა. იგი ამტკიცებს, რომ მეურნე სუბიექტები ინვესტიციური (და სხვა) საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული მაჩვენებლების პროგნოზირებისას ეფუძნებიან როგორც წარსულ, ისე მიმდინარე ხელმისაწვდომ ინფორმაციას და ამა თუ იმ ეკონომიკური პროცესის საკუთარ ინტერპრეტაციას.

შედეგად, ყოველი მათგანი მოახდენს საკუთარი პროგნოზების ოპტიმიზირებას, დაეყრდნობა რა ხელმისაწვდომ ინფორმაციას, რაც წარმოადგენს რაციონალური ეკონომიკური ქმედების ერთ-ერთ გამოვლინებას. რაციონალური მოლოდინის ჰიპოთეზა წარმოადგენს ეფექტიან მეთოდოლოგიურ ინსტრუმენტს ინვესტორისათვის, რომელიც მის მიერვე შერჩეული ინვესტიციური ქცევის მოდელის რეალიზაციას ახდენს.

თავი III. ინვესტიციური პოტენციალის ამაღლების როლი საქართველოს რეგიონების განვითარების დაჩქარებაში (იმერეთის რეგიონის მაგალითზე)

III.1. საქართველოს რეგიონული განვითარების თანამედროვე ტენდენციები

მსოფლიოს განვითარების თანამედროვე ტენდენციები სულ უფრო მეტ ზეგავლენას ახდენს საქართველოს რეალობაზე. შესაბამისად, გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის მიმართ სწორი დამოკიდებულების ფორმირებას გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია ქვეყნის სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრაში, როგორც საერთო-სახელმწიფო, ისე სამხარეო დონეებზე. ამასთან, ეს უკანასკნელი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მოკლებულია საერთაშორისო ურთიერთობებში აქტიური ჩაბმისა და შესაბამისი პოლიტიკის გატარების გამოცდილებას, რაც საკითხის შემდგომი მეცნიერული კვლევისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

საქართველოს მხარეების, როგორც ინვესტიციური აქტივობის განხორციელების არეალისა და შესაბამისი პირობების ერთობლიობის, განხილვა ახლებურად წარმოაჩენს მათ შინაარსსა და ფუნქციურ დატვირთვას. რეგიონებისა და რეგიონული განვითარებისადმი თანამედროვე მიდგომები ყალიბდებოდა ათწლეულების განმავლობაში, იცლებოდა დამოკიდებულებები, პრიორიტეტები, პირობები და ა.შ. აღნიშნული პროცესი მეტ-ნაკლები ინტენსივობით მიმდინარეობდა მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილებში და მათზე ზეგავლენას ახდენდა როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური, სოციალური, ისტორიული, ეთნიკური, რელიგიური და ა.შ. ფაქტორები, რომლებიც იცვლებოდა პერიოდებისა თუ ქვეყნების მიხედვით.

აღნიშნული თვალთახედვით, ჩვენს ქვეყანას საკმაოდ საინტერესო ისტორია გააჩნია. მიუხედავად ტერიტორიის სიმცირისა, საქართველოში საკმაოდ მკვეთრადაა გამოხატული ტერიტორიული განსხვავებანი, რაც განაპირობებს კიდეც, მის რეგიონული თავისებურებებს. „ამასთან, განსხვავება შეიმჩნევა როგორც ცალკეულ რეგიონებს შორის, ისე რეგიონის შიგნით, ტერიტორიულ ერთეულთა (თვითმმართველი ქალაქები და მუნიციპალიტეტები) მიხედვითაც.“ [34, გვ. 20]

საქართველოს რეგიონული მოწყობის ისტორიული გამოცდილების მოკლე მიმოხილვა საშუალებას გვაძლევს უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ ქვეყანაში ამ მხრივ

დაგროვილი გამოცდილება, რაც თანამედროვე პირობებზე უფრო სიღრმისეულად მსჯელობისა და მისი სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

მე-20 საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს, ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის საქართველოს გეოგრაფიული ინსტიტუტის თანამშრომლებმა მრავალი გეოგრაფიული, კლიმატური, ლანდშაფტური, მიწის ნაყოფიერების, მოსახლეობის ტრადიციული საქმიანობის, ინდუსტრიული პოტენციალის, დემოგრაფიული და სხვა ფაქტორების კვლევა განახორციელეს. აღნიშნულის შედეგად, მიიღეს საქართველოს დაყოფა ცამეტ ეკონომიკურ რაიონად, რომელთა რუქაზე დატანის შემდეგ აღმოჩნდა, „რომ ეკონომიკური რაიონების საზღვრები თითქმის ზუსტად დაემთხვა საქართველოს ისტორიული მხარეების საზღვრებს, რამაც მეცნიერებს საშუალება მისცა გამოეყენებინათ მათი სახელწოდებები: 1) გურია-სამეგრელო; 2) იმერეთი; 3) შიდა ქართლი; 4) ქვემო ქართლი; 5) კახეთი; 6) სამცხე; 7) ჯავახეთი; 8) სვანეთი; 9) რაჭა-ლეჩხუმი; 10) აღმოსავლეთ კავკასიონი; 11) აფხაზეთი; 12) აჭარა; 13) სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.“ [34, გვ. 21]

მეფის რუსეთის დროს საქართველო არსებობდა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების სახით (იხ. ცხრილი 3.1.).საქართველოს რესპუბლიკამ (1918-21წ.წ.) გააუქმა ეს დაყოფა და დამოუკიდებლად გამოაცხადა ერთიანი ტერიტორია.

ცხრილი 3.1.

ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1917 წელს

№	ადმინისტრაცული ერთეული	მოსახლეობა	სამამასახლისო	საბოქაულო
I	**ტფილისის გუბერნია**	**943699**	**162**	**34**
I.1	ახალქალაქის მაზრა	76020	14	12
I.2	ახალციხის მაზრა	71010	9	3
I.3	ბორჩალოს მაზრა *(ამჟამად ნაწილობრივ სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიებზე)*	90558	27	3
I.4	გორის მაზრა	224000	32	8
I.5	დუშეთის მაზრა	64188	12	4
I.6	თელავის მაზრა	57926	11	2
I.7	თიანეთის მაზრა	49356	12	3
I.8	სიღნაღის მაზრა	136185	21	5
I.9	ტფილისის მაზრა	174456	24	4

II	**ქუთაისის გუბერნია**	**1155923**	**282**	**31**
II.1	ბათუმის ოლქი	65364	12	4
II.2	სოხუმის ოლქი	147662	86	3
II.3	ზუგდიდის მაზრა	127960	35	3
II.4	ლეჩხუმის მაზრა	60944	13	3
II.5	ოზურგეთის მაზრა	1041390	27	3
II.6	რაჭის მაზრა	88146	18	2
II.7	სენაკის მაზრა	140944	23	3
II.8	ქუთაისის მაზრა	231344	38	5
II.9	შორაპნის მაზრა	189420	30	5
	სულ	**2099622**	**444**	**65**

წყარო: [14, გვ. 44]

განსხვავებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა გააჩნდა საბჭოთა საქართველოს. კერძოდ:

ცხრილი 3.2.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების რაოდენობა საბჭოთა საქართველოში

ავტონომიური რესპუბლიკა	**2**
ავტონომიური ოლქი	**1**
რაიონი	**65**
ქალაქი. მათ შორის: *რესპუბლიკური დაქვემდებარების* *რესპუბლიკური (ასსრ) დაქვემდებარების* *საოლქო დაქვემდებარების* *რაიონული დაქვემდებარების*	**61** *10* *4* *1* *46*
ქალაქის რაიონი	**12**
ქალაქის ტიპის დაბა	**52**
სასოფლო საბჭო	**942**
სოფელი	**4488**

წყარო: [58, გვ. 6]

1995 წელს, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით, საქართველო დაიყო შემდეგ სამხარეო ერთეულებად: 1. კახეთი, 2. ქვემო ქართლი, 3. შიდა ქართლი, 4. მცხეთა-თიანეთი, 5. სამცხე-ჯავახეთი, 6. იმერეთი, 7. რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი, 8. გურია, 9.

სამეგრელო-ზემო სვანეთი. ქვეყანაში კვლავ დარჩა ორი ავტონომიური რესპუბლიკა - აფხაზეთის და აჭარის. თბილისი, როგორც ქვეყნის დედაქალაქი, მიჩნეულ იქნა დამოუკიდებელ ერთეულად. ქალაქ ფოთს მიენიჭა განსაკუთრებული ქალაქის სტატუსი, თუმცა იგი, ადმინისტრაციულად სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის შემადგენლობაში დარჩა.

თანამედროვე ეტაპზე, რეგიონული განვითარების კუთხით მიმდინარე ღონისძიებებს საფუძველი დაუდო ცვლილებებმა, რომლებიც საქართველოში უკანასკნელ წლებში განხორციელდა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყო მთავრობის მიერ 2004 წელს ინიცირებული დეცენტრალიზაციის რეფორმა. იგი მიზნად ისახავდა რესურსების განთავსებაში ადგილობრივი თვითმმართველობების აქტიურ ჩართვას და ადგილობრივი საჯარო მომსახურების ეფექტიანობის ზრდას.

მიიჩნეოდა, რომ რეფორმების ერთ-ერთი მიზნის მიღწევა, თვითკმარი თვითმმართველობების შექმნა, შესაძლებელი იქნებოდა არსებული მცირე ზომის თვითმმართველობების შერწყმით. ამიტომ, 2005 წელს მიღებული „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (რომელიც ძალაში შევიდა 2006 წლიდან) საფუძველზე, ათასზე მეტი თვითმმართველი ერთეულის რაოდენობა 69-მდე[6] შემცირდა. ასევე დადგინდა თვითმმართველობების როგორც კომპეტენციები, ისე ინსტიტუციური მოწყობის ჩარჩოები. [57, გვ. 7]

მცირე ტერიტორიის მიუხედავად, საქართველოში საკმაოდ თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი ტერიტორიული განსხვავებები, როგორც სხვადასხვა რეგიონებს შორის (ეკონომიკური განვითარების დიფერენციაცია, ეროვნული კულტურის, ტრადიციებისა და ადათ-წესების მრავალფეროვნება, ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი, დემოგრაფიული, მიგრაციული თავისებურებები და ა.შ.), ისე რეგიონის შიგნითაც, ცალკეული ტერიტორიული ერთეულების მიხედვით.

ამასთან, საქართველო ტერიტორიულ ჭრილში ხასიათდება ეკონომიკური განვითარების არათანაბარზომიერებით, რომელიც მნიშვნელოვნად განისაზღვრება ცალკეული რეგიონისა თუ მუნიციპალიტეტის ბუნებრივი რესურსების უზრუნველყოფის დონით, ისტორიულად ჩამოყალიბებული ინფრასტრუქტურით, ბუნებრივ-კლიმატური პირობებით, მოსახლეობის მენტალიტეტით და ობიექტური

[6] მ.შ. 5 თვითმმართველი ქალაქი და 64 მუნიციპალიტეტი

ხასიათის სხვა ფაქტორებით. ამჟამად, საქართველო აერთიანებს 2 ავტონომიურ რესპუბლიკას, 9 მხარეს, 12 თვითმმართველ ქალაქს, 60 მუნიციპალიტეტს. ქვეყნის მხარეებში, როგორც ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონებში, რომლელთა ფარგლებში მოქცეულია მუნიციპალიტეტები (ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები) დანიშნულია სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი. საქართველოს ქალაქებიდან, მხოლოდ, ოთხის (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი) მცხოვრებთა რაოდენობა აღემატება 100 ათას კაცს.

საქართველოს რეგიონული განვითარების პირობებისა და პერსპექტივების განსაზღვრაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს საერთაშორისო დონეზე მიმდინარე პროცესები და ტენდენციები. დაგროვილი ისტორიული გამოცდილების, მსოფლიოს რეგიონებს შორის კონკურენციული ბრძოლის გამძაფრებისა თუ განვითარების საკუთარი სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით, 21-ე საუკუნის პირველი ათწლეულის მეორე ნახევარში დაიწყო სტრუქტურული რეფორმების გატარება, რომლებიც მიზნად ისახავდა:

1. თავისუფალი ბაზრის დამკვიდრებას და სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობას;
2. ეკონომიკის გადაჭარბებული რეგულირების ტვირთისაგან გათავისუფლებას;
3. ლიბერალური საგადასახადო განაკვეთების შემოღებას, საგადასახადო და საბაჟო პროცედურების გამარტივებას;
4. სხვადასხვა ბიუროკრატიული ბარიერების გაუქმებას ბიზნესის წამოწყების, მისი რეგისტრაციისა თუ ანგარიშგების წარდგენის კუთხით და ა.შ.

ზემოაღნიშნულის უმთავრესი მიზანია ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, რამაც უნდა გამოიწვიოს რეალური მშპ-ს შესამჩნევი ტემპებით ზრდა. ასეთი მიდგომების განხორციელება, გარკვეულწილად ზემოქმედებს ქვეყნის რეგიონების განვითარებაზეც. თუმცა, ეს არ არის საკმარისი რეგიონულ დონეზე მიმდინარე პროცესების ტემპების დაჩქარებისა და მათი გამოთანაბრებისათვის საქართველოს მხარეების მიხედვით.

აღნიშნულ ვითარებაში, რეგიონული განვითარების არსებული მოდელის რამდენიმე ძირითადი მახასიათებელი იკვეთება, რომელთა შორის აღნიშვნის ღირსია შემდეგი: [57, გვ. 6-7]

- <u>არათანმიმდევრულობა განვითარებაში</u>. მიუხედავად გარკვეული პროგრესისა აღნიშნული მიმართულებით, ქმედებები, ძირითადად, ჯერ ისევ არათანმიმდევრული, ქაოტური, იმპულსური ხასიათისაა. ჯერაც ვერ მოხერხდა გრძელვადიანი პროგნოზირებისა და პროგრმების ფორმირების მექანიზმების შემუშავება და დაინერგვა, რაც დადებითად აისახებოდა რეგიონული განვითარების თანმიმდევრული გრძელვადიანი პროგრამების ფორმირებასა და განხორციელებაზე. მთავრობის მოკლევადიან პროგრამებში ასახული მიზნები და ამოცანები, ძირითადად, არსებული გადაუდებელი საჭიროებებიდან გამომდინარეობს და ნაკლებად ასახავს საქართველოს მხარეების თუნდაც საშუალოვადიან საჭიროებებს;
- <u>რესურსების (მატერიალური, ფინანსური, ადამიანური და ა.შ.) სიმწირე.</u> რეგიონული განვითარების სრულფასოვანი პროგრამების შემუშავებასა და მის ეფექტიან განხორციელებას ხელს უშლის მწირი ადგილობრივი ფინანსური რესურსები, როგორც სახელმწიფო, ისე ცალკეული მხარისა თუ ტერიტორიული ერთეულის დონეზე. არანაკლებ მნიშვნელოვანია სათანადო კადრების სიმწირე, რომლებმაც უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ არსებული პროგრამები;
- <u>საკანონმდებლო ბაზის სისუსტე</u>. არასრულყოფილი სამართლებრივი ბაზა ასევე უარყოფითად ზემოქმედებს გრძელვადიან პერსპექტივაზე ორიენტირებული რეგიონული სტრატეგიული მონახაზის ფორმირებაზე. ეს ეხება, ერთის მხრივ, ზოგად კანონმდებლობას (თუნდაც, თვითმმართველობის კოდექსი) და, მეორე მხრივ, ცალკეულ მარეგულირებელ დოკუმენტებს, ლიმიტებს, მაჩვენებლებს, ცნებებსა თუ ტერმინებს, რომელთა შემუშავება და სწორი განმარტება შექმნიდა წინაპირობებს საქართველოს მხარეებისა და ტერიტორიული ერთებულების კომპლექსური განვითარებისათვის;
- <u>დისბალანსი განვითარებაში</u>. ეს ეხება, როგორც რეგიონებს შორის, ისე მათ შიგნით - ტერიტორიულ ერთეულებსა თუ საქმიანობის სფეროებს შორის არსებულ უთანაბრობას, რომლის დაძლევას საწყის ეტაპზე და მომავალში თანმიმდევრულ აღმოფხვრას, მიუხედავად არაერთი მცდელობისა, მაინც შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობა. ყველა მსგავსი მცდელობა აქამდე

იყო არათანმიმდევრული, ხოლო რეგიონის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები - ხელოვნური და არაბუნებრივი. ისინი უმეტესწილად კამპანიური ხასიათის იყო და უფრო მეტად იმპულსურ ქმედებებსა თუ გადაწყვეტილებებს ეყრდნობოდა, ვიდრე მეცნიერულ კვლევებსა და შესაბამის დასკვნებს;

- <u>რეგიონული განვითარების საკითხებში დაინტერესებული მხარეების მრავალფეროვნება</u>. აღნიშნულ საკითხთან, მისი კომპლექსურობიდან გამომდინარე, დაკავშირებულია დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრი, რომელთა კომპეტენციებიც რეგიონული განვითარების სფეროში მკვეთრად არ არის გამიჯნული. შესაბამისად, ძალზედ გართულებულია ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფდა რეგიონების მდგრად განვითარებას და იმავდროულად გაითვალისწინებდა დაინტერესებული მხარეების პოზიციებს.

სწორედ ზემოაღნიშნული განაპირობებს საქართველოს თანამედროვე მხარეების (რეგიონების) თავისებურებებსა და სამომავლო პერსპექტივებს, რაც ჯერ კიდევ საკმაოდ პრობლემატურად სჩანს ინვესტიციური მიმზიდველობისა და შესაბამისი პოტენციალის ამაღლების თვალთახედვით. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ეკონომიკური განვითარების დონითა და ტემპებით, ეკონომიკის ტერიტორიული სტრუქტურის ტიპით, მოსახლეობის სიმჭიდროვის მაჩვენებლით, მოსახლეობის ზრდის ტემპებით, ეკონომიკური სპეციალიზაციის ხასიათით, დონითა და ა.შ.

სადისერტაციო ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, ინვესტიციურ პოტენციალთან და ზოგადად, ინვესტიციურ პროცესთან დაკავშირებულ ნეგატიურ მოვლენათა შორის, ყურადღებას ვამახვილებთ შემდეგზე:

- ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში საქართველოს მხარეებისა და მათში შემავალი მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, **ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებისა და სტრატეგიული ხედვების არარსებობა**.

  რეალურ ეტაპზე რეგიონული მმართველობითი რგოლები ნაკლებად არიან დაინტერესებული სტრატეგიული მიდგომების შეფასებაში და მას ხშირად ცენტრალური ხელისუფლებიდან „თავსმოხვეულად“ თვლიან. არადა, პროგრამული საქმიანობა, განვითარების პროგრამების შემუშავება და

რეგიონების კონკურენტუნარიანობის შეფასება სამართლიანად ითვლება რეგიონული განვითარების მეთოდოლოგიური საფუძვლების უმთავრეს ინგრედიენტად. [49, გვ. 213]

საქართველოს რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგიისა და რეგიონების განვითარების სტრატეგიების შემუშავება დასრულებულია, მაგრამ ახალი სოციალური და ეკონომიკური გარემოებების წარმოქმნის გამო ისინი უკვე მოძველდა და მათი პრაქტიკული გამოყენების პერსპექტივა არ არსებობს.

დღეისათვის მოქმედი ხელისუფლების მთავარი ამოცანაა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის რეალურად (ფაქტობრივად) და არა ქაღალდზე გაუმჯობესება, დღის წესრიგში დგება დოკუმენტების „საქართველო-2020“ და რეგიონების განვითარების ადრე შემუშავებული სტრატეგიების თავსებადობის პრობლემა. აღნიშნული დოკუმენტები წინააღმდეგობრივი ხასიათისაა და მათი ერთმანეთთან დაახლოებისათვის საჭიროა რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგიისა და გამომდინარე აქედან რეგიონების განვითარების სტრატეგიების ხელახალი შემუშავება. მათ საფუძვლად უნდა დაედოს ახალი საპროგრამო ხასიათის დოკუმენტები: სტრატეგია „საქართველო-2020“ და პარლამენტის მიერ მიღებული ახალი ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, სხვა კანონებში შეტანილი ცვლილებები და დამატებები, აგრეთვე, უკანასკნელ პერიოდში საქართველოში განხორციელებული რეფორმების შედეგები, ახალი პროექტები და პროგრამები. [16, გვ. 78-80]

საპილოტე პროექტის ფარგლებში, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარებით, მსგავსი პროექტები განხორციელდა იმერეთისა და მცხეთა-მთიანეთის მხარეებში, ქალაქებში თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ბათუმი. აღნიშნული ინიციატივები, მართალია, გარკვეულ ხარვეზებთან, უზუსტობებთან თუ შეცდომებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ მათ მაინც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქვეყანაში შესაბამისი აზროვნებისა და დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში. მიდინარე ეტაზე აღნიშნული მიმართულებით ერთგვარი გამოცოცხლება კვლავ შეინიშნება, მაგრამ სასურველია, რომ ეს პროცესი უფრო სტაბილურ, თანმიმდევრულ ხასიათს

ატარებდეს და უზრუნველყოფილი იყოს შემუშავებლი პროგრამების დროში მდგრადობა.

- რეგიონებს შორის **ეკონომიკურ** (მათ შორის, ინვესტიციურ) **აქტივობაში უთანაბრობა** ძალზედ მაღალია, რაზეც შეიძლება ვიმსჯელოთ მთლიანი დამატებული ღირებულების განაწილებით რეგიონების მიხედვით (იხ. ნახ. 3.1.)

ნახაზი 3.1.



წყარო: http://www.geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდი

- საქართველოში ინვესტიციურ პროცესთან დაკავშირებულ ნეგატიურ მოვლენებს შორის, ასევე, აღსანიშნავია მთელი რიგი რეგიონებიდან **ფინანსური კაპიტალის გადადინება** იმ რეგიონებსა თუ ფინანსურ სტრუქტურებში, რომლებსაც უპირატესობას ანიჭებენ მოსახლეობა თუ ბიზნესორგანიზაციები (მ.შ. უცხოური კომპანიები). აღნიშნულის ნათელი მაგალითია კაპიტალის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია, მაგალითად, ქ. თბილისში, ქ. ბათუმში, მაშინ როდესაც ქვეყნის სხვა ქალაქები თუ რეგიონები ინვესტიციათა მწვავე დეფიციტს განიცდიან.
- ტერიტორიული ერთეულების ინვესტიციური პოტენციალის დიფერენცირებას იწვევს მათ ტერიტორიაზე **ინვესტიციური პროექტების**

ეფექტიანობის მნიშვნელოვნად განსხვავებული კოეფიციენტებიც. როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, ინვესტორებისათვის სწორედ მოსალოდნელი მოგების ნორმა წარმოადგენს ერთ-ერთ მაჩვენებელს, რომელსაც ისინი ყველაზე მეტად ითვალისწინებენ.

რეგიონებში ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების დიფერენცირებაზე და დისბალანსზე ისიც მიუთითებს, რომ 2013 მთელი ინვესტიციების 76,4% თბილისზე მოდის და დანარჩენი 23,6% საქართველოს 10 რეგიონზე ნაწილდება (იხ. ცხრილი 3.2.). რეგიონებს შორის, ამ მხრივ, ქვემო ქართლი ლიდერობს, სადაც განხორციელებულმა ინვესტიციებმა 2013 წელს 208,4 მლნ. ლარი შეადგინა.

ცხრილი 3.3.

ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში რეგიონების მიხედვით 2006-2013 წლებში

(მლნ. ლარი)

წელი	საქართველო სულ	თბილისი	აჭარისარ	გურია	იმერეთი	კახეთი	მცხეთა-მთიანეთი	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო ციმერეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემოქართლი	შიდაქართლი
2006	2 054,7	1 381,8	183,1	5,6	67,1	15,2	23,1	0,6	124,4	11,3	153,2	29,1
2007	2 588,4	2 027,7	73,4	22,7	43,0	15,0	16,2	3,3	166,4	5,9	124,0	53,9
2008	2 229,0	1 498,6	93,2	4,3	112,3	33,0	4,4	0,6	115,1	6,4	238,2	118,9
2009	2 157,8	1 718,5	67,3	2,3	83,1	15,5	39,7	2,0	74,2	20,6	74,8	49,5
2010	3 210,1	2 489,1	98,6	24,7	61,5	17,0	70,0	1,7	99,3	30,1	241,5	47,8
2011	2 602,5	1 827,9	112,8	16,6	92,3	80,3	41,3	0,9	162,1	14,0	214,8	29,3
2012	3 245,6	2 329,6	151,5	12,5	133,4	51,4	48,9	2,2	265,7	38,7	177,6	33,0
2013	3 937,3	3 008,0	238,3	12,5	75,7	136,4	32,0	1,4	88,0	61,7	208,4	48,0

წყარო: „პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში. 2013“. სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge

- არანაკლებ მნიშვნელოვანია განსხვავებები **რისკიანობის დონის** მიხედვით რეგიონებს შორის. მსოფლიო პრაქტიკაში გაიანგარიშება რისკის თერთმეტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელთა შორის აღსანიშნავია: დავალიანების მოცულობა, მიმდინარე ანგარიშებზე თანხების არსებობა, პოლიტიკური სტაბილურობა, კრიმინოგენური ვითარება, მოსახლეობის ცხოვრების დონე, ბიზნეს საქმიანობის საკანონმდებლო უზრუნველყოფა და ა.შ.

ხშირად, სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და ინვესტიციური რისკის მაჩვენებლები გამოიყენება ერთობლივად. ნებისმიერი ინვესტორი მათ შეჯამებას ახდენს საკუთარი მნიშვნელოვნების კოეფიციენტის გათვალისწინებით და რეგიონის საშედეგო რანგი განისაზღვრება მაჩვენებლების შეწონილი ჯამის სიდიდით.

- ინვესტიციური მიმზიდველობის კუთხით, გასათვალისწინებელია მხარეების **საკრედიტო რეიტინგებიც**, რომლებსაც შეიმუშავებენ და იყენებენ ფინანსური ინსტიტუტები. მათი დამოკიდებულება, კეთილგანწყობა ქვეყნის ამა თუ იმ ტერიტორიული ერთეულის მიმართ, მნიშვნელოვნად განაპირობებს აქ კაპიტალის დაბანდებით ინვესტორების დაინტერესებას.
- **გეოგრაფიული მდებარეობა.** ცალკეული რეგიონის მდებარეობა გარკვეულწილად ასევე მოქმედებს მის ინვესტიციურ მიმზიდველობაზე. ცხადია, სატრანსპორტო თუ სარკინიგზო მაგისტრალების, აეროპორტების, საზღვრის სიახლოვეს ყოფნა, განსაკუთრებული ბუნებრივი პირობების არსებობა და ა.შ., დადებითას აისახება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიმზიდველობაზე;
- განსხვავებები **ტექნოლოგიურ სიახლეებზე წვდომასა და ბიზნესის წარმოების პირობებში** (ინტერნეტი, სხვადასხვა სერვისები, შრომითი რესურსი, უმაღლესი სასწავლებლების არსებობა და ა.შ.)
- **საერთაშორისო კავშირების მრავალფეროვნება და საერთაშორისო პროექტებსა და ინიციატივებზე წვდომა**. სხვადასხვა რეგიონები განსხვავდებიან საერთაშორისო დონეზე აქტიურობის მასშტაბებითაც. აღნიშნულში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საკუთარი ბიუჯეტის არსებობა, სადაც შესაბამისი ხარჯები იქნება გათვალისწინებული.

ნიშანდობლივია, რომ უახლოეს წარსულში საქართველოში განხორციელდა რეგიონული განვითარების პროგრამების შემუშავება. 2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამა არის საშუალოვადიანი სამთავრობო დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს რეგიონული პოლიტიკის ძირითად მიზნებსა და ამოცანებს, შესაბამის პრიორიტეტებსა და ღონისძიებებს და ადგენს საჭირო პირობებს ქვეყნის რეგიონების დაბალანსებული და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისათვის.

პროგრამის განხორციელების მიზნებიდან გამომდინარე, რეგიონული პოლიტიკა წარმოადგენს მიზანმიმართულ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც კონცენტრირებული და კოორდინირებულია რეგიონულ დონეზე, ეფუძნება განვითარების საჭიროებებსა და პრიორიტეტებს და მათ შესაბამისად, ქვეყნის მდგრად რეგიონულ განვითარებაზე მიმართული რესურსების შედეგზე ორიენტირებულ გადანაწილებას.

პროგრამა მომზადდა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 სექტემბრის №1315 განკარგულების საფუძველზე, შესაბამისი სამინისტროებისა და საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის ჩართულობით.

ამავდროულად, აღნიშნული პროგრამის შემუშავება და მისი განხორციელება მნიშვნელოვანია ევროკავშირსა და საქართველოს შორის მიმდინარე და დაგეგმილი თანამშრომლობის ფარგლებში, მათ შორის, ევროკავშირის საბიუჯეტო და სექტორული დახმარების პროგრამის ფარგლებში.

რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, პროგრამის შემუშავება და მისი ეფექტიანი განხორციელება პირდაპირ პასუხობს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულების შესაბამისი დებულებების განხორციელების მიზნებს.

საქართველოს მთავრობამ 2013 წელსდაამტკიცა ქვეყნის 7 რეგიონის - სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთისა და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის განვითარების სტრატეგიები (2 რეგიონის - იმერეთისა და მცხეთა-მთიანეთის განვითარების სტრატეგიები დამტკიცებულ იქნა ჯერ კიდევ 2012 წელს). აღნიშნული სტრატეგიები, შესაბამისი ხედვები, პრიორიტეტები და ამოცანები ეფუძნება თითოეული რეგიონისა და მათი სექტორული განვითარების მრავალმხრივ ანალიზს, წინმსწრებ სიტუაციურ და ფაქტობრივ დიაგნოსტიკას. ითვალისწინებენ რა თითოეული რეგიონის (მ.შ. სხვადასხვა დარგების) სპეციფიკას, საკვანძო გამოწვევებს, აგრეთვე მათ კონკურენტულ უპირატესობებსა და გამოვლენილ პერსპექტიულ მიმართულებებს, შესაბამისი სტრატეგიები გთავაზობენ სისტემურ მიდგომებს როგორც საბაზო საჭიროებებზე მოკლე თუ საშუალოვადიანი რეაგირებისთვის, ასევე გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისა და მდგრადი განვითარების შემდგომი სტიმულირებისთვის.

შემუშავებული სტრატეგიული მიდგომების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია - რეგიონების თავისებურებებზე რეალურად მორგებული, მაღალპროდუქტიული

ეკონომიკური პროცესების პროვოცირება და მათი კომპლექსური ხელშეწყობა, პრინციპით - ეფექტიანი საჯარო პლატფორმები და ინსტიტუციები, რომლებიც მუშაობენ ბაზართან ერთად და არა ბაზრის წინააღმდეგ.

შემუშავებული სტრატეგიული ხედვები და მიდგომები რეგიონების სპეციფიკის გათვალისწინებით დიდწილად განსხვავებულია, თუმცა ხშირ შემთხვევაში, გარკვეული სისტემური მიდგომები იდენტურია, გამომდინარე არსებული გამოწვევებისა და საჭიროებების მსგავსი ბუნებისა. ასე მაგალითად, ცალკეულ რეგიონებში უფრო პერსპექტიულ მიმართულებებად იკვეთება სოფლის მეურნეობის, გადამამუშავებელი მრეწველობისა და ტურიზმის სექტორების, - სხვაგან სამრეწველო (მ.შ. მძიმე, მომპოვებელი და სამთომადნო) და ენერგეტიკული სექტორის (მ.შ. განახლებადი და ალტერნატიული ენერგია) განვითარების ხელშეწყობა, - არის რეგიონები სადაც ტრანსპორტი და საერთაშორისო გადაზიდვები, ლოჯისტიკური და მომსახურების სერვისების განვითარება განსაკუთრებით მზარდ აქტუალობას იძენს. რამდენიმე რეგიონის სპეციფიკა (მ.შ. სამეწარმეო, კვლევა-განვითარების დონე და ე.წ. „ათვისების პოტენციალი“) საშუალებას იძლევა საინოვაციო-ტექნოლოგიური ტრანსფერის სისტემების ეტაპობრივი, თუმცა შედარებით აქტიური დანერგვის ხელშეწყობისთვის.

გარდა ამისა, მეტ-ნაკლებად მსგავსი გამოწვევების დაძლევისა და განვითარების ქმედითი მხარდაჭერისთვის, სტრატეგიები ითვალისწინებენ სხვადასხვა ტიპის სისტემურ მიდგომებს, რომელიც უკავშირდება:

ა) ადგილობრივი ხელისუფლებების შესაძლებლობებისა და ადამიანური კაპიტალის დონის ამაღლებას;

ბ) ბუნებრივი რესურსების გონივრული მართვა-გამოყენების შესაძლებლობების ოპტიმიზაციას;

გ) ინფრასტრუქტურული პროექტების ეფექტიანობის ზრდისთვის დაგეგმარების თანამედროვე სისტემების დანერგვას;

დ) ადგილობრივი სამიმწოდებლო ბაზის, მცირე და საშუალო ბიზნესების, ე.წ. სტარტაპების განვითარების ხელშეწყობას;

ე) რეგიონული/ადგილობრივი საინვესტიციო მიმზიდველობის გაუმჯობესებას და ინვესტიციების მოზიდვის დამატებით ინსტრუმენტებს;

ვ) კომუნალური და სხვა საზოგადოებრივი მომსახურებების მოწესრიგებას;

ზ) სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის გაუმჯობესებას, და სხვა.

შემდგომი წლების განმავლობაში რეგიონულ დონეებზე იგეგმება თანამედროვე ტიპის ცალკეული ინსტიტუციების თუ პილოტური ცენტრების (ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებული პროფესიული გადამზადების ცენტრები, ბიზნეს-ინკუბატორები, საინვესტიციო-საკონსულტაციო ცენტრები, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრები, ექსტენციისა და მომსახურების ცენტრები, ლოჯისტიკური, და ტექნოლოგიური ტრანსფერის ცენტრები და სხვ.) შექნის ხელშეწყობა, - ამავე მიზნით, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული კერძო-საჯარო პარტნიორობის მოდელების გამოყენების წახალისება.

მიგვაჩნია, რომ რეგიონული პოლიტიკის აღნიშნული მიმართულებების და შესაბამისად დამტკიცებული სტრატეგიების წარმატებული განხორციელებისთვის დიდ მნიშვნელობას იძენს უახლოეს მომავალში კონკრეტული სამოქმედო გეგმების (მ.შ. პროექტების, დეტალური აქტივობების, პროგრამული დანართების) ინკლუზიური შემუშავება და განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება ქმედითი მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტებით და, შესაბამისად, გაზომვადი ინდიკატორების ერთობლიობით.

საქართველოს პროდუქციის (და ექსპორტის) დიდი ნაწილი გადამუშავების გარეშე მიიღება და, შესაბამისად, უფრო დაბალი დამატებითი ღირებულება აქვს, ვიდრე ევროკავშირის და სხვა მოწინავე ეკონომიკის პროდუქციას. ექსპორტის ხარისხის წინასწარმა ანალიზმა აჩვენა, რომ რამდენიმე უდიდესმა საექსპორტო სექტორმა (მაგ.: ქიმიკატებმა და სატრანსპორტო აღჭურვილობამ) გაზარდა საბაზრო წილი და ასევე, ხარისხიც, ევროკავშირის ბაზარზე არსებულ კონკურენტ კომპანიებთან შედარებით. თუმცა, სხვა ექსპორტი ნაკლებად წარმატებული აღმოჩნდა; მაგალითად, საკვები პროდუქტების სექტორმა, ხარისხის გაუმჯობესების მიუხედავად, საბაზრო წილი დაკარგა.

საქართველოში წარმოებული პროდუქციის როგორც ტექნოლოგიური დახვეწის, ასევე, მისი „ინოვაციურობის“ ხარისხის წინასწარმა შეფასებამ აჩვენა, რომ ქვეყანა საშუალო მაჩვენებელზე დაბლა ოპერირებს (შეფასებისას, ასევე, გამოიკვეთა, რომ საქართველოში ამ სფეროებში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და საქმიანობის გაუმჯობესებულ მაჩვენებელს შორის გარკვეული კავშირი არსებობს. ამასთან, აქ

წარმოების პროცესის ინოვაციურობა უფრო თვალშისაცემია, ვიდრე თავად წარმოებული პროდუქტის).

საქართველოში, არც პროდუქციის წარმოების ან საწარმოო პროცესის ტექნოლოგიის თვალსაზრისით და არც ბიზნესის ორგანიზების მხრივ ნოვატორობის კუთხით, მნიშვნელოვანი რეგიონული განსხვავებები არ იკვეთება. თუ არ ჩავთვლით იმ ზოგად განსხვავებებს, რაც ეკონომიკური საქმიანობის უფრო ზოგად დონეებს ასახავს ჩვენს ქვეყანაში. [53, გვ. 28]

საქართველოს რეგიონებში სახეზეა ტექნოლოგიური განახლებისა და ინოვაციების განვითარების მხარდაჭერის სისტემური და ინსტიტუციური ვაკუუმი, ასევე, მოძველებული ტექნიკურ-ტექნოლოგიური ბაზა, სუსტი საწარმოო სიმძლავრეები, შრომის დაბალი ნაყოფიერება, წარმოების სხვა ფაქტორების განვითარების არსებული დონე და საჯარო ინტერვენციისა თუ ხელშეწყობის უკიდურესი შეზღუდულობა. აღნიშნული დიდად აბრკოლებს მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროცესების განვითარებას რეგიონებში.

ჩამოთვლილ გამოწვევებს, სხვა ფაქტორებთან ერთად, განაპირობებს ისიც, რომ, როგორც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, ეროვნული საინოვაციო სისტემებისა და შესაბამისი პლატფორმების განვითარება ვერ იღებს სასურველ შედეგს და ვერ უწყობს სათანადოდ ხელს ქვეყნის საერთო კონკურენტუნარიანობისა თუ პროდუქტიულობის ამაღლებას, თუკი ეს პროცესი მოწყვეტილია შესატყვისი საინოვაციო სისტემების ქმედითი და სინერგიული დანერგვა-განვითარებისაგან სუბნაციონალურ დონეებზე.

თანამედროვე პირობებში, რეგიონების გამოკვეთილი როლისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, ეკონომიკური, სოციალური და სხვა გადაუდებელი ამოცანების გადასაწყვეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მიმდინარე პროცესების სწორად დაგეგმვას, რეგიონების განვითარების პერსპექტივებისა და ძირითად მიმართულებათა მეცნიერულ განსაზღვრას და მათ რეალიზაციას. [34, გვ. 4]

ცალკეული ტერიტორიული წარმონაქმნებისათვის, რომლებიც ინოვაციების შექმნის და რეალიზების მოქნილ უნარს ფლობენ, ცვალებად ეკონომიკურ სივრცეში რთულია კონკურენტული უპირატესობების მოპოვება. ქართველ მეცნიერთა ნაწილი სამართლიანად მიიჩნევს, რომ მეზოდონეზე კონკურენტუნარიანობა შეიძლება

განისაზღვროს, როგორც ტერიტორიის შესაძლებლობა, შექმნას ისეთი ეკონომიკური პოტენციალი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრესულ განვითარებას, მოსახლეობის შემოსავლების მაღალ და სტაბილურ დონეს და გარე ინვესტორებისაგან რესურსების მოზიდვას. [8, გვ. 153]

ცალკეული რეგიონის კონკურენტუნარიანობას ძირითადად განსაზღვრავს სამი ფაქტორი: ეკონომიკური პირობები, ფინანსური მოქნილობა და ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული სტრუქტურა. თავის მხრივ, ეკონომიკური პირობები მოიცავს ბიზნეს-სექტორის ფუნქციონირებას, დემოგრაფიულ სიტუაციას, რეგიონის სამეურნეო სტრუქტურას, სამომხმარებლო ბაზრის მოცულობას, სოციალურ ფონს, რეალური მოთხოვნის მასშტაბებს, სატრანსპორტო-ლოჯისტიკურ პოტენციალს და ზოგადად, ეკონომიკური ზრდის პერსპექტივებს.

დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, თუ როგორ გამოიყენება რეგიონებში ბუნებრივი თუ ისტორიული უპირატესობები, ან პირიქით, რამდენად ივსება (იფარება) ამ უპირატესობათა დეფიციტი გარკვეული, ხშირ შემთხვევაში, უნიკალური საკუთარი გამოცდილებითა და ინიციატივებით. ყოველივე აღნიშნული აისახება რეგიონების ეკონომიკის, ბიუჯეტის, სოციალური სფეროს მაჩვენებლებში.

სხვადასხვა წყაროების შესწავლამ ცხადყო, რომ არსებობს მნიშვნელოვანი დისბალანსი ქალაქ თბილისსა (მის შემოგარენის ჩათვლით) და საქართველოს დანარჩენ თვითმმართველ ქალაქებს, მუნიციპალიტეტებსა თუ სხვა ნაწილებს შორის. ასევე, აშკარა განსხვავებებია იმ პირობებში, რომლებიც გვხვდება ქალაქად, ერთი მხრივ, და სოფლად (თემებში), მეორე მხრივ. ამავდროულად, ქვეყნის მაღალმთიანი რეგიონების განვითარებისა და ცხოვრების პირობები, ეკონომიკური თუ სოციალური ფონი, სრულიად განსხვავდება საქართველოს სხვა ნაწილებში არსებული ანალოგიური მაჩვენებლებისგან.

აღნიშნულზა ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ საქართველოს დედაქალაქ თბილისზე, სადაც საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 25%-ზე მეტი ცხოვრობს, მოდის ბიზნეს-სექტორის მთლიანი გამოშვების დაახლოებით 70%. რეგიონების მიხედვით ბიზნეს სექტორის გამოშვებაში (ქ. თბილისის გარდა) ოთხ რეგიონზე (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, ქვემო ქართლი) მოდის მთელი გამოშვების 72% (იხ. ნახ. 3.2).

ნახ. 3.2



კიდევ უფრო დიდია ბიზნეს-სექტორის გამოშვება მოსახლეობის ერთ სულზე. აქ სხვაობა საუკეთესო დონის მქონე ერთეულსა (თბილისი) და აუტსაიდერს (რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი) 18,7-ჯერადია (იხ. ნახ. 3.3).

ნახ. 3.3



რეგიონული განვითარების საჭიროებებისა და შესაბამისი პრიორიტეტების გამოვლენისთვის და მათ გადასაჭრელად, საჭირო ღონისძიებების ჯეროვანი

განსაზღვრისთვის, მხედველობაშია მისაღები რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება. კერძოდ: რეგიონებს შორის განსხვავებები არ არის სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობების იდენტური, რაც ამართლებს საჯარო ინტერვენციას. [41, გვ. 34]

ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა სხვადასხვა ფაქტორთა კომპლექსისაგან შედგება. ნებისმიერი შეფასება ეყრდნობა კონკრეტულ ინდიკატორებს, რომელთა მნიშვნელობა ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკურ კლიმატზე აისახება. რეგიონი, როგორც რთული სისტემა, მრავალრიცხოვანი ფაქტორების ზემოქმედებას განიცდის. ამიტომ ზემოთ ხსენებული ინდიკატორების გამოვლენა რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა მოხდეს, რაც საკმაოდ რთულია. მეორე მხრივ, ასეთი ინდიკატორები მართვის ორგანოებისათვის აიოლებს დროის გარკვეული მომენტისათვის რეგიონში სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების პროცესზე დაკვირვებას.

მიგვაჩნია, რომ აუცილებელია განხორციელდეს საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის რანჟირება, რომელიც ეყრდნობა რეგიონული განვითარების აგრეგირებულ საკვანძო მაჩვენებლებს. იგი საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ საქართველოს ამა თუ იმ რეგიონის პოზიცია საქართველოს ეკონომიკურ რუკაზე. ეს არის რეგიონული დიაგნოსტიკის ერთ-ერთი ელემენტი (განვითარების პროცესების დიაგნოსტიკა), რამდენადაც სრულყოფილი დიაგნოსტიკა მოიცავს რეგიონული სიტუაციისა და პრობლემათა მახასიათებლების ფართო სპექტრს, განსხვავებული ფაქტორების ხარისხობრივ შეფასების ჩამონათვალს, რომლებიც განსაზღვრავენ სიტუაციურ მდგომარეობას და განვითარებას.

რანჟირების აქტუალობას განაპირობებს როგორც ინფორმაციული გამჭვირვალობის აუცილებლობა, ისე რეგიონული მმართველობის ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ბიზნესის დაინტერესება. პრინციპულად მნიშვნელოვანია ის საკითხი, რომ რანჟირება ეყრდნობა (უნდა დაეყრდნოს) ოფიციალური სტატისტიკის მაჩვენებლებს, რაც ხელმისაწვდომია დაინტერესებულ მომხმარებელთა ფართო წესისათვის.

რანჟირების შედგენისას უნდა მოხდეს მაჩვენებელთა მნიშვნელოვანი მასივის ანალიზი, რომელიც ახასიათებს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის სხვადასხვა ასპექტებს. ანალიზის შედეგებით ფორმირდება საკვანძო მაჩვენებლები,

რომელიც საშუალებას მოგვცემს განისაზღვროს რეგიონების პოზიციები სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით.

რეალური სექტორის ფუნქციონირების შესაფასებლად უნდა გამოვიყენოთ ექვსი ძირითადი მიმართულება (სექტორი): ბიზნეს-სექტორი, მრეწველობა, მშენებლობა, ვაჭრობა, სასტუმროები და რესტორნები, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა. სასურველია თითოეული მიმართულება, საქართველოს ცალკეული რეგიონისათვის, შეფასდეს ხუთი ინდიკატორის მიხედვით: რეგიონებში წარმოებული დამატებული ღირებულება, პროდუქციის გამოშვება, დასაქმებულთა ოდენობა, ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში და რეგიონული განვითარების ფონდიდან ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის მიღებული თანხების ათვისების მდგომარეობა რეგიონებში.

ა) **რეგიონებში წარმოებული დამატებული ღირებულება** - ახასიათებს დამატებულ ღირებულებას, რაც კონკრეტულ რეგიონში იქმნება და მისი ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობის მახასიათებელია.

ბ) **დასაქმებულთა რიცხოვნობა** - საშუალებას გავძლევს დავაკვირდეთ ბიზნეს-სექტორში დასაქმებულთა დინამიკას კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფისათვის. მისი ცვლილება გარკვეულწილად სოციალურ პოლიტიკაზეც უნდა აისახოს;

გ) **პროდუქციის გამოშვება**- გვიჩვენებს რამდენად შედეგიანია ამა თუ იმ სექტორის საქმიანობა;

დ) **ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში**- მნიშვნელოვნად განსაზღვრავს დარგის კონკურენტუნარიან ფუნქციონირებას, ტერიტორიის საინვესტიციო მიმზიდველობას; მათი ზრდა ტერიტორიის სტაბილურობაზე მიუთითებს.

ე) **ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის მიღებული თანხების ათვისება** - გვიჩვენებს რეგიონის მზაობას და მენეჯმენტის უნარს, განახორციელოს პროექტები (შიგა ინვესტიციები) რეგიონში;

გამოდის, რომ როდესაც დარგის ინდექსი $I_{დ}<5$, მაშინ წინა წელთან შედარებით კლების ტემპი ფიქსირდება. დასახელებული 6 დარგის მაჩვენებელთა აგრეგირებით გამოდის ინტეგრალური ინდექსი ($I_{ინტ}$):

$$I_{ინტ.} = I_{ბ} + I_{ბ} + I_{ვ} + I_{სრ} + I_{ტკ} + I_{ბშ}$$

მიგვაჩნია, რომ მეტი სრულყოფის მიზნით, გაანალიზებული მაჩვენებლები უნდა დაიყოს 4 ძირითად ჯგუფად:

ა) ეკონომიკის მასშტაბის მაჩვენებლები;

ბ) ეკონომიკის ეფექტიანობის მაჩვენებლები;

გ) საბიუჯეტო სფეროს მაჩვენებლები;

დ) სოციალური სფეროს მაჩვენებლები.

რანჟირებისათვის აუცილებელია არსებობდეს სათანადო ინფორმაციული ბაზა. კერძოდ, 2013-2014 წლებში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან (საქსტატი) და სხვა სამინისტროებთან ერთად, მუშაობდა რეგიონულ განვითარებასთან დაკავშირებული მონაცემების განსაზღვრაზე, შეგროვებასა და პრეზენტაციაზე. თუმცა ცალკეული სფეროების ან მიმართულებების მიხედვით ინფორმაციის სრულად მოპოვება (არ არის ხელმისაწვდომი) ან რეგიონებზე ინფორმაცია აგრეგირებული სახითაა წარმოდგენილი. მაგალითად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება, ეკონომიკური აქტივობა, წარმოებული დამატებული ღირებულება, მოსახლეობის საშუალო-სულადობრივი შემოსავლები, საბიუჯეტო შემოსავლები, უცხოური ინვესტიციები და ა.შ.

ამდენად, სრულყოფილ მონაცემთა დამუშავების შედეგად, მივიღებთ რეგიონების რანჟირებულ ჩამონათვალს, მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედარებითი პოზიციების ასახვით. რანჟირება საშუალებას მოგვცემს ანალიზის შედეგები გამოვიყენოთ არა მხოლოდ როგორც ბაზისი რეგიონებში საინვესტიციო მიმზიდველობის შესაფასებლად, არამედ იმ პრობლემების გამოსაკვეთად, რომელთა გადაწყვეტაზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ამა თუ იმ რეგიონის განვითარება. ევროკავშირთან დაახლოების პირობებში, სრულყოფილი რანჟირების საშუალებით გაიოლდება ევროკავშირის კოჰეზიის პოლიტიკის (რეგიონებს შორის უთანაბრობის შემცირება) გამოცდილების პრაქტიკული რეალიზება და ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება.

საქართველოში ზემოაღნიშნული პრობლემების დაძლევაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ევროპული გამოცდილების გაცნობასა და გაზიარებას. იგი საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ ის ძირითადი საკითხები, რომლებიც ბოლო 20 წლის განმავლობაში ეხებოდა ევროკავშირის სხვადასხვა პოლიტიკის მართვასა და

კონცეფციების ფორმირებას. ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ მიმდინარე ეტაპზე, საქართველოსთვის განსაკუთრებით აქტუალურია შემდეგი საკითხები: [51, გვ. 13-14]

1. სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკა მოითხოვს გრძელვადიან სტრატეგიულ ხედვას, შესაბამისი ქმედებების დაგეგმვას, განვითარების პროგრამებში სექტორული და გეოგრაფიული მიზნების ინტეგრირებას და ა.შ. ეს შესაძლებელია იყოს ძირითადი სექტორების განვითარება, როგორიცაა, ვთქვათ, ტრანსპორტი, მშენებლობა ან ცალკეული გეოგრაფიული არეალის (მხარე, მუნიციპალიტეტი ან სხვ.) განვითარება და სხვ.
2. უნდა არსებობდეს რესურსების მოძიებისა და სხვადასხვა პროგრამებსა და რეგიონებზე მათი ოპტიმალური გადანაწილების ობიექტური („არაპოლიტიკური“) მეთოდები. განაწილების პროცესი უნდა ეყრდნობოდეს სტატისტიკური მაჩვენებლებს, როგორც სრულ და უტყუარ ინფორმაციას რეგიონში მიმდინარე პროცესების შესახებ.შესაბამსიად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სტატისტიკური ინფორმაციის მოგროვების, სისტემატიზაციისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გაუმჯობესება. რესურსების განაწილების პრინციპების შერჩევაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ბენეფიციარების მიმართ ექსკლუზიური ან ინკლუზიური მიდგომების გამოყენების მიზანშეწონილობის განხილვა. ვფიქრობთ, რომ სახელმწიფო პოლიტიკამ უნდა გამოიყენოს ორივე, გამომდინარე ბენეფიციარის საჭიროებებიდან და მიზნებიდან. არ გამოვრიცხავთ განსაკუთრებული მიდგომის შესაძლებლობასაც, რაც ნაკლებად განვითარებულ რეგიონებზე რესურსების კონცენტრაციის ძალიან მაღალი პროცენტის არსებობას გულისხმობს.
3. რეგიონულ მართვაში თანამედროვე მიდგომის გამოყენება და პროცესის წარმართვა „თანამშრომლობითი თვითმმართველობის“ პრინციპებზე დაყრდნობით, გვიჩვენებს, რომ სისტემა, რომელიც აერთიანებს თანადაფინანსებასა და პარტნიორობას, აძლიერებს საკუთრების უფლებას. მმართველმა ორგანოებმა, რომლებიც თავს უყრიან ინტერესების ფართოს პექტრს, აგრეთვე უნდა მოიძიონ კონკრეტული პროექტების ხარჯების ნაწილი (საზოგადოდ მიღებულია 15-50%) ადგილობრივი საჯარო თუ კერძო წყაროებიდან. მნიშვნელობა არ აქვს, თუ რომელ პროექტებში ჩაიდება

რესურსები მმართველი ორგანოების მიერ, მთავარია პროექტი რეალურად ეკუთვნოდეს საზოგადოებას, რათა მისგან სარგებელი მიიღოს.

4. მნიშვნელოვანია, გამოიყოს ნორმატიული ბაზა, რომელიც ჩამოაყალიბებს, პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესის მართვის ზოგად წესებს, ინდივიდუალური პროექტების გადაწყვეტილების საფუძველზე. ინსტიტუციონალურ არქიტექტურზე დაყრდნობით, ქვეყნისცენტრალური ხელისუფლება, პარლამენტი, დაამტკიცებს იურიდიულ საფუძველს, მაშინ როდესაც პროექტების ამორჩევის უფლება გადაეცემა მმართველობის ორგანოებს რეგიონულ თუ მუნიციპალურ დონეზე.
5. გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული, მოხდეს ინტეგრირებული პროგრამების მხარდაჭერა (დახმარება გაეწიოს დამატებით სამუშაოებს ინფრასტრუქტურის, ადამიანური რესურსებისა და ბიზნეს განვითარების სფეროში), თუ ხელი შეეწყოს ინდივიდუალურ პროექტებს. ვფიქრობთ, სხვადასხვა ფონდების მეშვეობით, ხელი უნდა შეეწყოს ორივე მიდგომას. აქვე უნდა აღინიშნის, რომ ინტეგრირებული პროგრამები უფრო მეტ საშუალებას მოითხოვს ინსტიტუციონალური შესაძლებლობების განვითარების მხრივ, რეგიონებში. შესაბამისად, თუ უკანასკნელი სუსტ რგოლად ჩაითვლება, შესაძლებელია ყურადღება გამახვილდეს ინდივიდუალური პროექტების ხელშეწყობაზე.
6. სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხია ადეკვატური ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუციური შესაძლებლობების ქონა პროგრამების წარმატებული მართვის სფეროში. განსაკუთრებით ეს ეხება ისეთ სფეროებს, როგორიცაა ფინანსური მენეჯმენტი და კონტროლი, ეკონომიკური განვითარების დაგეგმარება, შესაფერისი პარტნიორების იდენტიფიცირება და მოტივირება და ა.შ. ინსტიტუციონალური შესაძლებლობების საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო პროგრამების წარმატებული განხორციელებისათვის, რომელიც ისეთ ადმინისტრაციულ სტრუქტურებს გააერთიანებს, რომლებსაც ერთობლივი მოქმედების საკითხში შეზღუდული გამოცდილება გააჩნიათ.
7. აუცილებელია განხორციელებულ ქმედებათა მონიტორინგი და შეფასება ბენეფიციარებისათვის თუ გადასახადის გადამხდელთათვის დამატებითი

სარგებლისა იმ სიკეთის სადემონსტრაციოდ, რომელიც პროექტის რეალიზებამ მოუტანა რეგიონს. აღნიშნული მოითხოვს პროგრამების ადმინისტრირებაში რეგიონში არსებული ტექნიკური, აკადემიური თუ სამეცნიერო პოტენციალისა და შესაძლებლობების ჩართვას.

8. პროექტების წარმტებით განხორციელებისათვის აუცილებელია სპეციალურ პრინციპებსა და პირობებზე შეთანხმება, რაც შეიძლება მოიცავდეს: ღია ბაზრის წესების გათვალისწინებას (მაგ.: სახელმწიფო მხარდაჭერის საკონკურენციო თუპირდაპირი საბიუჯეტო შენაძენის წესები); ეკოლოგიური პოლიტიკისა და წესების დაცვის საჭიროებას; თანაბარი შესაძლებლობების შექმნის პრინციპების დაცვას; პარტნიორულ და დემოკრატიულ მონაწილეობაზე დაფუძნებული მიდგომას და ა.შ.
9. მნიშვნელოვანია გამჭვირვალობის უზრუნველყოფა პოლიტიკისა და პროგრამების იმპლემენტაციისას, რაცდემოკრატიული მმართველობის მნიშვნელოვან კომპონენტად ითვლება. შესაბამისად, საჭიროა ეფექტური საკომუნიკაციო და საინფორმაციო სისტემების ინტეგრირება პროგრამების მართვაში. მაგალითად, ფართოდ უნდა გაშუქდეს ის პროექტები, რომლებსაც გაეწია მხარდაჭერა, ნაჩვენები უნდა იყოს მონიტორინგისა და შეფასების შედეგები, ყველასათვის უნდა იქნას ახსნილი, თუ როგორ უნდა მოიპოვონ საჯარო დახმარება პერსპექტიულმა ბენეფიციარებმა და ა.შ.

გამომდინარე იქედან, რომ რეგიონული პრობლემატიკა უკვე დიდი ხანია არაერთხელ გამხდარა მეცნიერთა კვლევის ობიექტი, წინამდებარე ნაშრომში შემოვიფარგლეთ მხოლოდ იმ საკითხებით, რომლებიც მჭიდრო კავშირშია ინვესტიციურ მიმზიდველობასთან და, იმავდროულად, ნაკლებად არის შესწავლილი და გამოკვლეული საქართველოს რეალობაში.

თანამედროვე რეგიონალისტიკაში არაერთი აქტუალური საკითხი იკვეთება, რომელთა დაკავშირებით ბევრი კვლევა ჩატარდა და სათანადო დასკვნებიც გაკეთდა. ტენდენციები, რომლებიც თანამედროვე ეტაპზე იკვეთება, ძირითადად რეგიონების სტრატეგიული განვითარებისა და შესაბამისი პროცესების მართვის სრულყოფის მიზნებიდან გამომდინარე ყალიბდება. მსგავსი მიდგომების გამოყენება ფრიად აქტუალურია საქართველოსათვის და მათი განხორციელების აუცილებლობა ქვეყნის

განვითარების თანამედროვე პირობებისა თუ სამომავლო პერსპექტივებიდან გამომდინარეობს.

ცხადია, პრობლემათა წრე საკმაოდ ვრცელია, მაგრამ სადისერტაციო ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენ ყურადღება შევაჩერეთ რამდენიმე მათგანზე, რომლებიც შემდეგ პარაგრაფშია აღწერილი.

III.2. იმერეთის რეგიონის საერთო ეკონომიკური პოტენციალის შეფასება და კლასტერული განვითარების შესაძლებლობები

იმერეთი – დასავლეთ საქართველოს უნიკალური პირობებითა და რესურსებით მდიდარი მხარე, როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, შორეული წარსულიდან იღებს სათავეს. რეგიონს მდიდარი ისტორიული ტრადიციები აქვს და სათანადო წანამძღვრები გააჩნია ეკონომიკის განვითარებისათვის. თუმცა, არ უნდა დავივიწყოთ იმ პრობლემების შესახებაც, რომლებიც იკვეთება განვითარების ცალკეულ ეტაპზე. იმერეთის მხარე საქართველოს ცენტრალური რეგიონია. იგი დასავლეთ საქართველოს ევროპული ნაწილის სამხრეთ-აღმოსავლეთში მდებარეობს, მისი ფართობი 6518,8 კვადრატული კილომეტრია, რაც საქართველოს ტერიტორიის 9,4%-ს შეადგენს. რეგიონის მოსახლეობა 703,3 ათას კაცს და საქართველოს მოსახლეობის 15,6%-ს შეადგენს [60, გვ. 5]. მხარე აერთიანებს 12 ტერიტორიულ ერთეულს: თვითმმართველ ქალაქ ქუთაისს, ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, ხარაგაულის, ხონის, წყალტუბოსა და ჭიათურის მუნიციპალიტეტებს.

საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 26 იანვრის №18 ბრძანებულებით შეიქმნა ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული – „იმერეთის მხარე“, რაც მიზნად ისახავდა ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას, მეურნეობების ახალ პრინციპებზე გადასვლას, მართლწესრიგის განმტკიცებასა და სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის კოორდინაციას. მისთვის დამახასიათებელი იყო შემდეგი მონაცემები [59, გვ. 5]:

- ტერიტორიის ფართობი 6518,8 კმ^2;
- მოსახლეობის რიცხოვნობა 704,5 ათ. კაცი;
- თვითმმართველი ერთეულების რიცხვი - 12;
- თვითმმართველი ქალაქი - 1;

- მუნიციპალიტეტი - 11;
- ადმინისტრაციული ცენტრი - ქალაქი ქუთაისი;
- მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და თბილისს შორის - 220 კმ;
- ადმინისტრაციული ცენტრის დაშორება უახლოესი საერთაშორისო აეროპორტთან - 20 კმ;
- უახლოესი საზღვაო პორტი ცენტრალური ქალაქიდან (ფოთი) - 102 კმ.

რეგიონული ეკონომიკის განვითარების დონეს და მის შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად განაპირობებს მდიდარი ბუნებრივი რესურსები. რეგიონი გამოირჩევა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წიაღისეული სიმდიდრეების მრავალფეროვნებით. ამჟამად, იმერეთში 100-ზე მეტი მინერალურ-სანედლეულო რესურსების საბადოა აღრიცხული, რომელთაგან ნახევარზე მეტი საექსპორტოა. მათ შორის:

- ჭიათურის მანგანუმი – მისი ბალანსური და ბალანსგარე შემარაგები 215 მილიონ ტონას შეადგენს მადნის ყველა ტიპის (ჟანგეული, კარბონატული, დაჟანგული, შერეული, ქვიშაქვები) მიხედვით. მანგანუმის ჯერ კიდევ დაუმუშავებელი მარაგების ვარაუდია ყვირილასა და ზესტაფონის რაიონებში, ჩხარი-აჯამეთის, ქუთაისის და თერჯოლის ტერიტორიებზე;
- ტყიბულისა და გელათის ქვანახშირი;
- ბარიტის, დიატომიტის საშენი მასალები, თიხის მარაგები;
- ბეტონიტური თიხები (გუმბრინი), მარმარილო, გამარმარილოებული კირქვები, ტეშენიტების, ბაზალტის საბადოები.

ტყიბულის მუნიციპალიტეტში მათი მარაგები დაახლოებით 3,1 მლნ. $მ^3$-ია (მ.შ: კურსები – 1,5 მლნ., ლოლაშენი – 1,6 მლნ.), წყალტუბოში (ოფურჩხეთის) დაახლოებით 3,0 მლნ. $მ^3$. ასევე მოცულობითია ეკლარასა (16,6მლნ. ტონა) და გელათის (1.6 მლნ. $მ^3$) ქვის საბადოებიც, რაც ადგილობრივი წარმოების განვითარების რეალურ შესაძლებლობებს წარმოშობს.[7]

იმერეთის რეგიონი მდიდარია სამშენებლო ინდუსტრიისათვის საჭირო რესურსული პოტენციალით. მზარდი მოთხოვნის დაფარვა ძირითადად მხოლოდ იმპორტირებული პროდუქციის მიწოდებით ხდება, რადგან მსგავსი ტიპის

[7] ამ პარაგრაფში გამოყენებული ციფრობრივი მონაცემები ეყრდნობა იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის -გუბერნატორის ადმინისტრაციის რეგიონული განვითარების სამსახურში დაცულ მასალებს.

ადგილობრივი საწარმოები მოკრძალებულადაა წარმოდგენილი. სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებისათვის იმერეთის მხარეში არსებობს მძლავრი სანედლეულო ბაზა.

მეტად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებია მძლავრი ენერგეტიკული ბაზის ჩამოსაყალიბებლად, რის გარეშეც წარმოუდგენელია სამრეწველო სექტორის განვითარება. იმერეთში ამჟამად 5 ჰიდროელექტროსადგურია განლაგებული: რიონჰესი, გუმათჰესი, ვარციხჰესი, ძევრულჰესი, შაორჰესი. მათ მიერ ელექტროენერგიის წლიური გამომუშავება 1400-1500 მლნ. კვტ. საათია (28-29 მლნ. ლარი). ჰიდრორესურსების სიუხვე, იმადროულად, მრავალი მცირე (მინი) ჰესის აგება-ფუნქციონირების პირობებსაც ქმნის.

ახალი პერსპექტივები იშლება იმერეთში ქვეყნის ენერგო უსაფრთხოების გაძლიერების მიმართულებით. ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ნახშირის საბადოებით დიდი დაინტერესება გამოხატეს უცხოელმა ინვესტორებმა ნახშირიდან მეთანის მიღებასა და შემდგომში მის მრავალმხრივ გამოყენებასთან დაკავშირებით.

2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რეგიონის ტყის ფონდის ფართობი 353,5 ათ. ჰექტარია, რაც საქართველოს ტყის ფონდის ფართობის 11,8%-ია. ტყის ფონდის მიხედვით ტყიანობის კოეფიციენტი 54%-ს შეადგენს.

წარმოების განაწილება ქვეყნის ამა თუ იმ რეგიონის მიხედვით დამოკიდებულია მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ერთობლიობაზე. აღნიშნულ ფაქტორთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია სხვადასხვა ეკონომიკური (ბუნებრივი, ადამიანური, საინვესტიციო) რესურსების არსებობა და განაწილება. იმერეთის რეგიონში სამრეწველო წარმოების განვითარებაც ძირითადად ამ ფაქტორთა მოქმედების შედეგი იყო. თუმცა, ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, ეს ფაქტორები ერთნაირი ძალით არ მოქმედებდნენ. ამას მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა მიმდინარე საზოგადოებრივი, პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობა, აგრეთვე რიგი სუბიექტური ხასიათის ფაქტორები.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, მეურნეობრიობის ძველი სისტემის შეცვლამ და ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის სიძნელეებმა, მძაფრი პოლიტიკური და სოციალური გარდაქმნების პირობებში, მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ქვეყნის და შესაბამისად, ფაქტობრივად საქართველოს ყველა რეგიონის, მათ შორის იმერეთის სამეურნეო სისტემა.

2008-2012 წლებში ფაქტობრივად შენარჩუნდა რეგიონში წარმოებული დამატებული ღირებულების ზრდის ტენდენცია (1,6 მლრდ. ლარიდან 2,2 მლრდ ლარამდე, ზრდა 137%). იგი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 10-11%-ს შეადგენს (იხ. ნახ. 3.4).

ნახაზი 3.4



წყარო: [60, გვ. 13]

შესაბამისად, მნიშვნელოვნად გაიზარდა მთლიანი რეგიონული პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, რაც რეგიონის ეკონომიკაში პოზიტიურ ძვრებზე მიუთითებს. კერძოდ, თუ 2008 წელს ეს მაჩვენებელი 2324,0 ლარს შეადგენდა, 2012 წლისათვის 3173,0 ლარს მიაღწია. აღნიშნულის მიუხედავად, იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს. მრპ-ის მნიშვნელოვანი ნაწილი ბიზნეს სექტორში იქმნება.

2012 წელს რეგიონში წარმოებულმა დამატებულმა ღირებულებულებამ 2221,7 მლნ. ლარი შეადგინა (ზრდის ტემპი 104,2%). იგი შეადგენს საქართველოს რეგიონებში წარმოებული დამატებული ღირებულების 15%-ს და 350 მლნ. ლარით აღემატება საშუალორეგიონულ მაჩვენებელს.

სამწუხაროდ, რეგიონის დამატებულ ღირებულებაში მოკრძალებულია რეალური სექტორის ხვედრითი წილი. კერძოდ, მრეწველობა და მშენებლობა მისი მთლიანი მოცულობის მხოლოდ 14%-ს შეადგენს, პროდუქციის გადამუშავება საოჯახო მეურნეობების მიერ 5%-ს, ხოლო სოფლის მეურნეობა 13%-ს შეადგენს. სახელმწიფო

მართვისა და სხვადასხვა მომსახურებების ხვედრითი წილი ვაჭრობისა და კავშირგაბმულობის ჩათვლით რეგიონში შექმნილი დამატებული ღირებულების ნახევარია (იხ. ნახ. 3.5).

ნახაზი 3.5



წყარო: [60, გვ. 14]

1990-ანი წლების დასაწყისიდან სამრეწველო წარმოების დონის მკვეთრი დაცემა და ამის შედეგად რეგიონის შიდა პროდუქტში დარგის ხვედრითი წილის არსებითი შემცირება აღინიშნა. ეს თავისთავად მიანიშნებდა დეინდუსტრიალიზაციის რეალურ საშიშროებაზე, რასაც სამრეწველო პროდუქციის ნომენკლატურისა და იმ პერიოდის წარმოების დინამიკის მონაცემებიც ადასტურებენ.

1995-2001 წლებში რეგიონის ეკონომიკურ სფეროში რიგი პოზიტიური ძვრები აღინიშნა, თუმცა, მდგომარეობა კვლავ რთული დარჩა. უკიდურესად დაბალი იყო საწარმო სიმძლავრეების დატვირთვა, საწარმოთა უმრავლესობა ვერ ახერხებდა ძირითადი პროფილის მიხედვით რენტაბელურ ფუნქციონირებას და მათი საქმიანობა ცალკეული მცირე მოცულობის დაკვეთების შესრულებით და სხვა დროებითი შემოსავლების მიღებით (საწარმო ფართობების გაქირავება, იჯარით გაცემა, ქონების გაყიდვა და ა.შ.) შემოიფარგლებოდა.

წარმოების უმოქმედობის ან მცირე დატვირთვის პირობებში საწარმოებს დიდძალი საგადასახადო დავალიანებები დაუგროვდათ, რამაც, თავის მხრივ, დაამძიმა სარეაბილიტაციო ღონისძიებათა განხორციელების შესაძლებლობა.

ბოლო 15 წლის განმავლობაში (1999-2013 წლები) მნიშვნელოვნად გაიზარდა სამრეწველო პროდუქციის გამოშვება - 114,2 მლნ. ლარიდან 678,9 მლნ. ლარამდე (თითქმის 6-ჯერ). თუმცა 2012 წელთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის წარმოება შემცირდა 8,4%-ით (იხ. ნახ. 3.6).

ნახაზი 3.6



წყარო: [60, გვ. 14]

საქართველოს რეგიონების მიერ წარმოებულ სამრეწველო პროდუქციაში იმერეთის ხვედრითი წილი 15,2%-ია. ამასთან იმერეთის მაჩვენებელი 232,2 მლნ. ლარით აღემატება საშუალო რეგიონულ მაჩვენებელს (თითქმის 52%-ით). უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში (2004-2013 წ.წ.) მრეწველობაში დასაქმებულთა რიცხოვნობა 13845 კაციდან 15219 კაცამდე გაიზარდა. სამრეწველო წარმოების ძირითადი სფეროებია: მეტალურგიისა და ლითონპროდუქტების წარმოება, ელექტროენერგიის წარმოება, კვების პროდუქტების წარმოება და მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის გამოშვება.

იმერეთის მხარეში განსაკუთრებით ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები არსებობს მძლავრი ენერგეტიკული ბაზის ჩამოსაყალიბებლად, რის გარეშეც წარმოუდგენელია თანამედროვე სამრეწველო სექტორის განვითარება. ქვეყნის მასშტაბით ჰიდრო რესურსების ტექნიკურად განხორციელებადი პოტენციალი 80-85 მლრდ. კვტ. საათს

შეადგენს, ხოლო ეკონომიკურად მიზანშეწონილი კი - 40-45 მლრდ. კვტ. საათია. აქედან, იმერეთის მდინარეების ენერგო პოტენციალი შეადგენს 8-10 მლრდ. კვტ. საათს. იმერეთში, ამჟამად, 5 ჰიდროელექტროსადგურია განლაგებული: რიონჰესი, გუმათჰესი, ვარციხჰესი, ძევრულაჰესი, შაორჰესი. მათი წლიური საპროექტო გამომუშავება 2000 მგვტ-ს აღწევს.

მრეწველობაში ბრუნვის მოცულობის დინამიკა ფაქტობრივად გამოშვებული პროდუქციის მოცულობის დინამიკის იდენტურია. 2013 წელს მან 698,8 მლნ. ლარი შეადგინა, რაც 31 მლნ. ლარით ნაკლებია წინა წლის მაჩვენებელზე. დარგში ფიქსირებულ აქტივებში 2013 წელს 48,2 მლნ. ლარის ინვესტიცია განხორციელდა, რაც მნიშვნელოვნად (25,3 მლნ. ლარი) ჩამორჩება 2012 წლის მაჩვენებელს.

მრეწველობაში შექმნილი დამატებული ღირებულებაც ზრდის ტენდენციით ხასიათდება. თუ 2006 წელს მრეწველობაში 68,9 მლნ. ლარის დამატებული ღირებულება შეიქმნა, 2013 წლის შედეგებით მან 202,2 მლნ. ლარს მიაღწია. რეგიონში ყველაზე მსხვილი საწარმოა სააქციო საზოგადოება „ჯორჯიან მანგანეზი“, რომლის სტაბილური ფუნქციონირება რეგიონის სამრეწველო სექტორის სტაბილურობას განაპირობებს. ამასთან, საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქცია (ძირითადად ფეროშენადნობები და ფერომანგანუმი) საქართველოს საექსპორტო პროდუქციის 8-10%-ს შეადგენს.

ბიზნესის რეესტრის ოფიციალური მონაცემებით, იმერეთის რეგიონში რეგისტრირებულია 81198 სუბიექტი (2014 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით), რაც მთლიანად ქვეყანაში რეგისტრირებული სუბიექტების 13,8%-ს შეადგენს და თბილისის გარდა, ნებისმიერი სხვა რეგიონის მაჩვენებლებს მნიშვნელოვნად აღემატება. 2011 წლის ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით რეგიონში არსებული სამეურნეო სუბიექტების მთლიანმა ბრუნვამ შეადგინა 1742,3 მლნ. ლარი, ხოლო გამოშვებულმა პროდუქციამ - 1089,8 მლნ. ლარი. იმავე წელს რეგიონში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა 40087 იყო, ხოლო საშუალო თვიური ანაზღაურება - 435,4 ლარი. აღნიშნული მაჩვენებლები და ტენდენცია შენარჩუნდა შემდგომ ორ წელიწადშიც. თუმცა, ლარის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული პრობლემები საკითხის ახლებურად გააზრების აუცილებლობის წინაშე გვაყენებს.

2012-2013 წლებში ზრდის ტენდენცია შენარჩუნდა როგორც ბიზნეს სექტორის ბრუნვაში, ისე პროდუქციის წარმოებაში. კერძოდ, 2013 წელს ბრუნვამ 2042,4 მლნ. ლარი, ხოლო გამოშვებული პროდუქციის მოცულობამ 1135,5 მლნ. ლარი შეადგინა (იხ. ნახ. 3.7).

ნახაზი 3.7



წყარო: [60, გვ. 16]

ამდენად, რეგიონების ბრუნვაში იმერეთის მხარის ხვედრითი წილი 16,5%-ია, ხოლო გამოშვებული პროდუქციის მოცულობაში იმერეთის წვლილმა 14% შეადგინა. ამასთან, როგორც ბრუნვის, ისე გამოშვებული პროდუქციის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად აღემატება მათლიანად ქვეყნის მასშტაბით გაანგარიშებულ საშუალორეგიონულს (შესაბამისად, 805 მლნ. ლარით და 334 მლნ. ლარით).

ბიზნეს სექტორში გამოშვებული პროდუქციის ზრდის მიუხედავად, უარყოფითი ტენდენცია ვლინდებოდა აღნიშნულ სექტორში დასაქმების მაჩვენებელის მიხედვით 2006-2010 წლებში (იხ. ნახ. 3.8). თუ 2006 წელს ამ სექტორში 37,3 ათასი კაცი იყო დასაქმებული, 2010 წელს ამ მაჩვენებელმა 35,5 ათასი კაცი შეადგინა (შემცირდა 1,8 ათასი კაცით). მომდევნო 2011-2013 წლებში, ამ კუთხით ზრდის ტენდენცია დაფიქსირდა. კერძოდ, ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რიცხოვნობა აღნიშნული პერიოდისათვის გაიზარდა 40 087 კაციდან 43122 კაცამდე (3035 კაცით, ზრდის ტემპი 107%). უკანასკნელ პერიოდში (2014 წლის ბოლო და 2015 წლის დასაწყისი) მდგომარეობა ისევ გაუარესდა ბიზნეს აქტივობის მკვეთრი შემცირების, არსებული კომპანიების დახურვის და ა.შ. მოვლენათა ხარჯზე.

ნახაზი 3.8



წყარო: [60, გვ. 16]

რეგიონში ბიზნესის დარგობრივი სტრუქტურა საკმაოდ მრავალფეროვანია, რაც განპირობებულია არსებული რესურსების მრავალფეროვნებით. კერძოდ, ზემო იმერეთში ძირითადი დარგი არის მოპოვებითი მრეწველობა (მარგანეცის მოპოვება-დამუშავება ჭიათურასა და ზესტაფონში, ქვანახშირის მოპოვება ტყიბულში), ხოლო რეგიონის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში უფრო განვითარებულია სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგი - მებაღეობა-მებოსტნეობა, მევენახეობა, მემარცვლეობა, მეხილეობა, მეცხოველეობა და ა.შ. ცალკე უნდა იქნეს აღნიშნული ქალაქ ქუთაისის პოტენციალი, სადაც თავმოყრილია რეგიონის ეკონომიკური და ინტელექტუალური რესურსების უდიდესი ნაწილი, მათ შორის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა.

რეგიონის თითქმის ყველა მუნიციპალიტეტი განლაგებულია ქვეყნის ცენტრალური ავტო და სარკინიგზო მაგისტრალების მიმდებარედ, რაც დამატებით შესაძლებლობებს ქმნის ბიზნესის განვითარებისათვის. უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში რეგიონის მიმზიდველობა კიდევ უფრო გაზარდა ქუთაისის (კოპიტნარის) აეროპორტის ამოქმედებამ, ამ ეტაპზე განსაკუთრებით ტურისტული კუთხით, ხოლო პერსპექტივაში სავარაუდოდ დამატებითი ინვესტიციების მოზიდვის კუთხითაც.

ბოლო წლებში იმერეთში განხორციელებული და მიმდინარე მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები, როგორიცაა ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის ჩქარესნული ავტომაგისტრალის მშენებლობა, მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია,

სასმელი წყლის, ტურისტული ინფრასტრუქტურის აღდგენა-გაუმჯობესება საბოლოოდ სწორედ ბიზნესის განვითარებისაკენ არის მიმართული.

იმერეთში ოპერირებს ქვეყანაში მოქმედი თითქმის ყველა საბანკო, საკრედიტო და სადაზღვევო დაწესებულება, ასევე ადგილობრივი ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციები, სახელმწიფო სტრუქტურები, პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლები, რომელთა გამართული მუშაობა უმნიშვნელოვანესია რეგიონში ინვესტიციების მოზიდვისა და ბიზნესის განვითარებისათვის.

რეგიონის ეკონომიკის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ბიძგის მიმცემი იქნებოდა ქალაქ ქუთაისში საქართველოს პარლამენტის სრულფასოვანი გადმოტანა საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, რაც გამოიწვევდა ასევე მთელი რიგი, პარლამენტთან დაკავშირებული სტრუქტურების ოფისების გადმოტანას ქალაქში და მომსახურების, საზოგადოებრივი კვებისა და სხვა დაკავშირებული სფეროების განვითარებას არა მხოლოდ ქუთაისში არამედ მთლიანად რეგიონში.

საშუალო ვადიან პერსპექტივაში ბიზნესის განვითარებისათვის რეგიონში, ისევე როგორც მთლიანად ქვეყანაში ფართო შესაძლებლობებს შექმნის ევროკავშირთან გაფორმებული ხელშეკრულება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რომელიც გაუადვილებს ადგილობრივ პროდუქციას ევროპის ბაზარზე შესვლას. ეს კი თავის მხრივ წარმოადგენს დამატებით სტიმულს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის.

რეგიონში ბიზნესის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორთა შორის აღსანიშნავია ჯერ კიდევ არასრულად მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, ინვესტიციების ნაკლებობა, მუშახელის კვალიფიკაცია, თანამედროვე ტექნიკასა და ტექნოლოგიებზე დაბალი ხელმისაწვდომობა და ა.შ.

2012 წლის ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით, მშენებლობის სფეროში შექმნილი დამატებული ღირებულება შეადგენს რეგიონში მთლიანად შექმნილი დამატებული ღირებულების დაახლოებით 2 პროცენტს (იხ. ნახ. 3.9). მშენებლობის სფეროში შექმნილი დამატებული ღირებულების დინამიკა 2012-2013 წლებში რეგიონისათვის საკმაოდ მაღალ ნიშნულს ინარჩუნებს, რაც განპირობებულია როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან და სხვადასხვა ფონდებიდან მსხვილი პროექტების განხორციელებით, ისე კერძო სექტორში სამშენებლო საქმიანობის აღმავლობით. 2011 წელს კი უჩვეულოდ მაღალი მაჩვენებელი გამოწვეული საქართველოს პარლამენტის

შენობის მშენებლობის ინტენსიური ტემპით. ამასთან, 2011 წელს რეგიონში გაიცა მშენებლობის 600 ნებართვა (179604 მ²-ზე), ხოლო 2012 წელს - 645 (132389 მ²-ზე), დასაქმებულთა რაოდენობამ კი 2012 წელს თითქმის 5000-ს მიაღწია.

ნახაზი 3.9



რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, უაღრესად მნიშვნელოვანია გამართული სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის ინფრასტრუქტურის არსებობა. სატრანზიტო პოტენციალის ზრდისათვის აუცლებელია ჩქარაოსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა. პარალელურ რეჟიმში აქტიურად მიმდინარეობს შიდასაქალაო და საქალაქთაშორისო საავტომობილო გზების რეაბილიცია, რაც ამცირებს გადაადგილებისათვის საჭირო დროს და აიაფებს სატვირთო თუ სამგზავრო გადაზიდვებს. თითქმის ყველა მუნიციპალიტეტისათვის ხელმისაწვდომია სარკინიგზო ტრანსპორტი როგორც სამგზავრო ასევე სატვირთო გადაზიდვებისათვის. ქუთაისის აეროპორტის ამოქმედებამ კი მნიშვნელოვანი მგზავრთნაკადი გააჩინა რეგიონში, ვინაიდან აღნიშნული აეროპორტით სარგებლობს არა მხოლოდ იმერეთი არამედ მთელი დასავლეთ საქართველო და უამრავი უცხოელი ტურისტი. გახსნიდან 2 წლის განმავლობაში (2014 სექტემბერი) მისი მომსახურებით ისარგებლა 380 ათასმა მგზავრმა და მათი რიცხოვნობის დინამიკა მუდმივად მზარდია.

რეგიონში ოპერირებს ქვეყანაში მოქმედი თითქმის ყველა კავშირგაბმულობის კომპანია, რომლებიც მრავალფეროვან მომსახურებებს სთავაზობენ საკუთარ მომხმარებლებს კონკურენტულ პირობებში.

2012 წელს რეგიონში ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროში გამოშვებულ იქნა 24,6 მლნ. ლარის პროდუქცია, რაც დაახლოებით 50%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. სფეროში დასაქმებულთა რიცხოვნობამ კი 2012 წელს შეადგინა 1503 კაცი, მაშინ როცა 2011 წელს დასაქმებული იყო 919 კაცი. თუმცა, მიუხედავად მზარდი მაჩვენებლებისა სფეროში, ჯერ კიდევ უამრავი პრობლემა არის მოსაგვარებელი, უპირველეს ყოვლისა კი დასარეგულირებელი და გასაუმჯობესებელია საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობა, რომლის მიმართაც თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში მოსახლეობა მწვავე უკმაყოფილებას გამოხატავს.

მიმდინარე ეტაპზე, იმერეთში ვაჭრობა ცალკეული გამონაკლისების გარდა, მნიშვნელოვანწილად ხორციელდება მოძველებული ფორმით - ბაზრობებით. სწორი მენეჯმენტის პირობებში, შესაძლებელია, რომ მომსახურებისა და სავაჭრო სფეროს თანამედროვე ორგანიზებული ფორმები (მოლები, სუპერმარკეტები, სავაჭრო ცენტრები, გამოფენა-გაყიდვები და ა.შ.) ინვესტირების სასურველ ობიექტებად განვიხილოთ.

აღნიშნული კუთხით, განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობებია საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობის გზების გასწვრივ, კოპიტნარის აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, ასევე პერსპექტიულია ქუთაისი-სამტრედიის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გასწვრივ სავაჭრო და მომსახურების ობიექტების განთავსება და ა.შ.

2012 წლის ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით, რეგიონში ვაჭრობის, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტით დაკავებული საწარმოების ბრუნვის მოცულობამ 101,2 მლნ ლარი შეადგინა, რაც 40%-ით აღემატება 2011 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობა რეგიონში, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2014 წელს იმერეთის მხარეში შემავალმა მუნიციპალიტეტებმა ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტებიდან საერთო ჯამში გამოჰყვეს 7,6 მლნ. ლარი, დაიგეგმა და განხორციელდა აღნიშნული ტიპის 154 პროექტი (იხ. ნახაზი 3.10). ადგილობრივი ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურაზე გამოყოფილი ფინანსური რესურსების კუთხით ლიდერობს ვანის მუნიციპალიტეტი – 1 729 051 ლარი, ხოლო დაფინანსების ყველაზე დაბალი დონე აჩვენა ბაღდათის მუნიციპალიტეტმა – 22

485 ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტით ყველაზე მეტი ინფრასტრუქტურული პროექტის დაფინანსება მოახერხა ჭიათურის მუნიციპალიტეტმა – 27 პროექტი.

ნახაზი 3.10



წყარო: [99, 25.02.15]

2014 წელს რეგიონული განვითარების ფონდიდან იმერეთის მუნიციპალიტეტებს გამოეყო 38 233 870 ლარი. საერთო ჯამში დაფინანსდა 136 ინფრასტრუქტურული პროექტი. დაფინანსების ყველაზე დიდი მოცულობა 10 764,9 ათ. ლარი მიიღო ქუთაისის მუნციპალიტეტმა, რომლის ფარგლებშიც დაფინანსდა 16 პროექტი (იხ. ნახ. 3.11).

ნახაზი 3.11



წყარო: [99, 25.02.15]

ქუთაისის მიერ მიღებული დაფინანსება შეადგენს იმერეთის რეგიონში რგფ–ის მიერ გამოყოფილი დაფინანსების 28%-ს. დაფინანსების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მოდის ვანის მუნიციპალიტეტზე – 1 306 754 ლარი, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტმა დააფინანსა 8 პროექტი. რგფ–ის მიერ რეგიონისათვის გამოყოფილ დაფინანსებაში ვანის მუნიციპალიტეტის წილი შეადგენს მოლოდ 3%.

მთლიანად ინფრასტრუქტურულ პროექტებზე რეგიონში 2014 წელს 53 მლნ. ლარი დაიხარჯა (იხ. ნახ. 3.12).

ნახაზი 3.12



წყარო: [98, 25.02.15]

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესისა და ინვესტიციურ კაპიტალზე გამძაფრებული კონკურენციის პირობებში, ძალზედ რთულია გამოკვეთო კონკრეტული ფაქტორები, რომლებიც არსებით ზეგავლენას მოახდენენ პოტენციური ინვესტორების (როგორც შიდა, ისე გარე) მიერ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში კაპიტალის დაბანდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე.

იმისათვის, რომ მხოლოდ თეორიული მსჯელობით არ შემოვფარგლულიყავით, მოვახდინეთ იმერეთის მხარეში არსებული სხვადასხვა ზომისა და საქმიანობის მიმართულების მქონე კომპანიის წარმომადგენლების გამოკითხვა. სულ გამოიკითხა 15 რესპოდენტი, რომელთა წარმოების მთლიანი მოცულობა შეადგენს დაახლოებით 750,0 მლნ ლარს და დასაქმებული ჰყავთ 4500-მდე პირი.

ცხრილი 3.4

კომპანიების გამოკითხვის ანალიზი

№	კომპანიის დასახელება	საქმიანობის სფერო	რეზიდენტობა		პერიოდი		წარმოების მოცულობა *მლნ.ლარი*					დასაქმებულთა ოდენობა					ძირითადი წინააღმდეგობები							ფაქტობრივი მდგომარეობა		
			უცხოური	სამამული	-დან	-მდე	0,5-მდე	0,5-1,5	1,5-5,0	5-10,0	10,0-ზე მეტი	რეზიდენტი		არარეზიდენტი		სულ								ფუნქციონირებს	შეჩერებულია	დაიხურა
												ქალი	კაცი	ქალი	კაცი		1	2	3	4	5	6	7			
1	შპს ეკომეტალი	წარმოება		1	2005						1	7	79			86				1		1		1		
2	შპს ტოტალი+1	საქონელი და მომსახურება		1	2006					1		16	25			41	1						1	1		
3	შპს ინჯაფა	წარმოება	1		2007				1			27	22		3	52							1	1		
4	შპს კულტურის და დასვენების პარკი	მომსახურება		1	2007			1				7	31			38	1		1		1		1	1		
5	Georgia wood and industrial development Co LTD	წარმოება		1	2007						1	22	848		80	950			1		1			1		
6	შპს ევრაზიასტილსი	მეტალურგია	1		2009	2014				1		50	350		200	600	1								1	
7	შპს ფრეშ ჯორჯია	წარმოება	1		2009						1	50	330		10	390	1							1		
8	შპს ჯორჯიან მანგანეზი	წარმოება	1		2010						1	250	1940		10	2200				1		1		1		
9	შპს ფერმეტალი	სილომანგანუმის წარმოება		1	2010				1				33			33				1		1		1		
10	შპს გუდლაინი	მომსახურება		1	2011		1					2				2	1						1	1		
11	შპს ემკა	მომსახურება		1	2012		1					1	3			4							1	1		
12	Joint Venture Todini-Takenaka in Georgia	ავტობანის მშენებლობა	1		2012						1	18	46		39	103						1		1		
13	შპს EKO GROUP	საცალო ვაჭრობა		1	2013		1					2	1			3	1						1	1		
14	შპს იმედი 2011	მომსახურება		1	2014		1					1	1			2							1	1		
15	შპს სუპერი 2006	ნავთობის საბითუმო მიწოდება		1	2014			1				1	4			5							1	1		
	სულ		**5**	**10**			**4**	**2**	**2**	**2**	**5**	**454**	**3713**	**0**	**342**	**4509**	**6**	**0**	**2**	**3**	**2**	**4**	**8**	**14**	**1**	

შედეგების ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი:

- კომპანიათა უმრავლესობა (მ.შ. ვისი საერთო ბრუნვაც 10,0 მლნ. ლარს აღემატება) შექმნილია 2006-2012 წ.წ;
- 2012 წლის შემდეგ შექმნილია ძირითადად მცირე და საშუალო მასშტაბის კომპანიები, საერთო ბრუნვით 5,0 მლნ. ლარამდე (მთლიანი ბრუნვის 4,5%) და სადაც დასაქმდა გამოკითხულ კომპანიებში არსებული პერსონალის მხოლოდ 3%-მდე. მხოლოდ ერთი კომპანია ფიქსირდება, რომელსაც 10,0 მლნ. ლარზე მეტი ბრუნვა აქვს. იგი ეწევა ავტობანის მშენებლობას, რაც სახელმწიფო ინვესტიციას წარმოადგენს;
- 2014 წელს ფუნქციონირება შეაჩერა შპს „ევრაზიასტილმა“. ამასთან, უკანასკნელ 2 წელიწადში შემცირდა კომპანიის როგორც გამოშვების მასშტაბები, ისე მომუშავეთა რიცხვი. კომპანიამ დაიწყო 600-მდე თანამშრომლით (მ.შ. 200 უცხოელი) და დაამთავრა 300-ით (მ.შ. 25 უცხოელი);
- ბიზნესის წარმოების ხელისშემშლელ ფაქტორებად დაასახელეს: არახელსაყრელი ბიზნეს გარემო (6); სირთულეები რეგისტრაციის დროს (0); საგადასახადო კანონმდებლობა და საქმისწარმოება (2); საბაჟო რეგულაციები (3); სავიზო რეგულაციები (2); შრომით საქმიანობასთან დაკავშირებული რეგულაციები (4); არაკონკურენტული გარემო (8);

მდგომარეობის გამოსწორების მიზნით განსახორციელებელ ქმედებებად განიხილავენ:

- სესხის მიღების შესაძლებლობების განვითარებას, სესხზე ხელმისაწვდომობის ზრდას;
- მცირე ბიზნესის საქმიანობის ხელშემწყობი ნაბიჯების გადადგმას ხელისუფლების მხრიდან; ახალი მეურნე სუბიექტების შექმნისა და დასაქმების მაჩვენებლის გაუმჯობესების ხელშეწყობას;
- რეგულაციებისა და შეზღუდვების შემცირების კუთხით საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას, ლიბერალიზაციას;
- მეწარმეებთან მეტ კომუნიკაციასა და მათი ინფორმირებულობის ზრდას;
- დღგ-ით დაუბეგრავი მინიმუმის ზრდას და განაკვეთის შემცირებას, ქონების გადასახადის შემცირებას;

- ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციის დასტაბილურებას;
- ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება-განვითარებას; რისკების შემცირებაში ხელშეწყობას ხელისუფლების მხრიდან;
- მოსახლეობის რეალური შემოსავლების ზრდას, საშემოსავლო გადასახადის შემცირების ხარჯზე და ერთობლივი მოთხოვნის გაზრდას;
- სავალუტო ბაზრის რყევების შემცირება და სტაბილურობის უზრუნველყოფა, რათა შესაძლებელი გახდეს საშუალო და გრძელვადიანი დაგეგმვის განხორციელება;
- ტურიზმის ხელშეწყობას, სავიზო რეგულაციების გამარტივებას;
- ექსპორტის ხელშეწყობას;

ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზი ცხადყოფს სადისერტაციო ნაშრომში გამოთქმული ვარაუდების სისწორეს, რაც დაკავშირებულია დერეგულირებასა და დეცენტრალიზებაზე ორიენტირებული სტრუქტურული პოლიტიკის გატარების აუცილებლობასა და ადგილობრივი ინვესტიციური პოტენციალის ზრდის ხელშეწყობის მნიშვნელობასთან. ამასთან, ამ მიმართულებით ქმედებათა განხორციელება უნდა მოხდეს, როგორც საერთო-სახელმწიფო, ისე რეგიონულ დონეზე და დაინტერესებული მხარეების მაქსიმალური ჩართულობით.

თუმცა, თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით, შესაძლებელია ვისაუბროთ იმ გამოწვევებზე, რომელთა წინაშე დგას საქართველო თუ მისი მხარეები და აღნიშნულზე აქცენტირებით ყურადღების კონცენტრაცია გავაკეთოთ რამდენიმე არსებით საკითხზე, რომლებიც, ჩვენი აზრით, პოზიტიურად იმოქმედებენ იმერეთის მხარის ინვესტიციური პოტენციალისა და მისი ინვესტიციური მიმზიდველობის ამაღლებაზე და შემდგომ მდგრად განვითარებაზე.

ინვესტიციური მიმზიდველობის საკითხი არაერთი ქართველი თუ უცხოელი მეცნიერ-მკვლევარის ინტერესის სფერო გახდა ბოლო პერიოდში. ავტორთა ნაწილი ამ საკითხს განიხილავს ზოგად-თეორიულ ჭრილში, სხვები - უფრო მეტ აქცენტს ტექნიკურ ასპექტებზე ამახვილებენ. აღნიშნული მიდგომების შესწავლისა და იმერეთის მხარის წინაშე მდგომი მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, შევიმუშავეთ საკითხთა წრე, რომლებიც, ჩვენი აზრით, განსაკუთრებით პრობლემატურია მიმდინარე ეტაპზე. ამასთან, ისინი განვიხილეთ იმისდა მიხედვით, თუ რამდენად არის თითოეული

მათგანი შესწავლილი ჩვენს პირობებში და რამდენად ძლიერი შეიძლება იყოს მათი ზეგავლენა რეგიონის ინვესტიციური პოტენციალის ზრდაზე.

რეგიონულ განვითარებასა და სტრატეგიულ მართვაში ინოვაციურ მიდგომად შეიძლება მივიჩნიოთ ტერიტორიული ერთეულების სპეციალიზაციის შემდგომი გაღრმავება და ეკონომიკური წინსვლის მნიშვნელოვანი საშუალების - კლასტერების განვითარება.

ეკონომიკური სპეციალიზაციის გაღრმავების აუცილებლობას საქართველოში ამჟამად არსებული ვითარება განაპირობებს. ცნობილია, რომ ქვეყანა იბრძვის მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში საკუთარი ადგილის დამკვიდრებისათვის, რომლის მიღწევის პროცესში ცენტრალურმა ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს საქართველოს რეგიონული თავისებურებები და ხელი შეუწყოს ადგილობრივი ინიციატივების ნებისმიერ გამოვლინებას, რაც, საბოლოო ჯამში, მხარეების ეკონომიკური სპეციალიზაციის საფუძველი უნდა გახდეს. ცალკეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის სპეციალიზაციის ძირითადი მიმართულებისა და კლასტერების ფორმირების შესაძლებლობების დადგენა ერთობ რთული განსასაზღვრია. ვფიქრობთ, ეს უფრო ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოსახლეობის თანამშრომლობისა და შეთანხმების პროდუქტი უნდა გახდეს. ამიტომ, ჩვენს მიზანს შეადგენს საერთაშორისო თუ ადგილობრივი გამოცდილების გაცნობისა და გაანალიზების საფუძველზე ჩამოვაყალიბოთ თეორიული კონცეფცია, თუ რატომ და როგორ უნდა განისაზღვროს სპეციალიზაციის ტიპი ცალკეული მხარისათვის და რა პრინციპებზე დაყრდნობით მოხდეს შესატყვისი კლასტერების ფორმირება.

განსაკუთრებული გზა, რომლითაც წავიდა დასავლეთ ევროპის მცირე ქვეყნების სამეურნეო განვითარება და ეკონომიკის სტრუქტურის ფორმირება, საერთო ჯამში, ხასიათდება ტექნიკურად რთული, შრომატევადი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის განსაზღვრული სახეობების წარმოებაზე სპეციალიზაციის გაძლიერებით. საერთოდ, შრომის საერთაშორისო დანაწილების სისტემაში შეიძლება გამოიყოს ცალკეული ქვეყნების ეკონომიკის სპეციალიზაციის რამდენიმე ძირითადი ტიპი:

- პირველი ჩამოყალიბდა მსოფლიოს კოლონიალური დაყოფის ეპოქაში, როდესაც ქვეყანა-მეტროპოლიები სხვადასხვა ტერიტორიებს თავს ახვევდნენ განვითარების ცალმხრივ, აგრარულ-სანედლეულო ხასიათს: ბრაზილია -

ყავა, ვენესუელა - ნავთობი, რაც აკავებდა მათი ეკონომიკის კომპლექსურ განვითარებას და ართმევდა სამეურნეო დამოუკიდებლობას;

- XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, ე.წ. „სამრეწველო გადატრიალების“ ეპოქაში, მკვეთრად ამაღლდა ნაციონალური მეურნეობების ურთიერთკავშირისა და მათი ერთიან მსოფლიო ბაზარში ჩართვის ხარისხი. ეს პერიოდი ხასიათდებოდა სამრეწველო ნახევარფაბრიკატების და სპეციალიზირებულ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე აქცენტების გადატანით (ბელგია - თუჯი და ფოლადი, ნორვეგია - ალუმინი, ფინეთი ხე-ტყის მასალები, დანია, ჰოლანდია - ხორცი და რძის პროდუქტები). შრომის საერთაშორისო დანაწილების თავისებურება გახდა ქვეყანათა მთელი ჯგუფის გამოსვლა ერთი ან რამდენიმე (ძირითადად სანედლეულო და ენერგეტიკული) სახის საქონლის მომწოდებლის როლში (მონოკულტურული სპეციალიზაცია);
- მესამე ტიპი ნათლად გამოვლინდა ომის შემდგომ პერიოდში და გულისხმობს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ორიენტაციას ასეთი სახის ნაკეთობების წარმოებაზე, რომლებიც დამუშავების მაღალ ხარისხს მოითხოვენ. ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების ან გეოგრაფიული მდებარეობის გვერდის ავლით, სპეციალიზაციის ეს ტიპი დაფუძნებულია იმ უპირატესობების გამოყენებაზე, რომლებიც წარმოექმნებათ მწარმოებლებს ტექნიკურ სიახლეთა დანერგვის, მის ბაზაზე სერიული წარმოების ორგანიზაციის შედეგად. ასეთი წარმოება შეიძლება კონცენტრირებულ იქნას რამდენიმე მსხვილ საწარმოში, პრაქტიკულად ნებისმიერ ტერიტორიაზე.

ქვეყნის ეკონომიკურ სისტემაში დომინირებადი სექტორების გამოყოფა წინააღმდეგობრივ და რთულ პროცესს წარმოადგენს. ყოველი კონკრეტული პერიოდისათვის, განსაკუთრებით ეფექტიანი გადაწყვეტილებების ძიებაში, მთელი რიგი ათწლეულების განმავლობაში, აქცენტები ერთი დარგიდან მეორეზე გადაადგილდება ხოლმე. როგორც წესი, სპეციალიზაციის თავდაპირველი სტადია დაკავშირებულია ბუნებრივი უპირატესობების გამოყენებასთან. მათი ფლობა ხელსაყრელ პირობებს ქმნის ინდუსტრიული განვითარებისათვის, მაგრამ არასოდეს არ მოქმედებს დიდხანს. ამიტომ, თითოეული მცირე ქვეყნის სამეურნეო წარმატებები ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თურამდენად სწრაფად მოახერხებს იგი დაიკავოს განსაკუთრებით მომგებიანი პოზიციები შრომის საერთაშორისო დანაწილების სისტემაში.

დროთა განმავლობაში, სპეციალიზაციის გზაზე დგებოდა მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა მსხვილი სახელმწიფოც (გერმანია - ქიმია, ელექტროტექნიკა; იაპონია - ავტომშენებლობა, ელექტრონიკა, გემთმშენებლობა; აშშ - ავიამშენებლობა, ელექტრონიკა, ატომური ენერგეტიკა). მაგრამ, მათთან მიმართებაში სპეციალიზაციას არასდროს შეუძლია მიაღწიოს გარკვეულ დასრულებას. შიდა ბაზრის მნიშვნელოვანი მასშტაბები და თითქმის ყოველთვის არსებული საბაჟო განცალკევებულობა სტიმულს აძლევენ მრავალდარგოვანი მეურნეობის განვითარებას. ეს სპეციალიზაციის ხარისხს არსებითად ამცირებს, რაზეც საკმაო ზეგავლენას ახდენენ პოლიტიკური ფაქტორებიც. ამიტომ, სპეციალიზაციის ახალმა ტიპმა ფართო გავრცელება ჰპოვა დასავლეთ ევროპის მხოლოდ ზოგიერთი მცირე სამრეწველო ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.

ზოგადად, ეკონომიკის სპეციალიზაცია, ხშირ შემთხვევაში გამხდარა ქვეყნის წარმატებული განვითარების, კრიზისული მდგომარეობის დაძლევის და ა.შ. განმსაზღვრელი ფაქტორი. აღნიშნული ეხება რეგიონულ დონესაც. ცალკეულ მხარეებში სპეციალიზირებული წარმოების კონცენტრაცია საშუალებას იძლევა მოხდეს არსებული შეზღუდული რესურსების თავმოყრა განსაკუთრებით პრიორიტეტულ მიმართულებებზე, რაც მათი ოპტიმალური გამოყენებისა და მოგების ნორმის მაქსიმიზაციის საშუალებას იძლევა.

ეკონომიკური სპეციალიზაციის საკითხი არაერთხელ გამხდარა სერიოზული განხილვების ობიექტი, რასაც საქართველოში არსებული მდგომარეობა განაპირობებს. მწირი რესურსული უზრუნველყოფის პირობებში, „ცენტრალურმა ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ქვეყნის რეგიონული თავისებურებები და მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ადგილობრივი ინიციატივის ყოველგვარ გამოვლენას, რაც საბოლოო ჯამში, მხარეების ეკონომიკური სპეციალიზაციის საფუძველი უნდა გახდეს.“ [28, გვ. 57]

ჩვენი აზრით, რეგიონების ინვესტიციური მიმზიდველობის ამაღლების მიზნით, სპეციალიზაციის გაღრმავების მიზანშეწონილობის სასარგებლოდ შემდეგი მიზეზები მეტყველებს:

1. ბუნებრივი რესურსები მსოფლიოში უკიდურესად არათანაბრადაა განაწილებული და ჩვენი ქვეყნის (შესაბამისად, ცალკეული მხარეების) მცირე ზომები განაპირობებენ ბუნებრივი სიმდიდრის მრავალფეროვნების შეზღუდულობას. მაშინ, როდესაც, „სპეციალიზირებული განვითარების

პირობებში იქმნება არსებული რესურსების უფრო სრული გამოყენების შესაძლებლობები.“ [97, გვ. 32]

2. როგორც წესი, მცირე ტერიტორიის ფარგლებში, ძირითად მწარმოებლებს შორის უფრო მჭიდრო შიდაეკონომიკური კავშირები არსებობენ. აღნიშნული, ცხადია, საკმაოდ ვრცელ საშუალებებს ქმნის განვითარების ერთიანი სპეციალიზირებული მიმართულებების ჩამოყალიბებისათვის რეგიონის მასშტაბით;
3. არსებითი მნიშვნელობა აქვს საქართველოს სოციალური სტრუქტურის მოქნილობასა და მასზე მოქმედ ფაქტორებსაც. ჩვენთან, ისევე როგორც სხვა მცირე ქვეყნებში, ეკონომიკური ზრდის შედეგები მოსახლეობაში უფრო სწრაფად და ფართოდ ვრცელდება, ვიდრე შესაბამისი სამეურნეო განვითარების დონის მქონე მსხვილ სახელმწიფოებში;
4. რეგიონული სპეციალიზაცია ხელს უწყობს საშუალო ეკონომიკური მაჩვენებლის თანაბრობის უზრუნველყოფას, მთლიანად ქვეყნის, თუ ცალკეული მხარეების მიხედვით. შესაბამისად, შემცირდება განსხვავების ამპლიტუდა მათ განვითარებაში, აღარ იარსებებს ძალიან განვითარებული და განუვითარებელი რეგიონები;
5. სპეციალიზირებული განვითარება უზრუნველყოფს რეგიონული ეკონომიკის განსაზღვრულ მობილურობას, მისი სპეციალიზაციის ორიენტაციის შეცვლის აუცილებლობის შემთხვევაში და ა.შ.

თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთ სპეციალიზაციას საკუთარი რისკებიც ახლავს. კერძოდ, საბჭოთა კავშირის პირობებში, იმერეთის მხარის ყველა რაიონს ჰქონდა ჩამოყალიბებული სპეციალიზაციის ერთგვარი ტიპი, როდესაც თითოეულ მათგანში ხელოვნურად იყო შექმნილი მსხვილი საწარმოები.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და ადრე არსებული ეკონომიკური კავშირების რღვევის შემდეგ, აღნიშნული საწარმოები ფაქტობრივად უფუნქციოდ დარჩნენ, რამაც რაიონების პარალიზება და უზარმაზარი სოციალური პრობლემები გამოიწვია. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, სავარაუდო სპეციალიზაცია არ იყოს ხელოვნური და მნიშვნელოვნად ითვალისწინებდეს სამეურნეო ტრადიციებს, რესურსებს, შესაძლებლობებსა და რა თქმა უნდა, სამომავლო პერსპექტივებს. ამ შემთხვევაში, სპეციალიზირებული განვითარება უფრო ბუნებრივი და გარემოს ცვლილებებისადმი ადაპტირებადი გახდება.

არანაკლები მნიშვნელობა გააჩნია იმის განსაზღვრას, თუ როგორ, რა თანმიმდევრობით უნდა განხორციელდეს ქმედებები, რათა სწორად და მიზანმიმართულად იქნას შერჩეული სპეციალიზაციის ტიპი.

ზოგადად, სპეციალიზაციის ჩამოყალიბების დონის მიხედვით, მცირე ქვეყნები შეიძლება დავყოთ ორ ძირითად ჯგუფად:

1. პირველს მიეკუთვნება მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყნები, რომელთა უმრავლესობამ უკვე მნიშნველოვანი ნაბიჯები გადადგა სპეციალიზაციის გაღრმავების კუთხით, ნაწილმა კი - საგრძნობლად წაიწია წინ ამ მიმართულებით;
2. მეორე ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ საშუალო განვითარების დონის ქვეყნები, რომლებშიც ჯერაც მიმდინარეობს ინდუსტრიალიზაციის პროცესი. საქართველო, ალბათ, ამ უკანასკნელს უნდა მივაკუთვნოთ.მათი სამეურნეო სტრუქტურა გამოხატავს ეკონომიკის დარგების მრავალრიცხოვნობას, თუმცა მიმდინარეობს დომინირებადი სექტორების თანდათანობითი გამოყოფა, რაც ფრიად რთულ და წინააღმდეგობრივ პროცესს წარმოადგენს.

ეკონომიკური სპეციალიზაციის ფორმირების საწყის ეტაპზე, როგორც საერთო-სახელმწიფო, ისე რეგიონულ დონეზე, უნდა მოხდეს არსებული ბუნებრივი უპირატესობების გამოყენება. მართალია, მათი ფლობა ქმნის ხელსაყრელ, უპირატეს პირობებს ინდუსტრიული განვითარებისათვის, მაგრამ ისინი დიდხანს არ მოქმედებენ საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა და წარმოების ტექნოლოგიური სტრუქტურის სწრაფი ზრდისა და ცვლილების შედეგად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს მხარეების ეკონომიკური წარმატებები თუ წარუმატებლობები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სწრაფად მოახერხებენ ისინი ქვეყნის ეკონომიკურ სისტემაში განსაკუთრებით მომგებიანი პოზიციების დაკავებას. აღნიშნულში ვგულისხმობთ ცალკეული რეგიონების სპეციალიზირებას ისეთი განსაზღვრული სახის პროდუქციის წარმოებაზე (მომსახურების გაწევაზე), რომლებსაც ერთმანეთშიც გაცვლიან და გავლენ საერთაშორისო ასპარეზზე.

ზემოაღნიშნული უპირატესობების წარმატებით გამოყენება საქართველოში შეუძლიათ ისეთ რეგიონებსა და ტერიტორიებს, როგორებიცაა აჭარა და აფხაზეთი (საზღვაო პორტი, საბაჟო საზღვარი), თბილისი (დედაქალაქი, აეროპორტი), ფოთი

(საზღვაო პორტი), სამტრედიის მუნიციპალიტეტი (სატრანსპორტო, სარკინიგზო გზების კვანძი, აეროპორტი) და ა.შ. საინტერესოდ ყალიბდებოდა ქ. ქუთაისის ფუნქციური დატვირთვაც, როგორც საპარლამენტო და საუნივერსიტეტო ქალაქი, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს საკითხი ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი.

საქართველოს და მისი მხრეების ეკონომიკური სპეციალიზაცია თავდაპირველად უნდა დაეფუძნოს ბუნებრივი უპირატესობების აქტიურ გამოყენებას (სასარგებლო წიაღისეული, გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივ-კლიმატური პირობები და ა.შ.). უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა თუ ადგილობრივი ინვესტიციური პოტენციალის გაფართოებისა და სტიმულირების შესაბამისად, შესაძლებელი გახდება სპეციალიზაციის ახალ ტიპზე გადასვლა, რომელიც უფრო შესატყვისია საქართველოს მსგავსი რესურსულად მწირი ქვეყნისათვის. სპეციალიზაციის ეს ტიპი, ძირითადად, მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩამოყალიბდა. ამ შემთხვევაში, ბუნებრივი პოტენციალის გამოყენების ნაცვლად, აქცენტი გადადის იმ უპირატესობების გამოყენებაზე, რაც წარმოიქმნება ტექნიკურ სიახლეთა დანერგვის, მის ბაზაზე სერიული წარმოების ორგანიზების შედეგად. ცალკეულ შემთხვევაში, შეიძლება ადგილი ჰქონდეს ინდივიდუალური შეკვეთების მიხედვით წარმოებასაც, რომელიც ზოგ შემთხვევაში უნიკალურ ხასიათს იძენს.

მსხვილი სამრეწველო ინდუსტრიის განვითარების, წარმოების მასშტაბების ზრდის, თვით მრეწველობაში სპეციალიზაციის გაღრმავების კვალობაზე, შეუძლებელი ხდება თანამედროვე სამრეწველო პროდუქციის სულ უფრო მზარდი ნომენკლატურის გამოშვება ცალკე აღებული ქვეყნის და მით უფრო მისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ფარგლებში. აღნიშნული განაპირობებს სპეციალიზაციის ხარისხის შემდგომი გაღრმავების ტენდენციას. შედარებით ფართო გავრცელებას პოულობენ მრეწველობაში შიდადარგობრივი სპეციალიზაციის განსაკუთრებით განვითარებული ფორმები (საგნობრივი, დეტალური, ტექნოლოგიური).

საქართველოს მხარეების სპეციალიზებული მეურნეობის წარმატებით ფუნქციონირებისათვის აუცილებლად მიგვაჩნია:

1. ეკონომიკაში დომინირებადი სექტორების განსაზღვრა და მათი უპირატესი განვითარება;
2. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაძლიერება და აქცენტის გადატანა უპირატესად რთული და მაღლახარისხოვანი პროდუქციის წარმოებაზე;

3. საერთაშორისო ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკის ორგანიზება;
4. ძირითად მეწარმეებს შორის კავშირების გაღრმავების მაქსიმალური ხელშეწყობა;
5. სპეციალიზებული პროდუქციის ექსპორტის ხელშეწყობა, უცხოეთში შესაბამისი წარმოების ორგანიზება;
6. საჭირო კადრების განათლებისა და ტექნიკური მომზადების სისტემის გაუმჯობესება და სრულყოფა;
7. სახელმწიფოს მხრიდან მხარეების ფუნქციური დატვირთვის ფორმირება-განვითარებისა და სპეციალიზაციის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა;
8. რეგიონში ფუნქციონირებადი ისეთი კომპანიების განვითარების სტიმულირება, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ მხარის სპეციალიზაციაში;
9. ისეთი პროდუქტების იმპორტის რეგულირება, რომელიც ქვეყნის ამა თუ იმ რეგიონის სპეიალიზაციის პრიორიტეტი შეიძლება გახდეს.

სპეციალიზირებული განვითარება, გარკვეულწილად, ხელს შეუწყობს საქართველოს მხარეების განვითარების დონის გამოთანაბრებას. დღეისათვის, რამდენიმე რეგიონის მკვეთრი დაწინაურების პარალელურად, ხდება ტერიტორიული ერთეულების უმრავლესობის ჩამორჩენა. ქვეყნის ტერიტორიულ ნაწილებში, როგორც სახელმწიფოსა და ეკონომიკის პირველად რგოლებში, სამეურნეო ცხოვრება უმეტესწილად ნაკლებ ინტენსიურია, ადგილობრივი ეკონომიკური სტიმულები და ინტერესები ძალზედ შეზღუდულია, გადაუჭრელი რჩება უამრავი ადგილობრივი ეკონომიკური და სოციალური პრობლემა. რეგიონების განვითარების დონის გამოთანაბრება სპეციალიზაციის გაღრმავებით მყარ საფუძველს შეუქმნის მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის სპეციალიზაციის ხარისხის ამაღლებას და, შესაბამისად, მსოფლიო ეკონომიკაში უფრო მკვეთრად გამოხატული ადგილის დაკავებას.

ყოველივე ზემოაღნიშნული, დადებითად იმოქმედებს რეგიონების კონკურენტუნარიანობის ზრდაზე არამარტო ქვეყნის შიგნით, არამედ მის ფარგლებს გარეთ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება თანამედროვე პირობებში, როდესაც მთელს განვითარებულ მსოფლიოში რეგიონული წარმონაქმნების მნიშვნელობა განუხრელად იზრდება. შესაბამისად, ღრმავდება მათ შორის კონკურენციული ბრძოლა,

განსაკუთრებით - ინვესტიციების მოზიდვისა და ადგილობრივ ეკონომიკაში მათი ჩართვის კუთხით.

კონკურენტუნარიანობა საკმაოდ ფართო ცნებაა, რომლის შესახებაც არაერთი სამეცნიერო-პრაქტიკული ნაშრომი შეიქმნა და ჩამოყალიბდა ბევრი ერთმანეთისაგან განსხვავებული თეორია. ახალ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში, კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში არსებული სპეციალიზებული სამრეწველო, ტექნოლოგიური, ფინანსური, კომერციული, ადმინისტრაციული და კულტურული შესაძლებლობის, ცოდნისა და უნარ-ჩვევების ურთიერთობის სინერგიულ ეფექტზე.

თანამედროვე პრაქტიკაში, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, ნაკლებადაა შესწავლილი რეგიონული კონკურენტუნარიანობის მექანიზმები და საქართველოს რეგიონებში კლასტერების გამოყენების მნიშვნელობა რეგიონული კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში.

ვეთანხმებით ქარველ მეცნიერ-ეკონომისტთა ერთ ნაწილს იმასთან დაკავშირებით, რომ კლასტერის განხილვა უნდა მოხდეს სხვადასხვა კონცეპტუალური მიდგომების მიხედვით: ინოვაციური პროცესი, სოციალური კაპიტალი და ეკონომიკური გეოგრაფია. [2, გვ. 281]

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში, ხშირად, გამოყოფენ კონკურენტუნარიანობის შეფასების სამ დონეს. ესენია:

- მიკრო დონე - აქ შეფასების ობიექტად წარმოდგენილია ფირმები და საქონელი;
- მეზო დონე - დარგები და კომპლექსები;
- მაკრო დონე - ქვეყნები;
- ნანო დონე - ცალკეული მუშაკის კონკურენტუნარიანობის შეფასება.

ამასთან, სხვადასხვა დონის ობიექტების კონკურენტუნარიანობის შეფასება ერთმანეთთან არის დაკავშირებლი, უფრო მეტიც, დამოკიდებულია ერთმანეთზე, რის შესახებაც მრავალი მკვლევარი მიუთითებს. ზოგადად, გამოიყოფა ორი განსხვავებული მიდგომა:

- რეგიონი, როგორც გარემო, რომელიც გავლენას ახდენს ფირმების კონკურენტუნარიანობაზე;
- რეგიონის, როგორც კონკურენციის სუბიექტის კონკურენტუნარიანობა.

თანამედროვე დამოკიდებულების მიხედვით, რეგიონი განიხილება, როგორც ფირმის კონკურენტუნარიანობის განვითარებისათვის საჭირო მნიშვნელოვანი გარემო, ადგილობრივი ფაქტორების ერთობლიობა, რომელთა შორის მთავარია: მომთხოვნი მომხმარებლები, ძლიერი კონკურენტები, ძლიერი ნედლეულის მომწოდებლები და დამხმარე დარგების კომპლექსი. აღნიშნული ერთობლიობა „სამრეწველო კლასტერის“ ცნებაში ინტეგრირდება, რომელიც, თავის მხრივ, გვაძლევს ურთიერთქმედების სინერგიას და აყალიბებს კონკურენტუნარიან ფირმებს. ამრიგად, რეგიონის კონკურენტული გარემო გავლენას ახდენს რეგიონის საწარმოო ობიექტების კონკურენტუნარიანობაზე.

ცალკეული ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმების მიერ გამოქვეყნებული ანალიტიკური მასალები ქვეყნების ეკონომიკებისა და ბიზნესის კონკურენტუნარიანობის შესახებ. ეროვნული ეკონომიკების კონკურენტუნარიანობის დასახასიათებლად გამოიყენება „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი“ (GCI), ხოლო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის შესაფასებლად - ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ინდექსი (BCI).

2015 წელს საქართველომმე-15 ადგილი დაიკავა 189 ქვეყანას შორის (ქვეყნების დაშორებით საუკეთესო მაჩვენებლიდან (DTF) – 79.46 ქულა). საქართველო „ტოპ-რეფორმატორია“ 2005 წლიდან. ქვეყანაში განხორციელდა 37 რეფორმა როგორც ინსტიტუციური, ასევე მარეგულირებელი გარემოს დახვეწის კუთხით. მნიშვნელოვანი რეფორმები იყო:

- ლიცენზიებისა და ნებართვების რაოდენობის შემცირება;
- „ერთი სარკმლის პრინციპი“ და „დუმილი თანხმობის ნიშანია“ შეიქმნა სალიცენზიო აპლიკაციებისათვის;
- გამარტივებული საგადასახადო კოდექსით 21 გადასახადიდან დარჩა მხოლოდ 6 გადასახადი;
- ქონების დარეგისტრირებისათვის საჭირო დრო და ღირებულება შემცირდა.

საქართველო პირველ ათეულში იყო შემდეგი ბიზნესის კეთების სიადვილის მიხედვითაც შემდეგიკომპონენტების მიხედვით:

- ქონების რეგისტრაცია – პირველი პოზიცია
- მშენებლობის ნებართვა – მე-3 პოზიცია
- ბიზნესის დაწყება – მე-5 პოზიცია

- კრედიტის აღება – მე-7 პოზიცია

2007-2015 წლებში საქართველოს პოზიციები გაუმჯობესდა 9 კომპონენტში. 2015 წელს საქართველომ პირველი პოზიცია დაიკავა ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში (26 ქვეყანას შორის), ქვეყნების დაშორებით საუკეთესო მაჩვენებლიდან (DTF):

- 2015 წელს ქვეყნების დაშორებით საუკეთესო მაჩვენებლიდან – 79.46 ქულა
- ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში საშუალო – 66,67 ქულა[8]

მსოფლიოში დაგროვილი გამოცდილებისა და საქართველოს რეალობის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რომ ჩვენს შემთხვევაში, ეკონომიკური ზრდის შედარებით ეფექტიან ფორმას შეიძლება წარმოადგენდეს კლასტერული მექანიზმის თეორია, რომელიც გულისხმობს „შედარებით ეფექტიანი და ურთიერთდაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობის სახეების თავმოყრას გარკვეულ ტერიტორიულ ზონაში.“ [15, გვ. 98]

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, მაიკლ პორტერი კლასტერს განმარტავს, როგორც „მტევანს“ და აღნიშნული ტერმინის შინაარსში აერთიანებს გეოგრაფიულად და ლოგიკურად ურთიერთდაკავშირებული კომპანიებისა და მათთან ასევე კავშირში მყოფი ორგანიზაციების ერთიანობას, რომლებიც ურთიერთგანაპირობებენ ერთმანეთს განვითარების სამომავლო პერსპექტივების თვალთახედვით. თანამედროვე მსოფლიოში, კლასტერული განვითარების სტრატეგიები გადამწყვეტ როლს ასრულებენ რეგიონული განვითარების დაგეგმვის პროცესში.

ეკონომიკურ ლიტერატურაში კალსტერის შინაარსის განსაზღვრისადმი კლასიკური მიდგომა აღწერს მას, როგორც ინდუსტრიულ კომპლექსს, რომელიც ფორმირდება ერთმანეთთან ტექნოლოგიურად დაკავშირებული ძირითადი მწარმოებლების, მათი მიმწოდებლებისა და მომხმარებლების ტერიტორიული კონცენტრაციის შედეგად. ამასთან, კლასტერების ერთიან სისტემაში ასევე მოიაზრება სხვა ორგანიზაციებიც, რომლებიც მისივე წარმატებული ფუნქციონირებისათვის არიან აუცილებელი. ასეთი შეიძლება იყოს უნივერსიტეტი, სხვადასხვა სალიცენზიო თუ სტანდარტიზაციის სააგენტოებით, შუამავალი, სავაჭრო ორგანიზაციებით და ა.შ., რომლებიც ერთმანეთთან კონკურირებენ და იმავდროულად ემსახურებიან ერთიან საქმეს. სწორედ ამიტომ,

[8] http://www.economy.ge/uploads/ek_ciprebshi/reitingebi/reitingebi_geo/Doing_Business_2015_geo_1.pdf (03.03.2015)

„კლასტერული მიდგომა განიხილება რეგიონული განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეფექტიან მიმართულებად.“ [15, გვ. 99]

რეგიონული კონკურენტუნარიანობის მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს ძლიერი პოტენციალის მქონე კლასტერები, რომლებიც ემსახურებიან საწარმოო და სამეცნირო პოტენციალის ამაღლებას დასაქმების და პროდუქტიულობის ზრდას, სიღარიბის დაძლევას, ექსპორტის ხელშეწყობასა და ინვესტიციების მოზიდვას. ამ ეტაპზე, ძირითადად მხოლოდ ცალკეული კერძო ორგანიზაციების დონეზე განიხილება საქართველოში კლასტერული განვითარების შესაძლებლობები, როგორც საინოვაციო სისტემის წარმატებით დანერგვისა და რეგიონების კონკურენტული უპირატესობების გამოყენების მაღალეფექტიანი ინსტრუმენტი.

ცნება „ძლიერი პოტენციალის მქონე კლასტერი“, მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება მისი, როგორც ინდუსტრიული, ისე ინტელექტუალური და ინოვაციური შესაძლებლობებით. ამასთან, მსოფლიო განვითარების თანამედროვე პირობებისა და თავისებურებების გათვალისწინებით, სამრეწველო პოტენციალის მასშტაბები, მიმართულებების მრავალფეროვნება და პერსპექტივები, თავის მხრივ, ბევრად არის დამოკიდებული დანარჩენი ორის წარმატებებზე.

ინოვაციური საქმიანობის რეალიზაციის ძირითადი არეალია რეგიონული კლასტერები, რომლებიც ემსახურებიან ინდუსტრიული და მეცნიერული პოტენციალის ამაღლებას, დასაქმების ზრდას, სიღარიბის დაძლევას და ა.შ. საქართველოში, თანამედროვე ეტაპზე, მსგავს პროცესებში მხოლოდ ცალკეული ორგანიზაციები და ინსტიტუციები ერთვება. თუმცა, მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით, აუცილებელია კლასტერული განვითარებისადმი სისტემური მიდგომა, რაც რეალიზდება რეგიონული საინოვაციო სისტემის ფორმირებასა და განვითარებაში.

მოვლენათა ზემოთ აღწერილი მიმართულებით განვითარების შემთხვევაში, მოხდება ადგილობრივი სამეურნეო სისტემის ისეთი განვითარების ხელშეწყობა, როდესაც გათვალისწინებული იქნება ეკონომიკური თუ სოციალური ამოცანები და მეურნე სუბიექტები ჩართული იქნებიან ლოკალიზაციის მაღალი ხარისხის კვლავწარმოებითი ციკლების ფუნქციონირებაში. ისინი გახდებიან რეგიონის რესურსების, პროდუქციის და სხვადასხვა სახის მომსახურების მომხმარებლები, რაც დადებითად იმოქმედებს რეგიონის ფინანსური ბაზის განმტკიცებაზე, მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლის გადიდებაზე ხანგრძლივვადიან პერსპექტივაში.

თანამედროვე პირობებში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ეკონომიკურად ჩამორჩენილი რეგიონების დახმარებას. ვგულისხმობთ, სისტემატური ფინანსური დახმარების გაწევას იმათთვის, რომლებიც განსაკუთრებული ნეგატიური ფაქტორების (არახელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, ეკონომიკის მოძველებული სტრუქტურა, რთული დემოგრაფიული მდგომარეობა და სხვ.) ზემოქმედების გამო, ეკონომიკური განვითარებით მნიშნელოვნად ჩამორჩებიან საერთო-სახელმწიფო საშუალო დონეს. აღნიშნული სხვადასხვა ფორმით შეიძლება განხორციელდეს. კერძოდ:

- ეკონომიკურად ჩამორჩნილ რეგიონებში წარმოების მოდერნიზაციასა და რეკონსტრუქციაზე მიმართული კაპიტალდაბანდებების სტიმულირება;
- ახალი მაღალტექნოლოგიური წარმოებების შექმნის ხელშწყობა;
- სხვადასხვა სახის წანამატებისა და სუბსიდიების აკუმულირება (მაგალითად, ყოველ ახლად შექმნილ სამუშაო ადგილზე);
- შეღავათიანი კრედიტების მიღების შესაძლებლობების განვითარება და სხვ.

ცხადია, არანაკლებ მნიშვნელოვანია დახმარებას დაქვემდებარებული ტერიტორიული ერთეულების შერჩევის კრიტერიუმების განსაზღვრა. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში, ადმინისტრაციულთან ერთად, ტერიტორიების ეკონომიკურ ზონებად დაყოფის გამოყენებაც არის შესაძლებელი. აღნიშნული უნდა განხორციელდეს მათი სამრეწველო, აგრარული, ტურისტული თუ სხვა სახის პოტენციალის, განვითარების დონის, პირობების, პრობლემებისა და პერსპექტივების გათვალისწინებით. იგი შეიძლება დაეფუძნოს ასეთი ზონების მიხედვით შემოღებულ ტერიტორიული სექტორებით მართვის სისტემას და მან შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს მთლიანად მხარის სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავებაში.

ეკონომიკური ზონების ჩამოყალიბების შემთხვევაში, უნდა მოხდეს მათი კლასიფიცირება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. კერძოდ: წარმოების მოცულობა, რეალიზებული (რეგიონში და გარეთ) ადგილობრივი წარმოების პროდუქციის მოცულობა, ხვედრითი წილი სახელმწიფო შემოსავლებში, უმუშევრობის დონე, ეკოლოგიური სიტუაცია და ა.შ. ამ მონაცემების საფუძველზე, შეიძლება, შემუშავდეს ერთიანი მაჩვენებელი, რომელიც საშუალებას მოგვცემს გამოვყოთ შედარებით უარეს მდგომარეობაში მყოფი ტერიტორიები. მაგალითად, ევროპაში, იმ რეგიონების შერჩევა, რომელთაც ფინანსური დახმარება ესაჭიროებათ, ხდება მათი ეკონომიკური განვითარების დონის განმსაზღვრელი სპეციალური მაჩვენებლით, ე.წ. ზრდის

ინდიკატორით. ქვეყანათა უმრავლესობაში ცენრალური ხელისუფლება ეხმარება იმ რეგიონებს, სადაც უმუშევრობის დონემ საერთო-სახელმწიფო მაჩვენებელს მნიშვნელოვნად გადააჭარბა. როგორც წესი, მიღებული თანხების მიზნობრივი გამოყენება ტერიტორიულ ერთეულებს ხელს უწყობს აღადგინონ თავიანთი ლოკალური ეკონომიკური სისტემის ტრადიციული მიმართულებები, ან პარალელურად, საკუთარ თავზე აიღონ ახალი ვალდებულებები, გააფართოვონ ფუნქციები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება განვმარტოთ, რომ კლასტერების ფორმირებისათვის უნდა გავითვალისწინოთ განვითარების სამომავლო პერსპექტივები, ხოლო ეკონომიკური ზონების ანალიზის დროს, მიმდინარე ეტაპზე არსებული პრობლემები. თუმცა, ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც, არ უნდა დავივიწყოთ სამომავლო გეგმები და პრიორიტეტები. შესაბამისად, ეკონომიკური ზონები შეიძლება განვიხილოთ, როგორც მომავალი კლასტერული განვითარების საფუძველი.

ვფიქრობთ, უნდა განვასხვავოთ კლასტერები, რომლებიც ისტორიულ წინაპირობებს დაეყრდნობა და რომლებიც სამომავლო მიზნებსა და პერსპექტივებს დაეფუძნება. შესაბამისად, საქართველოში შეიძლება ვისაუბროთ უკვე არსებულ კლასტერებზე, თუნდაც ეს იყოს ინერციული განვითარების შედეგი: მაგალითად, მევენახეობა-მეღვინეობა, მეციტრუსეობა, მეჩაიეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა და მათი გადამუშავება და ა.შ. რაც შეეხება ახალ კლასტერებს, თანამედროვე პირობების გათვალისწინებით, ეს შეიძლება იყოს ტურიზმის, სატრანზიტო და სხვა. ასევე უნდა აღინიშნოს იმ შესაძლებლობებზე, რომელიც ქვეყანას ისტორიულად გააჩნდა, მაგრამ მივიწყებულია და რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ახალი კლასტერების ფორმირებაში. მაგალითად, იმერეთისათვის ასეთი შეიძლება იყოს მეაბრეშუმეობის აღდგენის საფუძველზე ტექსტილის ინდუსტრიის განვითარება, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებაზე აქცენტირებით კვების მრეწველობის განვითარება, ტყავის წარმოებისა და შესაბამისი მრეწველობის აღდგენა, ხელთნაკეთი ნივთებისა და ხალხური რეწვის განვითარება (თიხის და ხის ნაწარმი, ხალიჩები და ა.შ.)

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული დარჩება მხოლოდ იდეად და გამოუყენებელ პერსპექტივად, თუ არ მოხდა მათი ინტეგრირება ინოვაციურ-კლასტერული სტრატეგიის ჩარჩოში და მათი გამოყენებისათვის აუცილებელი წინაპირობების განვითარება. ხშირია შემთხვევები, როდესაც კლასტერული განვითარების შესაძლებლობების უყურადღებოდ დატოვებამ და

თვითდინებაზე მიშვებამ ძალიან მძიმე შედეგები გამოიღო. მაგალითისათვის შეიძლება განვიხილოთ ქ. ქუთაისში ეგვიპტური ფირმის მიერ 20 ქარხნის მშენებლობის ინიციატივა, რომელიც შეიძლება ჩამოყალიბებულიყო, როგორც კლასტერი, რადგან მათ აერთიანებდათ გეოგრაფიული, ლოჯისტიკური და სხვა პირობები, რაც კარგ წინაპირობებს შექმნიდა რეგიონის ინდუსტრიული განვითარების დაწყებისათვის. თუმცა, პროექტი შეჩერდა, არსებული ქარხნები დაიხურა, ასეულობით ადამიანი დარჩა უმუშევარი. ვფიქრობთ, აღნიშნულის მიზეზებად შეიძლება განვიხილოთ ამ წამოწყების კონკრეტული დასაბუთებული მახასიათებლების არ არსებობა, პროცესის მდგრადობისა და სტაბილურობის ხარისხის არასათანადო შეფასება, განვითარების სათანადო გარემო პირობების გაუარესება და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ აღწერილი პროცესების რეგულირება წარმოადგენს მმართველობის ცენტრალური და რეგიონული რგოლების პრეროგატივას და ზედმეტმა ლიბერალურმა მიდგომამ შეიძლება მძიმე შედეგები მოგვიტანოს, ვფიქრობთ, რომ სახელმწიფოს ქმედებებმა არ უნდა შეზღუდონ კერძო ინიციატივები. პირიქით, მიზანშეწონილია კერძო სექტორის აქტიურობის სტიმულირება ზომიერად ლიბერალური რეჟიმების შექმნითა და განვითარებით, რათა ხელი შეეწყოს ადგილებზე მწარმოებელთა გააქტიურებას. ხელისუფლება უნდა შემოიფარგლოს მარეგულირებელი, მაორიენტირებელი და მაკონტროლებელი ფუნქციებით, რომელთა ჯეროვანი განხორციელება შესაბამისი რეგიონის ეკონომიკური განვითარების წინაპირობა გახდება.

III.3 ინოვაციისა და ინოვაციური სისტემების როლი საქართველოს რეგიონების განვითარებაში

მზარდი გლობალური კონკურენციის პირობებში, სულ უფრო ცხადი ხდება, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ცოდნის ეკონომიკაზე, ინოვაციებსა და ახალ ტექნოლოგიებზე ორიენტირებული რეგიონული ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავება. ამასთან, სულ უფრო აქტუალური ხდება ინოვაციური პროცესების შეფასებისა და მონიტორინგის მეთოდებისა და საშუალებების სათანადო მოდერნიზაცია, რათა მიღწეულ იქნეს მაქსიმალური მიახლოება საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებასთან.

მსგავსმა მიდგომამ შესაძლებლობა უნდა მისცეს ქვეყანას, გამოიყენოს საკუთარი შედარებითი უპირატესობები, განავითაროს პრიორიტეტული დარგები და ხელი შეუწყოს სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას. ვინაიდან, ინოვაციები და ახალი ტექნოლოგიები ამცირებენ საოპერაციო ხარჯებს და ხელს უწყობენ დამატებითი ღირებულების შექმნას წარმოებულ პროდუქციასა თუ მომსახურების ტარიფებში, ისინი განიხილებიან, როგორც უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტები საერთო ეროვნული წარმატების მისაღწევად. [56, გვ. 67]

შესაბამისად, უმნიშვნელოვანეს ფაქტორებად ყალიბდებიან ისეთი შედარებითი უპირატესობები, როგორიცაა სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურა, მაღალკვალიფიციური მუშახელი, ინოვაციური სისტემის განვითარება და ა.შ. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაბალი რესურსული უზრუნველყოფის მქონე ქვეყნებისათვის, სადაც ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები უპირისპირდება აქამდე წამყვანად მიჩნეულ ფაქტორს - მდიდარ ბუნებრივ რესურსებს.

ინოვაციური პროცესების შეფასებისა და მონიტორინგისათვის აუცილებელია სათანადო სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების თანამედროვე მეთოდების გამოყენება. აღნიშნული მნიშვნელოვან ძალისხმებასა და რესურსების ხარჯვას მოითხოვს, რის გამოც ყოველთვის ნათლად უნდა იქნას წარმოდგენილი თუ რამდენად საჭიროა და აუცილებელია მსგავსი ქმედებების განხორციელება. საკმარისად მაღალი ხარისხის სტატისტიკური ინფორმაციის არსებობა აუცილებელია მმართველობის ნებისმიერ სფეროში გარემო პირობებისა და რეალობის შესაბამისი პოლიტიკის ფორმირებისათვის, რაციონალური გადაწყვეტილებების მიღებისა და შესაბამისი დაგეგმარებითი პროცესების განვითარებისათვის.

ზოგადად, ინოვაცია შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც საჯარო და კერძო ორგანიზაციების მიერ წარმოებული კომპლექსური პროცესი, რომელიც მოიცავს ახალი იდეების ფორმირებას, კვლევას, დაგეგმვას, განვითარებას, დიზაინერულ გადაწყვეტებს, საწარმოო პროცესს, დანერგვას, მარკეტინგს, გაყიდვების მართვას და ა.შ. საბოლოო ჯამში, იგი გვევლინება ახალ ცოდნად, გამოცდილებად, ტექნოლოგიად, სამომხმარებლო პროდუქტად თუ მომსახურებად. ზემოთქმულიდან გამომდინარე, „ინოვაცია განიხილება არა როგორც განყენებული აქტივობა, არამედ იგი წარმოადგენს ფაქტორების, პროცესების და მონაწილე სუბიექტების ურთიერთქმედების მრავალფეროვან სისტემას.“ [56, გვ. 67]

მეცნიერ-ეკონომისტებს შორის დავას არასდროს იწვევდა მტკიცება იმის შესახებ, რომ საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი რესურსი მისი ინტელექტუალური და გონებრივი პოტენციალია. თუმცა, ერთია ფლობა, ხოლო მეორე - მისი გამოყენების შესაძლებლობათა განვითარება ქვეყანაში. მზარდი გლობალური კონკურენციის პირობებში, სულ უფრო ცხადი ხდება, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია შედარებითი უპირატესობის გამოყენება და ცოდნის ეკონომიკაზე, ინოვაციებსა თუ ახალ ტექნოლოგიებზე ორიენტირებული სტრუქტურული ეკონომიკური (მ.შ. რეგიონული) სტრატეგიის შემუშავება. აღნიშნულში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება უნივერსიტეტებს, როგორც სწავლებისა და კვლევების გენერირებისა და გავრცელებისცენტრებს, მაღალკვალიფიციური მუშა-ხელის მაფორმირებელსა და, შედეგად, რეგიონული ინოვაციური სისტემის საყრდენს.

ექსპერტებს შორის ჯერ კიდევ არ არსებობს ერთიანი აზრი ინოვაციური სისტემის ცნების ცალსახად განსაზღვრისათვის და კონცეპტი ჯერ კიდევ ვითარდება. ინოვაციური სისტემის თეორიის მიხედვით, ინოვაციები და ტექნოლოგიური განვითარება უნდა აღვიქვათ, როგორც სისტემის ძირითად მოქმედ პირებს - საწარმოებს, უნივერსიტეტებსა და კვლევით დაწესებულებებს შორის კომპლექსური ურთიერთობების შედეგი.

„ინოვაციური სისტემის“ კონცეფციის ფუძემდებლებად მიიჩნევა ბ.ა. ლუნდვალი და კ. ფრიმანი, რომლებიც ამ იდეას ძირითადად საერთო-სახელმწიფო დონისათვის იყენებდნენ. თუმცა, მოგვიანებით მისი განხილვა რეგიონებთან და თვით ეკონომიკის სექტორებთან მიმართებითაც კი დაიწყო. შედეგად, ინოვაციური სისტემა კლასიფიცირდება, როგორც ეროვნული, რეგიონული, ლოკალური, ტექნოლოგიური და სექტორული ინოვაციური სისტემები.

ინოვაციური სისტემის არაერთი განმარტება არის მოცემული სხვადასხვა ავტორების ნაშრომებში, რომლებშიც ცნების შინაარსობრივი დატვირთვის სხვადასხვა ასპექტზე არის ყურადღება გამახვილებული. მათი ერთგვარი შეჯერების საფუძველზე, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი მოსაზრება: ინოვაციური სისტემა წარმოადგენს საჯარო და კერძო სექტორის ცალკეული ინსტიტუტის, მათი სტრუქტურებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომლებიც ინდივიდუალურად თუ ერთობლივად მოქმედებენ ახალი ტექნოლოგიების ინიცირების, იმპორტირების, მოდიფიცირებისა და გავრცელებისათვის. ანუ, ეს არის ურთიერთდაკავშირებული ინსტიტუტების სისტემა

ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და გამოცდილებისშექმნის, შენახვისა და გადაცემისათვის, რაც განაპირობებს ახალი ტექნოლოგიების განვითარებას.

საერთო-სახელმწიფო ინოვაციური სისტემის პარალელურად, თანამედროვე პირობებში, სულ უფრო მეტ ძალას იკრებს რეგიონული ინოვაციური სისტემა, რომელიც ხელს უწყობს ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და საუკეთესო გამოცდილების სწრაფ გავრცელებას ტერიტორიულ-გეოგრაფიული ერთეულის შიგნით, რომელიც ქალაქზე მეტია, მაგრამ სახელმწიფოზე უფრო მცირე.

ინოვაციური პროცესი სოციალური ხასიათის მატარებელია და ცალკეული ქვეყნები თუ რეგიონები ცდილობენ განავითარონ სასარგებლო ინოვაციების წარმოების სპეციფიკური გზები, საკუთარი პოტენცილის გათვალისწინებით. ინოვაციების ანალიზი იკვლევს, თუ როგორ უწყობს ხელს ან ანელებს რეგიონისა თუ მისი ურბანული ცენტრების ინსტიტუციური და კულტურული გარემო ინოვაციურ პროცესს. რეგიონული ინოვაციური სისტემა აღიქმება, როგორც ეკონომიკური, პოლიტიკური და ინსტიტუციური ურთიერთობების ერთობლიობა, რომელიც ვითარდება მოცემულ გეოგრაფიულ არეალში, რაც ავითარებს სწავლების ერთობლივ პროცესს და განაპირობებს ცოდნისა და საუკეთესო გამოცდილების სწრაფ გავრცელებას.

სამწუხაროდ, საქართველოს რეგიონებში სახეზეა ტექნოლოგიური განახლებისა და ინოვაციების განვითარების მხარდაჭერის სისტემური და ინსტიტუციური ვაკუუმი, ასევე, მოძველებული ტექნიკურ-ტექნოლოგიური ბაზა, სუსტი საწარმოო სიმძლავრეები, შრომის დაბალი ნაყოფიერება, წარმოების სხვა ფაქტორების განვითარების არსებული დონე და საჯარო ინტერვენციისა თუ ხელშეწყობის უკიდურესი შეზღუდულობა. აღნიშნული დიდად აბრკოლებს მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროცესების განვითარებას რეგიონებში. ჩამოთვლილ გამოწვევებს, სხვა ფაქტორებთან ერთად, განაპირობებს ისიც, რომ, როგორც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, ეროვნული საინოვაციო სისტემებისა და შესაბამისი პლატფორმების განვითარება ვერ იღებს სასურველ შედეგს და ვერ უწყობს სათანადოდ ხელს ქვეყნის საერთო კონკურენტუნარიანობისა თუ პროდუქტიულობის ამაღლებას, თუკი ეს პროცესი მოწყვეტილია შესატყვისი საინოვაციო სისტემების ქმედითი და სინერგიული დანერგვა-განვითარებისგან სუბნაციონალურ დონეებზე. [53, გვ. 29]

თანამედროვე ეტაპზე გამძაფრებული გლობალური კონკურენციის პირობებში, საქართველოსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გრძელვადიან პერსპექტივაზე

ორიენტირებული და კონკურენტუნარიანობის მასტიმულირებელი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობდა პროდუქტიულობის ზრდას და სოციალური კეთილდღეობის მიღწევას, როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ (მხარეების) დონეზე. ამ კონტექსტში, განსაკუთრებულ როლს ასრულებენ რეგიონული საინოვაციო სისტემები, რომელთა დანერგვა მოითხოვს ცოდნის ეკონომიკის პრინციპების საფუძველიან გააზრებას, რომლებიც თანამედროვე საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით განვითარებული ქვეყნებისათვის დიდი ხანია უმთავრეს პრიორიტეტებდ იქცნენ. [56, გვ. 69]

რეგიონული საინოვაციო სისტემის კონცეფცია დაახლოებით მეოთხედი საუკუნის განმავლობაში წარმოებული ინტენსიური სამეცნიერო დისკუსიის შედეგად გამოიკვეთა. იგი, როგორც ეროვნული საინოვაციო სისტემის შემადგენელი ნაწილი, წარმოადგენს რეგიონის შედარებითი უპირატესობის ნიშნით სამეწარმეო სუბიექტებისა და სხვადასხვა ინსტიტუციების შეჯგუფების და თანამშრომლობის მოდელს, რომლის უმთავრესი მიზანია მოცემულ რეგიონში არსებული ფიზიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის, ბუნებრივი და სხვა მატერიალური რესურსების ეფექტიანი გამოყენება-განვითარება და ამის საფუძველზე, ინოვაციებისა და მეწარმეობის სტიმულირება რეგიონის ეკონომიკური პოტენციალისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის.

რეგიონული ინოვაციური სისტემის საზღვარი შეიძლება კონცეპტუალურად და ორგანიზაციულად გაივლოს ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და ინსტიტუციონალური ურთიერთობების ირგვლივ, რომლებიც ქმნიან სწავლების ერთობლივ პროცესს ტექნოლოგიური და ფუნქციონალური სფეროების ურთიერთდაკავშირებულ ჯგუფებს შიგნით. რეგიონის ინოვაციური სისტემა ეროვნული ინოვაციური სისტემის საფუძველს წარმოადგენს და იგი საკმაოდ რთული, მრავალწახნაგოვანი ფენომენია, რომელიც მთლიანად ქვეყნის საინოვაციო პოტენციალს განსაზღვრავს.

უპირველეს ყოვლისა, ეს არის სოციალური სისტემა, რომელიც ფუნქციონირებს მის შემადგენლობაში მყოფი ძირითადი მოთამაშეების - კომპანიები, კვლევითი და სასწავლო ორგანიზაციები, რეგიონული მთავრობა, ტექნოლოგიური შუამავლები, სხვა ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტები - ურთიერთქმედების საფუძველზე. თავისი ფუნქციონირების პროცესში, რეგიონის ინოვაციური სისტემა იყენებს

ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე მისთვის ხელმისაწვდომ ყველა რესურსს: ადამიანურს, ინტელექტუალურს, ფინანსურს, ინფრასტრუქტურულს, ინსტიტუციონალურს და სხვა, [10, გვ. 105] რის შედეგადაც ის უზრუნველყოფს ცოდნის გენერაციას, გამოყენება-გავრცელებასა და ინოვაციებში ინტეგრირებას. ყოველივე აღნიშნული საბოლოოდ იძლევა შედეგებს, რომლებიც განაპირობებენ რეგიონის ეკონომიკურ ზრდას, მისი ინვესტიციური მიმზიდველობის ამაღლებას, სოციალური ფონის გაუმჯობესებას და ა.შ.

რეგიონული საინოვაციო სისტემა რთული და მრავალგანზომილებიანი ფენომენია, რომლის ეფექტიანი მართვისა და მაღწეული შედეგების მონიტორინგისათვის სპეციალური რაოდენობრივი ინსტრუმენტების შემუშავებაა აუცილებელი.

უკანასკნელ წლებში, რეგიონულის მსგავსად, სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ლოკალური (ადგილობრივი) ინოვაციური სისტემებიც. ჩვენი აზრით, იგი წარმოადგენს საბაზრო (კომპანიების, მოწყობილობებისა თუ სერვისების მიმწოდებლების, მომხმარებლების) და არასაბაზრო (უნივერსიტეტები, კვლევითი ინსტიტუტები, ტრენინგ-ცენტრები, სტანდარტიზაციის განყოფილებები, ადგილობრივი სამრეწველო, სავაჭრო თუ სხვა პალატები, ბიზნეს-ასოციაციები, სხვადასხვაგვარი მარეგულირებელი სააგენტოები, ტექნოპარკები, შესაბამისი სამთავრობო ორგანიზაციები და დეპარტამენტები და ა.შ.) ინსტიტუტების სივრცით კონცენტრაციას, რომლებშიც გაერთიანებულია ახალი პროდუქციის და/ან სერვისების წარმოება სპეციფიკურ ბიზნეს ქსელებში.

აღსანიშნავია შემდეგი ფაქტი - სულ უფრო მზარდი რეალობა გვაფიქრებინებს, რომ არსებობს რაღაც სპეციფიკური და სისტემური მიდგომა ინოვაციებთან, როგორც ლოკალურ ფენომენთან დაკავშირებით, რომელშიც ფიზიკური სიახლოვე, განმეორებადი ქმედებები, საერთო ისტორია და სამომავლო პერსპექტივები და ა.შ., კომბინირებულია, რათა მიღებულ იქნას შედეგები, რომელთა პროგნოზირება თვით ეროვნულ ინოვაციურ სისტემასაც არ შეუძლია.

ინოვაციური სისტემების განვითარების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა სათანადო ინვესტიციების არსებობა კვლევასა და განვითარებაში (ე.წ. R&D – Research and development) მთლიანად ქვეყნის მასშტაბით. ამ მხრივ, საქართველოში არც თუ სახარბიელო მდგომარეობაა.

ცხრილი 3.5

დანახარჯები კვლევაზე, განვითარებასა და ინოვაციებზე ცალკეულ ქვეყნებში[9]

№	მოცულობაზე აქცენტირებით			მშპ-თან მიმართებაზე აქცენტირებით		
	ქვეყანა	**ინვესტიციები კვლევაში, განვითარებასა და ინოვაციებში** *(მლრდ. აშშ დოლ.)*	*მშპ-თან მიმართებით, 2011 წ., %-ში*	**ქვეყანა**	*ინვესტიციები კვლევაში, განვითარებასა და ინოვაციებში (მლრდ. აშშ დოლ.)*	**მშპ-თან მიმართებით, 2011 წ., %-ში**
1	აშშ	405,000	*2,70*	იაპონია	*160,000*	3,67
2	ჩინეთი	297,000	*1,98*	შვედეთი	*11,900*	3,30
3	იაპონია	160,000	*3,67*	ფინეთი	*6,300*	3,10
4	რუსეთი	23,800	*1,16*	აშშ	*405,000*	2,70
5	შვედეთი	11,900	*3,30*	ჩინეთი	*297,000*	1,98
6	ფინეთი	6,300	*3,10*	ჩეხეთი	*3,800*	1,40
7	ჩეხეთი	3,800	*1,40*	რუსეთი	*23,800*	1,16
8	უკრაინა	2,700	*0,85*	ესტონეთი	*0,360*	1,11
9	ბელარუსი	1,200	*0,96*	ბელარუსი	*1,200*	0,96
10	ჩილე	1,020	*0,53*	უკრაინა	*2,700*	0,85
11	ესტონეთი	0,360	*1,11*	ჩილე	*1,020*	0,53
12	აზერბაიჯანი	0,202	*0,22*	მოლდოვა	*0,049*	0,40
13	კოსტა რიკა	0,150	*0,32*	სომხეთი	*0,048*	0,40
14	მოლდოვა	0,049	*0,40*	კოსტა რიკა	*0,150*	0,32
15	სომხეთი	0,048	*0,40*	აზერბაიჯანი	*0,202*	0,22
16	საქართველო	0,027	*0,18*	საქართველო	*0,027*	0,18

საქართველო ორივე შემთხვევაში ბოლო ადგილზე აღმოჩნდა, როგორც ინვესტირებული თანხის მთლიანი მოცულობის, ისე მშპ-თან მიმართებით პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით (იხ. ცხრ. 3.5). რა თქმა უნდა, ქვეყნის მწირი ფინანაური რესურსები და სოციალური ვითარება ქვეყანაში, ერთობ ართულებს კვლევებსა და განვითარებაში თანხების ინვესტირებას. ჩვენი აზრით, აღნიშნული პრობლემის დაძლევა შეიძლება ორი ძირითადი გზით:

1. უცხოური ინვესტიციური რესურსების მოზიდვა, კვლევებისა და ინოვაციების იმპორტი;
2. საკუთარი რესურსების მობილიზება და გადამწყვეტ უბნებზე კონცენტრირება, ადგილობრივი კომპანიების მოტივირება კვლევებსა და

[9] ცხრილის ფორმირების დროს გამოყენებულ იქნა საქართველოს ინოვაციების კვირეულის დროს გაკეთებული პრეზენტაციების მასალები, კერძოდ: **პრიგოჟინა ა.**, *საქართველოს გარდაქმნა ინოვაციურ ჰაბად და ცოდნაზე დამყარებულ ეკონომიკად: გამოწვევები და შესაძლებლობები*, 24-26.04.2014, თბილისი, საქართველო.

ინოვაციებში ინვესტირებით, უნივერსიტეტების სამეცნიერო პოტენციალის გააქტიურების ხელშეწყობა.

საერთაშორისო დონიდან R&D-ის იმპორტის ხელშემწყობი რამდენიმე ფაქტორი არსებობს. მათ შორის:

- დაბალი დანახარჯები;
- საჭირო კადრებზე ხელმისაწვდომობა (სათანადო უნარ-ჩვევებით აღჭურვილი სპეციალისტები, მათემატიკოსები, ინჟინრები, დოქტორები და ა.შ.) და მათი მნიშვნელოვნებაინოვაციური ღირებულების შექმნის ყველა ეტაპზე: იდეის ფორმირებიდან კვლევამდე, პროდუქტის შექმნა და გამოცდამდე;
- ქვეყნის პოტენციალის და გარემო პირობების შესაბამისად, ბაზრის სპეციალური უნარ-ჩვევებით აღჭურვილი სეგმენტების ფორმირება და განვითარების უზრუნველყოფა (მაგ.: ავტო ინჟინერია ინდოეთში, ელექტრონიკა ჩინეთში და ა.შ.)
- ბაზრის ღიაობა და შეღწევადობა, სიახლოვე ბაზარსა და კლიენტებს შორის.

საკუთარი რესურსების კონცენტრაციისა და მიზნობრივი განაწილების საკითხი საკმაოდ წინააღმდეგობრივი და მრავალწახნაგოვანია. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო სტრუქტურულ რეფორმებს საჭიროებს. უმუშევრობისა და სიღარიბის მაღალი დონე, მწარმოებლურობისა და ექსპორტის დაბალი დონის პირობებში, განაპირობებს რეფორმების შემდგომი ეტაპის აუცილებლობას, რომლის მიზანი იქნება, ერთი მხრივ, სტრუქტურული რეფორმების მხარდაჭერა და პირობების შექმნა რათა საქართველო დაბალი საშუალო შემოსავლის ქვეყნიდან მაღალი საშუალო შემოსავლის ქვეყნად გადაიქცეს. როგორც ცალკეული პიროვნების შემოსავლის მოცულობა ბევრად არის დამოკიდებული მისი განათლების დონეზე, ისე მთლიანად ქვეყნის წარმატება მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება მთლიანად განათლების სისტემისა თუ მისი ცალკეული სუბიექტის ფუნქციონირებით.

ინოვაციური სისტემის განმარტება საშუალებას გვაძლევს კარგად აღვიქვათ აღნიშნულ სისტემაში უმაღლესი სასწავლებლების როლი. ამ შემთხვევაში, ისინი გვევლინება როგორც ერთგვარი სოციალური ქსელი, რომლის შიგნით ადამიანები ავითარებენ ქმედებათა ისეთ მოდელებს, რომლებიც ამცირებენ ცოდნის სიმწირით, გეოგრაფიული დაშორებით, ნდობის ნაკლებობით, ენობრივი და კულტურული

განსხვავებულობითა თუ არაეფექტური საზოგადოებრივი ურთიერთობებით გამოწვეული პრობლემების ზეგავლენას.

თანამედროვე უნივერსიტეტი წარმოგვიდგება, როგორც ცოდნის დაგროვების, შენახვისა და გავრცელების მექანიზმი, რომელიც ქმნის ინტელექტუალურ საფუძველს განვითარებისათვის როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორისათვის. აღნიშნულ პროცესში უნივერსიტეტებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ. აღნიშნულის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში ტექნოლოგიური მოდერნიზაციის დაჩქარებისა და ინოვაციების გაზრდის უახლეს ტენდენციას წარმოადგენს განვითარება კვლევების გაფართოებაზე, სწავლებასა და ჩვევების ფორმირებაზე, მეცნიერებატევადი პროდუქტების შექმნაზე დაყრდნობით.

სწორედ უნივერსიტეტების ჩართულობის შედეგად ყალიბდება ეროვნული ინოვაციური სისტემა, როგორც საზოგადოების წევრებს, კომპანიებსა თუ სხვადასხვა ინსტიტუტებს შორის ტექნოლოგიებისა და ინფორმაციის გავრცელების მექანიზმი, რაც ეროვნულ დონეზე ინოვაციური პროცესის განვითარების გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს.

საქართველოს რეალობის გათვალისწინებით, სწორედ უნივერსიტეტი, როგორც სწავლებისა და კვლევების კონცენტრაციის ადგილი, წარმოადგენს საყრდენს ეროვნული თუ რეგიონული ინოვაციური სისტემების ფორმირებისათვის. ინოვაციებზე აქცენტირება მისცემს ქვეყანას შესაძლებლობას, რათა გახდეს უფრო ინოვაციური, მოწინავე და მაღალკონკურენტუნარიანი სახელმწიფო და ხელი შეუწყოს არა მხოლოდ რაოდენობრივ, არამედ, უფრო მეტად, ხარისხობრივ ზრდა-განვითარებას.

ამ მიზნის მისაღწევად საქართველოს საკმაო პოტენციალი გააჩნია, რომლის მნიშნველოვანი ნაწილი (ხშირ შემთხვევაში მივიწყებული) ასევე უნივერსიტეტებშია ძირითადად თავმოყრილი. კერძოდ:

- კარგი პატენტშემოქმედებითი საქმიანობა;
- მაღალხარისხიანი ექსპერტები;
- ძლიერი უცხოური კავშრები;
- ინოვაციურობისადმი მიდრეკილება და შესაბამისი აქტივობების არსებობა;
- ძლიერი ფუნდამენტური სამეცნიერო პოტენციალი და ა.შ.

აღნიშნული და სხვა აქტივები, რომლებიც ნაკლებად გააჩნია ინოვაციური სისტემის დანარჩენ სუბიექტებს, ქმნიან თანამედროვე საქართველოში ინოვაციური განვითარების

წინაპირობებს და განაპირობებენ მაღალი შედეგების მიღების შესაძლებლობას. სწორედ ამიტომ, სახელმწიფომ უნდა მისცეს ბიძგი ინვესტიციების ზრდას განათლებაში, კვლევებსა და განვითარებაში.

ზემოთ წარმოებული განხილვების საფუძველზე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ინოვაციურ სისტემებში უნივერსიტეტების მნიშვნელობა უფრო გამოკვეთილ ხასიათს ატარებს რეგიონულ დონეზე. საქართველოში აღნიშნულს განაპირობებს შემდეგი:

- უნივერსიტეტებში გაერთიანებულია ერთდროულად სწავლება და კვლევა;
- სახელმწიფო დონისაგან განსხვავებით, რეგიონულ დონეზე გაცილებით უფრო რთულია მნიშვნელოვანი მასშტაბების მქონე კვლევითი ცენტრების ფორმირება და განვითარება (ხოლო ლოკალურ დონეზე ფაქტობრივად გამორიცხულია), რაც კიდევ უფრო ამაღლებს სამეცნიერო-კვლევებში უნივერსიტეტების მნიშვნელობის;
- თანამედროვე ეკონომიკური თუ სოციალური პრობლემების უმეტესი ნაწილი უფრო რეგიონული ხასიათისაა, ვიდრე საერთო-სახელმწიფო ან ლოკალური, მაგალითად: დასაქმება, განათლება, სოციალური დაცვა, სტრატეგიული დაგეგმვა, ინვესტიციური მიმზიდველობის ზრდა და ა.შ.
- ლოკალური ბაზრის კვლევა და საგანამანთლებლო, პროფესიული პროგრამებისა თუ ტრენინგ-კურსების მის მოთხოვნებზე ორიენტირება უფრო მიზანშეწონილია რეგიონულ დონეზე, რომელიც საერთო-სახელმწიფო დონის სუბ-სისტემას წარმოადგენს, მაგრამ იმავდროულად თვითონ წარმოადგენს გამაერთიანებელ რგოლს ადგილობრივ თვითმმართველობებთან მიმართებაში;
- უნივერსიტეტებში მომზადებული ადამიანური რესურსის დასაქმების არეალი (ჩვენს მიერ წარმოებული კვლევების მიხედვით) სწორედ რეგიონია და არა მხოლოდ მუნიციპალიტეტი და ა.შ.
- უნივერსიტეტში კონცენტრირებული სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალი (მეცნიერ-მკვლევარები, თანამედროვე ლაბორატორიები, საერთაშორისო კავშირები და ა.შ.) მყარ საფუძველს ქმნის პრაქტიკული და გამოყენებითი ხასიათის მქონე კვლევების მხარდაჭერისათვის, რაც ასე აუცილებელია ინოვაციური სისტემის დანარჩენი სუბიექტებისათვის.

ყოველივე ზემოთქმული განაპირობებს იმას, რომ საშუალოვადიან პერსპექტივაში უნივერსიტეტი მოგვევლინება, როგორც ე.წ. „რეგიონული ჰაბი“ სწავლა-სწავლებისა და კვლევების განხორციელებისათვის და საკუთარ თავზე აიღებს რეგიონული ინოვაციური სისტემის ფორმირებისათვის მყარი საფუძვლების მომზადებას. აღნიშნული, თავის მხრივ, დადებითად იმოქმედებს მხარის ინვესტიციური მიმზიდველობის ზრდასა და რეგიონში ბიზნეს აქტივობის შემდგომ ამაღლებაზე.

რეგიონულ განვითარებაში ინოვაციური მიდგომები კარგა ხანია მკვლევარი-ეკონომისტების შესწავლის ობიექტი გახდა, რამაც საკმაოდ საინტერესო შეხედულებები, დამოკიდებულებები და დასკვნები მისცა ეკონომიკურ მეცნიერებას. ერთ-ერთ ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ ე. კუკლინსკის მიერ ჩამოაყალიბებული რეგიონების ტიპოლოგია საინოვაციო პროცესთან მიმართებაში: [2, გვ. 399]

- **კრეაციული და ინოვაციური რეგიონები**. აქ არსებულ ლაბორატორიებსა და სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებში იქმნება ბაზისური სიახლეები და ხდება მათი გამოცდა. ამ ტიპს მიეკუთვნებიან ფორმალური და არაფორმალური დედაქალაქები, რომლებსაც შესწევთ უნარი (ინტელექტუალური პოტენციალი, ფინანსური და მატერიალური რესურსები) ბაზისური პოლიტიკური, სოციალური და სამეცნიერო-ტექნიკური ინოვაციების გენერირებისა და გააჩნიათ შესაბამისი საქმიანი და შემოქმედებითი გარემო;
- **ადაპტიური რეგიონები**. მათ უნარი შესწევთ გამოიყენონ ინოვაციები, მათი მასობრივი გავრცელების სტადიაზე. ასეთებს უპირატესად მიეკუთვნებიან კლასიკური ძველი სამრეწველო ცენტრები და ნახევრად პერიფერიული, ზომიერი აგრარულ-ინდუსტრიული განვითარების რაიონები. ახალი ტექნოლოგიების თვალსაზრისით ჩამორჩენილობა, ერთის მხრივ, და ინდუსტრიალიზაციის გარდაუვალი პროცესი, მეორე მხრივ, აიძულებს ასეთ რეგიონებს ინოვაციურ პროცესში მონაწილეობას;
- **კონსერვატიული რეგიონები და ტერიტორიები**. [77, გვ. 42] მათ ნაკლებად შესწევთ უნარი აითვისონ ინოვაციები. ასეთებს ძირითადად მიეკუთვნება:
  ა) ტერიტორიული ერთეულები, რომლებიც იძულებულნი არიან შეინარჩუნონ ინდუსტრიამდელი კულტურულ-ეკონომიკური წყობა

(მიუხედავად იმისა, რომ სჭირდებათ ცვლილებები), რადგან არ გააჩნიათ ცვლილებებისათვის საჭირო რესურსები;

ბ) ტერიტორიული ერთეულები, რომელთა ეკონომიკური ინფრასტრუქტურა და ქვეყნისა თუ მხარის განვითრების სამომავლო პერსპექტივები განაპირობებს მათთვის არსებული ვითარების შენარჩუნების უპირატესობას.

ვფიქრობთ, ზემოთ მოყვანილი კლასიფიკაცია მიესადაგება საქართველოს რეალობას. პირველ შემთხვევაში, ცხადია მოიაზრება ქ. თბილისი. მეორე ტიპს შეესაბამებიან: ქ. ქუთაისი, ქ. რუსთავი, ქ. ზესტაფონი, ქ. ჭიათურა და ა.შ. კლასიფიკაციის მესამე ტიპს შეიძლება მივაკუთვნოთ ქვეყნის ტერიტორიული ერთეულების უმეტესობა (განსაკუთრებით მთიანი რეგიონები), რომელთა სამომავლო პერსპექტივა ისეთივე ბუნდოვანი დარჩება, თუ მათ მიმართ არ განხორციელდა სპეციალური მიდგომები და შემუშავდა მრავალწახნაგოვანი საერთო-სახელმწიფო პოლიტიკა.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე, სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა სტრატეგიული მართვის შესაძლებლობების ფორმირებას რეგიონულ დონეზე. მსოფლიოს როგორც განვითარებული, ისე და განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანათა მნიშვნელოვანი ნაწილი სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს სახელმწიფოებრივი განვითარების გრძელი და საშუალოვადიანი სტრატეგიისა და ახალი რეგიონული პოლიტიკის კონცეპზტე მუშაობას. განსაკუთრებული ხაზგასმის ღირსად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ აღმოსავლეთ ევროპაში უკვე მუშაობა დაიწყეს ე.წ. ეროვნული სივრცითი განვითარების სტრატეგიებზე. აღნიშნულის ძალიან კარგი მაგალითია პოლონეთი, რომელიც უკვე 2033 წლის პერსპექტივების დაგეგმვაზე მუშაობს. [71, გვ. 18]

განვითარების პოლიტიკის შემუშავების სფეროში ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად იკვეთება დაგეგმვის ვადების გაფართოების აუცილებლობა, როგორც რეგიონულ, ისე ეროვნულ დონეზე. ამასთან, დროის ჰორიზონტის ზრდა, მომავლის უფრო ზუსტი განჭვრეტის შესაძლებლობების გაძლიერება და ხარისხობრივ მეთოდებზე აქცენტების გადატანა, რა ვითარებაშიც სამოქალაქო სექტორი ზემოქმედებას მოახდენს განვითარების პროცესებზე, სტიმულირებული უნდა იყოს საქართველოს კიდევ უფრო მეტი დაახლოებით ევროკავშირთან, გლობალური კონტექსტის მნიშვნელობის ზრდის გათვალისწინებით ქვეყნის შიგნით აქტიური, განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკის განხორციელების სურვილის პირობებში.

პარადოქსია, რომ პროგნოზირების შესაძლებლობის შემცირება იმ მიმართულებებისა, რომლებიც ძირითადად ეფუძნება ტექნოლოგიური განვითარებისა და სოცალურ-ეკონომიკურ ვითარებაში ცვლილებების თანამედროვე გამოკვეთილ ტენდენციებს, გვაიძულებს, რომ ვიფიქროთ მომავალზე უფრო მკვეთრად და მრავალმხრივად:

- ერთი მხრივ, როგორც ამჟამინდელი განვითარებისა და არსებული ტენდენციების სამომავალო პერსპექტივაზე და
- მეორე მხრივ, განვითარების სასურველი ხედვის მიზანსა დასასურველ იმიჯზე.

თანამედროვე მსოფლიოში, ინფორმაციული ბაზები და ანალიტიკური შესაძლებლობები განვითარებისათვის გლობალურ, ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე, გრძელვადიან პერსპექტივაში, უნდა მოგვევლინოს ეფექტიანი და ეფექტური სოციალურ-ეკონომიკურ-სივრცითი სტრატეგიის საფუძვლად, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვიყენოთ მომავალი შესაძლებლობების უპირატესობები და შევამციროთ დამახასიათებელი რისკები.

მომავალზე მასშტაბურად და მრავალწახნაგოვნად ფიქრი შესაძლებელს გახდის, რომ გამოვიდეთ დამოკიდებულების ჯერ კიდევ პრევალირებადი ფორმიდან, როდესაც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა სტრატეგიები, მცირე გამონაკლისის გარდა, როგორც წესი, აქცენტირებულია წარსულზე, მოვლენებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ რამდენიმე თვის, ან უკეთეს შემთხვევაში, რამდენიმე წლის წინ. ცხადია, ასეთი მიდგომა საფუძველს მოკლებული არ არის, მაგრამ, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ის შედარებით ნაკლებად ითვალისწინებს სამომავლო პერსპექტივების ანალიზს, რაც შესაბამისი სტრატეგიული მონახაზების შესრულებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს - მათი ფაქტობრივი შედეგები მნიშვნელოვნად განსხვავდება სასურველისაგან, ან მათი მიღწევა საერთოდ ვერ ხერხდება.

მაგალითების მოძიება საქართველოს რეალობაში ნამდვილად არ სჭირს. საკმარისია გავიხსენოთ რამდენი სტრატეგიული გეგმა გაკეთდა უკანასკნელ ათწლეულში ქუთაისსა და იმერეთში. მათი ზოგადი, ძირითადი ნაკლი არის ის, რომ ისინი ეყრდნობოდა ერთიდაიგივე მწირ საინფორმაციო ბაზას და მაჩვენებლებს, რომელთა სიზუსტე სერიოზულ ეჭვს იწვევს და გაკეთებული დასკვნები გამომდინარეობდა წარსულის ზედაპირული ანალიზიდან და არა სამომავლო სტრატეგიული ხედვებიდან, მიზნებისა

და მისიის გამოკვეთიდან, მოვლენათა სავარაუდო განვითარების ანალიზიდან, გადასადგმელი ნაბიჯების მათზე ორიენტირებიდან და ა.შ.

ფაქტობრივად ყოველთვის, როდესაც ხდება სტრატეგიული გეგმების შემუშავება, ზემოთ მოყვანილ საკითხთა გარდა, პრობლემური ხდება ის, რომ ეკონომიკის ციკლურ განვითარებაში ცვლილებების გამო, ფაქტორების ზემოქმედება, რომლებიც განვითარების ერთიან ჩარჩოზე ახდენენ ზეგავლენას, გაცილებით უფრო ჩქარდება, ვიდრე ისინი აღწერილი არის ხოლმე ცალკეულ დოკუმენტებში. აღსანიშნავია, რომ რეალურად ბევრ სფეროში დეფიციტი სტრატეგიული მიდგომებისა,[10] რომელიც ორიენტირებული იქნებოდა მიზნებსა და შედეგებზე გრაძელვადიან პერსპექტივაში, აფერხებს მიმდინარე პრობლემებისათვის რაციონალური გადაწყვეტის გამოძებნას და უკვე დღეს შეიძლება უქმნიდეს პრობლემებს საჯარო ფინანსების მიზანმიმართულად და ეფექტიანად გამოყენებას, როგორც მთლიანად ქვეყანაში, ისე მის ცალკეულ ტერიტორიულ ერთეულში.

III.4. მუნიციპალური ქონების შეფასების მნიშვნელობა ტერიტორიული ერთეულების ინვესტიციური მიმზიდველობის ამაღლებაში

მიმდინარე ეტაპზე, საქართველოს ახალ ხელისუფლებას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად მიაჩნია დეცენტრალიზაციის პოლიტიკის გატარება და მთელი რიგი ფუნქციების, ვალდებულებებისა და რესურსების დელეგირება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე. თუმცა, აღნიშნული პროცესი, როგორც ჩანს, საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივი იქნება, მთელი რიგი ფაქტორების გამო. მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ცენტრს, მხარეებსა და ტერიტორიულ ერთეულებს შორის სამართლებრივ, იურიდიულ თუ ფინანსურ ურთიერთობათა შედარებით ნაკლები სიცხადე. დღემდე ბოლომდე არ არის საბოლოოდ გარკვეული თვითმმართველობების სტატუსი. ადგილობრივი ხელისუფლების სრული ფინანსური დამოკიდებულება ცენტრალური ბიუჯეტიდან შემოსულობებზე, ძლიერ ზღუდავს მათი მოქმედების თავისუფლებას. ტერიტორიული ერთეულების მიერ დაკარგვა ძველი ეკონომიკური კავშირებისა და ფუნქციებისა, რომლებიც მათ ახლო წარსულში გააჩნდათ, კიდევ უფრო ართულებს სიტუაციას.

[10] ამ შემთხვევაში, ვგულისხმობთ დეფიციტს თვით საკითხისადმი დამოკიდებულებაში.

აღნიშნულს ემატება სხვა ბევრი პრობლემა, რომლებიც მეტ-ნაკლებად განსხვავდება მხარეებისა თუ მუნიციპალიტეტების მიხედვით. თუმცა, არის საკითხები, რომლებიც საერთოა ყველასათვის და მათი მოგვარების სტრატეგიის დასახვა დადებითად აისახება ტერიტორიული ერთეულების უმრავლესობაზე.

ქვეყნის განვითარების და ეკონომიკური ვითარების ნორმალიზების კვალობაზე, სახელმწიფოებრივ მართვაში ცენტრალურ თუ ადგილობრივ დონეებზე აქტიურდება ისეთი საკითხები, რომელთაც თავიანთი მნიშვნელობა არასდროს დაუკარგავთ. თუმცა, მათ გასულ წლებში სათანადო ყურადღება არ ეთმობოდა. მსგავს გამოწვევათა შორის, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია მუნიციპალური ქონების ოპტიმალური მართვის პრობლემა, რომელიც მომავალში კიდევ უფრო დამძიმდება, თუ მიმდინარე ეტაპზე ამ მიმართულებით სწრაფი და ქმედითი ნაბიჯები არ გადაიდგა. შესაბამისად, საკითხის მეცნიერულ კვლევასა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავებას გადამწყვეტი როლი ენიჭება. აღნიშნულის მნიშვნელობას კიდევ უფრო აძლიერებს ის ფაქტი, რომ საქართველოს მუნიციპალიტეტების გარკვეულ ნაწილში უკვე დაიწყო სტრატეგიული განვითარების ფართომასშტაბიანი თუ დარგობრივი პროგრამების შემუშავება, სადაც ქონების მართვისა და ოპტიმალური გამოყენების საკითხებს სათანადო ადგილი აუცილებლად უნდა დაეთმოს.

მუნიციპალურ ქონებასთან დაკავშირებული პრობლემების სპექტრი საკმაოდ ვრცელია და მოიცავს როგორც მის ინვენტარიზაციას, ისე შეფასებას, ინვესტიციური ღირებულების დადგენას, გაკერძოების პრინციპების შემუშავებას, მართვისა თუ იჯარით გაცემის პრინციპების განსაზღვრას და ა.შ. მართალია, თითოეული მათგანი მნიშვნელოვანია და მათი რეგულირება აუცილებელი, მაგრამ მათი აქტუალობა შეიძლება იცვლებოდეს ცალკეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მიხედვით, გამომდინარე ამ უკანასკნელთა ისტორიული გამოცდილებიდან, მიმდინარე ეტაპზე არსებული პრობლემებიდან და სამომავლო პერსპექტივებიდან. ქ. ქუთაისში არსებული ვითარების შესწავლის დროს, ვითვალისწინებთ შესაბამისი მაგალითების განზოგადებისა და სხვა მუნიციპალიტეტების მიერ გამოყენების შესაძლებლობებსაც. მითუმეტეს, რომ მიუხედავად რეგიონებს შორის არსებული განსხვავებებისა განვითარების ტემპების, მოსახლეობის ცხოვრების დონის, ბიზნეს აქტივობის და ა.შ. მიხედვით, არის ბევრი ისეთი პრობლემა, რომელთა გადაჭრის მიმართ ერთნაირი მიდგომის განხორციელება და მთელი ქვეყნის მასშტაბით განზოგადება სავსებით

შესაძლებელია. გამომდინარე იქედან, რომ ადგილობრივ თვითმმართველობები, პოლიტიკურზე მეტად, სამეურნეო და ინფრასტრუქტურული ფუნქციებით უნდა იყვნენ აღჭურვილნი, მათი ქმედებები სწორედ ამ მიმართულებით უნდა ხასიათდებოდნენ განსაკუთრებული აქტიურობით. მითუმეტეს, რომ აღნიშნული არსებით ზეგავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების განვითარებაზე, ეკონომიკურ გაჯანსაღებაზე, სოციალური ფონის გაუმჯობესებასა და ა.შ., რაც თავის მხრივ, დადებითად აისახება მათ ინვესტიციური მიმზიდველობაზე.

თანამედროვე პირობებში, საქართველოში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქალაქო მეურნეობის გამოყენებისა და განვითარების მართვის ამოცანების ანალიზი და მდგომარეობის გამოსწორების გზების ძიება. ქ. ქუთაისში, ისევე როგორც სხვა თვითმმართველ ქალაქებსა თუ მუნიციპალურ ცენტრებში, ქონების ღირებულების განსაზღვრას ართულებს ის ფაქტი, რომ საქართველოში ადგილობრივმა თვითმმართველობებმა მემკვიდრეობით მიიღეს მოძველებული, ფაქტობრივად ამორტიზებული საბინაო-კომუნალური მეურნეობა, რომელიც ნაკლებად შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებსა და საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელ ურთიერთობებს. ინფრასტრუქტურის ელემენტების უმეტესობა მოძველებულია, ისინი არ გამოყენებულა დიდი ხნის განმავლობაში, ხშირ შემთხვევაში მათ დაკარგული აქვთ თავდაპირველი ფუნქცია (განსაკუთრებით ეს ეხება ყოფილ მუნიციპალურ საწარმოებს) და ა.შ. დამატებით სირთულეებს ქმნიან მთელი რიგი ფაქტორები, მათ შორის, ქონების სიმრავლე, მრავალფეროვნება, ფართო გეოგრაფიული განლაგება და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ქალაქის საკუთრებაში არსებული ქონების არასრული იდენტიფიკაცია, ანუ ქონების სრული (ზუსტი) ნუსხის არ არსებობა.

ამ უკანასკნელი პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებლად მიგვაჩნია, რომ შეფასების პროცესის განხორციელებამდე გარკვეული დროით ადრე დაიწყოს ქონების ინვენტარიზაციის პროცესი, რომელიც არანაკლებ რთული და შრომატევადი იქნება. ინვენტარიზაციის პროცესში პირველ ეტაზე უნდა მოხდეს იმ ობიექტების აღწერა რომელთა შესახებაც გარკვეული, თუნდაც არასრული დოკუმენტაცია მაინც არსებობს თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებში, ხოლო მეორე ეტაპზე უნდა დაიწყოს ინფორმაციის მოძიება იმ ობიექტების შესახებ, რომელთა შესახებაც რაიმე ოფიციალური დოკუმენტი არ არსებობს ან ვერ იძებნება. ინვენტარიზაციის დაწყებიდან გარკვეული

დროის შემდეგ, პროცესში უნდა ჩაერთოს შემფასებელთა ჯგუფი, რომელიც მოახდენს ცალკეული ობიექტების ღირებულების დადგენას.

ზემოთქმულის გარდა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ იქმნება ახალი ობიექტები, რომელთა თვითღირებულება განისაზღვრება ახალი, ამჟამინდელი ფასებით, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ძველისაგან, როგორც ოდენობით, ისე ფასწარმოქმნის მექანიზმით. შედეგად, შეიძლება მსგავსი ტიპის, დანიშნულების, მოცულობის, არქიტექტურული იერსახისა თუ კონსტრუქციული სირთულის ობიექტების ღირებულება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან. არსებული ვითარება მომავალში კიდევ უფრო დამძიმდება, თუ მუნიციპალური ქონების მდგომარეობის შეფასების, ღირებულების დადგენის და სამომავლო გამოყენების პერსპექტივების განსაზღვრის მიმართულებით ახლავე არ გადაიდგა სათანადო ნაბიჯები.

ქ. ქუთაისის მდგრადი განვითარების პროგრამის ფორმირებასა და რეალიზაციის უზრუნველყოფას საფუძვლად უნდა დაედოს სტრუქტურული ეკონომიკური პოლიტიკის მეთოდები. ქალაქის განვითარება ბევრად არის დამოკიდებული ადამიანური, მიწის თუ ფინანსური რესურსების, უძრავი ქონების, არამატერიალური აქტივების და ა.შ., ოპტიმალურ განაწილებაზე. სწორედ მასზე არის დამოკიდებული მაკროეკონომიკური მაჩვენებლები (მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით), ან განვითარების ნებისმიერი სხვა ინდიკატორის მნიშვნელობა, რომლებიც შეიძლება მიღწეულ იქნას მოკლე, საშუალო თუ გრძელვადიან პერსპექტივაში. ასევე შესაძლებელია განაწილების სხვა სქემის შემუშავებაც, იმ შემთხვევაში, თუ არსებული განაწილების მოსალოდნელი შედეგები მისაღები არ აღმოჩნდება. ამ დროს, აუცილებელია გამოინახოს განვითარების სხვადასხვა მიმართულებით რესურსების განაწილების სხვა ვარიანტი, ანუ შეიცვალოს სტრუქტურული ეკონომიკური პოლიტიკა.

მეცნიერ-ეკონომისტებისა და მკვლევარების უმეტესობა ამტკიცებს, რომ ქალაქის (როგორც ერთიანი სისტემის), თუ მისი ცალკეული ქვესისტემის განვითარების ხარისხის ასახვა ბევრად მარტივდება ერთიანი ინდექსის (ან რამდენიმე ინდექსის) შექმნით. [78, გვ. 238] ამისათვის გამოიყენება სხვადასხვა მაჩვენებელთა სისტემა, რომლებიც აერთიანებენ შემდეგ ძირითად შეფასებებს:

- ეკონომიკური - ამა თუ იმ სისტემისა და ობიექტის ან მმართველობითი გადაწყვეტილებების შედეგების შეფასება ღირებულებით ერთეულებში;
- სოციალური - ცხოვრების დონისა და ხარისხის მაჩვენებლები;

- ეკოლოგიური - გულისხმობს ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორების გაზომვას საცხოვრებელი გარემოს დაცვისა და მისი გაუმჯობესების მიზნით.

სადისერტაციო ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ რამდენიმე მაჩვენებელზე, რომლებიც არსებით ზეგავლენას ახდენენ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის განვითარების სამომავლო პერსპექტივებსა თუ მათი ინვესტიციური მიმზიდველობის ამაღლებაზე. მათ შორის მიზანშეწონილია აღინიშნოს შემდეგი:

<u>ეკონომიკური მაჩვენებლები</u>:

გამოიყოფა ტერიტორიული ერთეულის განვითარების დონის შეფასების სხვადასხვა მაჩვენებლები, რომლებიც ქვემოთ არის მოყვანილი, თუმცა, ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, უფრო დეტალურად განვიხილავთ მხოლოდ რამდენიმე მათგანს:

1. **მუნიციპალური უძრავი ქონებისა და მიწების შეფასება**

ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში, როგორც წესი, თავს იყრის უძრავი ქონების შემდეგი ობიექტები:

- მიწის ნაკვეთები;
- მიწისქვეშა ნაგებობები (საინჟინრო კომუნიკაციები და ნაგებობები, როგორიცაა მიწისქვეშა გადასასვლელები, საცავები, მეტრო და ა.შ);
- შენობები და ნაგებობები,
- ტყეები და მრავალწლიანი ნარგავები,
- ცალკეული წყლის ობიექტები (არხები, საცავები და ა.შ.);
- მუნიციპალური საწარმოებისა და ორგანიზაციების ქონება;
- ნაკრძალები, სხვადასხვა ლანდშაფტური და კულტურულ-ისტორიული დაცული ზონები, ძეგლები და ა.შ.

სახელმწიფოს ცენტრალური თუ ადგილობრივი ფინანსური რესურსების უკმარისობის პირობებში, მუნიციპალიტეტების ინფრასტრუქტურის აღდგენისა და განვითარებისათვის კერძო კაპიტალის (მ.შ. უცხოურის) მოზიდვა სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. ობიექტური და სრული ინფორმაცია სავარაუდო ინვესტიციური ობიექტების შესახებ, დადებითად მოქმედებს ინვესტორების მიერ კაპიტალის დაბანდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე.

ზოგადად, ეკონომიკურ ლიტერატურაში განხილული უძრავი ქონების შეფასების მეთოდები საკმაოდ მრავალფეროვანია, თუმცა, მათი სისტემატიზაცია ძირითადად სამი კლასის მიხედვით ხორციელდება. ესენია: [უფრო ვრცლად: 78, გვ.239; 20, გვ. 345]

- <u>**ნორმატიული** (ხარჯვითი)</u>:

ამ მიდგომის გამოყენებისას მხედველობაში მიღება, ანალოგიური უძრავი ქონების თანამედროვე პირობებში შექმნის ღირებულება (ჩანაცვლების ღირებულება), დაგროვილი ცვეთის თანხა, მიწის ნაკვეთის ღირებულება და სხვა მახასიათებლები, როგორიცაა მდებარეობა, მდგომარეობა და ა.შ.

დანახარჯების მეთოდი, მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებიდან გამომდინარე ძირითადად გამოიყენება შენობა/ნაგებობების საბაზრო ღირებულების განსაზღვრისათვის. თუ შენობა/ნაგებობასთან ერთად შესაფასებელია მიწის ნაკვეთი, რომელზეც ეს შენობა დგას (უმრავლეს შემთხვევაში ასე ხდება), მაშინ ღირებულების შეფასების პროცედურები ხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით: დგინდება მიწის ნაკვეთის (როგორც ვაკანტურის) საბაზრო ღირებულება, რომელსაც ემატება იდენტური (ანალოგიური) შენობა-ნაგებობის ახალი მშენებლობის ხარჯები და სამეწარმეო მოგება (მშენებლის) და აკლდება ყველა სახეობების ცვეთა, რომელიც განცდილი აქვს შესაფასებელ აქტივს შეფასების მომენტამდე.

აღნიშნულ მიდგომაში დამატებით კიდევ გამოიყოფა შემდეგი მეთოდები:

1) *ნორმატიული მეთოდი* უზრუნველყოფილია საერთო-სახელმწიფო და მუნიციპალური დონის ნორმატიული დოკუმენტებით. მაგალითად, მიწის ნაკვეთის ფასი შეიძლება დადგინდეს მიწის გადასახადის ჯერადი ოდენობით.
2) *საბალანსო ღირებულების მეთოდი.* უძრავი ქონების ობიექტის შეფასებითი ღირებულების განსაზღვრისათვის გამოიყენება მისი ბალანსის მონაცემები. მაგალითად, მუნიციპალური საწარმოს შესაფასებელი ქონების ღირებულებაში შეიძლება ნორმატიულად შეყვანილ იქნას ძირითადი საშუალებები და დაბანდებები, მარაგები და დანახარჯები, ფინანსური აქტივები;
3) *ინდექსირებული საბალანსო ღირებულების მეთოდი.* ბალანსის ცალკეული მუხლების გადაანგარიშება ხდება ნორმატიულად მოცემული ინდექსების მიხედვით;

4) *აღდგენითი ღირებულების მეთოდი.* შეფასება მოიცავს ყველა სახის დანახარჯის გადაანგარიშებას, მ.შ. პერსონალის გადამზადებისათვის, ობიექტის აღდგენისათვის მიმდინარე ფასების გათვალისწინებით და ა.შ. ამ დროს ხორციელდება ობიექტის მშენებლობისა და საქმიანობის უზრუნველყოფის სრული საპროექტო-ნუსხური გაანგარიშებები.

- <u>**შედარებითი** (ანალოგების მიხედვით):</u>

გულისხმობს შესაფასებელი ობიექტის პირდაპირ შედარებას ანალოგიურ უძრავ ქონებებთან, რომლებიც გაყიდულ იქნა უკანასკნელ პერიოდში. შედარების მიხედვით მიდგომა ყველაზე საუკეთესო მიდგომად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მოცემული ტიპის უძრავი ქონებისათვის აქტიური ბაზარი, სადაც სისტემატიურად ხდება მათი ყიდვა-გაყიდვა.

გაყიდვების შედარებაზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებისას, შემფასებელი პირველ რიგში იკვლევს ბაზარს – იღებს ინფორმაციას ანალოგიური ელემენტების (ქონებების) გაყიდვის ფასების შესახებ, არჩევს იმ ელემენტებს, რომელიც მსგავსია შესაფასებელი ობიექტისა, ითვალისწინებს შესაფასებელ ობიექტსა და შესადარის ობიექტს შორის განსხვავებებს და ადგენს შესაფასებელი უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებას ფასების შეჯერების გზით. ეს მიდგომა დამატებით კონკრეტდება შემდეგ მეთოდებად:

1) *ანალოგების მიხედვით აღდგენითი ღირებულების მეთოდი.* აღდგენითი ღირებულება განისაზღვრება შესაფასებელი ობიექტის შედარების საფუძველზე უკანასკნელ პერიოდში შექმნილ ობიექტ-ანალოგებთან. შეფასებისათვის გამოიყენება ობიექტი-ანალოგის საპროექტო-ნუსხური დოკუმენტაცია, რომლის კორექტირებაც ხდება საჭიროების შემთხვევაში;
2) *შედარების მეთოდი* ეფუძნება შესაფასებელი ობიექტის მსგავს უძრავ ქონებაზე განხორციელებული გარიგებების საფასო მონაცემების გამოყენებას, რაც საბაზრო ფასის დადგენის ყველაზე გავრცელებულ და მისაღებ ფორმას წარმოადგენს;
3) *ინვესტირების მეთოდი.* შესაფასებელი ობიექტის შედარება ხდება ობიექტ-ანალოგებთან, რომელთათვის არსებობს ინფორმაცია მათი შემოსავლიანობის შესხებ იჯარით გაცემის შემთხვევაში. საიჯარო ქირის ობიექტის ფასში გარდაქმნის მიზნით გამოიყენება კაპიტალზე შემოსავლის ნორმა. შეფასების

მომენტში, მოცემული ობიექტის ღირებულების დადგენისათვის, ხდება შემოსავლიანობის მიმდინარე დონის დისკონტირება. აღნიშნული მეთოდი მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას იმ ობიექტებისატვის, რომელთა ღირებულება ადვილი დასადგენია, საიჯარო ქირისა და მოგებდან გამომდინარე.

- <u>**შემოსავლიანობის** (კომბინირებული) მეთოდები:</u>

იგი გულისხმობს უძრავი ქონებიდან მომავალი შემოსავლების მიმდინარე ღირებულების დადგენას პირდაპირი კაპიტალიზაციით ან ფულადი ნაკადების დისკონტირების გამოყენებით. ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს მიდგომა ეფუძნება შესაფასებელი უძრავი ქონებიდან მომავალში მისაღები მთლიანი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გაანგარიშებას. ყველაზე ეფექტური აღნიშნული მიდგომის გამოყენება არის შემოსავლების მქონე ობიექტების შეფასების დროს, რადგან ის მხედველობაში იღებს ინვესტორის მოლოდინს ობიექტიდან მიღებულ შემოსავლებზე.

უძრავი ქონების შეფასება, როგორც წესი მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

- შესაფასებელი უძრავი ქონების შესახებ არსებული ინფორმაციის მოპოვება (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო რუკა, აზომვითი ნახაზი, შეძენის, ან შექმნის დამადასტურებელი დოკუმენტი და ა.შ.);
- შესაფასებელი უძრავი ქონების ადგილზე დათვალიერება და დასურათება;
- შეფასების მიდგომის შერჩევა;
- შეფასების გაკეთება (საჭიროების შემთხვევაში ტექნიკური პერსონალის მონაწილეობით).

აღნიშნულ მიდგომაში გამოიყოფა:

1) *მოგების კაპიტალიზაციის მეთოდი.* იგი გამოიყენება უძრავ ქონების იმ კომერციული ობიექტებისათვის, რომლებიც იჯარითაა გაცემული პირებზე, რომლებიც მათგან მოგების მიღებით არიან დაინტერესებული. საიჯარო ქირის შეფასება ხდება მოსალოდნელი მოგების მოცულობიდან გამომდინარე;
2) *დაყვანილი წმინდა მოგების მეთოდი.* მის განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს მოგების ფორმირების პროცესის დინამიკის გათვალისწინება. მოგების სიდიდე არ ითვლება უცვლელად, არამედ დამოკიდებულია ცვალებად ეკონომიკურ პირობებსა და რეალიზებად საწარმოო პროგრამაზე.

შემოსავლებისა და დანახარჯების დისკონტირებული ნაკადები ჯამდება წლების მიხედვით, რითაც ფორმირდება წარმოდგენა მოგებაზე.

3) *მოიჯარადის მეთოდი.* იგი გამოიყენება საკუთრების იმ ობიექტების შესაფასებლად, რომელთა შესახებ არ მოიპოვება გაყიდვების ინფორმაცია. ობიექტის, როგორც ერთგვარი კომპლექსის, ღირებულება იკრიბება მიწის ფასითა და მასზე განთავსებული შენობის ღირებულებით, ცვეთის გათვალისწინებით;

4) *ნარჩენი ღირებულების მეთოდი.* ეს მეთოდი გამოიყენება იმ დროს, როდესაც დასრულებული ობიექტის შეფასებითი ღირებულება მოიცავს ობიექტის აღჭურვას (მიწის ნაკვეთის გარეშე), ინვესტორისათვის მისაღებ მოგების დონეს (რომელიც მიიღება განვითარების პროექტის რეალიზაციის შედეგად) და მიწის ნაკვეთის შეძენაზე დანახარჯებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ამ პარამეტრებიდან თითოეული შეიძლება განისაზღვრებოდეს ობიექტის გამოყენებისა და განვითარების შესაძლო ვარიანტების მოდელირებისა თუ ვარირების საფუძველზე.

მას საფუძვლად უდევს შემდეგი ფორმულა:

$$ღ_ბ = ფ_ნ + მ + დ_ბ$$

სადაც, $ღ_ბ$ არის დასრულებული ობიექტის შეფასებითი ღირებულება;

$ფ_ნ$ - ობიექტის ნაგებობის ფასი, მაგრამ მიწის ნაკვეთის შესყიდვის ფასის გარეშე;

მ - ინვესტორისათვის მისაღები მოგება, რომელიც მიიღება განვითარების პროექტის რეალიზაციის შედეგად;

$დ_ბ$ - მიწის ნაკვეთის შეძენაზე დანახარჯები.

ფორმულაში შესული თითოეული პარამეტრი შეიძლება განისაზღვროს ობიექტის განვითარებისა და გამოყენების შესაძლო ვარიანტების მოდელირებითა და ვარიაციით. ტოლობიდან შეიძლება განისაზღვროს სამი შეფასებიდან ერთ-ერთი: ა) შეფასება „$დ_ბ$“-ს დანახარჯების მაქსიმალური თანხისა, რომელიც მზადაა გადაიხადოს ინვესტორმა მიწის ნაკვეთის შესაძენად; ბ) „მ“ პროექტის მოსალოდნელი მომგებიანობის შეფასება „$დ_ბ$“-ს და „$ფ_ნ$“-ს ცნობილი დანახარჯების პირობებში; გ) „$ფ_ნ$“-ს დასაშვები დანახარჯების შეფასება, „მ“ და „$დ_ბ$“-ს ცნობილი სიდიდეების პირობებში.

5) *მეწარმეობრივი შეფასების მეთოდი.* ამ მეთოდის მიხედვით, თავდაპირველად განისაზღვრება შემდეგი ორი მონაცემის მაქსიმალური სიდიდე: ა) ობიექტის მომავალი კომერციული საქმიანობიდან შემოსავალი, როგორც დაყვანილი წმინდა შემოსავალი (დწშ); ბ) მისი სახსრების გაყიდვიდან შემოსავალი (სგშ). მაქსიმალური მნიშვნელობა შეუდარდება ობიექტის აღდგენაზე დანახარჯებს (ოად). მეწარმეობრივი შეფასება (მშ) განისაზღვრება, როგორც მინიმალური სიდიდე შედარების შედეგების მიხევით:

მშ = min [ოად, max (დწშ, სგშ)]

დასავლეთი პრაქტიკაში, აღნიშნული მეთოდი გამოიყენება კომპანიების დენაციონალიზაციისა და საწარმოების შეფასების დროს.

ზემოთ აღნიშნული პრობლემებისა და საქართველოს თვითმმართველ ქალაქებსა თუ მუნიციპალურ ცენტრებში არსებული რეალური ვითარების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რომ ჩვენს პირობებში უფრო მიზანშეწონილია შედარებითი (ანალოგების მიხედვით) მეთოდების გამოყენება. ამ დროს, აქცენტები კეთდება შესაფასებელი ობიექტის შერჩევასა და მის შედარებაზე იმ ობიექტ-ანალოგებთან, რომლებიც დიდი ხანი არ არის, რაც აშენდნენ. ასევე, გამოიყენება ინფორმაცია უძრავი ქონების ანალოგიურ ობიექტებთან დაკავშირებით შემდგარ გარიგებებში დაფიქსირებული ფასების შესახებ.

ზამოთქმულს გარდა, ასევე გამოიყენება კონკრეტული ინვესტიციური ობიექტის შედარება იმ ანალოგ-ობიექტებთან, რომელთა მიხედვითაც გაგვაჩნია შემოსავლიანობის მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია, ამ უკანასკნელთა იჯარით გაცემის შემთხვევაში. ვფიქრობთ, რომ ეს არის საბაზრო ფასის განსაზღვრის ყველაზე მარტივი და ბუნებრივი მეთოდი. ცხადია, აღნიშნული სულაც არ გულისხმობს ნორმატიული და შემოსავლიანობის მეთოდების იგნორირებას. მათი გამოყენება მით უფრო შესაძლებელი გახდება, რაც უფრო მოწესრიგდება ვითარება ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში.

ამასთან, გადაწყვეტილების მიღება, თუ რომელი მეთოდი იქნეს შერჩეული, დამოკიდებულია ადგილობრივ თვითმმართველობებზე, რომელთა გადაწყვეტილებები უნდა გამომდინარეობდეს კონკრეტულ ტერიტორიულ ერთეულში არსებული

ვითარებიდან, თანამედროვე პრობლემებიდან და განვითარების სამომავლო პერსპექტივებიდან.

შესაბამისად, ზემოთ აღწერილი მიდგომებიდან ერთერთის ცალსახად შერჩევა, რომელიც ყოველთვის იქნება გამოყენებული თვითმმართველობის კუთვნილი უძრავი ქონების შეფსებისათვის არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად. ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის გამოყენებული უნდა იქნეს მოცემული ქონებისათვის ყველაზე უფრო ეფექტური ვარიანტი, თუმცა არსებობენ გარკვეული გარემოებები, რომლებიც უნდა იქნენ გათალისწინებული, კერძოდ:

- ვინაიდან, შემოსავლების მიხედვით მიდგომა ემყარება მოცემული ქონებიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების ოდენობას, რომელიც თავის მხრივ დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რისთვის იქნება ესა თუ ის უძრავი ქონება მომავალში გამოყენებული პოტენციური ინვესტორის მიერ (რისი დადგენაც ამ ეტაპზე შეუძლებელია), ამიტომ ამ მიდგომის გამოყენება უმეტეს შემთხვევაში შეიძლება არაეფექტური იყოს;
- გაყიდვების შედარების მიხედვით მიდგომა ეფექტური იქნება იმ შემთხვევაში, როცა არსებობს მოცემული უძრავი ქონებისათვის აქტიური ბაზარი. გამომდინარე აქედან, ისეთი შენობა-ნაგებობებისათვის, რომელთათვისაც ასეთი ბაზარი არ არსებობს, მას ვერ გამოვიყენებთ. ასეთი კი სავარაუდოდ იქნება შესაფასებელი შენობა-ნაგებობების უდიდესი ნაწილი, შესაბამისად მათთვის უმჯობესი იქნება დანახარჯების მიხედვით მიდგომის გამოყენება, რათა დადგინდეს მათი მშენებლობის დღევანდელი ღირებულება;

ვინაიდან მიწის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს ქალაქში საკმაოდ ხშირად აქვს ადგილი, ამიტომ მიწის ნაკვეთების შეფასებისათვის შეიძლება ყველაზე ეფექტური იყოს გაყიდვების შედარების მიხედვით მიდგომა. ქალაქში ზონების მიხედვით ადგილობრივი საკრებულოს მიერ განსაზღვრულია მიწის ნორმატიული ფასი, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს აუქციონის წესით მიწის გაყიდვისას საწყისი ფასის დასადგენად, ხოლო საბაზრო ღირებულება განისაზღვროს უახლოეს წარსულში გაყიდული ანალოგიური მიწის ნაკვეთების ფაქტობრივი ფასიდან გამომდინარე.

2. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მდგომარეობისა და მის განვითარებაზე დანახარჯების შეფასება

მთლიანად ინფრასტრუქტურისა და მისი ცალკეული ქვესისტემის ხელშეწყობასა და განვითარებაზე გაწეული დანახარჯების შეფასების ხერხები ერთმანეთისგან განსხვავებულია, თუმცა ისინი დაიყვანება ორ ძირითად მიდგომაზე. ერთ შემთხვევაში, ზოგიერთი ქვესისტემისათვის ეს დანახარჯები იზომება მთელი ქვესისტემის ღირებულებით ერთეულებში, ხოლო მეორეთათვის - ექსპლუატაციური დანახარჯები გამოიანგარიშება მომსახურების ზოგიერთი ხვედრითი დანახარჯის მიხედვით, ტექნიკური მახასიათებლების გათვალისწინებით: ფართობი, სიმძლავრეები, გარემოს დაბინძურების ხარისხი და ა.შ.

აქვე დავძენთ, რომ რეგიონული ინფრასტრუქტურის ქვესისტემების სრული ღირებულების შეფასებისას, გამოიყენება უძრავი ქონების შეფასებისათვის გამოყენებადი საერთო მეთოდები, ხოლო ინფრასტრუქტურის ახლად შექმნილი ელემენტებისათვის - ანალოგიური მეთოდები, რომელსაც მიმართავენ ინვესტიციური პროექტების შეფასებისას.

ინფრასტრუქტურის არსებული ქვესისტემებისათვის, მართალია, მათი შექმნისა და ექსპლუატაციის ხარჯები ცნობილია, მაგრამ გადაანგარიშებას საჭიროებს ცვალებადი ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე. მაგალითად, ასეთი საჭიროება შეიძლება გაჩნდეს საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის, დასუფთავების, მომსახურების სფეროს და სხვა ქვესისტემების ღირებულების განსაზღვრისათვის, დოტაციების შეფასებისათვის, შენარჩუნება-განვითარებისათვის და ა.შ.

3. ტერიტორიული ერთეულის განვითარების ინვესტიციური პროექტების ეფექტიანობის შეფასება

მუნიციპალური განვითარების ნებისმიერი ინვესტიციური პროექტის შეფასების აზრი მდგომარეობს პასუხის გაცემაში შემდეგ კითხვაზე: გაამართლებს თუ არა მომავალი სარგებელი მიმდინარე დანახარჯებს. თუმცა, თუ ინვესტორებისათვის ცნება „მომავალი სარგებელი“ ძირითადად დივიდენდების მიღებასთან არის დაკავშირებული, ადგილობრივი თვითმმართველობისათვის მისი მნიშვნელობა გაცილებით უფრო ვრცელია. იგი, ტერიტორიული ერთეულის განვითარების მრავალკრიტერიუმიანი ამოცანებიდან გამომდინარე, ოპტიმალური ვარიანტის შერჩევაში მდგომარეობს.

ინვესტიციური ობიექტის ეფექტიანობის შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი ძირითადი მეთოდები: წმინდა მიმდინარე ღირებულების განსაზღვრის; ინვესტიციათა რენტაბელობის გაანგარიშების; მოგების შიდა ნორმის გაანგარიშების; ინვესტიციათა ამოღების (დროის ლაგი) პერიოდის გაანგარიშების და სხვ.

4. მთლიანი რეგიონული (რეგიონში წარმოებული დამატებული ღირებულება) და მთლიანი საქალაქო პროდუქტის შეფასება

მთლიანი ეროვნული პროდუქტის განსაზღვრების ანალოგიურად, რეგიონში წარმოებული დამატებული ღირებულება (მთლიანი რეგიონული პროდუქტი) წარმოადგენს რეგიონის ფარგლებში წარმოებული საქონლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულებას. მისი გაანგარიშება, სტატისტიკური მონაცემების სიმწირის პირობებში, საკმაოდ დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. „აღნიშნული მაჩვენებელი საქართველოს რეგიონებისათვის შესაძლებელია მივიღოთ მხოლოდ ექსპერტული გათვლებით და განვიხილოთ, როგორც მთლიანი შიდა პროდუქტის რეგიონული ასპექტი.“ [34, გვ. 153] „მთლიანი შიდა პროდუქტისა“ და „მთლიანი რეგიონული პროდუქტის“ ანალოგიის მიხედვით, „მთლიანი საქალაქო პროდუქტი“ შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ქალაქის მასშტაბით წარმოებული საქონლის, გაწეული მომსახურებისა და შესრულებული სამუშაოების საბაზრო ღირებულება (ახლადშექმნილი ღირებულბის, ანუ დამატებული ღირებულების სახით).

აღნიშნული შეფასება ტერიტორიული ერთეულის განვითარების განზოგადებულ მაჩვენებელს წარმოადგენს. თუმცა, გასათვალისწინებელია გარკვეული შეზღუდვებიც, რომლებიც მის გამოყენებასთან არის დაკავშირებული. კერძოდ:

- თუ ამ მაჩვენებლის გამოყენებას ვცდილობთ, როგორც მოქალაქეთა კეთილდღეობის საზომისა, მაშინ უმჯობესია აქცენტი გავაკეთოთ მთლიან შემოსავალზე მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით;
- მთლიანი რეგიონული და საქალაქო პროდუქტის ზრდის ტემპის კვლევის დროს, გასათვალისწინებელია შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის ეკონომიკური სტრუქტურაც, შედარებით წარმატებული და ჩამორჩენილი დარგები და ა.შ.
- მთლიანი რეგიონული ან საქალაქო პროდუქტი არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც მაჩვენებელი, რომელიც ყველა ფაქტორს ითვალისწინებს.

მაგალითად, მაჩვენებელი აერთიანებს ისეთ მომსახურებას, რომელიც არაფერს მატებს არსებულ მატერიალურ ფასეულობებს (მაგ.: ნახმარი ავტომობილებით ვაჭრობა). მაშინ როდესაც, ისეთი მომსახურება, რომელიც მნიშვნელოვნად მოქმედებს ტერიტორიული ერთეულების განვითარებასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაზე (მაგ.: თვითგანათლება, სხვადასხვა სახის საქმიანობა საოჯახო მეურნეობებში), საერთოდ არ არის გათვალისწინებული მთლიანი რეგიონული პროდუქტის მოცულობის გაანგარიშებაში.

- არსებული მეთოდიკის გათვალისწინებით, ფაქტობრივად შეუძლებელია მაჩვენებელმა გაითვალისწინოს ისეთი მომენტები, როგორებიცაა ეკოლოგიური ვითარების გაუარესება, ცვლილებები ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობაში, შრომისნაყოფიერების მაჩვენებლებში და ა.შ. მაშინ როდესაც, მსგავსი ფაქტორები არსებით ზეგავლენას ახდენენ ინვესტიციური გადაწყვეტილებების მიღებაზე, რეგიონის ინვესტიციურ მიმზიდველობაზე და ზოგადად, ტერიტორიული ერთეულების განვითარებაზე.

5. საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის შეფასება

რეგიონის განვითარების ხარისხი და სამომავლო პერსპექტივები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რეგიონული ბიუჯეტის შესაძლებლობებთან. საქართველოს რეალობაში აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით პრობლემურია უკვე წლების განმავლობაში. აღნიშნული საკითხი შორს სცდება ინვესტიციური პოტენციალის არეალს და, ამიტომ, მის შეფასებას არ შევუდგებით.

ზოგადად, საბიუჯეტო პოლიტიკა ერთ-ერთ საუკეთესო მაჩვენებელს წარმოადგენს თუ როგორ და რა მიმართულებით ვითარდება რეგიონი. ბიუჯეტში ინვესტიციური შინაარსის ხარჯვითი მუხლების არსებობა, დადებითად აისახება რეგიონის ინვესტიციური პოტენციალის ზრდაზე შემდეგი თვალთახედვით:

ა) უმჯობესდება ინფრასტრუქტურა და გარემო პირობები;

ბ) ეს დადებითად აღიქმება უცხოელი ინვესტორებისა და დონორი ორგანიზაციების მიერ, როგორც დასტური ადგილობრივი თვითმმართველობის ორიენტირებულობისა განვითარებაზე.

ზოგადად, საქართველოს მხარეებში შემავალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის შეფასების მეთოდიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე და მთლიანად ტერიტორიული ერთეულის განვითარების მართვის ოპტიმიზაციის ამოცანების გადაჭრის მეთოდიკის შემუშავების ხერხემალს წარმოადგენს. შეფასებისავის შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც სტატისტიკური, ისე საბიუჯეტო მეთოდები. თუმცა, სტატისტიკური ინფორმაციის სიმწირისა და ნაკლები ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, არანაკლებ მნიშვნელოვანი ხდება ექსპერტული შეფასებებიც.

<u>სოციალური მაჩვენებლები</u>

რეგიონების ინვესტიციურ პოტენციალთან დაკავშირებული სოციალურ მაჩვენებლებს შორის აღსანიშნავია: რეალური შემოსავლის მოცულობა; განათლების დონე და შრომითი რესურსის კვალიფიკაცია; საზოგადოებრივი უსაფრთხოება და მოქალაქეთა დაცულობა; არსებული შრომითი ვაკანსიების შესაბამისობა რეგიონის მოთხოვნებთან, ჯანდაცვისა და შრომითი რეაბილიტაციის შესაძლებლობები, საცხოვრებელი პირობები და ა.შ. უფრო კონკრეტულად:

1) **ჯანდაცვა.** ჩვეულებრივ, ხასიათდება სიცოცხლის ხანრგძლივობით, ჯანმრთელობის ხარისხით, კვალიფიციური სამედიცინო მომსახურების მიღების შესაძლებლობით და ა.შ. აქ ძირითად მაჩვენებლებად შეიძლება აღებულ იქნას: სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, არაქმედუნარიანობის დღეთა რიცხვი კაცზე წელიწადში, სამედიცინო მომსახურებით მოსარგებლე მოსახლეობის პროცენტი და სხვ.
2) **საცხოვრებელი პირობები.** ხასიათდება მაჩვენებლებით: საცხოვრებლის კაპიტალურობა, ცხოვრების უზრუნველყოფის სისტემები, განთავსების გეოგრაფიით, მისი ლანდშაფტურ-კომპოზიციური შეფასებით, სამუშაო ადგილიდან სიშორით და ა.შ.
3) **დასაქმება.** აღნიშნულ პრობლემას ორი ასპექტი გააჩნია - სამუშაოს მიღების შესაძლებლობა და სამუშაოს ხარისხი, რომლის მაჩვენებლებია: უმუშევრობის დონე, თვითდასაქმებულთა წილი, ხელფასი, შვებულების ხანგრძლივობა და სხვა მრავალი.

4) **შემოსავალი.** აღნისნულთან დაკავშირებით შეიძლება ვისაუბროთ: ოჯახის საშუალო შემოსავალზე, ოჯახებს შორის შემოსავლების განაწილებაზე, დანახარჯების სტრუქტურაზე, სიღარიბის ზღვარზე და ა.შ.
5) **განათლება.** იგი ხასიათდება საშუალო, პროფესიული, უმაღლესი განათლების მწონე პირთა ხვედრითი წილებით, ამა თუ იმ სპეციალობაზე არსებული მოთხოვნით და ა.შ.
6) **სოციალური დაცვა.** სოციალური დახმარების თანხების სწორად მიმართვისათვის, განსაზღვრულ უნდა იქნას სიღარიბის მაჩვენებლები, რომლებიც მოიცავენ შემოსავლის დონესა და ქონების შეფასებას.
7) **დასვენება და თავისუფალი დრო.** იგი განისაზღვრება შრომისა და მგზავრობისათვის დახარჯული დროის გარდა დარჩენილი თავისუფალი პერიოდით და ამ დროის საკუთარი სურვილის მიხედვით გამოყენების შესაძლებლობით. ამასთან, ამ უკანასკნელის საშუალებას უნდა იძლეოდეს ქალაქი;
8) **მომსახურების სფერო.** იგი განისაზღვრება ქალაქის მხრიდან შეთავაზებული მომსახურებისა და სხვადასხვა სერვისების მასშტაბებით, ხარისხით და ა.შ.
9) **საზოგადოებრივი უსაფრთხოება.** აღნიშნულის ხარისხი შეიძლება შეფასდეს ყოველ 10000 მოსახლეზე ჩადენილი დანაშაულის რიცხოვნობით წლის განმავლობაში, გაუხსნელ დანაშაულთა პროცენტით, დანაშაულის სიმძიმითა და ინტენსივობით და სხვ.
10) **ქალაქის მოთხოვნებსა და არსებულ სამუშაო ვაკანსიებს შორის თანაფარდობის ხარისხი,** რომელიც ასახავს ქალაქის მიმდინარე და პერსპექტიული მოთხოვნების ანალიზის შედეგებთან ქალაქის ხელმძღვანელობის ხელშეწყობით ფორმირებული სამუშაო ადგილების შესაბამისობას, პოტენციური დამსაქმებლების ინფორმირებულობის ხარისხს, მათ აქტიურობას და სხვ.

<u>ეკოლოგიური მაჩვენებლები</u>

ეკოლოგიური მაჩვენებლებიდან, რომლებიც ზემოქმედებენ რეგიონების ინვესტიციურ პოტენციალზე, აღნიშნვნის ღირსად მიგვაჩნია: ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების დონე; ნიადაგისა და წყლის დაბინძურების ხარისხი, ხმაურის დონე და

მასთან დაკავშირებული დისკომფორტი, უარყოფითი ფიზიკურ-ეკოლოგიური პროცესები, მწვანე ნარგავების მდგომარეობა, რადიაციული მდგომარეობა და ა.შ.

ზემოთ განხილული მაჩვენებლები შეიძლება გაანგარიშებულ იქნას იმერეთის მხარეში შემავალი ცალკეული მუნიციპალიტეტების მიხედვით, რა თქმა უნდა, თითოეულ მათგანში არსებული თავისებურებების გათვალისწინებით. მსგავსი ანალიტიკური საქმიანობის განხორციელება მყარ საფუძველს უქმნის მთლიანდ მხარის და ცალკეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მართვის სწორი მეთოდებისა და პრინციპების შერჩევას, განვითარების სწორი სტრატეგიების შემუშავებას, ხელს შეუწყობს ბიზნეს აქტივობას და ა.შ., რაც, საბოლოო ჯამში დადებითად აისახება მათ ინვესტიციურ მიმზიდველობაზე.

აღსანიშნავია ასევე, რომ ზემოთ მოყვანილი მეთოდები და მაჩვენებლები სულაც არ არისდოგმატური. ყველა პროექტი, რომელიც რეგიონში ხორციელდება, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, საჭიროებს ინდივიდუალურ მიდგომას. ჩვენი აზრით, ინვესტიციური პროექტის თითოეული მონაწილე (იქნება ეს ბანკი - კრედიტორი, კომპანია - როგორც უშუალო მონაწილე, ადგილობრივი თვითმმართველობა და ა.შ.), უნდა დამოუკიდებლად ახორციელებდეს გაანგარიშებებსა და შეფასებებს. ამასთან, ისინი უნდა ითვალისწინებდნენ საკუთარ ინტერესებს, თავს არიდებდნენ გაუმართლებელ რისკებს და აფიქსირებდნენ თუ რას ანიჭებენ უპირატესობას.

ყოველივე ზემოგანხილულის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ რეალური ინვესტიციების ისეთი ფორმების განხორციელებისას, როგორიცაა მიზნობრივი ქონებრივი კომპლექსების შეძენა, ახალი მშენებლობა, პროფილის შეცვლა, საწარმოს რეკონსტრუქცია თუ ფართომასშტაბიანი მოდერნიზაცია, ინვესტიციური პროექტის მომზადებისადმი მოთხოვნები მნიშვნელოვნად იზრდება. ეს იმასთანაა დაკავშირებული, რომ თანამედროვე ეკონომიკურ პირობებში საწარმოებს არ შეუძლიათ უზრუნველყონ თავიანთი სტრატეგიული განვითარება მხოლოდ შიდა რესურსების ხარჯზე და საინვესტიციო მიზნებზე მიმართავენ დაფინანსების გარე წყაროებიდან მოზიდულ მნიშვნელოვანი მოცულობის სახსრებს. ამავე დროს, ნებისმიერ მსხვილ გარე ინვესტორს ან კრედიტორს ზუსტი და ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს პროექტის სტრატეგიულ კონცეფციაზე, მის მასშტაბებზე, მისი შედეგიანობის მარკეტინგულ, ეკონომიკურ და ფინანსურ მაჩვენებლებზე, აუცილებელი ინვესტიციური დანახარჯების სიდიდეზე და მათი დაბრუნების ვადებზე, ასევე მის სხვა მახასიათებლებზე.

დამუშავებული რეალური ინვესტიციური პროექტი შესაძლებელს ხდის ჯერ საწარმოს მეპატრონეებმა და მენეჯერებმა, ხოლო შემდეგ კი - გარეშე ინვესტორებმა, ყოველმხრივ შეაფასონ მისი რეალიზაციის მიზანშეწონილობა და მოსალოდნელი ეფექტიანობა.აღნიშნულის წარმატებით განხორციელებაში გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლია რეალური აქტივების სრულმასშტაბიან ინვენტარიზაციას. აუცილებელია ე.წ. „აქტივების რუქის“ ფორმირება, რათა ვიცოდეთ რა ფასეულობის მფლობელები ვართ, რაც საშუალებას მოგვცემს შევქმნათ მათზე დაფუძნებული რეგიონული განვითარების სტრატეგია რომელიც არსებული თუ პოტენციური ინვესტორების გააქტიურებასა და მათი მოტივაციის ამაღლებაზე იქნება ორიენტირებული.

დაბოლოს, შესაძლებელია ჩავთვალოთ, რომ უძრავი ქონება, მიწის ნაკვეთები, მათი ფასი და ა.შ., წარმოადგენენ ერთგვარ განზოგადებულ ინფორმაციას ერთდროულად ყველასათვის და არავისთვის. ინვესტორის მხრიდან მისი გამოყენება, კონკრეტული პირობებისა და დამატებების გარეშე, მიზანშეწონილი არ არის და შეიძლება სერიოზული საფრთხეების შემცველი აღმოჩნდეს.

დასკვნები და წინადადებები

1. თანამედროვე რეგიონალისტიკაში ბევრი აქტუალური საკითხი იკვეთება, რომელთა შორის, საქართველოსთვის, ერთ-ერთი ყველაზე პრობლემურად მთლიანად ქვეყნისა თუ მისი ცალკეული რეგიონის ინვესტიციური პოტენციალის ამაღლების შესაძლებლობების გამონახვა და ამოქმედება წარმოგვიდგება.

2. განვითარებადი ქვეყნების ინვესტიციური პოტენციალის ზრდისა და მის საფუძველზე ეროვნულ ეკონომიკაში ინვესტიციების მოზიდვის მიზანი შეიძლება ფორმულირებულ იქნას შემდეგნაირად: ა) სახელმწიფოდან კაპიტალის გატანის შეზღუდვის აუცილებლობა; ბ) ეროვნული ინვესტიციური ბაზრის ზრდისათვის ხელსაყრელი რეჟიმის შექმნა.

3. საქართველოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მხარეების ეკონომიკური პოტენციალისა და მათი კონკურენტუნარიანობის (მ.შ. საინვესტიციო თვალთახედვით) ამაღლებას. აღნიშნულს მნიშვნელოვნად განაპირობებს შესაბამისი სამართლებრივი სივრცის შექმნა, რომელიც დაარეგულირებს რეგიონების სტრატეგიულ დაგეგმვასთან, ინოვაციებსა და კონკურენტუნარიანობასთან, ასევე რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების აქტივებისა და მათი მართვის პრობლემატიკასთან დაკავშირებულ საკითხებს.

4. კონკურენტუნარიანობის ზრდაზე ორიენტირებული რეგიონული განვითარების პოლიტიკის განხორციელება მოგვცემს შესაძლებლობას დაკმაყოფილდეს საზოგადოების წევრების მისწრაფებები არა „სიღარიბის თანაბარი განაწილების“, არამედ ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისაგან მიღებული ეფექტის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, რეგიონული განვითარების პოლიტიკა უნდა განვიხილოთ ტრადიციული გამოთანაბრებითი პოლიტიკის ალტერნატივად, რომლის განხორციელება შეამცირებს ფინანსური რესურსების გადანაწილების საჭიროებას ძლიერიდან სუსტ რეგიონებზე. საინვესტიციო პროცესის დეცენტრალიზაციაზე აქცენტირებული სწორი რეგიონული პოლიტიკა გამოიწვევს საინვესტიციო კუთხით სამხარეო ადმინისტრაციების მოტივაციის ამაღლებას და გააქტიურებს მათ მცდელობას რეგიონებში უკეთესი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბების კუთხით.

5. თუმცა, მართებულმა რეგიონულმა პოლიტიკამ, დადებით შედეგებთან ერთად, შეიძლება გამოიწვიოს არსებული რეგიონთაშორისი წინააღმდეგობების კიდევ უფრო გაღრმავება, რაშიც ვგულისხმობთ: მხარეებისა თუ ცალკეული მუნიციპალიტეტების მიხედვით საინვესტიციო გარემოსა და ინვესტირების პირობების განსხვავებულობის, ინვესტიციების მოზიდვის მიზნით მათი სტიმულირების ფორმებისა და მეთოდების დიფერენცირებულობისა და ცხოვრების დონესა და ერთობლივი მოთხოვნის მასშტაბებში არსებული მკვეთრი განსხვავებების შემდგომ გაღრმავებას და ა.შ.

6. დღეისათვის, აუცილებელი ხდება დერეგულირების პოლიტიკის შემდგომი გაღრმავება, რაც უნდა მოიცავდეს ფინანსური და ინვესტიციური სფეროს განვითარებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების მხარდაჭერას, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, საინვესტიციო კომპანიებისა და ფონდების ქსელის შემდგომი განვითარების ხელშეწყობას, ინვესტიციების დაზღვევისა და სტიმულირების სისტემის ჩამოყალიბებას, ზედმეტი ბიუროკრატიის აღმოფხვრასა და ხელოვნური ბარიერების გაუქმებას და ა.შ.

7. ინვესტიციური პოტენციალის შინაარსიდან გამომდინარე, უცხოური კაპიტალის მოზიდვისა და გამოყენების მნიშვნელოვანი პირობაა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება, გადაწყვეტილებათა მიღების შესაძლებლობა, მათი როლის გააქტიურება მიწების, უძრავი ქონების განკარგვასთან, გადასახადების ამოღებასა და ადგილობრივ ბიუჯეტში მიმართვასთან, ერთობლივი საწარმოების შექმნასა და უცხოური ინვესტირების სხვა ფორმების განვითარებასთან დაკავშირებით.

8. საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, უპირველეს ყოვლისა, ორიენტირებული უნდა იყოს მთლიანად ქვეყანასა და მის ცალკეულ რეგიონში ინვესტიციური პოტენციალის ფორმირებაზე, მის ამაღლებაზე, ეკონომიკის რეფორმირებისა და მისი ეფექტიანობის ზრდის უზრუნველყოფის პროცესში ჩართვასა და მსოფლიო საინვესტიციო ბაზარში ქვეყნის შემდგომი ინტეგრირების ხარისხის ამაღლებაზე.

9. თანამედროვე პირობებში აშკარად იკვეთება სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობა, რომელიც დაეყრდნობა სათანადო ნორმატიულ-სამართლებრივ საფუძველს ცენტრისა და რეგიონების საინვესტიციო

კანონმდებლობის ანალიზის, სისტემატიზაცია-უნიფიცირების საფუძველზე და აპრობირებული ადგილობრივი თუ საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით.

10. აუცილებლად მიგვაჩნია საქართველოს სახელმწიფო ინვესტიციური პოლიტიკის გატარებაში სამხარეო თუ მუნიციპალური ასპექტების გააქტიურება, რისთვისაც მიზანშეწონილია განხორციელდეს ქვეყნის ცალკეული რეგიონის მდგომარეობის კრიტიკულობის გრადაცია, რომლის საფუძველზე შეიქმნება მხარეთა რეიტინგი და მასზე დაყრდნობით განისაზღვრება არსებული ვითარების გაუმჯობესების რამდენიმე დიფერენცირებული ვარიანტი. კრიტიკულობის მაჩვენებელი საკმაოდ რთული და მრავალწახნაგოვანია, თუმცა მისი გაანგარიშება დადებითად აისახება რეგიონების განვითარების პრიორიტეტების შემუშავებაზე.

11. საქართველოს რეალობის გათვალისწინებით, კრიტიკულობის მაჩვენებელი შეიძლება გაანგარიშებულ იქნას მთლიანი პოტენციალისა და ინტეგრალური რისკის მაჩვენებლების გაერთიანების საფუძველზე. ამ შემთხვევაში თითოეული ტერიტორიული ერთეული შეიძლება ერთდროულად დახასიათდეს პოტენციალის და რისკის მიხედვით, ანუ განხორციელდეს რეგიონების რანჟირება.

12. ქვეყნისა თუ რეგიონის ინვესტიციური პოტენციალის ზრდა არ უნდა იყოს მხოლოდ უცხოურ ინვესტორზე გათვლილი. არანაკლებ მნიშვნელოვანია პირობების შექმნა ეროვნული ინვესტიციური პოტენციალის ადგილზე რეალიზებისათვის.

13. ნებისმიერი სახის წახალისება(საგადასახადო შეღავათი, სახელმწიფო სუბსიდია, შეღავათიანი კრედიტები და ა.შ.) ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა კომპანიისათვის, ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში. ამ ვითარებაში, კერძო ინვესტიციების სტიმულირების ერთ-ერთი ყველაზე მისაღებ ფორმად გვესახება საგადასახადო სტიმულირების მექანიზმების გამოყენება, რომელიც ხელს შეუწყობდა მთლიან ინვესტიციურ კაპიტალში კომპანიის საკუთარი რესურსების დაგროვების შესაძლებლობების გაფართოებას.

14. საქართველოს ეკონომიკის საინვესტიციო სფეროში სახელმწიფოს როლის გაძლიერება ორიენტირებული უნდა იყოსსახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლებასა და ბაზრის მონაწილეთა თავისუფლების ხარისხის შენარჩუნებაზე კერძო (მ.შ. უცხოური) ინვესტიციების სტიმულირების პირობებში. ამისათვის, აუცილებელია სისტემური პოლიტიკის ერთიანი ხედვის არსებობა, რომელიც ქვეყნის სამრეწველო პოტენციალის განვითარებაზე იქნება ორიენტირებული.

15. რეგიონების ინვესტიციური პოტენციალის ამაღლება, ბევრად არის დამოკიდებული ადგილობრივი ხელისუფლების მმართველობის სტილზე, მათი გადაწყვეტილებების ხარისხზე, მმართველობით საქმიანობაში მენეჯმენტის თანამედროვე აღიარებული პრინციპების ინტეგრირებაზე და ა.შ. აუცილებელია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა გასაგები და მისაღები იყოს როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ისე ბიზნეს ორგანიზაციებისათვის.

16. თანამედროვე სახელმწიფო განვითარება, მთელს მსოფლიოში, რეგიონული წარმონაქმნების მნიშვნელობის ზრდით ხასიათდება, რაც შედარებით მკვეთრად გამოხატულ სახეს ატარებს ევროპაში. აქ რეგიონული განვითარების საფუძველს ინოვაციური განვითარების სტრატეგიები წარმოადგენს, რომლებიც, თავის მხრივ, ხელისუფლების, საზოგადოებისა და ბიზნესორგანიზაციების ნდობას და მათ შორის მჭიდრო კავშირების არსებობას ეყრდნობა.

17. იმერეთის მხარეში რეგიონული ინოვაციური სისტემის ფორმირება დაკავშირებული უნდა იყოსცოდნის გენერირებასთან, გავრცელებასა და მასთან დაკავშირებული ურთიერთობების განვითარებასთან, რაშიც ქ. ქუთაისმა ცენტრალური ადგილი უნდა დაიჭიროს. აღნიშნულის მიზანი იქნება შეისწავლოს, თუ როგორ განავითარებს კომპანიებისა და რეგიონული ინსტიტუტების თანამშრომლობა ინოვაციებსა და განათლებას, რაც ასე აუცილებელია თანამედროვე გლობალურ სამყაროში წარმატების მისაღწევად.

18. რეგიონული საინოვაციო სისტემა (რსს) ფუნქციონირების პროცესში იყენებს ადგილობრივ და ეროვნულ დონეებზე მისთვის ხელმისაწვდომ რესურსებს (ადამიანურს, ფინანსურს, ინფრასტრუქტურულს, ინსტუტიციონალურს და ა.შ.). იგი უზრუნველყოფს ცოდნის გენერაციას, შენახვას, გამოყენება-გავრცელებასა და ინოვაციებში უტილიზაციას, რეგიონის ეკონომიკურ ზრდას.

19. რეგიონული საინოვაციო სისტემისა და კლასტერული განვითარების მოდელი, რომლის ცენტრში იქნება მაღალი დონის უნივერსიტეტი, გვესახება სახელმწიფოებრივი განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების აუცილებელ პირობად. იმერეთში, ამ მხრივ, საკმაოდ კარგი პირობებია, რადგან აქ ფუნქციონირებს ორი მძლავრი უნივერსიტეტი, არაერთი კოლეჯი და სასწავლო დაწესებულება, რომელიც სხვადასხვა ტიპის საგანამანთლებლო თუ პროფესიულ პროგრამებს სთავაზობენ.

20. რეგიონული განვითარების ზემოაღწერილი მოდელი უნდა დაეფუძნოს სამ საყრდენს: ინოვაციები, ნიჭიერი ადამიანები და მაღალკვალიფიციური პროფესიონალები, მჭიდრო ქსელური კავშირები, ანუ, მთლიანობაში კლასტერულ განვითარებას. კლასტერების განვითარების უმნიშვნელოვანეს საფუძველს წარმოადგენს რეგიონული რესურსების მოდერნიზაცია.

21. მაქსიმალურად უნდა შეეწყოს ხელი ე.წ. „კლასტერულ ინიციატივებს“, როგორც განსაზღვრული რეგიონული კლასტერის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და რეგიონის ეკონომიკური ზრდის ტემპების გადიდების ორგანიზაციულ ინოვაციას, რაც პროცესში კლასტერული კომპნიების, სახელმწიფოსა თუ კვლევითი ინსტიტუტების ჩართვას გულისხმობს. მსგავსი ნოვაციის ინიციატორად უნდა მოგვევლინონ მართვის ადგილობრივი ორგანოები ან ადგილობრივ მეწარმეთა გაერთიანებები, რაც კლასტერის ქვემოდან განვითარების სტიმულირების წინაპირობას შექმნის.

22. კლასტერული განვითარების თვალთახედვით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სპეციალიზაციის ხარისხის ამაღლება. ვთვლით, რომ საქართველოს და მისი მხრეების ეკონომიკური სპეციალიზაცია თავდაპირველად უნდა დაეფუძნოს ბუნებრივი უპირატესობების აქტიურ გამოყენებას. უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა თუ ადგილობრივი ინვესტიციური პოტენციალის გაფართოებისა და სტიმულირების საფუძველზე, აქცენტი უნდა გადავიდეს იმ უპირატესობების გამოყენებაზე, რაც წარმოიქმნება ტექნიკურ სიახლეთა დანერგვის, მის ბაზაზე სერიული თუ ინდივიდუალური შეკვეთების მიხედვით წარმოებაზე, რომელიც ზოგ შემთხვევაში უნიკალურ ხასიათს იძენს.

23. საქართველოს მხარეების სპეციალიზირებული მეურნეობის წარმატებით ფუნქციონირებისათვის აუცილებლად მიგვაჩნია: ეკონომიკაში დომინირებადი სექტორების გამოყოფა, მათი უპირატესი განვითარება; სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაძლიერება და აქცენტის გადატანა რთული და მაღლახარისხოვანი პროდუქციის წარმოებაზე; საერთაშორისო ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკის ორგანიზება; ძირითად მეწარმეებს შორის კავშირების გაღრმავების მაქსიმალური ხელშეწყობა; სპეციალიზირებული პროდუქციის ექსპორტის ხელშეწყობა.

24. საქართველოს მხარეებმა და მათ შორის იმერეთმა, საკუთარი შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით, კვლევებისა და განვითარების მართვის სფეროში, უნდა ჩამოაყალიბონ პირდაპირი სახელმწიფო მართვისაგან თავისუფალი

„საკოორდინაციო ერთეულები“, რომლებიც მთავრობის თანადგომით შეასრულებს მრჩევლისა და მონიტორის როლს და დაეხმარება მას სათანადო პრიორიტეტების შერჩევაში.

25. საქართველოში სხვადასხვა პოლიტიკის მართვისა და კონცეფციების ფორმირებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ საკითხებზე:

ა) სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკა უნდა ხასიათდებოდეს გრძელვადიანი სტრატეგიული ხედვითა და შესაბამისი ქმედებების დაგეგმვით;

ბ) უნდა არსებობდეს, რეალურ სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაფუძნებული რესურსების მოძიების და პროგრამებსა და რეგიონებზე გადანაწილების ობიექტური („არაპოლიტიკური“) მეთოდები;

გ) უნდა მოხდეს ფორმირება სისტემისა, რომელიც გააერთიანებს თანადაფინანსებასა და პარტნიორობას, რაც გააძლიერებს პროექტების მართვაში საზოგადოების ჩართულობას, მათ დაინტერესებას პროექტის წარმატებაში და გაამყარებს მათი საკუთრების უფლებას;

დ) აუცილებელია, შეიქმნას სათანადო ნორმატიული ბაზა, რომელიც ჩამოაყალიბებს პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესის მართვის ზოგად წესებს, ინდივიდუალური პროექტების გადაწყვეტილების საფუძველზე;

ე) საჭიროა მოხდეს ინტეგრირებული პროგრამების (დამატებით სამუშაოების შექმნის ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურისა თუ ადამიანური რესურსების განვითარება და სხვ.), თუ ინდივიდუალური პროექტების მხარდაჭერა;

ვ) აუცილებელია განხორციელებულ ქმედებათა მონიტორინგი და შეფასება ბენეფიციარებისათვის თუ გადასახადის გადამხდელთათვის დამატებითი სარგებლისა იმ სიკეთის სადემონსტრაციოდ, რომელიც პროექტის რეალიზებამ მოუტანა რეგიონს;

ზ) მნიშვნელოვანია გამჭვირვალობის უზრუნველყოფა პოლიტიკისა და პროგრამების იმპლემენტაციისას, რაც დემოკრატიული მმართველობის მნიშვნელოვან კომპონენტად ითვლება.

26. საქართველოში, დემოკრატიულიქვეყნების მსგავსად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უფრო მეტად სამეურნეო და ინფრასტრუქტურული ფუნქციებით უნდა იყვნენ აღჭურვილნი, რაც დადებითად იმოქმედებს

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის განვითარებაზე, მის ეკონომიკურ გაჯანსაღებაზე, სოციალური ფონის გაუმჯობესებაზე და ა.შ. ეს ხელს შეუწყობს მისი ინვესტიციური მიმზიდველობის ამაღლებას.

27. საქართველოს ტერიტორიულ ერთეულებში, ინფრასტრუქტურული პრობლემებიდან ყველაზე აქტუალურია მუნიციპალურ ქონებასთან დაკავშირებული პრობლემები. მათ შორის ყველაზე მწვავედ მიგვაჩნია ქონების ნუსხის არარსებობა, მისი ღირებულების დადგენა, რაც ფრიად გართულებულია მისი ცალკეული ელემენტების სიძველით, უმოქმედობით, თავდაპირველი ფუნქციური დატვირთვის მოშლით და ა.შ. საჭიროა დაიწყოს ქონების ინვენტარიაციის პროცესი.თვდაპირველად უნდა მოხდეს ობიექტების აღწერა და მათი დოკუმენტაციის მოწესრიგება. გარკვეული დროის შემდეგ, პროცესში უნდა ჩაერთოს შემფასებელთა ჯგუფი, რომელიც მოახდენს ცალკეული ობიექტის ღირებულების დადგენას.

28. საქართველოს თვითმმართველ ქალაქებსა და მუნიციპალურ ცენტრებში არსებული რეალური ვითარების გათვალისწინებით, უძრავი ქონების შეფასებისა და მისი ღირებულების დადგენის მრავალფეროვანი მეთოდებიდან, ჩვენს პირობებში უფრო მიზანშეწონილად მოგვაჩნია შედარებითი (ანალოგების მიხედვით) მეთოდების გამოყენება, რაც გულისხმობს შესაფასებელი ობიექტის შერჩევასა და მის შედარებას.

29. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რეგიონებში ანალიტიკური საქმიანობის წარმართვას. იგი მყარ საფუძველს შექმნის მათი მართვის სწორი მეთოდების, პრინციპების, განვითარების სწორი სტრატეგიების შერჩევისათვის, ხელს შეუწყობს ბიზნეს აქტივობას და ა.შ., რაც, საბოლოო ჯამში დადებითად აისახება მათ ინვესტიციურ მიმზიდველობაზე.

30. რეალური ინვესტიციების განხორციელებისას, გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლია რეგიონის რეალური აქტივების სრულმასშტაბიან ინვენტარიზაციას. აუცილებელია ე.წ. „აქტივების რუქის“ ფორმირება, რაც საშუალებას მოგვცემს შევქმნათ მათზე დაფუძნებული რეგიონული განვითარების სტრატეგია, რომელიც არსებული თუ პოტენციური ინვესტორების გააქტიურებასა და მათი მოტივაციის ამაღლებაზე იქნება ორიენტირებული.

31. რეგიონში განსახორციელებელი ნებისმიერი დამუშავებული რეალური ინვესტიციური პროექტი შესაძლებელს ხდის ჯერ საწარმოს მეპატრონეებმა და მენეჯერებმა, ხოლო შემდეგ კი - გარეშე ინვესტორებმა, ყოველმხრივ შეაფასონ მისი

რეალიზაციის მიზანშეწონილობა და მოსალოდნელი ეფექტიანობა. აღსანიშნავია, რომ ყველა პროექტი, რომელიც რეგიონში ხორციელდება, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, საჭიროებს ინდივიდუალურ მიდგომას. ინვესტიციური პროექტის თითოეული მონაწილე უნდა დამოუკიდებლად ახორციელებდეს გაანგარიშებებსა თუ შეფასებებს, ითვალისწინებდეს საკუთარ ინტერესებსა და თავს არიდებდეს გაუმართლებელ რისკებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **არჩვაძე ი.**, თანამედროვე საქართველოს ეკონომიკა: განვითარების დონისა და მოწვლადობის ზოგიერთი ასპექტი, ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი, თბ., 2012;
2. **ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ., აბრალავა ა.,** რეგიონალიზმი: თეორია და პრაქტიკა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2009;
3. **ბარათაშვილი ე., გალახვარიძე ნ., გრძელიშვილი ნ., ნადარეიშვილი ნ.,** რეგიონული ეკონომიკა, თბ., 2010;
4. **ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ., ციმინტია კ.**, საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის კომპლექსური შეფასება, თბ., 2008;
5. **ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ.,** საქართველოს რეგიონული განვითარების ეკონომიკა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ. 2007;
6. **ბარათაშვილი ე., ზარანდია დ.,** რეგიონის საინვესტიციო პოლიტიკა, ჟ. „ეკონომიკა“,№9-10, 2000
7. **ბარათაშვილი ე., ვეშაპიძე შ.,** რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა. თბ., 2002.
8. **ბარათაშვილი ე., გეჩბაია ბ., ღლონტი ვლ.** საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა: თანამედროვე მიღწევები. თბ., „უნივერსალი“, 2012.
9. **ბოლაშვილი პ.**, მუნიციპალური განვითარების სოციალური და ეკონომიკური პრობლემები. თბ., 2000.
10. **გოგოძე ი.,** ინოვაციური საქართველო: მიმდინარე სტატუსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2013;
11. **კაკულია რ., ღავთაძე გ.,** ეკონომიკური და ფინანსური რისკების მართვა, მონოგრაფია, ქუთაისი, 2012;
12. **კაკულია რ.,** რეგიონული ეკონომიკა და ქვეყნის საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა. სესპსკი შრომების კრებული. თბ., 1996.
13. **ლომინაშვილი-ფრუიძე მ.,** საქართველოს საფინანსო პოლიტიკა და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები იმერეთის მხარეში, ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, ქუთაისი, 13.11.2010;

14. **ლორთქიფანიძე ვ.**, ქვეყნის ფედერაციული მოწყობა, საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, თბ., 1999;
15. **მესხია ი.**, **გველესიანი ე.,** რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა, თბ., 2010;
16. **მესხია ი.,** რეგიონული განვითარების ახალი სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობის შესახებ. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციის "ეკონომიკა, ტურიზმი და საინფორმაციო ტექნოლოგიები ქვეყნის განვითარებაში: გამოწვევები და პერსპექტივები" შრომების კრებული. ქუთაისი, 2014. გვ. 78-80
17. **მოურავიძე დ.,** რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეცნიერული საფუძვლების შესახებ: გამოცდილება, ამოცანები, მიმართულებები. სესპსკი შრომების კრებული. თბ., 2000.
18. **მოურავიძე დ.,** რეგიონის ცნებისა და რეგიონული სტრუქტურიზაციის საკითხისათვის საქართველოში. სესპსკი შრომების კრებული. თბ., 1999.
19. **მოურავიძე დ.**, რეგიონული განვითარების აქტუალური საკითხები საქართველოში, სსეპსკი, შრომების კრებული ტ.1, თბ., თბ., 1996;
20. **სიჭინავა ა., კოღუაშვილი პ., ეგიაშვილი დ., მესხიშვილი ა.**, უძრავი ქონების ეკონომიკა, სახელმძღვანელო, სტუ, 2013;
21. **ქოქიაური ლ.**, საინვესტიციო მენეჯმენტი და პოლიტიკა, სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა, თბ., 2012;
22. **ქოქიაური ლ.**, საინვესტიციო საქმე, სტუ, თბ., 2010;
23. **ქაჯაია ვ.,** იმერეთის მხარის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო რეგულირების ორგანიზაციული ასპექტები. სესპსკი შრომების კრებული. თბ., 1999.
24. **ღავთაძე გ., ჩიხლაძე ნ.** სატრანსფერო პოლიტიკა და რეგიონების ფინანსური მხარდაჭერის აქტუალური საკითხები საქართველოში (იმერეთის მხარის მაგალითზე) - თანაავტორობით. სპკ "რეგიონალიზაცია, თანამედროვე რეგიონული ეკონომიკური და სოციალური პროცესები" შრომების კრებული. ქუთაისი, 2010.
25. **ღავთაძე გ., ჩიხლაძე ნ.** თანამედროვე მიდგომები რეგიონის ინვესტიციური მიმზიდველობის შეფასებისადმი. თანაავტორობით. სსპკ "ინოვაციები ბიზნესში" შრომების კრებული. ბათუმი, 2010.

26. **ღავთაძე გ.**, სახელმწიფო მართვის პრინციპების სრულყოფის გზები და სამოქალაქო თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები საქართველოში, საერთაშორისო ეკონომიკური კონფერენცია „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ“, სტუ, 17-18.10.2014;
27. **ღავთაძე გ.,** საქართველოს ინვესტიციური კლიმატის გაუმჯობესებაზე მოქმედი ფაქტორები, ჟ. „მენეჯმენტი და ბიზნესი“, №1, 07.2009;
28. **ღავთაძე გ.**, ადგილობრივი ბიუჯეტების როლი სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის განხორციელებაში, ქუთაისი, 1999;
29. **ღავთაძე გ., იფშირაძე ა.,** ფინანსური ბაზრების გლობალიზაცია და ინვესტიციები, ჟ. ეკონომიკური პროფილი, №2, ქუთაისი, 2006;
30. **ღავთაძე გ., იფშირაძე ა.,** ინვესტიციური პოლიტიკა, მისი როლი და შემუშავების პრინციპები თანამედროვე პირობებში, ჟ. ეკონომიკური პროფილი, №4, აპრილი, 2008;
31. **ღავთაძე გ., იფშირაძე ა.,** საბაზრო გარემოში კორპორაციის ინვესტიციური ქცევის მოდელირების მოტივაციური მექანიზმი, ჟ. ეკონომიკური პროფილი, №5, აპრილი, 2009;
32. **ღავთაძე გ., იფშირაძე ა.,** უნივერსიტეტის როლი რეგიონული ინოვაციური სისტემის ფორმირებაში, ჟ. ბიზნეს-ინჟინერინგი, მიძღვნილი პირველ საერთაშორისო ეკონომიკურ კონფერენციაზე: „ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს საინჟინრო აკადემია, 4.2013 (გვ. 14-18);
33. **ღავთაძე გ., იფშირაძე ა.,** საქართველოს, როგორც მცირე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიმართულების შერჩევის საკითხისათვის, ახალგაზრდა მეცნიერთა ასოციაციის I რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, შრომათა კრებული, 2003, (გვ. 286-291);
34. **ღავთაძე გ., ჩიხლაძე ნ.,** იმერეთის მხარის ეკონომიკური განვითარების პირობები და პერსპექტივები, მონოგრაფია, ქუთაისი, 2009;
35. **ღავთაძე გ.,** განათლების სისტემა: თანამედროვე ფუნქციები და გამოწვევები, ჟურნალი „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე“, #1, ქუთაისი 2013, გვ. 112-122;

36. **ღავთაძე გ.,** სახელმწიფო მმართველობის სრულყოფისა და სამოქალაქო თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები საქართველოში, ჟ. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, #5, 2015;
37. **შონია ნ., გუგეშაშვილი თ., ღავთაძე გ.,** ფინანსური ბაზრები და ფასიანი ქაღალდები, ქუთაისი, 2003;
38. **ჩიხლაძე ნ.,** რეგიონის და თვითმმართველი ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის საკითხისათვის სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის: „გამჭვირვალე ადგილობრივი ბიუჯეტი" შრომების კრებული, ქუთაისი, 2008. გვ. 143-151.
39. **ჩიხლაძე ნ.,** საქართველოს ტერიტორიული ერთეულების ფისკალური ავტონომიის გაფართოების საკითხისათვის, სსპკ „გლობალიზაცია, მსოფლიო კრიზისი და სამხრეთ კავკასია" შრ. კრ ებული. ქუთაისი, 2009.
40. **ჩიხლაძე ნ.,** იმერეთის რეგიონის, როგორც ბრენდის ფორმირების საკითხისათვის. სსპკ „ტურიზმი, ეკონომიკა და ბიზნესი" შრომების კრებული, ბათუმი, 2011.
41. **ჩიხლაძე ნ.,** საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რანჟირების საკითხისათვის. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. 13. თბ., 2015.
42. **ჩიხლაძე ნ.,** იმერეთის რეგიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებათა შესახებ, სამეცნიერო კრებულში „საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებები გარდამავალ პერიოდში", ბათუმი-თბილისი, 2001.
43. **ჩიხლაძე ნ., გაბელაშვილი კ.** რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის ფორმირების აქტუალური საკითხები, ჟ. „ეკონომიკური პროფილი", №2, 2007
44. **ჩიხლაძე ნ., ქაჯაია ვ.,** ბიუჯეტების ჰარმონიზაციის პრობლემები სახელმწიფოს რეგიონულ პოლიტიკაში, ქუთაისი, „ქუთაისინფორმი", 2001
45. **ჩუბინიძე გ.**, რეგიონული ეკონომიკა და მართვა, ქუთაისი, 2000;
46. **ცინარიძე რ.**, რეგიონული საინვესტიციო პროცესების რეგულირების საფინანსო-ეკონომიკური მექანიზმი, ბიზნესის მართვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ანოტაცია, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი 2012;

47. **ჭითანავა ნ.,** სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის ფორმირების საკითხები გარდამავალ პერიოდში საქართველოში, სესპსკი შრომების კრებული, თბ., 2000.
48. **ჭიჭინაძე ბ., ჩიხლაძე ნ.,** ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების თანამედროვე პრობლემები საქართველოში. ჟ. „ახალი ეკონომისტი“, #4(31) 2013.
49. **ხმალაძე კ.,** რეგიონული განვითარების მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის ასპექტები. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ეკონომიკის მდგრადი განვითარების პრობლემები: რეალობა და პერსპექტივები“ შრომების კრებული, ქუთაისის უნივერსიტეტი, 2012;
50. **ჯაფარიძე დ.,** ინვესტიციურ-ინოვაციური პროექტების ეფექტიანობაზე მოქმედი ფაქტორების მართვა სარკინიგზო ტრანსპორტზე და მისი გაუმჯობესება, დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2012;
51. ევროკავშირის რეგიონალური პოლიტიკა, ევროკავშირის ოფიციალურ გამოცემათა ოფისი, გამომცემელი: Raphaël Goulet, გენერალური დირექტორატი რეგიონალური პოლიტიკის საკითხებზე, L-2985 ლუქსემბურგი, აგვისტო 2009, ხელმისაწვდომია: http://ec.europa.eu/regional_policy/international/pdf/external_ka.pdf;
52. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, თბ., 2005;
53. 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონულიგანვითარებისპროგრამა, თბ., 2014;
54. საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წ.წ. სახელმწიფო სტრატეგია, თბ., 2010;
55. საქართველოს მთავრობის დადგენილება „საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წ.წ. სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცებისა და საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“, #172, 25 ივნისი, 2010 წ.;
56. საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგიული რეკომენდაციები 2010-2017 წ.წ., საქართველოს რეგიონული განვითარების კომისია, თბ., 2010;
57. საქართველოს რეგიონული განვითარება, დიაგნოსტიკური მოხსენება, საქართველოს რეგიონული განვითარების კომისია, თბ., 2010;
58. საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბ., 1988;

59. იმერეთის რეგიონის განვითარების 2012–2017 წლების სტრატეგია, დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №1689 განკარგულებით (38 გვ.);
60. იმერეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია - 2014–2021, ხელმისაწვდომია: www.imereti.gov.ge , (51 გვ.)
61. **Areshidze M.**, Regional Context: Challenges and Possibilities, Democratization Processes, Regional Context, National Minority Issues and Conflict Transformation in Georgia, Institute of Social Studies and Analyses, Situational analyses, July-September, 2011, "Universal", Tbilisi 2012, p. 29-44;
62. **Benoit Godin**, *National Innovation System: The System Approach in Historical Perspective*, Available at: http://www.csiic.ca/PDF/Godin_36.pdf;
63. **Bishop M.L.,** The political economy of small states: Enduring vulnerability? Review of international political economy, Volume 19, #5, Routledge, Taylor & Francis Group, December 2012 (p. 942-960);
64. **Boni Michal**, How to build the strategic orientation in governance? The Future of Regions in the Perspective of Global Changes, Regional Development Forum, Ministry of regional development, Warsaw 2008, vol. 3, Part one, p. 15-17;
65. **Carl-Henric Nilsson**, **David Ford**, *Introducing intellectual potential – the case of Alfa Laval*, Journal of Intellectual Capital, Vol. 5, Emerald Group Publishing Ltd, Lund University, Alfa Laval Group, Lund, Sweden, 2000, available at: http://www.emeraldinsight.com/journals.htm?articleid=884031
66. **Chikhladze N., Valishvili T.,** To imereti as an issue of regional branding. Journal of International Scientific Publication: Economy & Business, Volume 7, 2013, Part 2. ISSN 1313-2555, Published at: http://www.scientific-publications.net
67. **Freeman C.**, *The "National System of Innovation" in Historical Perspective*, Cambridge Journal of Economics, 1995, available at: http://www.globelicsacademy.org/2011_pdf;
68. **Gavtadze G.**, *Interrelation between Education and Economy and Their Impact on Regional Development*, 8th International Scientific Conference "Social Sciences for Regional Development 2013", 10.10.-12.10.2013., Daugavpils University, Daugavpils, Latvia;

69. **Holger Magel**, Towards a participative municipal development, Keynote to International Summer School 2013 TSU,TUM,GIZ,Tbilisi, 9 September, 2013;
70. **Lundvall B. A.,** *Product innovation and user-producer interaction, industrial development*, Research Series 31, Aalborg: Aalborg University Press, 1985, available at: http://vbn.aau.dk/files/7556474/user-producer.pdf;
71. **Zuber Piotr**, Building the capacity for strategic governance of development at the national and regional level – the case of Poland, Regional Development Forum, The Future of Regions in the Perspective of Global Change, Part One, p. 18-25;
72. European Commission, Europe 2020, European semester, The 2013 Country-specific recommendations of the European Commission to the member states online, available at: http://ec.europa.eu/europe2020/index_en.htm
73. The Future of Regions in the Perspective of Global Changes, Regional Development Forum, Ministry of regional development, Warsaw 2008, vol. 3;
74. The Future of Regions in the Perspective of Global Changes, Regional Development Forum, Ministry of regional development, Warsaw 2008, vol. 4;
75. Crisis and Transition: People's Perspective, European Bank for Reconstruction and Development, Transition Report 2011, available at: www.ebrd.com/transitionreport;
76. Democratization Processes, Regional Context, National Minority Issues and Conflict Transformation in Georgia, Institute of Social Studies and Analyses, Situational analyses, July-September, 2011, "Universal", Tbilisi 2012;
77. **Бабурин В. Л., Мазуров Ю. Л.**, Географические основы управления, М., «Дело», 2000
78. Инвестиции, системный анализ и упарвление, под редакцией **К.В. Балдина**, М., 2006;
79. **Долятовский В. А**. Зарубежный опыт комплексного развития регионов. - М., Регионология, 1994;
80. **Кикери С., Кеньон Т., Палмад В.**, Совершенствование инвестиционного климата, уроки для практиков, «Весь мир», М., 2007;
81. **Лексин В. Н., Швецов А. Н**. Государство и регионы. - М., 1997.
82. **Маршалова А. С., Новоселов А. С.** Основы теории регионального воспроизводства. - М., 1998.
83. **Маковкина С.,** Влияние стратегического планирования на качественные изменения социально-экономического положения города, Сборник Трудов X Международной

конференции молодых ученых, Институт экономики УрО РАН, г. Екатеринбург, 2012;

84. **Мартишин Е.** Эволюционные механизмы модернизации в стратегии региона. Ж. „Региональная экономика: теория и практика“. #13, 2014
85. **Папело В., Голошевская А**. Бюджетный механизм регулирования социально-экономического развития муниципального образования. Ж. Регион: экономика и социология. 2012. № 2.
86. **Попков В.П., Семенов В.П.**, Организация и финансирование инвестиций, Питер, 2001;
87. Региональная экономика /Под ред. **Т. Т. Морозовой**/. - М., 1998
88. Управление инвестиционными рисками и развитие инфрастуктуры фондового рынка, **Томлянович С.А.**, Директор Депозитария АКБ РОС БАНК, М., 2007;
89. **СамуельсонП.**, Экономика, том 1, М., МПО «Альгон», ВНИИСИ, 1992;
90. **Хомкалов Г.В.**, оценка привлекательности обьектов инвестирования, теория и практика, Иркутск, 2001
91. **Чихладзе Н.,**Региональные проблемы экономических и финансовых отношении (на примере имеретинского региона), Кутаиси, 2003;
92. **Чихладзе Н.,** Основные ориентиры стратегии регионального развития в грузии (в соавторстве) VII Всероссийская конф. по институциональной экономике. Институт экономики УрО РАН. Екатеринбург, 2009.
93. **Чихладзе Н.,** Особенности общественного сектора экономики грузии – региональный аспект. журн. „Актуальные проблемы экономики, социологии и права», 2012, №3.
94. **Чихладзе Н.,** Некоторые актуальные вопросы финансового регулирования регионального развития (на примере имеретинского региона Грузии), ж. Финансы и кредит / №23 (191), 2005, доступно на саите: http://www.fin-izdat.ru/journal/fc/oldlist.php?SECTION_ID=1013
95. **Чихладзе Н.,** Региональные вопросы инвестиционной привлекательности /Электронный многопредметный научный журнал Управление общественными и экономическими системами (ორიოლის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტრონული ჟურნალი) http://umc.gu-unpk.ru/umc/z012004.php*)* / №1, 2004;

96. **Шапкин А.**, Экономические и финансовые риски. Оценка, управление, портфель инвестиций, М., 2006;

97. **Юданов Ю.И.**, Малые страны западной Эвропы, М., 1984;

98. http://www.geostat.ge- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდი;

99. http://www.imereti.gov.ge - იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის ოფიციალური ვებ-გვერდი;

100. http://www.economy.ge/ - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი;

101. http://www.mrdi.ge/ - რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი;

102. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, თბ., 2004-2014;

103. National Accounts of OECD Countries, 1950-1978, vol. 1, p. 88

კითხვარი ინვესტორებისათვის

1. **კომპანიის დასახელება:**

2. **რეზიდენტობა:** □ უცხოური □ სამამულო

3. **ინვესტიციების განხორციელების პერიოდი:**

4. **საქმიანობის სფერო:**

5. **პროდუქციის მთლიანი გამოშვება:**

□ 0,5 მლნ. ლარამდე □ 0,5-1,0 მლნ. □ 1,0-1,5 მლნ. □ 1,5-2,0 მლნ.

□ 2,0-5,0 მლნ. □ 5,0-10,0 მლნ. □ 10,0 მლნ. ლარზე მეტი

6. **დასაქმებულთა რიცხოვნობა:**

7. **დასაქმებულთა შემადგენლობა:**

__ საქართველოს მოქალაქე; _____ უცხოელი (ქვეყანა); __ ქალი; __ კაცი;

8. **ძირითადი წინააღმდეგობები:**

□ არახელსაყრელი ბიზნეს გარემო;
□ სირთულეები რეგისტრაციის დროს:
□ საგადასახადო კანონმდებლობა და საქმისწარმოება;
□ საბაჟო რეგულაციები;
□ სავიზო რეგულაციები;
□ შრომით საქმიანობასთან დაკავშირებული რეგულაციები;
□ არაკონკურენტული გარემო
ს ხ ვ ა :

_____

_____

_____

_____

9. **მოლოდინები:**

_____

_____

_____

_____

_____

10. ფაქტობრივი მდგომარეობა:

- ☐ ფუნქციონირებს
- ☐ დროებით შეჩერებულია
- ☐ გაკოტრების რეჟიმშია
- ☐ დაიხურა

11. რის გამოსწორებას ისურვებდით:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

გმადლობთ თანამშრომლობისათვის!